European Commission for Democracy Through Law (Venice Commission). “Draft Opinion on the Draft Revised Constitution as Adopted by the Parliament of Georgia at the Second Reading on 23 June 2017.” Strasbourg: Council of Europe, September 22, 2017. [https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-PI\(2017\)006-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-PI(2017)006-e).

———. “Report on the Relationship between Freedom of Expression and Freedom of Religion: The Issue of Regulations and Prosecution of Blasphemy, Religious Insult and Incitement to Religious Hatred.” Strasbourg, 2008. [https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD\(2008\)026-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2008)026-e).

Tabula. “გახარია: ეკლესია არ უნდა დაიხუროს, რაც გასაგებია, ჩვენ ხომ მართლმადიდებლური სახელმწიფო ვართ [Gakharia: ‘the Church Should Not Be Closed, Which Is Understandable, We Are an Orthodox State’, - Tabula, 14.09.2020,],” April 14, 2020. <https://tabula.ge/ge/news/644208-gakharia-eklesia-ar-unda-daikhuros-rats-gasagebia>.

Gamsakhurdia, Zviad. “საინაუგურაციო სიტყვა [Inaugural Address],” June 7, 1991. <https://www.youtube.com/watch?v=Rn1ja0DApDw>.

Gavtadze, Mariam, Eka Chitanava, Anzor Khatiashvili, Mariam Jikia, Shota Tutberidze, and Gvantsa Lomia. “Freedom of Religion or Belief in Georgia - Report 2010-2019.” Tbilisi: Tolerance and Diversity Institute, 2020. http://tdi.ge/sites/default/files/tdi-report-freedom_of_religion_in_georgia_2010-2019.pdf.

Gavtadze, Mariam, Giorgi Gotsiridze, Nino Tsintsadze, and Tamta Mikeladze. “Recommendations Developed by the Council of Religions under the Auspices of the Public Defender of Georgia 2020.” Edited by Beka Mindiashvili. Tbilisi: Council of Religions and Tolerance Centre, September 24, 2020. <https://www.ombudsman.ge/res/docs/2020092417162890655.pdf>.

Ghoghoberidze, Khatia. “ელჩები, აქტივისტები, NGO-ები, სასულიერო პირები, ახალი პატრიარქის მოლოდინი — ჩანაწერები, ნაწილი II [Ambassadors, Activists, NGOs, Clergy, Awaiting the New Patriarch — Notes, Part II].” On.ge, September 14, 2021. <https://on.ge/story/89086>.

Giorgadze, Lela. “საქართველოსა და რუსეთის საეკლესიო ურთიერთობები პოსტსაბჭოურ პერიოდში (1990-2004 წლებში) [the Church Relations between Georgia and Russia in the Post-Soviet Era (1990-2004): An Attempt of a Church Split in the Georgian Orthodox Church of the Post-Soviet Era].” PhD thesis, 2014. https://tsu.ge/assets/media/files/48/disertaciebi/Lela_Giorgadze.pdf.

Gunn, Jeremy, and Dag Nygaard. “Georgian Constitutional Values versus Political and Financial Interests: The Constitutional Agreement’s Departure from the Georgian Principle of Equality.” Oslo: Norwegian Centre for Human Rights, 2015. <https://cutt.ly/P5n7uEN>.

Gvakharia, Giorgi. “დაპირისპირება ქართულ საზოგადოებაში [Confrontation within Georgian Society].” Radio Liberty, June 14, 2013. <https://www.radiotavisupleba.ge/a/red-zone-confrontation/25017433.html>.

Gvritishvili, Eter, Eka Chitanava, Tamta Mikeladze, and Mariam Kvaratskhelia. “რელიგიური ორგანიზაციების სახელმწიფო დაფინანსების პოლიტიკა (2014-2015) [State Funding Policy of Religious Organizations (2014-2015)].” Tbilisi: EMC and TDI, July 16, 2016. <https://socialjustice.org.ge/ka/products/kvleva-religiuri-organizatsiebis-sakhelmtsifo-dafinansebis-politika-2014-2015>.

Georgian Young Lawyers’ Association. “GYLA APPEALS to the CONSTITUTIONAL COURT against DISCRIMINATORY PRACTICES of FUNDING the MUSLIM COMMUNITY from the STATE BUDGET,” April 5, 2016. <https://gyla.ge/en/post/saia-sakhelmtsifo-biujetidan-muslimebis-diskriminaciuli-dafinansebis-tsess-sakonstitucio-sasamartloshi-asachivrebs#sthash.rFGbgrf.dpbs>.

Human Rights Education and Monitoring Center. “Protection of Religious Minorities - Report on the Monitoring of the Implementation of Human Rights Strategies and Action Plans for 2016-2017.” Tbilisi: Human Rights Education and Monitoring Center, October 3, 2018. <https://socialjustice.org.ge/en/products/religiuri-umtsiresobebis-datsva-adamianis-uflebata-datsvis-strategiebisa-dasamokmedo-gegmebis-shesrulebis-monitoringis-angarishi>.

———. “რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს საქმიანობის კრიტიკული ანალიზი [Critical Analysis of the State Agency for Religious Issues].” Tbilisi: Human Rights Education and Monitoring Center, October 14, 2020. <https://socialjustice.org.ge/ka/products/religiis-sakitkhta-sakhelmtsifo-saagentos-sakmianobis-kritikuli-analizi-1>.

Ilia II. საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ილია II. ეპისტოლენი, სიტყვანი, ქადაგებანი [Catholicos Patriarch of Georgia Ilia II: Epistles, Orations, Sermons]. Vol. 2. Tbilisi, 1997.

———. “საშობაო ეპისტოლე [Nativity Epistle],” 1994. <https://www.orthodoxy.ge/patriarqi/epistoleebi/sashobao1994.htm..>

———. “შევარდნაძე არ გადადგება [Shevardnadze Will Not Resign],” 1994. <https://www.youtube.com/watch?v=ddFfWhMRNtk>.

Interpressnews. “ბიძინა ივანიშვილი - აჭარაში მეჩეთის მშენებლობის თემა პოლიტიზირებული ხელოვნურად გახდა [Bidzina Ivanishvili - the Issue of Mosque Construction in Adjara Has Become Politicized Artificially],” March

14, 2013. <https://www.interpressnews.ge/ka/article/232769-bizina-ivanishvili-acharashi-mechetis-msheneblobis-tema-politizirebuli-xelovnurad-gaxda/>.

———. “საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის განცხადება [Statement of the Catholicos-Patriarch of Georgia],” May 10, 2011. <https://www.interpressnews.ge/ka/article/180862-sakartvelos-katolikos-patriarkis-gancxadeba>.

Japaridze, Anania. “საეკლესიო კრებები 1918-1995 წლებში [Church Councils: 1918 – 1995].” meufeanania.info, April 6, 2017. <http://meufeanania.info/saeklesioni/>.

Kartvelishvili, Mikheil. “ეროვნული ხელისუფლების რელიგიური პოლიტიკა [Religious Policy of the National Government].” In ზვიად გამსახურდია: პოლიტიკა, მეცნიერება, ლიტერატურა [Zviad Gamsakhurdia: Politics, Science, Literature]. Tbilisi: Artanuji, 2020.

Kevanishvili, Eka. “იცი რატომ მომკლეს? - ვიტალი საფაროვი [Do You Know Why They Murdered Me? - Vitaly Safarov].” Radio Liberty, October 15, 2019. <https://www.radiotavisupleba.ge/a/30217488.html>.

———. “თბილისში ”სახალხო-მართლმადიდებლური მოძრაობა“ ფუძნდება [the ‘People’s Orthodox Movement’ Is Founded in Tbilisi].” Radio Liberty, March 25, 2010. <https://www.radiotavisupleba.ge/a/1993772.html>.

Liberty Institute. “ადამიანის უფლებების მიმოხილვა. 2002 წლის ანგარიში [Human Rights Review. 2002 Report].” Tbilisi: Liberty Institute, 2003. <https://liberty.ge/en/books/29>.

———. “ადამიანის უფლებების მიმოხილვა. იანვარი-მარტი 2002 [Review of Human Rights. January-March 2002].” Tbilisi: Liberty Institute, 2002. <https://liberty.ge/books/24>.

———. “აღმსარებლობის თავისუფლება საქართველოში [Freedom of Religion in Georgia].” Tbilisi: Liberty Institute, 2002. <https://liberty.ge/en/books/9>.

Metreveli, Archil. რელიგიისა და რწმენის თავისუფლება, წიგნი II: კოლექტიური და ინსტიტუციური ასპექტები [Freedom of Religion and Belief, Book II: Collective and Institutional Aspects]. Tbilisi: University of Georgia, 2022.

Mikeladze, Tamta, Mariam Begadze, Eto Gvritishvili, Ketii Chutlashvili, Nino Sukhishvili, and Ketii Sartania. “Freedom of Religion – Critique of Discriminatory and Nonsecular State Policy.” Tbilisi: Human Rights Education and Monitoring Center, 2016. <https://socialjustice.org.ge/uploads/products/pdf/Freedom-of-Religion.pdf>.

Mindiashvili, Beka. “რელიგიური განათლების პერსპექტივა სახელმწიფო სკოლებში [the Prospects of Religious Education in Public Schools].” 24 Saati, 2004.

Ministry of Internal Affairs of Georgia, Prosecutor’s Office of Georgia, and Supreme Court of Georgia. “დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკის ერთიანი ანგარიში [Complete Report on Statistics on Crimes of Intolerance Based on Discrimination].” Tbilisi:

National Statistics Office of Georgia, 2020. https://www.geostat.ge/media/36779/diskriminaciis-nishnit_2020_IV.pdf.

Nanuashvili, Ucha. “სახალხო დამცველის განცხადება რელიგიური გაერთიანებების დაფინანსებასთან დაკავშირებით [Statement of the Public Defender Regarding the Financing of Religious Organizations].” Tolerantoba.ge. January 28, 2014. http://tolerantoba.ge/index.php?news_id=534.

National Statistics Office of Georgia. “ურთიერთთანამაშრომლობის ოთხმხრივი მემორანდუმი [Quadrilateral Memorandum of Cooperation],” September 23, 2020. <https://www.geostat.ge/index.php/ka/single-news/1941/urtierttanamashromlobis-otkhmkhrivi-memorandumi>.

Papuashvili, Nugzar. “რელიგიური სწავლების via Dolorosa საქართველოში [the via Dolorosa of Teaching Religion in Georgia].” Tavisupleba #9 (33) (2004).

Parliamentary Assembly of the Council of Europe. “Recommendation 1805 (2007) Blasphemy, Religious Insults and Hate Speech against Persons on Grounds of Their Religion,” 2007. <https://cutt.ly/K5vsvHf>.

Prosecutor General of Georgia. “რელიგიური შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დისკრიმინაციული დანაშაულები 2018-2020 [Discriminatory Crimes Committed on Grounds of Religious Intolerance (2018-2020)].” Tbilisi: Prosecutor General of Georgia, 2020. <https://pog.gov.ge/uploads/886a091c-religiis-nishniT-diskriminaciis-motivi.pdf>.

Prosecutor’s Office of Georgia. “გენერალური პროკურორის ანგარიში 2020 [Report of the Prosecutor General 2020].” Tbilisi: Prosecutor’s Office of Georgia, 2021. <https://pog.gov.ge/uploads/c7c23efb-generaluri-prokuraturis-saqmianobis-angarishi-2020-compressed.pdf>.

Public Defender of Georgia. “ტოლერანტობა საქართველოში – მიღწევები და გამომწვევები [Tolerance in Georgia - Achievements and Challenges].” November 16, 2009. http://tolerantoba.ge/index.php?id=1281619822&sub_id=1321954386.

———. “ადამიანის უფლებათა მდგომარეობა საქართველოში - 2005წ. / 1 ნახევარი [Report of the Public Defender of Georgia on Defence of Human Rights and Liberties in Georgia - First Half of 2005].” Tbilisi: Public Defender of Georgia, 2005. <https://www.ombudsman.ge/res/docs/2019040411373649624.pdf>.

———. “ადამიანის უფლებათა მდგომარეობა საქართველოში - 2005წ. / 2 ნახევარი [Human Rights and Liberties in Georgia - Second Half of 2005].” Tbilisi: Public Defender of Georgia, 2005. <https://www.ombudsman.ge/res/docs/2019040411373732914.pdf>.

———. “ადამიანის უფლებათა მდგომარეობა საქართველოში - 2007წ. / 1 ნახევარი [Human Rights in Georgia - First Half of 2007].” Tbilisi: Public Defender of Georgia, 2007. <https://www.ombudsman.ge/res/docs/2019040411373659470.pdf>.

———. “ადამიანის უფლებათა მდგომარეობა საქართველოში - 2007წ. / 2 ნახევარი [Human Rights in Georgia - Secod Half of 2007].” Tbilisi: Public Defender

of Georgia, 2007. <https://www.ombudsman.ge/res/docs/2019040411373628524.pdf>.

———. “ადამიანის უფლებათა მდგომარეობა საქართველოში - 2008წ. / 2 ნახევარი [the Situation in Human Rights and Freedoms in Georgia – Second Half of 2008].” Tbilisi: Public Defender of Georgia, 2008. <https://www.ombudsman.ge/res/docs/2019040411373628768.pdf>.

———. “ადამიანის უფლებათა მდგომარეობა საქართველოში - 2009წ. / 1 ნახევარი [the Situation in Human Rights and Freedoms in Georgia – First Half of 2009].” Tbilisi: Public Defender of Georgia, 2009. <https://www.ombudsman.ge/res/docs/2019040411373657799.pdf>.

———. “ადამიანის უფლებათა მდგომარეობა საქართველოში - 2010წ [the Situation in Human Rights and Freedoms in Georgia – 2010].” Tbilisi: Public Defender of Georgia, 2010. <https://www.ombudsman.ge/res/docs/2019040411373770553.pdf>.

———. “ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2011 წელი [the Situation in Human Rights and Freedoms in Georgia – 2011].” Tbilisi: Public Defender of Georgia, 2011. <https://drive.google.com/file/d/1BIXIPKQaeHyML-yfUQbxxRg3lOh07NJA/view>.

———. “ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2012 წელი [the Situation in Human Rights and Freedoms in Georgia – 2012].” Tbilisi: Public Defender of Georgia, 2012. https://drive.google.com/file/d/1HZ3-Aqw16A1_vGouD7apUmMR6MImiHIP/view.

———. “Public Defender’s Statement on Events Developed in Buknari Village of Chokhatauri Municipality,” January 13, 2021. <https://www.ombudsman.ge/eng/akhali-ambebi/sakhalkho-damtsvelis-gantskhadeba-chokhatauris-munitsipalitetis-sofel-buknarshi-ganvitarebul-movlenebtan-dakavshirebit>.

———. “Report on Conditions of Human Rights in Georgia in 2004.” Tbilisi: Public Defender of Georgia, 2004. <https://www.ombudsman.ge/res/docs/2019062409162470858.pdf>.

———. “საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ - 2000 წ. [Report of the Public Defender of Georgia on Defence of Human Rights and Liberties in Georgia - 2000].” Tbilisi: Public Defender of Georgia, 2000. <https://www.ombudsman.ge/res/docs/2019072916215560300.PDF>.

———. “საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ - 2001 წლის მეორე ნახევარი [Report of the Public Defender of Georgia - Second Half of 2001].” Tbilisi: Public Defender of Georgia, 2001. <https://www.ombudsman.ge/res/docs/2019072916230381070.PDF>.

———. “საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ - 2001 წლის პირველი ნახევარი [Report of the Public Defender of Georgia - First Half of 2001].” Tbilisi: Public Defender of Georgia, 2001. <https://www.ombudsman.ge/res/docs/2019072916223333497.PDF>.

———. “საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ - 2002 წლის მეორე ნახევარი [the Situation of Protection of Human Rights and Freedoms in Georgia - Second Half of 2002].” Tbilisi: Public Defender of Georgia, 2002. <https://www.ombudsman.ge/res/docs/2019072916241698560.PDF>.

———. “საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ - 2002 წლის პირველი ნახევარი [the Situation of Protection of Human Rights and Freedoms in Georgia - First Half of 2002].” Tbilisi: Public Defender of Georgia, 2002. <https://www.ombudsman.ge/res/docs/2019072916234077675.PDF>.

———. “სპეციალური ანგარიში დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ [Special Report on the Fight against Discrimination, Its Prevention, and the Situation of Equality].” Tbilisi: Public Defender of Georgia, 2019.

———. “Special Report on the Fight against Discrimination, Its Prevention, and the Situation of Equality.” Tbilisi: Public Defender of Georgia, 2019. <https://www.ombudsman.ge/res/docs/2019042317142950340.pdf>.

———. “The Situation in Human Rights and Freedoms in Georgia – 2013.” Tbilisi: Public Defender of Georgia, 2013. <https://www.ombudsman.ge/res/docs/2019062409162473497.pdf>.

———. “The Situation in Human Rights and Freedoms in Georgia – Second Half of 2009.” Tbilisi: Public Defender of Georgia, 2009. <https://www.ombudsman.ge/res/docs/2019062409162486316.pdf>.

———. “The Situation in Human Rights and Freedoms in Georgia 2017.” Tbilisi: Public Defender of Georgia, 2017. <https://www.ombudsman.ge/res/docs/2019062409381039906.pdf>.

———. “The Situation in Human Rights and Freedoms in Georgia 2018.” Tbilisi: Public Defender of Georgia, 2018. <https://www.ombudsman.ge/res/docs/2019101108583612469.pdf>.

———. “The Situation in Human Rights and Freedoms in Georgia 2019.” Tbilisi: Public Defender of Georgia, 2019. <https://www.ombudsman.ge/res/docs/2020070407523954521.pdf>.

———. “The Situation in Human Rights and Freedoms in Georgia 2020.” Tbilisi: Public Defender of Georgia, 2020. <https://www.ombudsman.ge/res/docs/2021070814020446986.pdf>.

———. “The Situation in Human Rights and Freedoms in Georgia 2021.” Tbilisi: Public Defender of Georgia, 2021. <https://www.ombudsman.ge/res/docs/2022070612391254904.pdf>.

———. “Statement by Public Defender’s Council of Religions: We Condemn Violence, Do Not Welcome the Initiative Relating to the Law on Insulting Religious Feelings,” July 10, 2021. <https://www.ombudsman.ge/eng/akhali-ambebi/sakhalkho-datsveltan-arsebuli-religiata-sabchos-gantskhadeba-vgmobt->

[dzaladobas-ar-mivesalmebit-religiuri-grdznobebis-sheuratskhqofis-shesakheb-kanonis-initsiativias.](#)

———. “რელიგიათა საბჭოს წევრი გაერთიანებების მიმართ ვასაქართველოს პარლამენტს [Address of the Council of Religions under the Public Defender to the Parliament of Georgia],” August 2, 2017. <https://ombudsman.ge/geo/akhali-ambebi/religiata-sabchos-wevri-gaertianebebis-mimartva-saqartvelos-parlaments>.

Radio Liberty. “ვინ დაარბია თავისუფლების ინსტიტუტი [Who Raided the Liberty Institute],” July 18, 2002. <https://www.radiotavisupleba.ge/a/1522150.html>.

Putkaradze, Taniel. “1991 წლის აპრილ-მაისში აჭარაში განვითარებული მოვლენები [Events Developed in Adjara in April-May of 1991].” In ზვიად გამსახურდია: პოლიტიკა, მეცნიერება, ლიტერატურა [Zviad Gamsakhurdia. Politics, Science, Literature]. Tbilisi: Artanuji, 2020.

Rekhviashvili, Jimsher. “დაპირისპირება თბილისის სასულიერო აკადემიაში [Confrontation at Tbilisi Theological Academy].” Radio Liberty, November 12, 2004. <https://www.radiotavisupleba.ge/a/1538189.html>.

Public Defender of Georgia. “Religious Associations of Public Defender’s Council of Religions and Tolerance Center Express Protest against Released Secret Materials,” September 19, 2021. <https://www.ombudsman.ge/eng/akhali-ambebi/sakhalkho-damtsveltan-arsebuli-tolerantobis-tsentrisa-da-religiata-sabchos-tsevri-religiuri-gaertianebebis-protesti-gavrtselebuli-saidumlo-masalebis-tsinaaghmdeg>.

Robakidze, Nino. “მთავრობა ეკლესიის სამსახურში [the Government in the Service of the Church].” Liberali, June 2009. https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/8556/1/Liberali_2009_N2.pdf.

Sarajishvili, Nikoloz. “მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო” და 1990 წლის 28 ოქტომბრის უზენაესი საბჭოს არჩევნები [Round Table - Free Georgia and the Elections of the Supreme Council of October 28, 1990].” In ზვიად გამსახურდია: პოლიტიკა, მეცნიერება, ლიტერატურა [Zviad Gamsakhurdia: Politics, Science, Literature]. Tbilisi: Artanuji, 2020.

Sulkhanishvili, Irina. “განათლების მართლმადიდებლური სინდრომი საქართველოში [Orthodox Syndrome of Education in Georgia].” In Идентичность, власть и город в работах молодых учёных Южного Кавказа [Identity, Power and the City in the Works of Young Social Scientists in the South Caucasus]. Tbilisi: Heinrich Böll Foundation, 2005.

Tabatadze, Shalva. “რელიგიის სწავლება საჯარო სკოლებში [Teaching Religion in Public Schools].” Tbilisi: Tolerance and Diversity Institute. Accessed September 10, 2022. <http://tdi.ge/ge/page/religiis-scvleba-sajaro-skolebshi>.

Tabula. “რელიგიათა საბჭო: რელიგიურ ორგანიზაციებზე კანონის შემუშავება დღის წესრიგში არ უნდა დადგეს [Council of Religions: The Development of the Law on Religious Organizations Should Not Be on the

Agenda],” February 1, 2019. <https://tabula.ge/ge/news/619285-religiata-sabcho-religiur-organizatsiebbe-kanonis>.

———. “ღარიბაშვილი 5 ივლისზე: 30 კაცი როგორ უნდა დაიცვას სახელმწიფომ, უმრავლესობას გადაუაროს? [Gharibashvili on July 5: How Is the State Supposed to Protect 30 People, Should It Trample down the Interests of the Majority?],” September 17, 2021. <https://tabula.ge/ge/news/673168-gharibashvili-5-ivlisze-30-katsi-rogor-unda>.

Tolerance and Diversity Institute. “Antisemitism of the Church - Updated Summary,” February 9, 2021. <http://tdi.ge/ge/statement/saeklesio-antisemitizmi-ganaxlebad-inpormacia>.

———. “TDI’s Assessment on Restriction of Freedom of Religion in the Constitution of Georgia,” July 6, 2017. <https://tdi.ge/en/statement/tdis-assessment-restriction-freedom-religion-constitution-georgia>.

———. “The Human Rights Organizations Respond to the Government’s Decision on the Abolition of the State Agency for Religious Issues,” July 4, 2018. <https://tdi.ge/en/statement/human-rights-organizations-respond-governments-decision-abolition-state-agency-religious>.

———. “Statement on Limitation of Freedom of Religion in the Constitution,” September 24, 2017. <https://tdi.ge/ge/statement/gancxadeba-konstituciashi-religiis-tavisuplebis-shezgudvastan-dakavshirebit>.

———. “რელიგიური გაერთიანებების განცხადება ვიცე-პრემიერ მაია ცქიტიშვილის პოზიციასთან დაკავშირებით [Statement of Religious Organizations Regarding the Position of Vice Prime Minister Maya Tskitishvili],” December 1, 2020. <https://www.tdi.ge/ge/statement/religiuri-gaertianebebis-gancxadeba-vice-premier-maia-ckitishvilis-poziciastan>.

Tsereteli, Koka. “საქართველოს ეკლესიის არუაცხელი ქონება და უკიდევანო გავლენა [the Immense Wealth and Boundless Influence of the Church of Georgia].” NATION, February 9, 2020. https://nation.ge/index.php?m=5&news_id=11.

Tsuladze, Zaza. “მცირე მთავრობა“: ქართული ოცნების ‘ქამრების შემოჭერის’ „მეორე ტალღა“ [‘the Small Government’: The ‘Second Wave’ of ‘Tightening the Belt’ of the Georgian Dream].” Voice of America, June 26, 2018. <https://www.amerikiskhma.com/a/georgia-new-pm-mamuka-bakhtadzes-small-government/4455610.html>.

U.S. Department of State. “2018 Report on International Religious Freedom: Georgia.” Washington DC: U.S. Department of State, 2018. <https://www.state.gov/reports/2018-report-on-international-religious-freedom/georgia/>.

———. “2019 Report on International Religious Freedom: Georgia.” Washington DC: U.S. Department of State, 2019. <https://www.state.gov/reports/2018-report-on-international-religious-freedom/georgia/>.

———. “Annual Report on International Religious Freedom for 1999: Georgia.” Washington DC: U.S. Department of State, September 9, 1999. <https://1997-2001>.

state.gov/global/human_rights/irf/irf_rpt/1999/irf_georgia99.html?fbclid=IwAR1FPkvwQZb0pWgvEEwM65qkl5LjdwtpedQu6whNJo31to2-72m0WWMuakWc.

———. “International Religious Freedom Report 2003.” Washington DC: U.S. Department of State, 2003. <https://2009-2017.state.gov/j/drl/rls/irf/2003/24358.htm>.

———. “International Religious Freedom Report 2004.” Washington DC: U.S. Department of State, 2004. <https://2009-2017.state.gov/j/drl/rls/irf/2004/35455.htm>.

———. “International Religious Freedom Report 2005.” Washington DC: U.S. Department of State, 2005. <https://2009-2017.state.gov/j/drl/rls/irf/2005/51553.htm>.

———. “International Religious Freedom Report 2009.” Washington DC: U.S. Department of State, 2009. <https://2009-2017.state.gov/j/drl/rls/irf/2009/127311.htm>.

———. “International Religious Freedom Report 2010.” Washington DC: U.S. Department of State, 2010. <https://2009-2017.state.gov/j/drl/rls/irf/2010/148936.htm>.


U.S. Embassy Moscow. “1991 USSR Country Report on Human Rights.” IDFI, March 27, 2017. https://idfi.ge/ge/human_rights_in_georgia_in_1991.

UN General Assembly. Resolution 36/55, Declaration on the Elimination of All Forms of Intolerance and of Discrimination Based on Religion or Belief (1981). <https://www.ohchr.org/en/instruments-mechanisms/instruments/declaration-elimination-all-forms-intolerance-and-discrimination>.

United Nations (Human Rights Committee). “General Comment No. 34,” 2011. <https://www2.ohchr.org/english/bodies/hrc/docs/GC34.pdf>.

Zviadadze, Sophie, Nargiza Arjevanidze, Ruslan Baramidze, Teona Piranishvili, Mariam Begadze, and Konstantine Chachibaia. “რელიგია, პოლიტიკა და სოციალური კონტექსტები - კვლევების, ანგარიშებისა და სტატიების კრებული [Religion, Politics, and Social Contexts - Collection of Studies, Reports, and Articles].” Tbilisi: Human Rights Education and Monitoring Center, 2020. <https://cutt.ly/DcrZh9L>.





რელიგიის თავისუფლება
საქართველოში

30 წელი

პუბლიკაცია მომზადდა საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრის მიერ, USAID-ის ერთიანობა მრავალფეროვნებაშია პროგრამის ფარგლებში, რომელიც ხორციელდება საქართველოს გაეროს ასოციაციის მიერ, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით. პუბლიკაციაში მოცემული შეხედულებები და მოსაზრებები ეკუთვნის მის ავტორებს და არ უნდა აღიქმებოდეს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა და საქართველოს გაეროს ასოციაციის პოზიციად.



USAID
ამერიკელი ხალხისგან



unag
საერთაშორისო გაეროს ასოციაცია

მთავარი რედაქტორი:

ბეჟა მინდიაშვილი

სამეცნიერო რედაქტორი:

ლუკა ქილიფთარი

ავტორები:

ბეჟა მინდიაშვილი

თათული თოდუა

მარიამ ღავთაძე

კორექტორი:

ნინო აბესაძე

დიზაინი/დაკაბადონება:

გიორგი ქინქლაძე

სარჩევი

რელიგიის თავისუფლება საქართველოში - 30 წელი	4
პოლიტიკა და რელიგიის თავისუფლება	6
1990 - 1992	6
1992 - 2003	10
2003 - 2012	16
2012 - 2022	23
რელიგიის თავისუფლებასთან დაკავშირებული რეფორმები და კანონმდებლობის მიმოხილვა	35
რელიგიის თავისუფლების კონსტიტუციური მოწესრიგება.....	35
კონსტიტუციური შეთანხმების გავლენა რელიგიის თავისუფლებაზე	37
რელიგიური ორგანიზაციების რეგისტრაციის საკითხი	38
რელიგიური ორგანიზაციების ქონებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ჩარჩოს მიმოხილვა	39
ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობა და თანასწორობა.....	42
რელიგიური დღესასწაულები და უქმე დღეები	43
სამხედრო სამსახური და რელიგიის თავისუფლება.....	44
რელიგიის თავისუფლება პენიტენციურ დაწესებულებებში.....	45
სისხლის სამართალი, ადმინისტრაციული სამართალდარღვევები და რელიგიის თავისუფლება	46
რელიგიის თავისუფლებასთან დაკავშირებული ბოლო პერიოდის საკანონმდებლო ინიციატივები.....	47
სახელმწიფოს რეაგირება რელიგიური შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე	50
რელიგიური სიძულვილით ჩადენილ დანაშაულებზე რეაგირება დამოუკიდებლობის პირველ წლებში („ვარდების რევოლუციამდე“).....	50
რელიგიური სიძულვილით ჩადენილ დანაშაულებზე რეაგირება „ვარდების რევოლუციიდან“ 2012 წლამდე	55
რელიგიური სიძულვილით ჩადენილ დანაშაულებზე რეაგირება 2012 წლიდან დღემდე.....	58
რელიგიური გაერთიანებების საკუთრება და ქონება	63
რესტიტუციის გადაუჭრელი საკითხი	64
სამართლებრივი დავა ისტორიული ქონებისთვის	68
წინააღმდეგობები ახალი რელიგიური ნაგებობების მშენებლობისას	72
რელიგიის გავლენა საჯარო განათლებაზე	78
1990-2005 წლები - რელიგიური ფუნდამენტალიზმის ზრდა სკოლებში	78
2005 წლის განათლების რეფორმა - სკოლებში რელიგიური ნეიტრალობის დაცვის მცდელობა	82
უნდა ისწავლებოდეს თუ არა სკოლებში რელიგია?.....	86
სასკოლო სახელმძღვანელოების შინაარსი	87
ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები რელიგიის თავისუფლების საქმეებზე	89
გამოყენებული ლიტერატურა	93

რელიგიის თავისუფლება საქართველოში - 30 წელი

სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრის საქმიანობა, დაარსების დღიდან, რელიგიის თავისუფლების დაცვასთანაა დაკავშირებული. იგი აკვირდება, სწავლობს, აანალიზებს საქართველოში რელიგიის თავისუფლების სამართლებრივ სისტემასა და პოლიტიკურ კონტექსტს, მექანიზმებს, რომლებიც უზრუნველყოფს და აუმჯობესებს რელიგიის თავისუფლების დაცვის შესაძლებლობებს.

ტოლერანტობის ცენტრი, სახალხო დამცველთან არსებულ რელიგიათა საბჭოსთან ერთად, არაერთი სამართლებრივი რეფორმის ინიციატორი და თანამონაწილეა. რელიგიათა საბჭოსა და ტოლერანტობის ცენტრის ერთობლივი ძალისხმევით შედეგად განხორციელდა მთელი რიგი ცვლილებები, რომლებმაც რელიგიური ტოლერანტობის კულტურისა და რელიგიის თავისუფლების დაცვის მხრივ არსებულ მდგომარეობაზე დადებითი ზეგავლენა იქონია.

ამ მრავალწლიანი გამოცდილებიდან გამომდინარე, საჭიროდ მივიჩნით, ტოლერანტობის ცენტრის პრაქტიკული, სამართლებრივი და თეორიული ცოდნის თავმოყრა და ერთიან ანგარიშად ქცევა. გარდა იმ წლებისა, რომლებშიც რელიგიის თავისუფლების დაცვის საქმეში, უშუალოდ ტოლერანტობის ცენტრი და რელიგიათა საბჭო იყვნენ ჩართული (2005 წლიდან დღემდე), ამ კუთხით, დროითი ჩარჩოს გაფართოება და უფრო მასშტაბური სურათის ჩვენებაც ჩავთვალეთ საჭიროდ. ამდენად, კვლევა „რელიგიის თავისუფლება საქართველოში - 30 წელი“ მოიცავს რელიგიის თავისუფლებისა და რელიგიური მრავალფეროვნების, ასევე, შეუწყნარებლობის დინამიკას საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ფაქტობრივად, დღემდე - ერთი სიტყვით, ოცდაათწლიან უწყვეტ პერსპექტივას წარმოაჩენს.

რელიგიის თავისუფლებაზე მსჯელობა, ალბათ, იმის აღიარებით და გათვალისწინებით უნდა დავიწყოთ, რომ არსებობს აუცილებელი წინაპირობები, ურომლისოდ რელიგიის თავისუფლების დაცვა შეუძლებელია, რომელთა საფუძველზე სახელმწიფო უზრუნველყოფს ამ ფუნდამენტური ღირებულების დასაცავად მინიმალური სტანდარტის არსებობას. რომელია ეს წინაპირობები? რელიგიის თავისუფლების ცნობილი თეორეტიკოსი, კოულ დარემი მიიჩნევს, რომ ასეთი ოთხია:

- რელიგიური პლურალიზმი, ანუ საზოგადოება რელიგიურად მრავალფეროვანი უნდა იყოს;
- ეკონომიკური სტაბილურობა, რომელიც ყველა ტიპის სოციალური კონფლიქტისგან დამცავი ერთ-ერთი მთავარი ფარია;
- მინიმალური ტოლერანტობა - უნდა არსებობდეს სხვადასხვა რელიგიური გაერთიანების სურვილი, იცხოვრონ ტოლერანტულ გარემოში და რელიგიებს შორის ურთიერთდამოკიდებულება შემწყნარებლობის პრინციპებს ითვალისწინებდეს;
- პოლიტიკური ლეგიტიმურობა, ანუ პოლიტიკური სისტემა იმდენად მყარი უნდა იყოს, რომ უმრავლესობის რელიგიის მხრიდან დამატებით ლეგიტიმაციას არ საჭიროებდეს, ან პირიქით, პოლიტიკურ საფრთხეს რელიგიაში არ ხედავდეს.

შეიძლება ითქვას, რომ ტოლერანტობის ცენტრის მიერ შემუშავებული ანგარიში, პოლიტიკური და სამართლებრივი მონაცემების შეგროვებისა და დამუშავების მეთოდოლოგია, უმეტესწილად ამ საყრდენ „აუცილებლობებს“ ითვალისწინებს

(თუ არ ჩავთვლით ეკონომიკურ ფაქტორს) და მათთან მიმართებით წარმოაჩენს რელიგიის თავისუფლების მდგომარეობას სხვადასხვა მიმართულებით.

ანგარიშში მიმოხილული და გაანალიზებულია პოლიტიკისა და რელიგიის თავისუფლების რთული ურთიერთმიმართება დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე, ასევე წარმოდგენილია სამართლებრივი ხასიათის რეფორმები, რომლებიც რელიგიის თავისუფლების დაცვასთანაა დაკავშირებული, მიმოხილულია რელიგიური შეუწყნარებლობის ნიშნით ჩადენილ დანაშაულსა და ძალადობრივი ექსტრემიზმის გამონვევაზე სახელმწიფოს პასუხი და მოქმედების ხასიათი სხვადასხვა წლებში. ცალკე თავი ეთმობა რელიგიური გაერთიანებების საკუთრებას, როგორც ერთ-ერთ საკვანძო საკითხს საქართველოში სისტემური დისკრიმინაციის არსებობის კუთხით. ცალკეა მიმოხილული რელიგიის თავისუფლების დაცვის მხრივ არსებული მდგომარეობა ზოგადსაგანმანათლებლო სივრცეში. ანგარიშის ბოლოს წარმოდგენილია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადანყვეტილებები რელიგიის თავისუფლებასთან მიმართებით.

ანგარიშზე მუშაობდნენ ბექა მინდიაშვილი (პოლიტიკა და რელიგიის თავისუფლება), თათული თოდუა (სამართლებრივი რეფორმები და კანონმდებლობა, სახელმწიფოს რეაგირება რელიგიური შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულზე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადანყვეტილებები რელიგიის თავისუფლების საქმეებზე) და მარიამ ლავთაძე (რელიგიური გაერთიანებების საკუთრება და ქონება, რელიგიის გავლენა საჯარო განათლებაზე).

წინამდებარე ანგარიშის მიზანია, იმის ჩვენება, თუ რამდენად შეძლო დამოუკიდებელმა ქართულმა სახელმწიფომ და საზოგადოებამ, 30 წლის განმავლობაში, რელიგიის თავისუფლების, როგორც ლიბერალურ-დემოკრატიული სახელმწიფოს არსებობის ერთ-ერთი ქვაკუთხედის, გაცნობიერება და მისი სრულფასოვანი დაცვა, ხოლო უფრო ზოგადად, - იმის დემონსტრირება, თუ რამდენად მოვახერხეთ ყველამ ჩვენი, როგორც ხშირად გვიყვარს ამის გამეორება, ქართული ტოლერანტული ტრადიციის სრულფასოვანი აღდგენა და ამოქმედება თანამედროვეობაში.

პოლიტიკა და რელიგიის თავისუფლება

„პერესტროიკის“ დაწყების შედეგად, ათეისტურ საბჭოთა კავშირში დევნის, შევიწროების, ტოტალური კონტროლისა და გაუჩინარების შემდეგ, რელიგია დაბრუნდა საჯარო სივრცეში. აკრძალული თუ დევნილი რელიგიური ორგანიზაციები და მორწმუნეები ნებადართულები და აღიარებულნი გახდნენ. ტელეეკრანებზე გამოჩნდნენ მღვდლები და მქადაგებლები. დაიწყო რელიგიური და კონფესიური პრესის გამოცემა. სსრკ-ის ბოლო წლებში რელიგიური მრავალფეროვნება და რელიგიის თავისუფლება თითქოს ბუნებრივად, ძალდაუტანებლად დამკვიდრდა. თბილისის ქუჩებში შეხვდებოდით სხვადასხვა აღმსარებლობის მქადაგებლებს, რომლებიც გამვლელების საკუთარი მოძღვრებით დაინტერესებას ცდილობდნენ. კინოსა და თეატრის დარბაზები პროტესტანტი მქადაგებლებისა და „მაძიებელი“ ადამიანების შეკრების ადგილებად, ხოლო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის რამდენიმე მოქმედი ტაძარი – ეროვნული სულის გაღვიძების ეპიცენტრებად იქცა. ამ პერიოდში ასპარეზზე გამოსული და ეროვნული მოძრაობის პოპულარობამოხვეჭილი ლიდერები, ამავედროულად, რელიგიური ადამიანები იყვნენ. ისინი საჯარო გამოსვლებისას რელიგიური ენას იყენებდნენ და საკუთარ მისიას რელიგიური კონოტაციითაც ტვირთავდნენ. საქართველოში სასულიერო პირთა ხმა საყოველთაოდ ჯერ კიდევ არ ისმოდა, მათ ნაცვლად, სწორედ ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლები წარმოთქვამდნენ მგზნებარე ქადაგებებს. მათ მიერ ორგანიზებულ მიტინგებზე გამოჩნდა ხატები, ჯვრები, შეკრებები ლოცვის თანხლებით იწყებოდა და სრულდებოდა. რელიგიურობაში ეროვნულ ლიდერებს ქართული ნომენკლატურა და ინტელიგენციაც არ ჩამორჩებოდა. პარტიულ თუ საზოგადოებრივ შეხვედრებზე უკვე კათოლიკოს-პატრიარქს და სხვა სასულიერო პირებსაც იწვევდნენ. ნათელი იყო, რომ გამოღვიძებულ ქართული ნაციონალიზმსა და ზოგადად, მთელ პოლიტიკურ პროცესს თვალშისაცემი რელიგიური შეფერილობა ეძლეოდა, ხოლო კომუნისტური ათეიზმი ბოლო დღეებს ითვლიდა.

1990 - 1992

1990 წლის 28 სექტემბერს, საქართველოს საპატრიარქოში, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გივი გუმბარიძე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ მიიღო. საბჭოთა კავშირის არსებობის განმავლობაში ეს პირველი შემთხვევა იყო, საქართველოს სსრ ხელმძღვანელი პირი საქართველოს საპატრიარქოს რომ სტუმრობდა. მანამდე, 1990 წლის 22 აპრილს საქართველოს მინისტრთა საბჭომ გამოსცა შემდეგი დადგენილება: „რესპუბლიკის საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მოქალაქეთა გაერთიანებების, მორწმუნეთა ფართო საზოგადოებრიობის მოთხოვნების გათვალისწინებით და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოსთან შეთანხმებით, გაუქმდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიების საქმეთა აპარატი ყველა თავისი ფუნქციით. რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული ქართული მართლმადიდებელი ეკლესიისა და საქართველოს საპატრიარქოს ყველა საკულტო ნაგებობა და მათი უძრავ-მოძრავი ქონება გამოცხადდეს ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის საკუთრებად“¹ რელიგიის საქმეთა რწმუნებულის აპარატის გარეშე, ეკლესიისთვის მკაცრად იკრძალებოდა ხელისუფლებასთან რაიმე კონტაქტი, ახლა კი ვითარება ძირფესვიანად იცვლებოდა: აღნიშნული სტრუქტურის

1. (ს. ს. ს. ა. ახ.აღწ. 16420.1(#183)). დადგენილებას ხელს აწერენ: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან თავმჯდომარე, ნ. ჭითანავა და მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგილე, ა. პაიჭაძე.

გაუქმებით, ეკლესია მაკონტროლებელი ორგანოსგან თავისუფლდებოდა.² გარდა ამისა, დადგენილების თანახმად, ქვეყნის ტერიტორიაზე ყველა მართლმადიდებელი ეკლესია, საკულტო ნაგებობა და უძრავ-მოძრავი ქონება საპატრიარქოს საკუთრებად გამოცხადდა. თუმცა, ეს დადგენილება გავრცელდა ასევე ე. წ. სადავო ტაძრებზეც, რომელთა შორის კათოლიკე ეკლესიის ტაძრებიც მოიაზრებოდა, რადგან სახელმწიფომ ჯერ კიდევ 1989 წელს ისინი მართლმადიდებელ ეკლესიას გადასცა.³

1990 წელს 28 ოქტომბერს საქართველოში ჩატარდა პირველი დემოკრატიული არჩევნები. ხელისუფლების სათავეში მოვიდა „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო“. ამ გაერთიანებიდან, რომელსაც ზვიად გამსახურდია ხელმძღვანელობდა, პარლამენტის წევრი გახდა იმჟამად ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სასულიერო პირი, დეკანოზი არჩილ მინდიაშვილი. დეპუტატი მღვდლის გარეშე არც საქართველოს კომუნისტები დარჩენილან – როსტომ ლორთქიფანიძე, თბილისის წმ. სამების ტაძრის წინამძღვარი, კომუნისტური პარტიის სიით იყო უზენაეს საბჭოში წარმოდგენილი. ამასთანავე, ზვიად გამსახურდიამ ახალციხის პრეფექტად დანიშნა მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირი. 1990 წლის 14 ნოემბერს ახლადარჩეული საქართველოს უზენაესი საბჭოს პირველი სესია დალოცა საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა ილია მეორემ, მაგრამ სამღვდელოების ხელისუფლებაში ჩართვასა და პოლიტიკურ პროცესში აქტიურ მონაწილეობას საპატრიარქოში იმთავითვე არ მიესალმებოდნენ.⁴

ზვიად გამსახურდიამ⁵ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ მართლმადიდებელი ეკლესიის აქტიური მხარდაჭერა დაიწყო, რაც ეკლესიის მატერიალურ-ფინანსურ გაძლიერებაში, დახურული ტაძრებისა და მონასტრების გახსნაში გამოიხატებოდა.⁶

1991 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა. ზვიად გამსახურდია საპრეზიდენტო საარჩევნო პროგრამასა და საინაუგურაციო სიტყვაში პირდაპირ აცხადებდა, რომ სახელმწიფოებრიობა მართლმადიდებელ ეკლესიასთან მჭიდრო კავშირს უნდა დაჰფუძნებოდა: „ეროვნული ხელისუფლების ავტორიტეტი, მისი ძალაუფლება უნდა დაემყაროს არა მხოლოდ ხელისუფლების სოციალურ – პოლიტიკურ

2. ლაშა დეისაძე-შარვაშიძე, „საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია და თანამედროვე გამოწვევები (XX საუკუნის 80-იანი წლებიდან დღემდე)“ (სადოქტორო ნაშრომი, წმ. ანდრია ქართული უნივერსიტეტი, 2019), გვ. 160.

3. თავისუფლების ინსტიტუტი, „ადამიანის უფლებების მიმოხილვა. 2002 წლის ანგარიში“ (თბილისი: თავისუფლების ინსტიტუტი, 2003), გვ.90, <https://liberty.ge/books/29>.

4. 4. ზ. გამსახურდიას ხელისუფლების დამხობის შემდეგ კათოლიკოს-პატრიარქმა გამოსცა განჩინება, რომლითაც სასულიერო პირებს ეკრძალებოდათ ამა თუ იმ პარტიისადმი ღია მიმხრობა და პოლიტიკურ პარტიებში განევრიანება.

5. ზვიად გამსახურდია, როგორც რელიგიური დისიდენტი, 1960-იანი წლებიდან მამხილებელ წერილებს წერდა საპატრიარქოს საბჭოთა უშიშროებასთან თანამშრომლობასა და იქ გამეფებული არაჯანსაღი მორალური გარემოს შესახებ. 1977 წლის 1 აპრილს ზვიად გამსახურდიას დისიდენტური საქმიანობის დასაგმობად მოწვეულ მწერალთა კავშირის სხდომაზე იმხანად პოპულარული პოეტი იოსებ ნონეშვილი იტყვის: „ამ ამაღელვა პატრიარქის წერილმა, რომელიც „ლიტერატურულ საქართველოშია“... ეკლესიასაც უნდა ვერწმუნოთ და პროკურატურასაც, რომ მათ შეისწავლეს და გვწერენ... ეკლესია და პროკურატურა გვიმტკიცებს, და როგორც წესდებაშია, რომ მწერალთა კავშირის წევრი არ შეიძლება იყოს ის, ვინც არ დგას ჩვენს, საბჭოთა პოზიციაზე“ (რედ.).

6. კოკა წერეთელი, „საქართველოს ეკლესიის აურაცხელი ქონება და უკიდევანო გავლენა“, NATION, 9 თებერვალი, 2020. https://nation.ge/index.php?m=5&news_id=11.8. გამსახურდიას ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ საპატრიარქოს გადაეცა 22 ათასი ჰა მიწა, რამდენიმე საწარმო და საბჭოთა მეურნეობა.

განსაზღვრულობას, არამედ უმეტესწილად რელიგიურ ზნეობრივ სანყისებს,⁷ საამისოდ მართლმადიდებლობა უნდა გამოცხადებულიყო სახელმწიფო რელიგიად,⁷ თუმცა, მეორე მხრივ, ამას ხელი არ უნდა შეეშალა რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლების გარანტირებისთვის. გარდა ამისა, ზვიად გამსახურდია მუდმივად საუბრობდა მართლმადიდებლობის სწავლების აუცილებლობაზე, სკოლისა და ეკლესიის მჭიდრო კავშირსა და თანამშრომლობაზე ახალგაზრდებში ზნეობრივი ნორმების დასამკვიდრებლად.⁸ ამ პერიოდში, სასულიერო პირებმა ინტენსიურად დაიწყეს სკოლებში სიარული, ქადაგება და სკოლების ე.წ. კურთხევა. კომუნისტური იდეოლოგიის მიერ დატოვებული მემკვიდრეობის აღმოფხვრას ისახავდა მიზნად საქართველოს უზენაესი საბჭოს მიერ მიღებული დადგენილება „არსებული უქმე დღეების გაუქმებისა და ტრადიციულთა აღდგენის შესახებ“, რომლის მესამე პუნქტის მიხედვით, უქმედ გამოცხადდა მართლმადიდებელი ეკლესიის ექვსი დღესასწაული.⁹

საინტერესოა, რომ როგორც ხელისუფლებამ, ისე საპატრიარქომ ამ პერიოდში თითქოს სინქრონულად გადაწყვიტეს, გამოეხატათ ნეგატიური დამოკიდებულება არადომინანტური რელიგიური გაერთიანებებისადმი. 1991 წლის სვეტიცხოვლობის დღისადმი მიძღვნილ ტელემიმართვაში ზვიად გამსახურდიამ მწვავე პოზიცია გამოხატა პროტესტანტულ ჯგუფებთან მიმართებით და ისინი სექტებად მოიხსენია. როგორც ჩანს, ამ დღეს არის წარმოთქმული პატრიარქის ქადაგებაც, რომელიც საპატრიარქოში სამისიონერო განყოფილების შექმნას მიეძღვნა. ილია მეორე აცხადებდა, „ყოველი ადამიანი, რომელიც ხელს შეუწყობს საქართველოში სხვა აღმსარებლობების გავრცელებას, გამოცხადდება არამართო ეკლესიის, არამედ ქართველი ერის მტრად.“¹⁰ გარდა ამისა, დაიძაბა ურთიერთობა გამსახურდიას ხელისუფლებასა და აჭარის მუსლიმ მოსახლეობას შორის.¹¹ დაძაბულობა ერთი მხრივ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გაუქმების საკითხის წამოწვევამ განაპირობა; მეორე მხრივ, ადგილობრივი მუსლიმი მოსახლეობის უკმაყოფილებას ისლამისადმი ნეგატიურად განწყობილი მართლმადიდებელი სასულიერო პირების მხრიდან აჭარის გაქრისტიანებისკენ მონოდებები იწვევდა. აჭარაში, დაბა სხალთაში, მღვდლად გაამწესეს გოჩა სპირიდონ აბულაძე (ამჟამად მთავარეპისკოპოსი სპირიდონი), რომლის რადიკალურ პოზიციებს მძაფრი რეაქცია მოჰყვა მუსლიმი მოსახლეობის მიერ. ვითარება თბილისიდან აჭარაში მივლენილმა დელეგაციამ განმუხტა, მისმა ხელმძღვანელმა, უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ, აკაკი ასათიანმა, მრავალრიცხოვან აუდიტორიას არაბულად წაუკითხა ნაწყვეტები ყურანიდან, რითაც მუსლიმებისადმი ლოიალურობა დაადასტურა.

7. „სახელმწიფო და ეკლესია არ უნდა ერთდენ ურთიერთის საქმიანობაში, მათ ერთობლივად უნდა უზრუნველყონ საერო და საეკლესიო ცხოვრების მთლიანობა. ჩვენ მომხრენი ვართ არა სახელმწიფოსა და ეკლესიის, ეკლესიისა და სკოლის ურთიერთგამიჯნისა, არამედ მათი ბუნებრივი კავშირისა, რომელიც იმავდროულად პოლიტიკური სისტემისა და ეკლესიის ურთიერთდამოკიდებულებასაც დაემყარება.“ ზვიად გამსახურდია, „საინაუგურაციო სიტყვა“, თბილისი, 7 ივნისი, 1991 წელი, <https://www.youtube.com/watch?v=Rn1ja0DApDw>.
8. მიხეილ ქართველიშვილი, „ეროვნული ხელისუფლების რელიგიური პოლიტიკა“, კრებულში ზვიად გამსახურდია: პოლიტიკა, მეცნიეხება, დიგეხაგუხა (თბილისი: არტანუჯი, 2020), გვ. 227.
9. Ibid., 226.
10. „ყოველი, რომელიც მართლმადიდებლობას, ჩვენს ეკლესიას, სვეტიცხოველს უღალატებს, მოღალატე იქნება მშობელი ერისაც, ამიტომ ყოველი კაცი, რომელიც ხელს შეუწყობს ჩვენში სექტანტური მოძღვრებებისა და სხვადასხვა რელიგიის გავრცელებას, ქართველი ერის მტრად გამოცხადდება.“ ილია II, 13 ივლისი, 1991. კრებულში: საქაჩთველოს კათოლიკოს პატიჩაიქი ილია II. ეპისგოდენი, სიგყვანი, ქადაგებანი, წ. II. თბილისი, 1997, გვ. 314.
11. ტარიელ ფუტკარაძე, „1991 წლის აპრილ-მაისში აჭარაში განვითარებული მოვლენები“, კრებულში ზვიად გამსახურდია: პოლიტიკა, მეცნიეხება, დიგეხაგუხა (თბილისი: არტანუჯი, 2020), გვ. 204.

მიუხედავად ამისა, მთლიანობაში, როგორც ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება, ისე საპატრიარქო, ამ პერიოდში, მაინც დამთმენ პოლიტიკას ატარებდნენ, რამდენადაც რელიგიური გაერთიანებებისადმი შეუწყნარებელ რაიმე პოზიციას ქმედითი ნაბიჯი არ მოჰყოლია.¹² პირიქით, ზვიად გამსახურდიამ მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლებთან ერთად მიიღო სხვა აღმსარებლობათა სასულიერო პირებიც, ხოლო საპატრიარქო განაგრძობდა ეკუმენურ ორგანიზაციებსა და აქციებში მონაწილეობას. ამის გამო, მას შიდა საეკლესიო, ანტიეკუმენურად განწყობილი მართლმადიდებლური ჯგუფები უპირისპირდებოდნენ, რომლებიც, იმავდროულად ზვიად გამსახურდიას მომხრეებად მიიჩნევდნენ თავს.

1991 წელს ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის მეტად გამწვავებული ურთიერთობის კონტექსტში, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა რამდენჯერმე საჯაროდ გააკრიტიკა პრეზიდენტ გამსახურდიას მართვის სტილი. ის ხელისუფლებას დემოკრატიული პრინციპების დაცვის მნიშვნელობაზე უთითებდა.¹³ პატრიარქის მხრიდან საჯარო კრიტიკა უცხო იყო საპატრიარქოს გამოცდილებისთვის, რამდენადაც, მე-20 საუკუნის 30-იანი წლებიდან მოკიდებული, საქართველოს საპატრიარქოს პანეგირიკული პოზიციის გარდა საბჭოთა ხელისუფლებისადმი სხვა დამოკიდებულება არ გამოუხატავს. უნდა აღინიშნოს, რომ ოპოზიციასა და გამსახურდიას ხელისუფლებას შორის დაპირისპირებისას უშუალოდ კათალიკოს-პატრიარქმა იღია მეორემ, სცადა, მხარეებს შორის მედიატორის როლის შესრულება. ხელისუფლებისა და ოპოზიციის ჯგუფების პირველი შეხვედრები სწორედ საპატრიარქოში გაიმართა. ეს მანამდე მოხდა, სანამ ხელისუფლების შეიარაღებული დამხობა დაიწყებოდა.

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ გამსახურდიას მცირეხნიანი მმართველობის პერიოდში ეკლესია სრულფასოვნად დაბრუნდა საჯარო პოლიტიკურ ასპარეზზე და იდეოლოგიური აღიარება მიიღო. უშუალოდ ხელისუფლებისა და ეროვნული მოძრაობის საერთო მონდომებით მართლმადიდებლობა ჩამოყალიბდა „ქართველის“ იდენტობის განმსაზღვრელ მარკერად: რელიგიურ და პოლიტიკურ დონეზე დამკვიდრდა განწყობა, რომ ქართველი ნიშნავს, ან სასურველია (უნდა) ნიშნავდეს მართლმადიდებელს. ეროვნული იდენტობის ასეთი ექსკლუზიური დაპატრონება, ცხადია, რელიგიური განსხვავებებისადმი ნეგატიური გარემოს შექმნის წინაპირობად მოჩანდა. აგრეთვე ცხადი გახდა, რომ ეკლესიის საჯარო პოლიტიკური პოზიციონირება ზეპარტიული და ზეპოლიტიკური ხასიათისა იქნებოდა, მიუხედავად იმისა, რომ საპატრიარქოს ამ პერიოდშიც გამოარჩევდა პოლიტიკური მიკერძოება.

12. „საქართველოს, აზერბაიჯანის და სომხეთის მთავრობები აცხადებენ, რომ მტკიცედ იცავენ რელიგიის თავისუფლებას. საქართველოში მოქალაქეებს შეუძლიათ თავისუფლად ილოცონ, თუმცა ზოგიერთი უმცირესობა, მათ შორის ებრაელები, მიიჩნევენ, რომ დისკრიმინაციის მსხვერპლნი არიან დასაქმების და საცხოვრებლის ძიების დროს, მიუხედავად ადგილობრივი კანონებისა.“ U.S. Embassy Moscow, “1991 USSR Country Report on Human Rights,” IDFI, March 27, 2017, https://idfi.ge/ge/human_rights_in_georgia_in_1991.

13. გიორგი გვახარია, „დაპირისპირება ქართულ საზოგადოებაში“ (რადიო თავისუფლება, 14 ივნისი, 2013), <https://www.radiotavisupleba.ge/a/red-zone-confrontation/25017433.html>; „პიროვნულად ზვიად გამსახურდიას შეეხო საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი იღია მეორე, რომელმაც განაცხადა: „ჩვენ დღეს ვინცებთ ისტორიულ ეროვნულ კრებას და შევთხოვთ უფალს, რომ მოგვმადლოს მშვიდობა და კეთილდღეობა. ეშმა ყოფს ერს, ღმერთი კი აერთიანებს. არავის აქვს უფლება იფიქროს, რომ მხოლოდ მასშია ქვამარიტება, რომ მხოლოდ მას უყვარს სამშობლო.“ ნიკოლოზ სარაჯიშვილი, „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო“ და 1990 წლის 28 ოქტომბრის უზენაესი საბჭოს არჩევნები,“ კრებულში ზვიად გამსახურდია: პოლიტიკა, მეცნიერება, ლიტერატურა (თბილისი: არტანუჯი, 2020) გვ. 53.

1992 - 2003

ზვიად გამსახურდიას დამხობის შემდეგ, 1992 წელს საქართველოში დაბრუნებული ედუარდ შევარდნაძე აეროპორტიდან პირდაპირ სიონის საკათედრო ტაძრისკენ გაემართა პატრიარქთან შესახვედრად. პირველ ინტერვიუს მას ხატების ფონზე ჩამოართმევინ, კადრში დემონსტრაციულად ანთებს სანთლებს, ისახავს პირჯვარს და ყველაზე რთული ნაბიჯების გადადგმისას კათოლიკოს-პატრიარქის მხარდაჭერის იმედს გამოთქვამს. ცოტა ხანში ინათლება და ილია მეორე მას წმ. გიორგის სახელს დაარქმევს. პატრიარქი არაერთხელ შეადარებს შევარდნაძის საქმიანობას წმ. გიორგის მონაწილეს გზას.

სახელმწიფო გადატრიალებით მოსული შევარდნაძის ხელისუფლებისა და საპატრიარქოს მჭიდრო ურთიერთობას რამდენიმე ფაქტორი განაპირობებდა. მაგრამ მათ შორის მთავარი ის იყო, რომ ედუარდ შევარდნაძეს დამატებითი ლეგიტიმაციის წყარო სჭირდებოდა, დაახლოებით ისეთი, როგორც შუა საუკუნეებში – როცა მონარქის კორონაცია ეკლესიაში აღსრულდებოდა. ლეგიტიმაციის ფუნქციის მიღების მხრივ საკვანძო მნიშვნელობის მოვლენა იყო 1994 წელს ედუარდ შევარდნაძის გადადგომის შესახებ განაცხადი და ამ ნაბიჯზე ილია მეორის რეაქცია. მას შემდეგ, რაც შევარდნაძემ გადადგომის შესახებ გამოაცხადა, იმჟამინდელი პარლამენტის შენობის წინ ხალხი შეიკრიბა, რომელიც შევარდნაძისგან პარლამენტის თავმჯდომარისა და სახელმწიფო მეთაურის პოსტზე დარჩენას მოითხოვდა. ამ დროს ილია მეორემ თქვა, რომ იგი, როგორც მთელი საქართველოს სულიერი მამა, ედუარდ შევარდნაძეს აცხადებს საქართველოს მეთაურად. „ხმა ღვთისა, ხმა ერისა“ – იყო შევარდნაძის პასუხი.¹⁴ ამ სიტყვებით ეკლესიამ ხელისუფლების მალეგიტიმირებული ფუნქცია მოიპოვა და შევარდნაძის ძალაუფლებაც განამტკიცა.

1995 წელს მიღებული კონსტიტუციის მე-14 მუხლი უზრუნველყოფდა თანასწორუფლებიანობას კანონის წინაშე, მე-19 მუხლის პირველი პუნქტი იცავდა რელიგიის თავისუფლებას, მეორე პუნქტი კი კრძალავდა დევნას სიტყვის, აზრის, რწმენისა და რელიგიის საფუძველზე. მე-9 მუხლით აღიარებული იყო „საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებული როლი საქართველოს ისტორიაში და მისი დამოუკიდებლობა სახელმწიფოსგან,“ მაგრამ ლეგიტიმაციის ფუნქციამ საპატრიარქოს წინაშე ხელისუფლების გარკვეული ანგარიშვალდებულება წარმოქმნა; მეორე მხრივ, საპატრიარქოს შეუწყნარებელმა დამოკიდებულებამ განსხვავებული აღმსარებლობებისადმი, სახიფათო რეალობის წინაშე დააყენა რელიგიური უმცირესობები; 1995 წელს გამართულმა XIII საეკლესიო კრებამ წერილობით მიმართა საქართველოს პრეზიდენტს. წერილში ეკლესიის გაფართოებული კრება ხელისუფლებისგან ითხოვდა, რომ საქართველოში „სექტანტთა“ მოქმედება განესაზღვრა, როგორც ქართველი ერის წინააღმდეგ რელიგიური ექსპანსია და მიეღო გადამჭრელი ზომები მათი მოქმედების ასაკრძალავად.¹⁵ საპატრიარქოს დამოკიდებულება კონკრეტული კონფესიებისადმი ღიად იყო დეკლარირებული ჯერ კიდევ 1994 წელს, როდესაც კათოლიკოს-პატრიარქის საშობაო ეპისტოლეში აღმოჩნდა შემდეგი ფრაზები: „სარგებლობენ რა დღეს საქართველოში შექმნილი მძიმე პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობით, დემოკრატიის ლოზუნგს ამოფარებული მრავალი უცხო რელიგიის და პროტესტანტული სექტის წარმომადგენელი (იელოვლები, ბაპტისტები, კათოლიკეები, კრიშნას მიმდევარნი, ორმოცდაათიანელები, ე.წ. ხსნის

14. ილია II, „შევარდნაძე არ გადადგება,“ თბილისი, 1994, https://www.youtube.com/watch?v=ddFfWhMRNtk&ab_channel=alexandre.

15. ანანია ჯაფარიძე, „საეკლესიო კრებები 1918-1995 წლებში,“ Meufeanania.info, 6 აპრილი, 2017, <http://meufeanania.info/saeklesioni/>.

არმიის წარმომადგენლები და სხვანი) რელიგიური ექსპანსიის განხორციელებას ცდილობენ. ისინი ფულით, პროდუქტებით, ტანსაცმლით იპყრობენ ადამიანთა სულებს, ამცირებენ და შეურაცხყოფენ საქართველოს ეკლესიას, მის წმინდანებს, სასულიერო პირებს, ჩვენს ტრადიციებს. ასეთი სექტები თესენ ანტაგონიზმს და მუდღს ადამიანებს შორის, ეს ბოროტი ძალის მანქანებაა და მას კავშირი ღმერთთან არა აქვს.“¹⁶

1997 წლის 3 აგვისტოს პრეზიდენტის ბრძანებულებით, საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის სტრუქტურაში იქმნება რელიგიისა და ეროვნულ - სახელმწიფოებრივი განვითარების განყოფილება.¹⁷ ეკლესიის შიგნით კი იწყება წმინდა იმ სასულიერო პირებისა, რომლებიც სხვადასხვა მიზეზის გამო, საქართველოს საპატრიარქოს პოზიციას ეწინააღმდეგებიან. საქართველოს მონასტრებში მოღვაწე სასულიერო პირების ნაწილი, მოითხოვდა ეკლესიათა მსოფლიო საბჭოსა და ევროპის ეკლესიათა კონფერენციის წევრობაზე, ერთი სიტყვით, ეკუმენურ მოძრაობაში მონაწილეობაზე უარის თქმას. მათი აზრით, ეკუმენურ ორგანიზაციებში ყოფნა ერესს უტოლდებოდა და მომაკვდინებლად მოქმედებდა მართლმადიდებლობაზე. მათი მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში, ისინი განხეთქილებით იმუქრებოდნენ, თუმცა მას შემდეგ, რაც 1997 წელს საპატრიარქომ ეკუმენური ორგანიზაციები მართლაც დატოვა, მათ წამოაყენეს ახალი მოთხოვნა, რომელიც მსოფლიო მართლმადიდებელი ავტოკეფალიური ეკლესიების ოჯახიდან გამოსვლას გულისხმობდა. ეს ნაბიჯი ნიშნავდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სრულ იზოლაციას, რაზეც საპატრიარქო აღარ დათანხმდა.¹⁸ ხსენებული სასულიერო პირები ზარზმის მონასტერში დაბანაკდნენ და კათოლიკოს-პატრიარქთან და სინოდთან ევქარისტული კავშირი განწყვიტეს. სახელმწიფომ ამბოხებული ბერების წინააღმდეგ საპატრიარქოს სასარგებლოდ და მონასტრის საპატრიარქოსთვის დასაბრუნებლად საპოლიციო ძალა გამოიყენა. როგორც ერთ, ასევე მეორე შემთხვევაში ხელისუფლება აჩვენებდა, რომ იგი მზად იყო, საპატრიარქოს ინტერესების გასატარებლად ამ უკანასკნელს თავისი „ძალოვანი“ რესურსებით დახმარებოდა.

1997 წლიდან, ლეგიტიმაციის კუთხით განეული სამსახურის საპასუხოდ, შევარდნაძის ხელისუფლება რამდენიმე მიმართულებით იწყებს საპატრიარქოს ნება-სურვილის აღსრულებას: უზრუნველყოფს სხვადასხვა რელიგიური გაერთიანების აქტიურობის შეზღუდვასა და, ზოგ შემთხვევაში, შეჩერებას. დიდი ქალაქების ქუჩებში აღარ ჩნდებიან სხვა აღმსარებლობის მისიონერები და მქადაგებლები. ხელისუფლების „რელიგიური პოლიტიკის“ შედეგად რელიგიური უმცირესობებისთვის შიშისა და შეუწყნარებლობის ატმოსფერო ისადგურებს. ხელისუფლების მხარდაჭერით, ასპარეზზე გამოდის 1995 წელს გამსახურდიას მომხრეობისა და პატრიარქის კრიტიკის გამო სინოდის მიერ განკვეთილი დეკანოზი ბასილ მკალავიშვილი. იგი მართლმადიდებლობის სახელით განსხვავებული აღმსარებლობების წინააღმდეგ აქტიურ ძალადობრივ თავდასხმებს იწყებს. მისი ლოზუნგია „მართლმადიდებლობა ან სიკვდილი“. შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროები დაუფარავად თანამშრომლობენ რელიგიურ ექსტრემისტებთან ე.წ. სექტების გასანეიტრალებლად. მაგალითად, 2001 წელს უშიშროების მინისტრის მოადგილემ, ს. ნოზაძემ ასეთი რამ განაცხადა:

16. ილია II, „საშობაო ეპისტოლე“, 1993-1994, თბილისი, საქართველო, <https://www.orthodoxy.ge/patriarqi/epistoleebi/sashobao1994.htm>.

17. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება № 407, საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის სტრუქტურაში რელიგიისა და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი განვითარების განყოფილების შექმნის შესახებ (1997), <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1280843?publication=0>.

18. ლელა გიორგაძე, „საქართველოსა და რუსეთის საეკლესიო ურთიერთობები პოსტსაბჭოურ პერიოდში (1990-2004)“ (სადისერტაციო ნაშრომი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2014) 55-67.

„საჭიროა არატრადიციულ კონფესიათა დოგმატების ქართულ მენტალიტეტთან და ტრადიციებთან შესაბამისობაში მოყვანა“¹⁹ შეიძლება სხვა კომენტარების მოტანაც. სწორედ უშიშროების თანამშრომლები იძლევიან მითითებებს, თუ სად და რომელი ორგანიზაცია უნდა იყოს დარბეული და შევიწროებული მკალავიშვილის დაჯგუფების მიერ.²⁰

1997 - 2004 წლები შეიძლება შეფასდეს საქართველოში მასშტაბური რელიგიური დევნისა და ძალადობის ხანად: მართლმადიდებლური ექსტრემისტული ორგანიზაციები მუდმივად თავს ესხმოდნენ, არბევდნენ რელიგიურ უმცირესობათა შეკრებებს და მასობრივად ძალადობდნენ ადამიანებზე; რამდენჯერმე გადაწვეს ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესიის ტაძარი კახეთში, ასევე იეჰოვას მოწმეების შეკრების ადგილები, დაარბიეს არასამთავრობო ორგანიზაცია „თავისუფლების ინსტიტუტი“²¹, რომელიც აქტიურად იცავდა რელიგიის თავისუფლებას, წვავდნენ რელიგიურ ლიტერატურას, მათ შორის ახალი აღთქმის წიგნებს, რომლებიც პროტესტანტული შემოწირულებებით იყო გამოცემული. საპატრიარქოს პოზიცია დარბევებთან დაკავშირებით, როგორც წესი, შემდეგ ფორმულას ეყრდნობოდა: ისინი ემიჯნებიან ძალადობას, მაგრამ, ამავედროულად, ეწინააღმდეგებიან სექტებსა და ფსევდოლიბერალიზმს, რაშიც იმ დროს რელიგიის თავისუფლების აქტიური დაცვა იგულისხმებოდა. რელიგიური ძალადობის გამო მეგობარი სახელმწიფოების ლიდერებმა, პოლიტიკოსებმა და საერთაშორისო ორგანიზაციებმა საქართველოს ხელისუფლების სახელზე არაერთი საპროტესტო წერილი გამოგზავნეს. საერთაშორისო ზეწოლის შედეგად, 2002 წელს ხელისუფლებამ გადაწყვიტა, დაეწყო სამართლებრივი დევნა ბასილ მკალავიშვილისა და მისი დაჯგუფების წინააღმდეგ, თუმცა აღმოჩნდა, რომ ეს მხოლოდ ფორმალური რეაქცია იყო საერთაშორისო თანამეგობრობისადმი. დევნის დაწყება იმით დასრულდა, რომ ორი პოლიციელი, რომლებიც ბასილ მკალავიშვილს გამოსაკითხად ესტუმრნენ, მან და მისი ჯგუფის წევრებმა თავად დააკავეს, ჩამოართვეს იარაღი, მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა, წელზემთ გააშიშვლეს და მხოლოდ ორი დღის შემდეგ გაათავისუფლეს, ისე რომ ამის გამო პასუხი არავის უგია.²²

საქართველო, ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან, ერთადერთი სახელმწიფოდ რჩებოდა, სადაც საბჭოთა პერიოდში ჩამორთმეული რელიგიური უმცირესობების ქონების ისტორიული მესაკუთრისთვის დაბრუნების პროცესი არ იყო დაწყებული, პირიქით, გაჩნდა ე.წ. სადავო ტაძრების საკითხი. სომხურ სამოციქულო ეკლესიას, მუსლიმ თემს, ლუთერულ ეკლესიას, ებრაულ თემს არ უბრუნებდნენ კომუნისტების მიერ ჩამორთმეულ რელიგიურ ნაგებობებს, ხოლო კათოლიკე ეკლესიის ხუთი ტაძარი პირდაპირ მართლმადიდებელ ეკლესიას გადაეცა. საქართველო ასევე ერთადერთი

19. თავისუფლების ინსტიტუტი, „აღმსარებლობის თავისუფლება საქართველოში“ (თბილისი: თავისუფლების ინსტიტუტი, 2002), გვ.23, <https://liberty.ge/books/9>.

20. „პოლიციასა და რელიგიურ ექსტრემისტებს შორის არსებული კავშირის შესახებ საინტერესო ინფორმაცია გაავრცელა საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებების დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ ელენე თევდორაძემ. მისი თქმით, 2001 წელს იელოვას მოწმეებმა მას მიანოდეს ინფორმაცია, თუ სად და როდის აპირებდნენ შეკრების მოწყობას და სთხოვეს, დახმარებოდა ამ შეკრებათა უსაფრთხოების დაცვაში. ელენე თევდორაძემ ეს სია გადასცა ქალაქის პოლიციის უფროსს, სოსო ალავიძეს, რომელმაც, თავის მხრივ, სია „შემდგომი რეაგირებისთვის“ ბასილ მკალავიშვილს გადაუგზავნა.“ თავისუფლების ინსტიტუტი, „აღმსარებლობის თავისუფლება საქართველოში,“ გვ.20.

21. „ვინ დაარბია თავისუფლების ინსტიტუტი,“ რადიო თავისუფლება, 18 ივლისი, 2002, <https://www.radiotavisupleba.ge/a/1522150.html>.

22. თავისუფლების ინსტიტუტი, „ადამიანის უფლებების მიმოხილვა. იანვარი-მარტი 2002“ (თბილისი: თავისუფლების ინსტიტუტი, 2002), გვ. 15, <https://liberty.ge/books/24>.

პოსტსაბჭოთა სახელმწიფო იყო, სადაც რელიგიურ გაერთიანებებს იურიდიული რეგისტრაციის შესაძლებლობა არ ჰქონდათ. მედიასივრცეში მთლიანად შეიზღუდა განსხვავებული რელიგიების პოზიტიური ხსენება, შეწყდა გადაცემები, რომლებშიც აკადემიური პოზიციიდან განიხილებოდა რელიგიური საკითხები, სანაცვლოდ, როგორც ბეჭდვით, ისე სატელევიზიო მედიაში რელიგიური უმცირესობების წინააღმდეგ გახშირდა სიძულვილის ენის შემცველი სტერეოტიპული პუბლიკაციები და გადაცემები.

1997 წელს პარლამენტმა მიიღო კანონი განათლების შესახებ, რომელიც საპატრიარქოს სასკოლო პროგრამებისა და პროექტების შემუშავებაში მონაწილეობის შესაძლებლობას აძლევდა.²³ ამ პერიოდში, სკოლა, ფაქტობრივ, მოსწავლეების რელიგიური ინდოქტრინაციის ადგილი ხდება. საჯარო სკოლების ტერიტორიებზე შენდება ტაძრები, იხსნება სალოცავი კუთხეები, კლასებში გამოფენილია რელიგიური სიმბოლოები – ხატები და ჯვრები, სხვადასხვა საგნის პედაგოგები ქადაგებენ მართლმადიდებლობას, გაკვეთილს ლოცვით იწყებენ და ასრულებენ, სკოლა შეუწყნარებლობისა და დისკრიმინაციის კერა ხდება რელიგიური უმცირესობების წარმომადგენელი ბავშვების წინააღმდეგ. საგანი „რელიგია და კულტურა“ ორი გრიფირებული სახელმძღვანელოს საფუძველზე იწავლება. ერთი სახელმძღვანელო მხოლოდ ქრისტიანობის შესახებ გვიამბობს, ხოლო მეორე, იმ პერიოდში მზარდად პოპულარულ სახელმძღვანელოს, თავად საპატრიარქო ავრცელებს სკოლაში, მას ჰქვია „ქრისტეს გზა.“ ეს წიგნი რეალურად მართლმადიდებელი ეკლესიის კატეხიზმოს წარმოადგენდა.

მხოლოდ 2000 – 2002 წლებში განსხვავებული აღმსარებლობის მორწმუნეებზე 700-ზე მეტი თავდასხმა განხორციელდა. ამ პერიოდში საქართველოდან გაიგზავნა რამდენიმე სარჩელი ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში. მათგან ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი საქმეა „გლდანის კონგრეგაციის 97 წევრი და ოთხი სხვა პირი საქართველოს წინააღმდეგ.“²⁴ 1999 წლის 17 ოქტომბერს ბასილ მკალავიშვილის ექსტრემისტული ჯგუფი თავს დაესხა იეჰოვას მოწმეთა შეკრებას, ჩაკეტეს სამლოცველოდან გასავლელი ორივე კარი და ხალხს დაუწყეს ცემა. მას შემდეგ, რაც პოლიცია ადგილზე მივიდა, გამოუშვეს მხოლოდ ქალები და ბავშვები, ხოლო კაცების ცემა განაგრძეს. ამ დარბევის შედეგად ათეულობით ადამიანმა მიიღო მძიმე ფიზიკური დაზიანება, მათ შორის ორმა დაკარგა მხედველობა. პროკურატურისა და შსს-ის ჩარევის შედეგად, საქმე ისევ იეჰოვას მოწმეების წინააღმდეგ აღიძრა. ეს ტიპური აღწერაა ბასილ მკალავიშვილის მიერ ორგანიზებული თავდასხმებისა. სახელმწიფოსა და რელიგიური უმრავლესობის აგრესიისგან სრული დაუცველობის სიმბოლოა ის ფაქტი, რომ 90-იან წლებში ერთ-ერთი პროტესტანტული გაერთიანების პასტორმა, ზაალ ტყეშელაშვილმა ლოცვისა და მსახურების დროს ფიზიკური თავდასხმებისგან თავის დასაცავად გარე სივრცეში გუშაგები გამოყო და დამცავი ატრიბუტიკით შეაიარაღა.

საინტერესოა, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში, ერთი მხრივ, პრეზიდენტი შევარდნაძე და მისი ადმინისტრაცია აკეთებდნენ საგანგებო განცხადებებს რელიგიური ექსტრემიზმისა და ძალადობის წინააღმდეგ, მეორე მხრივ კი ცდილობდნენ, კანონიერი სახე მიეცათ რელიგიური უმცირესობების დევნის

23. „კანონი განათლების შესახებ“ (1997). კანონი ძალადაკარგულად გამოცხადდა 01.09.2010-ში.

24. გლდანის კონგრეგაციის 97 წევრი და ოთხი სხვა პირი საქართველოს წინააღმდეგ, საჩივარი # 71156/01 (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2007), <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/gldani97.pdf>

პრაქტიკისათვის.²⁵ იუსტიციის სამინისტრომ შეიმუშავა კანონპროექტი „სინდისის თავისუფლებისა და რელიგიური გაერთიანებების შესახებ“, რომლის მიღება კიდევ უფრო მეტად დაამძიმებდა რელიგიური გაერთიანებების მდგომარეობას, რამდენადაც შემოჰქონდა „არაკეთილსინდისიერი პროზელიტიზმის ცნება, რაც „პირზე ფსიქიკურ-იდეოლოგიური ხასიათის ზენოლის განხორციელებას მისი მხრიდან აშკარად გამოხატული წინასწარი თანხმობის გარეშე“ - გულისხმობდა (მუხლი. 4. 7)²⁶. პროექტის მიხედვით, არაკეთილსინდისიერი პროზელიტიზმი შეიძლება გამხდარიყო რელიგიური გაერთიანების მოქმედების შეწყვეტის საფუძველი, თუმცა ამაზე უფრო სახიფათო იყო პროექტი „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში დამატებების შეტანის შესახებ“, რომლის მიხედვით სსკ-ს 155 – 1 დაემატებოდა. მუხლი ითვალისწინებდა „არაკეთილსინდისიერი პროზელიტიზმის“ გამო ჭარიმას, ან გამოსასწორებელ სამუშაოებს ვადით ერთ წლამდე, ან თავისუფლების აღკვეთას ვადით 2 წლამდე.²⁷ წინააღმდეგობისა და თავდასხმის მსხვერპლი არამართო რელიგიური ორგანიზაციები და ნაგებობები, არამედ საქველმოქმედო ხასიათის ცენტრები და მშენებლობები იყო. საპატრიარქო მოითხოვდა, რომ რელიგიის შესახებ კანონს უზრუნველყო რელიგიური საჯარო შეკრებების აკრძალვა.

1998 წლიდან სახელმწიფომ დაიწყო ეკლესიის დაფინანსება, რომლის მიზანს ოფიციალურად ეკლესიის სამისიონერო საქმიანობისა და ასევე, სასულიერო სასწავლებლებში თეოლოგიური განათლების მხარდაჭერა წარმოადგენდა. დაფინანსება ატარებდა დოტაციურ ხასიათს. 90-იანი წლების მიწურულს დაიწყო მსჯელობა მართლმადიდებელი ეკლესიისთვის განსაკუთრებული სამართლებრივი სტატუსის მინიჭების შესახებ. ხანგრძლივი დისკუსიებისა და დებატების შედეგად, 2002 წელს სვეტიცხოველში, ერთი მხრივ პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ და მეორე მხრივ კათალიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ ხელი მოაწერეს კონსტიტუციურ შეთანხმებას²⁸. შეთანხმების პუნქტები გულისხმობდა ეკლესიისა და სახელმწიფოს თანამშრომლობას მთელ რიგ საკითხებში და ასევე, პრივილეგიებს მართლმადიდებელი ეკლესიისათვის. მაგალითად, მხოლოდ მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირები თავისუფლდებოდნენ სამხედრო სამსახურისგან, ეკლესია თავისუფლდებოდა გადასახადებისგან, საპატრიარქოს უზრუნველდებოდა საბჭოთა პერიოდში ჩამორთმეული ქონება, გათვალისწინებული იყო ფინანსური კომპენსაცია და საერო უქმეებად აღიარებული იყო მართლმადიდებლური საეკლესიო დღესასწაულები.

კონსტიტუციური შეთანხმება შესაძლოა განვიხილოთ როგორც უანალოგო, უნიკალური ფორმა სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობისა, ვინაიდან ეს დოკუმენტი, ფაქტობრივ, ორ თანასწორ სუბიექტს, სახელმწიფოსა და საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას შორის შეთანხმებას გულისხმობს. კონსტიტუციური შეთანხმება კრიტიკულად შეაფასა ვენეციის კომისიამ, რომლის განმარტებით,

25. ექსტრემისტული ძალების გავლენა, მათი დაუსჯელი აქტიურობა, ხელისუფლების დემოკრატიული ფრთის ლიდერებსაც აიძულებდა მხარდაჭერა ეძებნა მათ რიგებში: მაგალითად ზურაბ ჟვანია აცხადებდა: ცალკე ამოცანაა, რომ ჩამოვყალიბოთ სერიოზული, მკაცრი წესები, როგორც არსებობს ბევრ ევროპულ ქვეყანაში, არსებობს ჩვენს მეზობელ ქვეყნებში... რათა საკანონმდებლო საფუძველზე შეიზღუდოს სექტების საქმიანობა.“ გადაუგზავნა. თავისუფლების ინსტიტუტი, „აღმსარებლობის თავისუფლება საქართველოში“, გვ. 13.

26. თავისუფლების ინსტიტუტი, „ადამიანის უფლებების მიმოხილვა. 2002 წლის ანგარიში“, გვ. 90.

27. Ibid., 91.

28. „კონსტიტუციური შეთანხმება საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის“, ხელმოწერის თარიღი: 14 ოქტომბერი, 2002, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/41626?publication=0>

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სტატუსი სახელმწიფო შტოების კონსტიტუციურ სტატუსს უახლოვდებოდა და ქმნიდა საერო სახელმწიფოზე ეკლესიის დომინირების საფრთხეს. აქედან გამომდინარე, ვენეციის კომისია ურჩევდა ხელისუფლებას შეთანხმების დადებას არა სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის, არამედ მთავრობასა და საპატრიარქოს შორის: ვენეციის კომისიის ექსპერტი, პროფ. ანტონის მატაკისისი ხელისუფლებას აფრთხილებდა: „ასეთი შეთანხმება არ შეიძლება გაფორმდეს სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის, არამედ ის უნდა გაფორმდეს საქართველოს მთავრობასა და საქართველოს ეკლესიის საპატრიარქოს შორის.“²⁹

ამასთანავე, კონსტიტუციური შეთანხმების პირველი პუნქტი გვაცნობს, რომ ეკლესია და სახელმწიფო ურთიერთდამოუკიდებლები არიან და თანამშრომლობენ საზოგადოების საკეთილდღეოდ. იქვე, პრეამბულაში ვკითხულობთ: „მართლმადიდებლობა, ევროპის ერთ-ერთი ტრადიციული აღმსარებლობა, საქართველოში ისტორიულად სახელმწიფო რელიგია იყო, რომელმაც ჩამოაყალიბა მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურა, ეროვნული მსოფლმხედველობა და ფასეულობები.“³⁰ პრეამბულის ამ წინადადებასთან დაკავშირებით საყურადღებო კომენტარი გააკეთა ვენეციის კომისიის ექსპერტმა პროფ. რიკ ლოუსონმა: „ეს განცხადება, როგორც ფაქტი შესაძლოა იყოს ან არ იყოს სიმართლე; ამ ექსპერტიზის ავტორი მოწოდებული არ არის დააფიქსიროს საკუთარი მოსაზრება ამ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ საქართველოს სახელმწიფო შებოჭილია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით და ვალდებულია თავი შეიკავოს რელიგიის ან რწმენის რელიგიურობის შესახებ ღირებულებითი მსჯელობისგან. მსგავსადვე საქართველოს სახელმწიფოს გააჩნია საერთაშორისო ვალდებულება დაიცვას პლურალიზმის პირობები. თუკი სიმართლეა, რომ საქართველოს მოსახლეობის „უმრავლესობა“ მართლმადიდებელი ქრისტიანია, მაშინ აქედან აუცილებლად გამომდინარეობს, რომ მოსახლეობის უმცირესობა ამავე მრწამსის არ არის. ეს უმცირესობა ასევე იმსახურებს სახელმწიფოს მხრიდან პატივისცემასა და ქართული იდენტობის ჩამოყალიბებაში მის მიერ შეტანილი წვლილის აღიარებას.“³¹

ამ პროცესში საინტერესოა ისიც, რომ შეთანხმების ხელმოწერამდე მართლმადიდებელმა ეკლესიამ შეძლო ექვსი რელიგიური გაერთიანების მხარდაჭერის მოპოვება იმ პირობით, რომ ის ასევე მხარს დაუჭერდა ამ რელიგიური გაერთიანებების საჯარო სამართლის სუბიექტად აღიარებას, თუმცა მან ეს საჯაროდ დეკლარირებული პირობა შემდეგ აღარ შეასრულა.

განსხვავებული აღმსარებლობების წინააღმდეგ მართლმადიდებელი ეკლესიის აგრესია თვალსაჩინო გახდა ასევე 1999 წელს, რომის პაპის, იოანე პავლე მეორის ვიზიტის მომზადების წინ. რომის პაპი იყო ყველაზე მნიშვნელოვანი სტუმარი იმ დროის ჩაბნელებულ და ყველასგან მივიწყებულ საქართველოში; მიუხედავად ამისა, საქართველოს ეკლესიამ მის სტუმრობას დიდი წინააღმდეგობა გაუწია. უკვე ჩამოსულ პონტიფექსს არ მიეცა ღია სივრცეში ლიტურგიის აღსრულების უფლება, ხოლო ყველას, ვინც სპორტის სასახლეში დაესწრო რომის პაპის წირვას, სახელმწიფოს მეთაურის ჩათვლით, საპატრიარქომ საეკლესიო სასჯელი გამოუცხადა - რამდენიმე თვით აუკრძალა ზიარება. გარდა ამისა, 2003 წელსვე, საქართველოს საპატრიარქოს მიერ წამოწყებული ფართო პროტესტის შედეგად, საქართველოს მთავრობამ ვატიკანის სახელმწიფოსთან შეთანხმების უკვე დაგეგმილი

29. არჩილ მეტრეველი, *ხელიწვივისა და ხწმენის თავისუფლება, წიგნი II: კოდექციუხი და ინსტიტუციუხი ასპექტები* (თბილისი: საქართველოს უნივერსიტეტი, 2022), 221.

30. „კონსტიტუციური შეთანხმება საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის.“

31. Ibid., 234.

ხელმოწერა ჩაშალა. ხელშეკრულებას საქართველოში მოქმედი კათოლიკური ეკლესიების სამართლებრივი სტატუსი უნდა განესაზღვრა. 15-პუნქტიანი დოკუმენტის ხელმოწერამდე ერთი დღით ადრე, 19 სექტემბერს, ხელშეკრულების გასაპროტესტებლად საქართველოს ეკლესიის მხარდამჭერთა რამდენიმე ათასიანი ჯგუფი გამოვიდა რუსთაველის გამზირზე, ხოლო სახელმწიფო მინისტრმა აუნყა შეკრებილებს, რომ საქართველომ უარი განაცხადა ხელშეკრულების ხელმოწერაზე.³²

შევარდნაძის მმართველობის ბოლო წლებში, საერთაშორისო შეშფოთებით ნაკარნახევი რამდენიმე სუსტი მცდელობა იყო სხვა რელიგიებისადმი სიმბოლური მხარდაჭერის გამოხატვისა. მაგალითად, 2003 წელს ბაპტისტური ეკლესიის დარბევის შემდეგ, სახელმწიფოს მეთაური ამ პროტესტანტულ ეკლესიაში დაესწრო ეკუმენურ მსახურებას.³³ გარდა ამისა, მედიაში გაჩნდა კრიტიკული შეფასებები საპატრიარქოს მისამართით, თუმცა ამ ნაბიჯებს იმ დროს რაიმე გამოკვეთილი შედეგი არ მოუტანია. პრეზიდენტ შევარდნაძის მმართველობის პერიოდში ეკლესიამ გაიმყარა იდეოლოგიური პოზიციები, მოიპოვა განსაკუთრებული სამართლებრივი აღიარება და სტატუსი, დაიწყო ჩამოყალიბება როგორც რელიგიურ სივრცეში ექსკლუზიურმა დომინანტმა, რომელიც სახელმწიფოს მხრიდან განსაკუთრებული პრივილეგიებითაა აღჭურვილი და რომლის სახელით ინიცირებული ძალადობა არ ისჯებოდა. რელიგიურ დევნასა და დისკრიმინაციაში სახელმწიფოს ყველა შტო მონაწილეობდა. ამ პერიოდში სხვა რელიგიური გაერთიანებები მუდმივი მუქარების, დევნის, თავდასხმისა და დისკრიმინაციის მსხვერპლნი იყვნენ და რეალურად უფლებებით ვერ სარგებლობდნენ.

2003 - 2012

ვარდების რევოლუციით მოსული ხელისუფლების პირველი წლები სახელმწიფოს ეფექტური მოქმედებით ხასიათდებოდა. ხელისუფლებამ ამოცანად დაისახა, ხელში აეღო სხვადასხვა სფეროში ქაოსურად გაბნეული ძალაუფლება, რათა სახელმწიფოებრიობის თანამედროვე სტანდარტით, მხოლოდ სახელმწიფო გამხდარიყო ერთადერთი ინსტანცია, რომელსაც ძალის ლეგიტიმური გამოყენება შეეძლებოდა. გარდა ამისა, საქართველო, საერთაშორისო კონტექსტში, რელიგიური გაერთიანებების ორგანიზებული და დაუსჯელი დევნის გამო, რელიგიური ექსტრემიზმის ერთ-ერთ კერად მიიჩნეოდა. ამ გარემოებებმა განაპირობეს, რომ 2004 წლის მარტში ძალადობრივი ექსტრემისტული ჯგუფის ხელმძღვანელი, დეკანოზი ბასილ მკალავიშვილი და მისი დაჯგუფების რამდენიმე წევრი დააკავეს. აღნიშნული დაკავება, თავისი რადიკალური ფორმით, ერთგვარი სიგნალი იყო, რომ ხელისუფლება აღარ შეეგუებოდა რელიგიის თავისუფლების მასობრივ და ინტენსიურ დარღვევას, რელიგიური შეუწყნარებლობის საფუძველზე ძალადობასა და დაუსჯელობას.³⁴ ამიტომ, 2004-იდან 2008 წლამდე პერიოდში რელიგიური

32. „სახელმწიფო მინისტრმა ავთანდილ ჯორბენაძემ მიმართა აქციის მონაწილეებს, რათა დაერწმუნებინა ისინი, რომ საქართველოს მთავრობა არ მოაწერდა ხელს ხელშეკრულებას. საქართველო ვატიკანის ხელშეკრულებას საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიაც ეწინააღმდეგება. „სახელმწიფოთაშორისო ხელშეკრულება საქართველოსა და ვატიკანს შორის - არ შეიძლება მიზანშეწონილად ჩაითვალოს,“ - განაცხადა ილია II-მ 18 სექტემბერს გამართულ ბრიფინგზე. „საქართველო უარს ამბობს ვატიკანთან ხელშეკრულების გაფორმებაზე,“ სამოქალაქო საქართველო, 19 სექტემბერი, 2003, <https://civil.ge/ka/archives/130387>.

33. „პრეზიდენტი ეკუმენისტურ ლოცვას დაესწრო ბაპტისტურ ეკლესიაში,“ სამოქალაქო საქართველო, 15 მარტი, 2003, <https://civil.ge/ka/archives/129236>.

34. ბასილ მკალავიშვილისა და მისი ჯგუფის წევრების დაკავების პროცესში, სახალხო დამცველის შეფასებით, ხელისუფლებამ გადაჭარბებული ძალა გამოიყენა (რედ.).

დანაშაულის მაჩვენებელმა მკვეთრად იკლო და ამასთანავე, ძალადობრივმა ექსტრემიზმმა დაკარგა ორგანიზებული ხასიათი.

რელიგიური ექსტრემისტებისა და მოძალადეების პასუხისგებაში მიცემასთან ერთად, მოკლე დროში განხორციელდა მთელი რიგი მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომლებიც რელიგიის თავისუფლების დაცვის, თანასწორუფლებიანობის, რელიგიური ტოლერანტობის კულტურის მხარდაჭერისკენ იყო მიმართული:

- 2005 – 2008 წლებში გაცილებით ადეკვატური გახდა რელიგიურ ნიადაგზე მომხდარი დანაშაულის აღსაკვეთად სამართალდამცველი სტრუქტურების მუშაობა. რამდენიმე შემთხვევაში კი, უშუალოდ სამართალდამცველების გადაცდომა გახდა დისციპლინარული ზომის მიღების საფუძველი.
- 2005 წელს სამოქალაქო კოდექსში შეტანილი ცვლილებების საფუძველზე, რელიგიურ გაერთიანებებს, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, პირველად მიეცათ კერძო სამართლის იურიდიულ პირად, - ფონდის ან კავშირის სახით, - რეგისტრაციის გავლის შესაძლებლობა.³⁵ ამ ფორმით რეგისტრაცია გაიარა 20-ამდე რელიგიურმა გაერთიანებამ და რელიგიურ გაერთიანებასთან არსებულმა სოციალ-ჰუმანიტარული დანიშნულების ორგანიზაციამ.
- შეიცვალა ზოგადი განათლების შესახებ კანონმდებლობა: კანონის საფუძველზე საჯარო სკოლებში აიკრძალა პროზელიტიზმი, ინდოქტრინაცია, რელიგიური სიმბოლოების არააკადემიური ნიშნით გამოფენა, რელიგიურ ნიადაგზე დისკრიმინაცია. ამასთან, განათლების ერთ-ერთ მიზნად ტოლერანტული ცნობიერების განვითარება დაისახა.³⁶
- ამოქმედდა ალტერნატიული სამხედრო სამსახური და პაციფისტური მრწამსისა და შეხედულებების მქონე ახალგაზრდებს შესაძლებლობა მიეცათ საკუთარი რწმენისა და სინდისის თავისუფლების შეუღებავად მოეხადათ სამხედრო ვალდებულება.
- გაუმჯობესდა სასამართლოს საქმიანობა. 2006 – 2008 წლებში სასამართლოს გადანყვეტილებით რელიგიური დევნისა და დისკრიმინაციის გამო პასუხისგებაში მიეცა 17 პირი, რომელთაგან რვამ სასჯელი სასჯელაღსრულების დანესებულებაში მოიხადა.
- მთელ რიგ რელიგიურ გაერთიანებებს, მართალია, ბევრი წინააღმდეგობის გადალახვის შემდეგ, მაგრამ საბოლოო ჯამში, მიეცათ შესაძლებლობა გაეხსნათ რელიგიური მსახურებისთვის ტაძრები და სამლოცველოები, ამოქმედებინათ საქველმოქმედო და საგანმანათლებლო ცენტრები. 2004 – 2008 წლებში გაიხსნა და ამოქმედდა 41 ახალი რელიგიური და სოციალური დანიშნულების შენობა.³⁷
- მეტ-ნაკლებად შესაძლებელი გახდა საჯარო სივრცეში რელიგიური ხასიათის შეკრებები და სადღესასწაულო მანიფესტაციები.

35. ყველა რელიგიური გაერთიანებისთვის ამ ფორმით რეგისტრაციის გავლა მიუღებელი იყო, 6 რელიგიური გაერთიანება ითხოვდა მათთვის საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის მოპოვება ყოფილიყო ხელმისაწვდომი (რედ.).

36. გიორგი ტულუში, „ტოლერანტობა საქართველოში – მიღწევები და გამოწვევები“, 16 ნოემბერი, 2009, თბილისი, http://tolerantoba.ge/index.php?id=1281619822&sub_id=1321954386.

37. „იეჰოვას მოწმეების 26 სამეფო დარბაზი, 5 მეჩეთი, 4 სომხური სამოციქულო ეკლესია, 2 ევანგელურ ბაპტისტური ეკლესია, 2 ბაპტისტური სოციალური ცენტრი, 1 სახარების რწმენის ქრისტიანთა რელიგიურ-სოციალური ცენტრი, ასურულ - კათოლიკური ეკლესია და სოციალურ-საგანმანათლებლო ცენტრი.“ Ibid.

- 2005 წელს სახალხო დამცველთან შეიქმნა რელიგიათა საბჭო, რომელშიც გაწევრიანდა, იეპოვას მონაწილე რელიგიური გაერთიანებისა და მართლმადიდებელი ეკლესიის გარდა, იმ დროს მოქმედი თითქმის ყველა რელიგიური გაერთიანება. მეორე მხრივ, საპატრიარქოს ინიციატივის საფუძველზე შეიქმნა ინტერრელიგიური ჯგუფი - სახელმწიფო აღმშენებლობის მხარდამჭერი რელიგიათა საკოორდინაციო საბჭო, სადაც 6 გაერთიანება იყო წარმოდგენილი.

ამის მიუხედავად, რელიგიური უმცირესობების წინაშე მრავალი სისტემური და კონკრეტული პრობლემა რჩებოდა გადაუჭრელი: უთანასწორო სამართლებრივი გარემო, რელიგიური ნიშნით შეუწყნარებლობა და სპონტანური ძალადობა, საბჭოთა პერიოდში ჩამორთმეული ქონების დაბრუნება, საჯარო სკოლებში ზოგადი განათლების კანონის მოთხოვნათა დაცვის უზრუნველყოფა, მედიასივრცეში რელიგიური შეუწყნარებლობის, სიძულვილის ენისა და ნეგატიური სტერეოტიპების ტირაჟირებასთან ბრძოლა და პირიქით, რელიგიური მრავალფეროვნების ასახვა, ტოლერანტობის კულტურის მხარდაჭერა.³⁸

ამ პერიოდში უშუალოდ რელიგიური უმრავლესობის გარემოში იჩინა თავი დაპირისპირებებმა: 2004 წლის 8 ნოემბერს პოპულარულ გაზეთ „24 საათში“ გამოქვეყნდა სასულიერო სემინარიისა და აკადემიის 24 სტუდენტის ერთობლივი წერილი, რომელშიც ისინი აპროტესტებდნენ ეკლესიაში არსებულ კორუფციას, სასულიერო პირთა ტოტალურ გაუნათლებლობას, განსხვავებული ჯგუფებისადმი რელიგიური სიძულვილისა და შეუწყნარებლობის ქადაგებას, ანტიდასავლურ პროპაგანდას. ამ პრობლემების გადასაჭრელად სტუდენტები სამუშაო ჯგუფის შექმნას ითხოვდნენ. გამოქვეყნებულ წერილს ფართო რეზონანსი მოჰყვა, ვინაიდან საპატრიარქო ავტორების დასჯას და 6 თვით მონასტერში გაშვებას აპირებდა.³⁹ წერილის გამო იმდროინდელმა პოლიტიკურმა ოპოზიციამ ხელისუფლება ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლაში დაადანაშაულა. თავად კათოლიკოს-პატრიარქმა განაცხადა, რომ ხელისუფლება ცალი ხელით თითქოს პატივისცემას გამოხატავს ეკლესიისადმი, მაგრამ, მეორე ხელით - უპირისპირდება და ამ გზით იგი არყვეს კონსტიტუციურ წესრიგს. ასეთი მკვეთრი რეაქციის ფონზე მაშინდელმა პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ და პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძემ დაგმეს „ეკლესიასთან სტუდენტების ბრძოლა“, რომელსაც მხარს უჭერდა სამოქალაქო საზოგადოება. სტუდენტების პროტესტის დაგმობას პრეზიდენტი სააკაშვილიც შეუერთდა და მოუწოდა მედიას, ფრთხილად გაეშუქებინათ ეკლესიაში მიმდინარე პროცესები. ამის შემდეგ, მედიის მხრიდან სტუდენტების პროტესტისადმი ინტერესი, ფაქტობრივად, მინელდა, სრულიად შეწყდა საეკლესიო საკითხების გაშუქება და ხანგრძლივად დაბრუნდა შევარდნაძის მმართველობის დროინდელი მედია სტატუს-კვო: მართლმადიდებელი ეკლესიის პოზიტიური გაშუქების გარდა მედია რელიგიური პრობლემატიკითა და მრავალფეროვნებით ისევ აღარ ინტერესდებოდა.⁴⁰

38. ყველა ამ საკითხის შესახებ სახალხო დამცველთან არსებული რელიგიათა საბჭომ დაიწყო რეკომენდაციების შემუშავება და სხვადასხვა წელს სახელმწიფო უწყებებს წარუდგინა. შესაბამისი რეკომენდაციებით მიმართავდა ხელისუფლებას საქართველოს სახალხო დამცველი (რედ.).

39. ჯიმშერ რეხვიაშვილი, „დაპირისპირება თბილისის სასულიერო აკადემიაში,“ რადიო თავისუფლება, 12 ნოემბერი, 2004, <https://www.radiotavisupleba.ge/a/1538189.html>.

40. საქართველოს სახალხო დამცველი, „ადამიანის უფლებათა მდგომარეობა საქართველოში - 2004წ.“ (თბილისი: საქართველოს სახალხო დამცველი, 2004), გვ. 44-47, <https://www.ombudsman.ge/res/docs/2019040411373539049.pdf>.

ნაციონალური მოძრაობის მმართველობის პერიოდი, რელიგიის თავისუფლების დაცვის პოლიტიკის განხორციელების მხრივ, ორ ეტაპად შეიძლება დაიყოს: 2008 წლამდე პოლიტიკური ოპოზიციის გაძლიერებითა და აგვისტოს ომის შედეგებით გამოწვეულ მწვავე პოლიტიკურ კრიზისამდე, რელიგიის თავისუფლების დაცვა ხელისუფლების დღის წესრიგის ნაწილი იყო, ხოლო შემდეგ, ამ მიმართულებით ხელისუფლების პოლიტიკა უმრავლესობის რელიგიური განწყობებისადმი და, მათ შორის, - შეუწყნარებლობისადმი უფრო დამთმობი ხასიათის გახდა. ამ კონტექსტშიც საპატრიარქოს როლი ისევ პოლიტიკის ლეგიტიმაციისა და ამავდროულად, დაპირისპირებულ პოლიტიკურ ძალებს შორის ერთგვარი ზეპოლიტიკური არბიტრის, მომრიგებლის ფუნქციით იყო აღქმული და გამოკვეთილი. ხელისუფლების მიერ ამ „დათმობამ“ ირიბად წაახალისა და ხელი შეუწყო რელიგიური ნიშნით ჩადენილ დანაშაულზე არაადეკვატური რეაგირების პრობლემის ხელახალი გამწვავება. რელიგიური შეუწყნარებლობის ნიშნით ჩადენილ სამართალდარღვევებს არასათანადო კვალიფიკაციის ენიჭებოდა, არაეფექტური და გაჭიანურებული იყო გამოძიებები, რამაც 2008 – 2012 წლებში ამ ტიპის დანაშაულებრივი ქმედებების რაოდენობის გაზრდა გამოიწვია. მოცემულ პრობლემაზე სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიშებში არაერთხელ გამახვილდა ყურადღება.

2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინ, როგორც ხელისუფლების, ასევე ოპოზიციის წინასაარჩევნო კამპანიის ნაწილი გახდა ამომრჩევლისთვის იმის მტკიცება, რომ საქართველოს საპატრიარქო სწორედ მათ უჭერს მხარს. ყველა პარტია საპატრიარქოს განსაკუთრებულ პირობებს სთავაზობდა. მაგალითად, ერთ-ერთი პარტია, რომლის დევიზი იყო „ჩვენ გვწამს ღმერთი“, ყველა ეპარქიას თითო მილიონს ჰპირდებოდა.⁴¹ არჩევნების შემდეგ ეს დაპირება ფაქტობრივად შეასრულა პრეზიდენტ სააკაშვილის ხელისუფლებამ: 2007 წელს საპატრიარქო ბიუჯეტიდან ფინანსდებოდა ათი მილიონი ლარით, არჩევნების შემდეგ დაფინანსება 25 მილიონამდე გაიზარდა.⁴² ამ პერიოდში, რელიგიური უმცირესობების უფლებების დაცვისა და თანასწორუფლებიანობის შესახებ, ფაქტობრივად, არცერთი პოლიტიკური პარტია და კანდიდატი პროგრამებისა თუ რიტორიკის დონეზე არ საუბრობდა. საბიუჯეტო დაფინანსების გაზრდის გარდა, ასევე დაიწყო საპატრიარქოს დაფინანსება სხვადასხვა სახელმწიფო ფონდისა და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გავლით. გარდა ამისა, ხელისუფლება საპატრიარქოს გადასცემდა დიდძალ მატერიალურ ქონებას, ახალ-ახალ შენობა - ნაგებობებს, სინოდის წევრებს ურიგებდა ძვირადღირებულ ავტომობილებს, დაიწყო სატყეო-სამეურნეო მიწების ეკლესიისთვის გადაცემაც. ჩანდა, რომ ამ გზით ხელისუფლება საპატრიარქოს ლოიალობის მოპოვებას ცდილობდა, ხოლო საპატრიარქო ხელისუფლების მხარდაჭერას საკუთარი ფინანსური და მატერიალური ინტერესების დასაკმაყოფილებლად იყენებდა.⁴³

„ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობისას, როგორც ზემოთ ითქვა, კვლავ ტაბუდადებული გახდა ნაციონალური ტელემედით საპატრიარქოს კრიტიკა, მაგრამ სოციალური ქსელების „რევოლუციამ“ ეს ტაბუ, ფაქტობრივად, მოარღვია. 2009 წელს ფეისბუკის მეშვეობით გავრცელდა ვიდეო, რომლითაც გაშარჟებული

41. „ჩვენ გვწამს ღმერთი, ჩვენ გვაქვს ძალა“ – სწორედ ამ დევიზით განახორციელებს დავით გამყრელიძე თავის წინასაარჩევნო კამპანიას.“ „ახალი მემარჯვენეების საპრეზიდენტო კანდიდატი პრიორიტეტებზე საუბრობს,“ სამოქალაქო საქართველო, 26 ნოემბერი, 2007, <https://civil.ge/ka/archives/142088>.

42. სახელმწიფოს მიერ ეკლესიის დაფინანსების ამ ფორმას შეიძლება დოტაციური ენოდოს, რაც გულისხმობს, რომ ხელისუფლება თვითნებურად უნაწილებს საბიუჯეტო თანხას საეკლესიო ინსტანციას (რედ.).

43. ნინო რობაქიძე, „მთავრობა ეკლესიის სამსახურში,“ ლიბერალი, 2-14 ივნისი, 2009, https://dSPACE.nplg.gov.ge/bitstream/1234/8556/1/Liberali_2009_N2.pdf.

იყო კათოლიკოს-პატრიარქი. ამ ვიდეოკლიპს მაშინ უმძაფრესი რეაქცია მოჰყვა როგორც საპატრიარქოს მესვეურების, ასევე ხელისუფლებისა და ინტელიგენციის ნაწილის მხრიდან.⁴⁴ სოციალური ქსელით ვიდეოს გამზიარებლების წინააღმდეგ მუქარის განხორციელების საფრთხე იმდენად რეალური იყო, რომ რამდენიმე კვირის განმავლობაში ერთ-ერთ მათგანს სხვა მისამართზე დამალვა უწევდა. მსგავსი პროცესები განვითარდა მას შემდეგ, რაც ახალგაზრდა მწერალმა ე. დეისაძემ გამოაქვეყნა მოთხრობების კრებული, რომლის დასათაურება და შინაარსი უხამსობისა და მკრეხელობის გამოვლინებად შეფასდა. წიგნის პრეზენტაცია 2010 წლის ადგილობრივი არჩევნების პერიოდში გაიმართა, ეს საკითხი ახლად შექმნილმა ექსტრემისტულმა პოლიტიკურმა ჯგუფმა, სახალხო მართლმადიდებლურმა მოძრაობამ მობილიზაციის ხელსაყრელ საშუალებად გამოიყენა.⁴⁵ გაიმართა აგრესიული საპროტესტო აქციები, ხოლო როდესაც რამდენიმე ახალგაზრდა, საპირისპიროდ, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების დასაცავად გამოვიდა, მათი აქცია სახალხო მართლმადიდებლური მოძრაობისა და მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის (მმკ) წევრებმა დაარბიეს. დარბევის შემდეგ პოლიციას არავინ დაუკავებია. მეორე დღეს ტელევიზია „კავკასიაში“ გამართული დისკუსიის შემდეგ სახალხო მართლმადიდებლური მოძრაობისა და მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის წევრები შეიჭრნენ ტელევიზიის შენობაში, ფიზიკურად გაუსწორდნენ „კავკასიის“ თანამშრომლებს და გადაცემის მსვლელობა ჩაშალეს. მედიის დარბევის გამო ამ ორგანიზაციების 8 წარმომადგენელი დააპატიმრეს. პოლიტიკურმა ოპოზიციამ ისინი სინდისის პატიმრებად გამოაცხადა და 2012 წელს ხელისუფლებაში „ქართული ოცნების“ მოსვლისთანავე გაათავისუფლა.

მიუხედავად რელიგიის საკითხებისადმი კონიუნქტურით ნაკარნახევი ახალი პოლიტიკური მიდგომისა, 2010-2011 წლებში რელიგიური უთანასწორობის აღმოფხვრის მიზნით ორი მნიშვნელოვანი ცვლილება განხორციელდა. წლების განმავლობაში გადაუჭრელ საკითხად რჩებოდა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის რელიგიის თავისუფლებით სარგებლობა. არსებული დისკრიმინაციული პრაქტიკის თანახმად, აღნიშნულ დაწესებულებებში სხვადასხვა რელიგიური გაერთიანების სასულიერო პირების შესვლა საპატრიარქოსგან ნებართვას საჭიროებდა. 2010 წლის 30 დეკემბერს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრმა ხელი მოაწერა ბრძანებას,⁴⁶ რომლის საფუძველზე დარეგულირდა სხვადასხვა რელიგიური გაერთიანების სასულიერო პირების შეხვედრა პატიმრობაში მყოფ მრევლთან, შესაბამისი რელიგიური ორგანიზაციის მიერ პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებასთან წინასწარი შეთანხმების საფუძველზე და არა საპატრიარქოსგან ნებართვით, როგორც ეს მანამდე იყო განსაზღვრული.

2011 წელს განხორციელდა რელიგიური გაერთიანებების რეგისტრაციის რეფორმა, რომლის შედეგად ყველა რელიგიურ გაერთიანებას შესაძლებლობა მიეცა, თავად აერჩია, საჯარო ან კერძო სამართლის იურიდიული პირის სტატუსით ყოფილიყო რეგისტრირებული, ან საერთოდ გავლო რეგისტრაცია თუ არა. ეს საკანონმდებლო ცვლილება⁴⁷ ერთგვარი პასუხი იყო რელიგიათა საბჭოს

44. Ibid.

45. ეკა ქევანიშვილი, “თბილისში ”სახალხო-მართლმადიდებლური მოძრაობა“ ფუძნდება,” რადიო თავისუფლება, 25 მარტი, 2010, <https://www.radiotavisupleba.ge/a/1993772.html>.

46. საქართველოს მინისტრის ბრძანება №187, ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა რელიგიურ რიტუალებში მონაწილეობისა და სასულიერო პირებთან შეხვედრის უფლების განხორციელების შესახებ, (30 დეკემბერი, 2010), <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1162988?publication=0>.

47. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 1509 (1) (1997), https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=122#part_1758.

მოთხოვნაზე, ჩამოყალიბებულიყო რეგისტრაციის ისეთი მოდელი, რომელიც, ერთი მხრივ, რელიგიურ გაერთიანებებისთვის საჯარო სამართლის იურიდიულ პირად რეგისტრაციის შესაძლებლობას გააჩენდა, ხოლო, მეორე მხრივ, სახელმწიფოს არ მისცემდა ნებას: 1. განესაზღვრა რელიგიური გაერთიანებების შინაარსი და მოეხდინა მისი დეფინიცია; 2. დაეხარისხებინა რელიგიური გაერთიანებები საჯარო, კერძო, ისტორიულ, ახალ, მრავალ თუ მცირერიცხოვან ორგანიზაციებად; 3. რელიგიური გაერთიანებების (ფინანსური) კონტროლი განეხორციელებინა; 4. სამართლებრივი სტატუსის დონეზე რელიგიებს შორის იერარქიული მიმართებები ჩამოეყალიბებინა.

სარეგისტრაციო რეჟიმის ამგვარ ცვლილებას საპატრიარქოს მხრიდან მძაფრი რეაქცია მოჰყვა. კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ განაცხადა, რომ ეს არის საშიში კანონი, რომელიც 100 წლის შემდეგაც გამოიღებს ნეგატიურ ნაყოფს.⁴⁸ თუმცა, სათანადო ახსნა - განმარტების შემდეგ სინოდმა მნიშვნელოვანი განცხადება გაავრცელა: „საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია საქართველოს კონსტიტუციისა და საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებზე დაყრდნობით აცხადებს, რომ საქართველოში მცხოვრები ყველა რელიგიური აღმსარებლობის ადამიანი, ისევე როგორც რელიგიური გაერთიანებები, თანასწორია კანონის წინაშე. რელიგიური აღმსარებლობების თავისუფლება არ არის დამოკიდებული იმაზე, თუ რომელ რელიგიურ გაერთიანებას ეკუთვნის საქართველოს ესა თუ ის მოქალაქე.⁴⁹ ფაქტობრივად, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ემხრობოდა რელიგიური გაერთიანებებისა და კონკრეტულად, მათი წევრების კანონის წინაშე სრულ თანასწორობას. რეგისტრაციის შესახებ კანონის ცვლილების თაობაზე, პარლამენტში გამოსვლისას პრეზიდენტმა სააკაშვილმაც თქვა, რომ იგი აშენებს ქვეყანას, სადაც მნიშვნელობა არ ექნება, რომელ რელიგიურ დაწესებულებაში დადის ადამიანი.

ნაციონალური მოძრაობის მიმართველობის პერიოდში საპატრიარქოსა და ხელისუფლებას შორის სხვადასხვა საკითხზე ადვილად შესამჩნევი კონფლიქტი უფრო ფართო, - ნაციონალიზმის ორ გაგებას შორის დაპირისპირების, - კონტექსტში შეიძლება იყოს დანახული. სააკაშვილის ხელისუფლება გვთავაზობდა ნაციონალიზმის მოდელს, რომელიც შეიძლება დახასიათდეს, როგორც სამოქალაქო ნაციონალიზმი, სადაც ყველა თანასწორია მიუხედავად ეთნიკური თუ რელიგიური წარმომავლობისა. ამ მოდელში ეროვნულ იდენტობას არა რელიგიური და ეთნიკური კუთვნილება, არამედ მოქალაქეობა განსაზღვრავს. ხოლო საპატრიარქოს მესვეურთა წარმოდგენით, საქართველოში ეთნიკური ქართველი და მართლმადიდებელი უნდა ყოფილიყო, სხვასთან მიმართებით უპირატესი, ვინაიდან, მათი გაგებით, ეთნიკური ნიშნით ქართველ ერს აქვს განსაკუთრებული, - მართლმადიდებლური იდენტობა და ასევე გამორჩეული მისია აკისრია „აპოკალიპტური მსოფლიოს“ წინაშე. ამ უპირატესობის გამოვლინებას ეკლესია ცდილობდა ყველა დონეზე, დაწყებული სამართლებრივი აღმატებულობის ხაზგასმით, მართლმადიდებელი სასულიერო პირების დაუსჯელობის მოთხოვნით, საგადასახადო და მატერიალური პრივილეგიებით, მედიის ცენზურითა და დამთავრებული საჯარო სივრცის ექსკლუზიური ფლობის სურვილით, სადაც სხვა აღმსარებლობებს რელიგიურობის დემონსტრირების საშუალება არ უნდა ჰქონოდათ.

48. „ეს კანონი იმდენად მნიშვნელოვანია, იმდენად საშიშია, რომ კანონმდებლებს უნდა ეფიქრათ, ვთქვათ, ათი, ასი წლის შემდეგ რა შედეგი ექნება ამას,“ - განაცხადა ილია მეორემ. „ილია მეორე: რელიგიური გაერთიანებების სტატუსზე კანონი ‘საშიშია,‘ სამოქალაქო საქართველო, 7 ივლისი, 2011, <https://civil.ge/ka/archives/149292>.

49. „საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის განცხადება,“ ინტერპრესნიუსი, 10 მაისი, 2011, <https://www.interpressnews.ge/ka/article/180862-sakartvelos-katolikos-patriarkis-gancxadeba>.

საჯარო სივრცე სხვა რელიგიებისთვის უმეტესწილად მართლაც იზღუდებოდა. დიდი სპორტული და საკონფერენციო დარბაზების დაქირავებისას თუ ახალი რელიგიური ნაგებობების მშენებლობისას ისინი მუდმივად აწყდებოდნენ ბარიერებს. ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ ნაციონალური მოძრაობის მმართველობის პერიოდში, ეკლესიისა და ხელისუფლების ურთიერთდამოკიდებულება მიქცევ-მოქცევებით ხასიათდებოდა. პერიოდულად ხელისუფლება რელიგიური ნეიტრალიტეტის პრინციპის დაცვასა და განხორციელებას ახერხებდა, თუმცა იმავდროულად საკუთარი პოზიციებისა და პოლიტიკური ინტერესების დაცვა საპატრიარქოსადმი მუდმივი „ხარკის“ გაღებად უჭდებოდა.

ორი ტიპის „ნაციონალიზმს“ შორის დაპირისპირების ილუსტრაციად 2009 წლის სექტემბერში, ბოლნისის რაიონის სოფელ ტალავერში დაწყებული ამბავი გამოდგება. ეთნიკური აზერბაიჯანელებით დასახლებულ სოფელში, მმკ-ის ხელმძღვანელობით, ორმოცდაათამდე მანქანით ე.წ. შეუწყნარებლობის რეიდი დაიწყო,⁵⁰ რომლის მიზანი ამ სოფელში მეჩეთის მშენებლობის შეჩერება იყო. მმკ-ის ლიდერი აცხადებდა, რომ აზერბაიჯანელებმა აზერბაიჯანში უნდა აშენონ მეჩეთები. ხელისუფლებამ მმკ-ის უკანონო ქმედებების კანონით განსაზღვრული გზით აღკვეთა ვერ გაბედა და სექტემბრიდან ვიდრე ივნისამდე სოფელში, მეჩეთის წინ პიკეტირებდა ორი მანქანა. ერთი პოლიციას ეკუთვნოდა, ხოლო მეორე – მმკ-ს. მმკ-ის მიზანი მეჩეთის მშენებლობის არდაშვება იყო, ხოლო პოლიცია ადგილზე იმყოფებოდა, რათა რთული და დაძაბული სიტუაცია არ გადაზრდილიყო ეთნო-რელიგიურ დაპირისპირებაში. მას შემდეგ, რაც 2010 წლის ივნისში ტელეკომპანია „კავკასიაში“ შეჭრის გამო მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის წევრები დააკავეს, მეჩეთის მშენებლობა ერთ თვის განმავლობაში დასრულდა.⁵¹

2012 წელს ოპოზიციის მიერ კარგად ათვისებული რიტორიკული იარაღი, - ხელისუფლების დადანაშაულება მართლმადიდებლობასთან ბრძოლაში, - მარჯვედ გამოიყენა ივანიშვილის თაოსნობით შექმნილმა პოლიტიკურმა კოალიციამ „ქართულმა ოცნებამ“ და ნაციონალურ მოძრაობასთან დაპირისპირებისას ამ კუთხით მნიშვნელოვანი უპირატესობა მოიპოვა. თუმცა, მთლიანობაში, ნაციონალური მოძრაობის მმართველობისას ეკლესიამ სახელმწიფოსგან მიიღო მეტი დამოუკიდებლობა, გაზარდა ფინანსური შესაძლებლობები, შეინარჩუნა ლეგიტიმაციის ფუნქცია და პოლიტიკური დაპირისპირების ველზე ერთგვარ უზენაეს არბიტრად ჩამოყალიბდა. მეორე მხრივ, ნაციონალური ხელისუფლების მცდელობამ, დაემკვიდრებინა ფართო სამოქალაქო იდენტობის პრინციპზე აგებული პოლიტიკის მოდელი, მთელი რიგი ჩავარდნების მიუხედავად, თანასწორუფლებიანობაზე ორიენტირებული მნიშვნელოვანი სამართლებრივი ცვლილებისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის განეიტრალების საფუძველი შექმნა; არადომინანტურ რელიგიურ ჯგუფებს, ამ პერიოდში, შესაძლებლობა მიეცა, მეტ-ნაკლები წარმატებით დაეცვათ საკუთარი უფლებები და კანონიერი ინტერესები, რაც წინა ხელისუფლების მმართველობისას აბსოლუტურად შეუსრულებელ ამოცანას წარმოადგენდა. ყოველივე ამასთან ერთად, გადაუჭრელი დარჩა სისტემური დისკრიმინაციის გამონწვევები: განსაკუთრებით ხაზგასასმელია საჯარო სკოლებში ზოგადი განათლების კანონის მოთხოვნათა იმპლემენტაციის პრობლემა, უთანასწორო საგადასახადო რეჟიმი, რელიგიური გაერთიანებებისთვის ისტორიული საკუთრების

50. მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი ასეთი ტიპის აგრესიულ მსვლელობებს „რეიდებს“ სხვადასხვა დროს სხვადასხვა აღმსარებლობის წინააღმდეგ ატარებდნენ (რედ.).

51. საქართველოს სახალხო დამცველი, „ადამიანის უფლებათა მდგომარეობა საქართველოში - 2009წ. / 2 ნახევარი“ (თბილისი: საქართველოს სახალხო დამცველი, 2009), გვ. 191, <https://ombudsman.ge/res/docs/2019040411373662896.pdf>.

დაბრუნების საკითხი და ზოგადად, რელიგიური ნიშნით საკმაოდ შეუწყნარებელი განწყობების შემცველი საზოგადოებრივი გარემო.

2012 – 2022

ქართული ოცნების მმართველობის პერიოდი რელიგიური მრავალფეროვნებისა და რელიგიის თავისუფლებისადმი დამოკიდებულების თვალსაზრისით ურთიერთგამომრიცხავი პოლიტიკის წარმოებით გამოირჩევა. მაგალითად, ერთი მხრივ, პრემიერ-მინისტრი ივანიშვილი თანხმობას გამოთქვამდა ბათუმში აშენებულიყო ახალი მეჩეთი,⁵² ან სურდა თავისუფალი გაეხადა რელიგიური ტაბუებისადმი, უშუალოდ საპატრიარქოსადმი კრიტიკის ველი, მაგრამ პარალელურად, ქართული ოცნების ხელისუფლება წინააღმდეგობას უწევს ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობას და საპატრიარქოს ნებისმიერ კრიტიკას ეკლესიის მტრობად ნათლავს. ქართული ოცნების ხელისუფლებამ შექმნა რელიგიის საკითხთა სააგენტო, ცოტა მოგვიანებით პრემიერ მინისტრმა ბახტაძემ განაცხადა, რომ მიღებულია სააგენტოს გაუქმების გადაწყვეტილება,⁵³ მაგრამ სააგენტო არ გაუქმებულა. გარდა ამისა, ხელისუფლება იღებს დისკრიმინაციულ გადაწყვეტილებებს, გამოხატავს დისკრიმინაციულ პოზიციებს იმ ფონზე, როცა საპატრიარქოს კრიტიკული დამოკიდებულების მიუხედავად, ანტიდისკრიმინაციულ კანონს დაუჭირა მხარი. ამ პერიოდში, თუ არ ჩავთვლით უშუალოდ ბ. ივანიშვილის პრემიერ-მინისტრობის დროს, საქართველოში მთავრობის სხვა მეთაურები რელიგიასთან მიმართებით ვერ, ან შეგნებულად არ დგამენ სეკულარული პოლიტიკის გატარებისკენ მიმართულ ნაბიჯებს. აღსანიშნავია, რომ ხელისუფლებას, ერთი მხრივ, სრულიად პანეგირიკული დამოკიდებულება აქვს საპატრიარქოსა და პატრიარქისადმი, მაგრამ სუსტი წარმოდგენელი მასშტაბითა და ინტენსივობით უსმენს და აგროვებს შესაბამის ინფორმაციას უკლებლივ ყველა დონის სასულიერო პირსა და მათთან დაკავშირებულ ადამიანებზე.

2014 წელს საპატრიარქო ხელისუფლებას დაუპირისპირდა ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის მიღებისას და ასევე თვითმმართველობის რეფორმის განხორციელების პროცესში. გამოითქვა არაერთი ვარაუდი, რომ ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღება შესაძლებელი გახდა მხოლოდ ბ. ივანიშვილის პირადი ნების შედეგად, ვინაიდან პარლამენტარების უმრავლესობა

52. პრემიერ მინისტრი ბ. ივანიშვილი: „ამას მარტივი თვალთ უნდა შევხედოთ - ქართველი მუსლიმებიც ჩვენი მოქალაქეები არიან და მათ უნდა მივცეთ საშუალება, თუ არის მოთხოვნა, რომ აშენდეს მეჩეთი.“ „ბიძინა ივანიშვილი - აჭარაში მეჩეთის მშენებლობის თემა პოლიტიზირებული ხელოვნურად გახდა,“ ინტერპრესნიუსი, 14 მარტი, 2013, <https://www.interpressnews.ge/ka/article/232769-bizina-ivanishvili-acharashi-mechetis-msheneblobis-tema-politizirebuli-xelovnurad-gaxda/>.

53. „2014 წელს შექმნილი რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო შერიგებისა და სამოქალაქო თანახმობის საკითხებში ერთადერთი უპორტფელო სახელმწიფო მინისტრის დაქვემდებარებაში ექცევა.“ ზაზა წულაძე, „მცირე მთავრობა“: ქართული ოცნების 'ქამრების შემოჭრის' „მეორე ტალღა“ ამერიკის ხმა, 26 ივნისი, 2018, <https://www.amerikiskhma.com/a/georgia-new-pm-mamuka-bakhtadzes-small-government/4455610.html>.

იზიარებდა ეკლესიის პოზიციას,⁵⁴ მაგრამ ვერ შეეწინააღმდეგებოდა ივანიშვილის ნებას. თვითმმართველობის კანონმდებლობასთან დაკავშირებით კი პატრიარქის პოზიცია, ფაქტობრივად, ყველაზე ძლიერი არგუმენტი გახდა ოცნების ხელისუფლებისთვის კანონის ჩასაგდებად. ილია მეორემ ეს კანონპროექტი ქვეყნის დაშლის წინაპირობად შეაფასა.⁵⁵

წლების განმავლობაში სახელმწიფო მხოლოდ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას აფინანსებდა, მაგრამ 2014 წელს მთავრობამ დაიწყო ოთხი რელიგიური გაერთიანების: მუსლიმი თემის, სომეხთა სამოციქულო ეკლესიის, კათოლიკე ეკლესიისა და ებრაული თემის დოტაციური დაფინანსება. თავისთავად, რელიგიური გაერთიანებების დაფინანსების გამრავალფეროვნება თანასწორობის კონტექსტში პოზიტიურ მოვლენად შეიძლება მიჩნეულიყო, რომ არა ორი ფაქტორი: დაფინანსება სხვა რელიგიურ გაერთიანებებს უნდა შეეხებოდა,⁵⁶ მაგალითად, ლუთერულ ეკლესიას, ეზიდ თემს, ევანგელურ - ბაპტისტურსა და სახარების რწმენის ეკლესიებს; რამდენადაც დაფინანსების საფუძვლად საბჭოთა პერიოდში მიყენებული ზარალის კომპენსაცია იყო გამოცხადებული, ჩამოთვლილი რელიგიური გაერთიანებები კი, საბჭოთა პერიოდში მძიმედ დაზარალდნენ. ამასთანავე, გაჩნდა დასაბუთებული ეჭვი, რომ სახელმწიფოს დაფინანსება ნახსენები რელიგიური გაერთიანებების გასაკონტროლებლად, მათი ამა თუ იმ საკითხისადმი დამოკიდებულების განმაპირობებელ ფაქტორად შეიძლება გამოეყენებინა. რელიგიური ორგანიზაციები და ადამიანის უფლებებზე მომუშავე აქტორები დაფინანსების მოდელის დისკრიმინაციულ შინაარსზეც უთითებდნენ და ზოგიერთ შემთხვევაში, მას რელიგიური უმცირესობების შიდა ავტონომიაში ჩარევის მექანიზმად

54. „არის საკითხები, რომლის დაშვება არ შეიძლება. როგორ შეიძლება უკანონობა დააკანონო? უკანონობის დაკანონება ეს დიდი ცოდვაა და სწორედ ამის შესახებ ვთქვი მე და მე რომ არ მეთქვა, ის იქნებოდა გასაკვირი და ის იქნებოდა საოცარი, რომ არ მეთქვა. მე ვალდებული ვარ, უნდა მეთქვა, – განაცხადა ილია მეორემ. „საქართველოს პატრიარქი ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის მიღებაზე,“ სამოქალაქო საქართველო, 6 მაისი, 2014, <https://civil.ge/ka/archives/152945>.

55. „ჩვენი პარლამენტი და ჩვენი ხელისუფლება დღეს განიხილავს, მსჯელობს თვითმმართველობის საკითხზე, კანონზე. ეს მეტად რთული საკითხია. ეს თუ განხორციელდა, ჩვენ მივალთ საქართველოს დაშლისაკენ, დარღვევისკენ. ჩვენ არასდროს არ შევურიგდებით ამას და ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ეს არ შესრულდეს“ - განაცხადა პატრიარქმა მცხეთის საკათედრო ტაძარში ქადაგებისას. „პატრიარქი: თვითმმართველობის ახალი კოდექსის პროექტი ქვეყნის 'დაშლას' გამოიწვევს,“ სამოქალაქო საქართველო, 5 დეკემბერი, 2013, <https://old.civil.ge/geo/article.php?id=27635>.

56. სახალხო დამცველი: „1. რელიგიურ გაერთიანებათა დაფინანსების გათვალისწინებული ფორმა ვერ აღმოფხვრის იმ რელიგიური გაერთიანებების დისკრიმინაციას, რომლებიც არ მიიღებენ სახელმწიფო დაფინანსებას, არამედ შეიძლება გააღრმავოს უთანასწორო გარემო; 2. სახელმწიფო ბიუჯეტიდან პირდაპირი, დოტაციური წესით დაფინანსება არ ეფუძნება მოქალაქეთა (გადასახადის გადამხდელთა) ნება-სურვილის გათვალისწინებას იმასთან დაკავშირებით, თუ რომელი რელიგიური გაერთიანების დაფინანსება სურს ამა თუ იმ გადასახადის გადამხდელს და რა ფორმით;“ უჩა ნანუაშვილი, „სახალხო დამცველის განცხადება რელიგიური გაერთიანებების დაფინანსებასთან დაკავშირებით,“ http://tolerantoba.ge/index.php?news_id=534.

განიხილავდნენ.⁵⁷ ოთხი რელიგიური ორგანიზაციის დაფინანსების პროცესში გამოვლინდა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც კონკრეტულ რელიგიაში არსებული სხვადასხვა რელიგიური ორგანიზაციის შეთანხმების ან/და გაერთიანების დავალდებულებას იწვევდა და გაერთიანების თავისუფლების უფლებას არსებითად არღვევდა. ამ კუთხით აღსანიშნავია საქართველოს მუსლიმთა უმაღლესი სასულიერო სამმართველოს საკონსტიტუციო სარჩელი, რომელშიც ის დავობს მთავრობის 2014 წლის 27 იანვრის დადგენილების იმ ჩანაწერზე, რომელიც მუსლიმთა ორი რელიგიური ჯგუფისგან - შიიტებისა და სუნიტებისაგან - ითხოვს ერთი საჯარო სამართლის იურიდიული პირის ან წარმომადგენლობითი საბჭოს შექმნას. ამ მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში რელიგიური ჯგუფი კარგავს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების მიღების შესაძლებლობას.⁵⁸ სახალხო დამცველთან არსებულ რელიგიათა საბჭოს 2020 წლის რეკომენდაციების დოკუმენტში, პრობლემის აღწერის ნაწილში დაფინანსების საკითხის შესახებ ვკითხულობთ: „უნდა ითქვას, რომ ოთხი რელიგიური ორგანიზაციის დაფინანსების პროცესი მთავრობის ფინანსურ კონტროლსაც ექვემდებარება. მთავრობა რელიგიურ ორგანიზაციებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში არა მხოლოდ ხარჯვის მიზნობრიობას განსაზღვრავს, არამედ დაფინანსების მიზანშეწონილობის, აუდიტორული შემოწმების და ამ კუთხით გამოვლენილი პრობლემის შემთხვევაში, მისი შეჩერებისა და შეწყვეტის უფლებამოსილებას იტოვებს. ეს მიდგომა კომპენსაციის იდეას, რომელიც საკუთრების უფლების დარღვევის აღდგენის მექანიზმია, არსებითად ეწინააღმდეგება.“⁵⁹

2014 წელს დაარსდა სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო, რომელიც საქართველოს უშუალოდ ექვემდებარება პრემიერ-მინისტრს. სამთავრობო სისტემაში სააგენტო რელიგიის თავისუფლების საკითხებზე პასუხისმგებელ ძირითად უწყებას წარმოადგენს და ოფიციალური პოლიტიკის დოკუმენტები (მათ შორის, ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა) სწორედ მას აკისრებს ამ სფეროში სახელმწიფოს ძირითადი ვალდებულებების შესრულებას. სააგენტოს სტრუქტურა წააგავს საბჭოთა პერიოდში მოქმედ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ რელიგიის საკითხთა რწმუნებულის საბჭოს, რომლის რეალური მიზანი რელიგიური გაერთიანებების მართვა და კონტროლი იყო. ამ გადაწყვეტილებით ქართული ოცნების ხელისუფლებამ საფუძვლიანი ვარაუდი გააჩინა, რომ სხვადასხვა რელიგიურ ჯგუფს იგი განიხილავს არა ადამიანის უფლებებისა და

57. რელიგიათა საბჭო და ტოლერანტობის ცენტრი, “საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული რელიგიათა საბჭოს რეკომენდაციები 2017,” 17 მაისი, 2017, http://tolerantoba.ge/failebi/qartuli_broshura_saxalxo_damcveli_87902.pdf; ეთერ გვრიტიშვილი et al., “რელიგიური ორგანიზაციების სახელმწიფო დაფინანსების პოლიტიკა (2014-2015)” (თბილისი, EMC და TDI, 2016) <https://socialjustice.org.ge/ka/products/kvleva-religiuri-organizatsiebis-sakhelmtsifo-dafinansebis-politika-2014-2015>.

58. „საია სახელმწიფო ბიუჯეტიდან მუსლიმების დისკრიმინაციული დაფინანსების წესს საკონსტიტუციო სასამართლოში ასაჩივრებს,” საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 5 აპრილი, 2016, <https://gyla.ge/ge/post/saia-sakhelmtsifo-biujetidan-muslimების-diskriminაციული-dafinansebis-tsess-sakonstitucio-sasamartloshi-asachivrebs#sthash.uc1xdWgl.mBPqGh0R.dpbs>.

59. მარიამ ღავთაძე et al., “საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული რელიგიათა საბჭოს რეკომენდაციები 2020,” რედ. ბექა მინდიაშვილი (თბილისი: ტოლერანტობის ცენტრი, 24 სექტემბერი, 2020), გვ. 29-32, <https://www.ombudsman.ge/res/docs/2020092417162834667.pdf>.

კანონის უზენაესობის, არამედ უსაფრთხოების კონტექსტში.⁶⁰ მნიშვნელოვანია, რომ რელიგიის საკითხთა სააგენტოს გაუქმებას უკვე წლებია ითხოვენ რელიგიის თავისუფლებაზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები, ხოლო რელიგიური გაერთიანებების უმრავლესობა მისდამი კრიტიკულ პოზიციას გამოხატავს.⁶¹ მიუხედავად იმისა, რომ, ერთი შეხედვით, სააგენტოს არსებითად საკონსულტაციო მანდატი აქვს, უწყებას მთავრობისა და პარლამენტისთვის არ წარუდგენია ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული რეკომენდაციები და ხედვები, რომლებიც რელიგიის თავისუფლებასთან დაკავშირებული კანონმდებლობისა და პოლიტიკის პოზიტიურ ცვლილებას გამოიწვევდა.⁶² ამასთან, საკონსულტაციო ფუნქციის მიღმა, უწყება ზოგჯერ უშუალოდ არის ჩართული რელიგიური გაერთიანებების ფინანსური და ქონებრივი საკითხების გადაწყვეტისა და მართვის პროცესში, რამდენადაც სააგენტოს საქმიანობის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილიც ოთხი რელიგიური ორგანიზაციის დაფინანსების მართვასა და ფინანსური და ქონებრივი კომისიის საქმიანობის გაძღოლას უკავშირდება.⁶³

ამის პარალელურად, პარლამენტში არაერთხელ დადგა რელიგიის თავისუფლებასთან დაკავშირებული სამართლებრივი სტანდარტების გაუარესების რისკის შემცველი ინიციატივები (მათ შორის, კონსტიტუციაში რელიგიის თავისუფლების შეზღუდვის საფუძვლებში სახელმწიფო უსაფრთხოების შეტანის საკითხი; რელიგიის შესახებ სპეციალური კანონის მიღების საკითხი; საჯარო სივრცეში ჩადრით, ნიქაბით და ბურკით გამოჩენის აკრძალვის საკითხი, რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფის კრიმინალიზაციის მოთხოვნა, არადომინანტური რელიგიური გაერთიანებების

60. „საქმიანობის პროცესში გამოვლინდა, რომ სააგენტოს საქმიანობაზე კონტროლი საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამსახურის ხელში აღმოჩნდა. რელიგიის საკითხთა სააგენტოსთვის კანონმდებლობით დასახულ მიზნებსა და რეალურ საქმიანობას შორის შეუსაბამობაზე სხვადასხვა დროს საუბრობდნენ არა მხოლოდ ცალკეული რელიგიური გაერთიანებების წარმომადგენლები, საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციები, არამედ სააგენტოს საქმიანობაში ჩართული აკადემიური სფეროს წარმომადგენლებიც, რომელთა უმრავლესობამ, ამ უწყების დისკრიმინაციული და არადემოკრატიული საქმიანობის გამო, სააგენტოსთან საქმიანი ურთიერთობა განწყვიტა.“ ადამიანის უფლებების მონიტორინგისა და სწავლების ცენტრი, „რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს საქმიანობის კრიტიკული ანალიზი“ (თბილისი: ადამიანის უფლებების მონიტორინგისა და სწავლების ცენტრი, 14 ოქტომბერი, 2020), გვ. 72-73, <https://socialjustice.org.ge/ka/products/religiis-sakitkhta-sakhelmtsifo-saagentos-sakmianobis-kritikuli-analizi-1>. „რელიგიური უმცირესობების ქვეყნის უსაფრთხოებისთვის პოტენციურ საფრთხედ აღქმა რელიგიის საკითხთა სააგენტოს საქმიანობაზე დღემდე ახდენს ზეგავლენას. ნიშანდობლივია, რომ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს რეგიონული წარმომადგენლობები ჰყავს. სწორედ, მისივე სტრატეგიის პროექტის მიხედვით უსაფრთხოების თვალსაზრისით პრობლემურად მიჩნეულ სამ რეგიონში: სამცხე-ჯავახეთში, ქვემო ქართლსა და აჭარაში.“ Ibid., 77.

61. „არასამთავრობოები რელიგიის საკითხთა სააგენტოს გაუქმების შესახებ,“ ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი, 18 ივლისი, 2018, <https://tdi.ge/ge/statement/arasamtavroboebi-religiis-sakitxta-saagentos-gaukmebis-shesaxeb>.

62. ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი, „რელიგიური უმცირესობების დაცვა - ადამიანის უფლებათა დაცვის სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის ანგარიში“ (თბილისი: ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი, 3 ოქტომბერი, 2018), <https://socialjustice.org.ge/ka/products/religiuri-umtsiresobebis-datsva-adamianis-uflebata-datsvis-strategiebisa-da-samokmedo-gegmebis-shesrulebis-monitoringis-angarishi>.

63. მარიამ ღავთაძე et al., „საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული რელიგიათა საბჭოს რეკომენდაციები 2020.“

სასულიერო პირების სამხედრო სამსახურიდან გათავისუფლების არსებული წესის გაუქმების ინიციატივა), რომლებიც ძირითადად ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ იყო მხარდაჭერილი.

2017 წლის საკონსტიტუციო რეფორმის შედეგად მიღებულ საკონსტიტუციო ცვლილებებში რწმენისა და რელიგიის თავისუფლების მუხლის ის ნაწილი, რომელიც რელიგიის თავისუფლების შეზღუდვის გაუმართლებელ პირობებს უკავშირდებოდა, ახალი ფორმულირებით ჩამოყალიბდა. სახალხო დამცველთან არსებული რელიგიათა საბჭოს, ტოლერანტობის ცენტრის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ვენეციის კომისიის მიერ ჩატარებული სამუშაოს შედეგად,⁶⁴ 2018 წელს უზენაესი კანონიდან საკანონმდებლო ორგანომ რელიგიის თავისუფლების შეზღუდვის პრობლემატური საფუძვლები: სახელმწიფო უსაფრთხოება, დანაშაულის თავიდან აცილება და მართლმსაჯულება ამოიღო. ამ ცვლილებით კონსტიტუცია დაუახლოვდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის რელიგიის თავისუფლების მუხლის სტრუქტურას.

2018 წლის 3 ივლისს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ რელიგიური გაერთიანებების ორი სარჩელი დააკმაყოფილა და უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება მიიღო. საქართველოს საგადასახადო კოდექსისა და სახელმწიფო ქონების შესახებ კანონის ნორმები არღვევდა კონსტიტუციის მე-14 მუხლს (თანასწორობის უფლება) და რელიგიური გაერთიანებებისთვის დისკრიმინაციულ გარემოს ქმნიდა. სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო საქართველოს საგადასახადო კოდექსის ის ნორმა, რომელიც ჩათვლის უფლების გარეშე დღგ-ის გადახდისგან ათავისუფლებს საპატრიარქოს დაკვეთით ტაძრებისა და ეკლესიების მშენებლობას, რესტავრაციასა და მოხატვას (168-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი)⁶⁵. სადავო ნორმა უპირატეს მდგომარეობაში აყენებდა საქართველოს საპატრიარქოს და მას უქმნიდა მომსახურების უფრო ხელსაყრელი პირობებით შექმნის შესაძლებლობას. საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო ასევე „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის ის ნორმა, რომელიც სახელმწიფო ქონების უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესაძლებლობას მხოლოდ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებელი

64. „საქართველოს პარლამენტმა, ვენეციის კომისიის რეკომენდაციის გაზიარების საფუძვლით, მეორე საპარლამენტო მოსმენის ფარგლებში, წარმოდგენილი დებულება შემდეგნაირად ჩამოაყალიბა: „ამ უფლებათა შეზღუდვა შეიძლება მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიული საზოგადოების არსებობისათვის საუციულებელი სახელმწიფო საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის, დანაშაულის თავიდან აცილების, ჯანმრთელობის დაცვის, მართლმსაჯულების განხორციელების ან სხვათა უფლებების დაცვის მიზნით.“ TDI მიიჩნევს, რომ ამგვარი ჩანაწერით სახელმწიფომ რელიგიის თავისუფლების შეზღუდვის ფარგლები კი არ დაავიწროვა, არამედ პირიქით, გააფართოვა, რაც წინააღმდეგობაშია როგორც ვენეციის კომისიის რეკომენდაციებთან, ასევე ადამიანის უფლებათა და ძირითად უფლებათა ევროპული კონვენციის ნორმებთან.“ ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი, „TDI-ის შეფასება კონსტიტუციაში რელიგიის თავისუფლების შეზღუდვაზე“, 6 ივლისი, 2017, <https://tdi.ge/ge/statement/tdi-shepaseba-konstituciashi-religiis-tavisuplebis-shezgudvaze>.

65. სსიპ „საქართველოს ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესია“, ააიპ „საქართველოს სიცოცხლის სიტყვის ეკლესია“, სსიპ „ქრისტეს ეკლესია“, სსიპ „საქართველოს სახარების რწმენის ეკლესია“, ააიპ „მეშვიდე დღის ქრისტიან-ადვენტისტთა ეკლესიის ტრანსკავკასიური იუნიონი“, სსიპ „ლათინ კათოლიკეთა კავკასიის სამოციქულო ადმინისტრაცია“, ააიპ „ქართველ მუსლიმთა კავშირი“, სსიპ „წმინდა სამების ეკლესია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, №1/1/811 (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, 3 ივლისი, 2018). <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4252828?publication=0>

ეკლესიისთვის ითვალისწინებს (6(3) მუხლის პირველი პუნქტი)⁶⁶. სასამართლომ აღნიშნა: „ეკლესიის განსაკუთრებული როლის აღიარება დაკავშირებულია მის ისტორიულ ღვანლთან და არ ემსახურება მართლმადიდებელი ქრისტიანული რელიგიისთვის პრივილეგირებული სამართლებრივი მდგომარეობის შექმნას ანმყოში. განუელი ისტორიული ღვანლი არ შეიძლება განვიხილოთ როგორც პრივილეგიის ლეგიტიმურობის წყარო. დიფერენცირება და ეკლესიისთვის სამართლებრივად უპირატესი მდგომარეობის შექმნა არ არის და არ შეიძლება იყოს კონსტიტუციის მიზანი. [...] ეკლესიისთვის გარკვეული უფლების მინიჭება არ გულისხმობს იმავე უფლებით სხვა რელიგიური ორგანიზაციების მიერ სარგებლობის ხელშეშლას.“

ქართული ოცნების ხელისუფლებაში მოსვლის პარალელურად საქართველოში მუსლიმების დევნა გააქტიურდა. 2012 წლის ნოემბრიდან 2016 წლის ჩათვლით ეთნიკურად ქართველი მუსლიმების წინააღმდეგ თავდასხმები განხორციელდა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე: ნიგვზიანი, წინწყარო, სამთაწყარო, ქელა, მოხე, ადიგენი, ქობულეთი მუსლიმების უფლებათა დარღვევის კერებად იქცა. თავდასხმებში მონაწილეობდნენ ადგილობრივი ხელისუფლებისა და პოლიციის თანამშრომლები. მაგალითად, სამთაწყაროელ მუსლიმებს საკრებულოს თავმჯდომარის ხელმძღვანელობით შეუცვივდნენ მეჩეთში, გამოყარეს მლოცველები, სამლოცველო ატრიბუტიკა, ხოლო შემდეგ მოლას საკუთარ სახლში დაესხნენ თავს, შეურაცხყოფა მიაყენეს მის მეუღლეს და აიძულეს, სოფელი დაეტოვებინა. მანამდე, როგორც ჩანს, სუსის ორი თანამშრომელი, რომლებიც თბილისიდან იყვნენ ჩასულები, საკუთარ მანქანაში მუსლიმი ღვთისმსახურის დაშანტაჟებას ორი საათის განმავლობაში ცდილობდნენ.⁶⁷ უფრო მასშტაბური და შემაშფოთებელი იყო 2013 წელს ახალციხის რაიონის სოფელ ქელაში აღმართული მინარეთის მოჭრის ფაქტი. საქართველოს საზღვარზე მინარეთის კონსტრუქციის შემოტანისას, იმ მოტივით, რომ განბაჟებისას დაშვებულია ფინანსური შეცდომა, რომელიც დაახლოებით 2000 ლარის ცდომილებას მოიცავდა, პირდაპირი მნიშვნელობით, მოხერხეს და დაასაწყობეს მინარეთის კონსტრუქცია. ხელისუფლებას ეს აქტი, თვითმხილველების თქმით, ორი ვერტმფრენის, 50-მდე პოლიციის მანქანისა და სპეცსამსახურის ორასამდე თანამშრომლის მობილიზების ფასად დაუჯდა. მეჩეთზე განხორციელებული თავდასხმისას ფიზიკურად

66. სსიპ „საქართველოს ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესია“, სსიპ „საქართველოს ევანგელურ-ლუთერული ეკლესია“, სსიპ „სრულიად საქართველოს მუსლიმთა უმაღლესი სასულიერო სამმართველო“, სსიპ „დახსნილ ქრისტიანთა საღვთო ეკლესია საქართველოში“ და სსიპ „საქართველოს სახარების რწმენის ეკლესია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ და მოსამართლე ევა გოცირიძის თანმხვედრი აზრი № 811 კონსტიტუციურ სარჩელზე მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, 3 ივლისი, 2018). <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4252883?publication=0>

67. „2013 წლის 7 ივნისს მართლმადიდებელი მოსახლეობა მეჩეთთან შეიკრიბა და ამ ფორმით ცდილობდა ლოცვის შესრულებაში ხელის შეშლას. სოფელ სამთაწყაროში მცხოვრებ მუსლიმთა სულიერი წინამძღვრის - ხოჯა ს.ბ.-ს განმარტებით, 2013 წლის 7 ივნისს, მას ავტომანქანით ორმა უცნობმა მიაკითხა, რომლებმაც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებად გააცნეს თავი და ხოჯა სოფელში რელიგიური დაძაბულობის წარმოქმნასა და მუსლიმთა სალოცავის გახსნის სანაცვლოდ თანხის აღებაში დაადანაშაულეს. მუსლიმთა წინამძღოლის თქმით, ავტომობილში მას დაპატიმრებით ემუქრებოდნენ. დაახლოებით 1 საათის შემდეგ ს.ბ. სამლოცველოსთან მიიყვანეს, თუმცა ავტომანქანიდან გადმოსვლისთანავე იგი შეუძლოდ გახდა.“ საქართველოს სახალხო დამცველი, „ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2013 წელი“ (თბილისი: საქართველოს სახალხო დამცველი, 2013), გვ. 299, <https://drive.google.com/file/d/19AjSGIOHEQkzj0HV-rxQ56sXgF0E6d7/view>.

გაუსწორდნენ მინარეთის დამცველებს, თერთმეტი მუსლიმი კი იქვე დააკავეს. დაახლოებით ორ თვეში ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე მინარეთის კონსტრუქცია მუსლიმ თემს დაუბრუნეს. საინტერესო პროცესი განვითარდა სოფელ მოხეშიც, სადაც საპატრიარქომ პრეტენზია გამოთქვა უფუნქციო მეჩეთზე, თუმცა ადგილობრივ მუსლიმებს არა მხოლოდ მის დაბრუნებაზე, არამედ დასუფთავებაზეც კი უარს ეუბნებოდნენ. ხანგრძლივი წინააღმდეგობის შემდეგ მუსლიმებს სხვა ადგილას შესთავაზეს მეჩეთის აშენება. მუსლიმების წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკის განსაკუთრებით თვალსაჩინო მაგალითია ბათუმის მუნიციპალიტეტის დისკრიმინაციული უარი მეჩეთის მშენებლობის ნებართვის გაცემაზე. მუსლიმების წინააღმდეგ განხორციელებულ თავდასხმებისა და დისკრიმინაციის ცხრიდან რვა შემთხვევაზე პასუხისმგებლობა არავის დაჰკისრებია.⁶⁸ 2021 წლის ბოლოს ჩოხატაურის რაიონის სოფელ ბუკნარში, ადგილობრივი მუსლიმების მცდელობას, კანონიერად გაეხსნათ მეჩეთი, დიდი წინააღმდეგობა მოჰყვა. ბუკნარის შემთხვევამ დაგვანახა: ქართული ოცნების მთავრობის პოლიტიკა მიმართულია იქითკენ, რომ მხოლოდ უმრავლესობის კონტექსტში, უმრავლესობის ინტერესებიდან და პერსპექტივიდან აღიქვას, განიხილოს და გადაჭრას უმცირესობათა ჭკუების საკითხები. ხელისუფლება, როგორც წესი, არ ამოდის კანონის უზენაესობისა და თანასწორუფლებიანობის მოთხოვნიდან, არამედ, ცდილობს, უმრავლესობის ინტერესისა და პრივილეგირებული პოზიციის გათვალისწინებით უმცირესობათა უფლებრივი საკითხის ან შეძლებისდაგვარად გადაჭრას ან მიჩქმალოს, რასაც, მოჰყვება ხოლმე მორიგი სიტყვიერი ასევე ფიზიკური თავდასხმები უმცირესობებზე. სწორედ ამ მანკიერი მიმართების გამოვლინებაა, წლების განმავლობაში, მთელი ის ჯაჭვი მოვლენებისა, რომლებიც საქართველოში მუსლიმი მოქალაქეების უფლებების უხეშ ხელყოფასთან იყო და არის დაკავშირებული. აქვე იმის თქმაც აუცილებელია, რომ გადაუჭრელია ბათუმის ახალი მეჩეთის მშენებლობასთან დაკავშირებული პრობლემა. 2019 წელს ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომლითაც ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობის საკითხზე ბათუმის მერიის უარი დისკრიმინაციულად და უკანონოდ იქნა მიჩნეული, 2021 წელს ძალაში დატოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ, რასაც ბათუმის მერიის მხრიდან გადაწყვეტილების უზენაეს სასამართლოში გასაჩივრება მოჰყვა. რელიგიის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მერიის ამგვარი ნაბიჯი საკუთარი ვალდებულებების შესრულების გაჭიანურების სტრატეგიის ნაწილად შეფასდა, რაც ლახავს მუსლიმი თემის უფლებებს და აფერხებს მათ სრულყოფილ რეალიზებას.

2016 წელს საქართველოს რომის პაპი, ფრანცისკე ესტუმრა. იოანე პავლე მეორისგან განსხვავებით, საპატრიარქომ ის უფრო თბილად მიიღო, თუმცა, როცა პაპი ფრანცისკე თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე წირვის ჩასატარებლად შევიდა, მას თითქმის ცარიელი ტრიბუნები დახვდა. როგორც თავად კათოლიკე მრევლის წარმომადგენლები ამბობდნენ, ადგილობრივმა თვითმმართველობებმა ხელი შეუშალეს მორწმუნეთა ჩამოსვლას იმ რეგიონებიდან, სადაც ქართველი კათოლიკეები ცხოვრობენ.

კვლავაც სისტემურ პრობლემად რჩება რელიგიური ნიშნით ძალადობის გამო ეფექტური გამოძიების წარმართვა. წლების განმავლობაში დაგროვებული ასე-ულობით საქმიდან, ერთი - ორი გამონაკლისის გარდა, უმრავლესობა უშედეგოდაა შეჩერებული ან შეწყვეტილი. სიძულვილის ნიშნით ძალადობამ და მასზე ადეკვატური

68. მარიამ ღავთაძე et al., „რელიგიისა და რწმენის თავისუფლება საქართველოში, ანგარიში 2010-2019“ (თბილისი: ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი, 2020), გვ.105-115, http://tdi.ge/sites/default/files/tdi-angarishi-religiis_tavisupleba_sakartveloshi_2010-2019.pdf.

რეაგირების პრობლემამ შესაძლოა რელიგიური მოტივით ძალადობის ფართოდ გავრცელების საფრთხის წინაშე ისევ დაგვაცენოს.⁶⁹

წლების განმავლობაში ერთ-ერთი ყველაზე მწვავე და გადაუწყვეტელი საკითხია საბჭოთა პერიოდში ჩამორთმეული რელიგიური ნაგებობების რესტიტუცია; ზოგიერთ მათგანზე, მიუხედავად ისტორიული სიცხადისა, უშედეგოდ მიმდინარეობს უსაფუძვლო დავა, თუ რომელი კონფესიის საკუთრებაა იგი. 2017 წელს ე.წ. თანდოიანცის სომხური ეკლესია თბილისის მუნიციპალიტეტმა გადასცა მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოს.⁷⁰ მიუხედავად სახალხო დამცველის პოზიციისა, სასამართლომ ძალაში დატოვა ეს გადაწყვეტილება. იგივე ბედი ეწია სომხურ - კათოლიკურ ეკლესიას ბათუმში, ისტორიული ნაგებობა ბათუმის ცენტრში ამ შემთხვევაშიც მართლმადიდებელ ეკლესიას გადაეცა, მაშინ, როცა ისტორიული ფოტო თუ ნარატიული დოკუმენტებით მისი კუთვნილება დავას არ ინვევდა. ანალოგიური პრობლემის წინაშე დგას უშუალოდ კათოლიკე ეკლესიაც, რომლის ისტორიულ ტაძრებში დღეს კათოლიკეებს მოსალოცადაც ძნელად ან საერთოდ არ უშვებენ. ე.წ. სადავო ტაძრები დროთა განმავლობაში ან ინგრევა, ან იცვლება მათი თავდაპირველი იერსახე, იშლება ამ ძეგლების წარმომავლობის დამადასტურებელი ნიშნები ინტერიერსა და ექსტერიერში. სომხური, კათოლიკე, ლუთერული ეკლესიები, იუდაური და მუსლიმი თემები, საკუთრების უფლებით იმ ისტორიულ ნაგებობებსაც კი ვერ იბრუნებენ, რომლებშიც ამჟამად მსახურებას აღასრულებენ; ეს სივრცეები სახელმწიფოს მიერ მათთვის მხოლოდ დროებით მფლობელობაშია გადაცემული.

2017 – 2022 წლებში განსაკუთრებული მასშტაბი შეიძინა სიძულვილის ყოველმხრივმა პროპაგანდამ, რომელზეც არასათანადოდ და არაეფექტურად რეაგირებდა ხელისუფლება ანდა, პირდაპირ შეიძლება ითქვას, თავისი პოზიციით ხელს უწყობდა შეუწყნარებლობისა და ძალადობის გავრცელებას.

2020 წლის მიწურულს საეკლესიო ამბიონებიდან გავრცელდა რამდენიმე მართლმადიდებელი სასულიერო პირის, როგორც მღვდელმთავრის, ასევე მღვდლების ე.წ. საეკლესიო ანტისემიტიზმის შემცველი ქადაგება. არაერთი მოწოდების მიუხედავად, ანტისემიტიზმი არ დაუგმია საპატრიარქოსა და საქართველოს მთავრობას, ისინიც მხოლოდ ზოგადი განცხადებებით შემოიფარგლნენ იმის შესახებ, რომ საქართველოში არასოდეს ჰქონია ადგილი ანტისემიტიზმს.⁷¹ სახალხო დამცველმა, ტოლერანტობის ცენტრთან და რელიგიათა საბჭოსთან ერთად, მკაფიოდ შეაფასეს ანტისემიტიზმი. ასევე მნიშვნელოვანი იყო ისრაელის ელჩისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გაკეთებული არაორაზროვანი განცხადებები. ანტისემიტიზმის არსებობა ქართულ საზოგადოებაში ღრმად დაფარული პრობლემაა, რომელზეც ლაპარაკი არავის სურს, მაშინ, როდესაც 2018 წელს, სწორედ ანტისემიტური სიძულვილის საფუძველზე გამოასალმეს სიცოცხლეს

69. „სახალხო დამცველის პრაქტიკის თანახმად, გასული წლის საანგარიშო პერიოდის მსგავსად, კვლავ გამოწვევად რჩება სავარაუდო სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების არაეფექტიანი გამოძიება. სავარაუდო სიძულვილის მოტივით ჩადენილი დანაშაულების შესახებ მომართვიანობა, როგორც წესი, სტაბილურად მაღალია იეჰოვას მოწმეებისა და ლგბტ+ ადამიანების მხრიდან.“ საქართველოს სახალხო დამცველი, „საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2021 წელი,” 2022, <https://www.ombudsman.ge/res/docs/2022040413242699860.pdf>.

70. საქართველოს სახალხო დამცველი, „ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2018 წელი” (თბილისი: საქართველოს სახალხო დამცველი, 2018), გვ.148, <https://www.ombudsman.ge/res/docs/2019042620571319466.pdf>.

71. ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი, „საეკლესიო ანტისემიტიზმი - განახლებადი ინფორმაცია,” 9 თებერვალი, 2021, <http://tdi.ge/ge/statement/saeklesio-antisemitizmi-ganaxlebad-i-npormacia>.

ეთნიკურად ებრაელი უფლებათა დამცველი და სამოქალაქო აქტივისტი, ვიტალი საფაროვი.⁷²

2021 წელს ადამიანის უფლებების მასშტაბური და უპრეცედენტო დარღვევების მომსწრენი გავხდით, რომელთა შედეგების ფსიქო-ემოციური და პოლიტიკური დაძლევა, სამომავლოდ, მეტისმეტად დიდ ძალისხმევასთან შეიძლება იყოს დაკავშირებული. 5 ივლისს ხელისუფლებისა და საპატრიარქოს მხრიდან წახალისებული ან ხელშეწყობილი ექსტრემისტი მოძალადე ჯგუფების მიერ 50-ზე მეტი ჟურნალისტის წინააღმდეგ დემონსტრაციული ფიზიკური ანგარიშსწორებითა და ტელეოპერატორ ლექსო ლაშქარავას გარდაცვალებით დასრულდა. უკიდურესად შემაშფოთებელი იყო 5 ივლისამდე და 5 ივლისის შემდეგ საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ გაცხადებული პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ ხელისუფლება ვერ დაიცავს უმცირესობებს „უმრავლესობის“ თავდასხმებისგან.⁷³ მიუხედავად იმისა, რომ ეს განცხადებები კონკრეტულად განსხვავებული ორიენტაციის ადამიანების გამოხატვის, შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლების წინააღმდეგ გაკეთდა, უფრო ფართო კონტექსტში, ნათლად აჩვენებდა, რამდენად დიდი საფრთხის წინაშე დგას საქართველოში კონსტიტუციის, ლიბერალური - დემოკრატიის ფუნდამენტური პრინციპების დაცვა. სახელმწიფოში, სადაც ხელისუფლება უმცირესობათა დაცვაზე გაცხადებულ უარს ამბობს, უფლებობისა და ძალადობის საფრთხის წინაშე შეიძლება აღმოჩნდეს თითოეული ადამიანი, როგორც - უმცირესობის წარმომადგენელი. საპატრიარქომ, ასევე კიდევ სხვა სამმა რელიგიურმა ორგანიზაციამ, ამ პროცესში, გაავრცელეს ძალადობის წამახალისებელი თითქმის იდენტური განცხადებები, თუმცა სახალხო დამცველთან არსებულმა რელიგიათა საბჭომ, სამართლიანი პოზიცია დაიკავა: რელიგიათა საბჭოში შემავალი რელიგიური გაერთიანებების დიდმა უმრავლესობამ მკვეთრად დაგმო 5 ივლისის ძალადობა და, ამავდროულად, მხარი არ დაუჭირა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის თანამოსაყდრის მიერ გაჟღერებულ ინიციატივას რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფის დასჯადობის შესახებ კანონის მიღების აუცილებლობასთან დაკავშირებით.⁷⁴

72. ეკა ქევანიშვილი, „იცი რატომ მომკლეს? - ვიტალი საფაროვი,“ რადიო თავისუფლება, 15 ოქტომბერი, 2019, <https://www.radiotavisupleba.ge/a/30217488.html>.

73. პრემიერი ი. ღარიბაშვილი: „ჰკითხეთ ნებისმიერ მოქალაქეს, 90-85% არის წინააღმდეგი ასეთი დემონსტრაციული მარშების. არ არის საჭირო, ჩვენ კონსერვატიული, ტრადიციული საზოგადოება ვართ. 85% არის მართლმადიდებელი ქრისტიანი, სხვა ღირებულებები გვაქვს... მეორედ შემეკითხებით, თუ რატომ არ დავიცავით ეს ხალხი. როგორ უნდა დაიცვას 30 კაცი სახელმწიფომ, მაშინ უნდა გადაუაროს უმრავლესობას თუ რა უნდა მომხდარიყო, ვერ გავიგე.“ „ღარიბაშვილი 5 ივლისზე: 30 კაცი როგორ უნდა დაიცვას სახელმწიფომ, უმრავლესობას გადაუაროს?“ ტაბულა, 17 სექტემბერი, 2021, <https://tabula.ge/ge/news/673168-gharibashvili-5-ivlisze-30-katsi-rogor-unda>.

74. რელიგიათა საბჭო: ჩვენ, რელიგიათა საბჭოში წარმოდგენილი რელიგიური გაერთიანებები, გამოვხატავთ უკიდურეს შეშფოთებას იმ მასობრივი ძალადობის გამო, რაც თბილისში, 5-6 ივლისს ვიხილეთ. ჩვენც, რელიგიური გაერთიანებების წარმომადგენლებს, ხშირად, ბევრად თუ ნაკლებად, განგვიცდია შეუწყნარებლობა, სიძულვილი, დისკრიმინაცია, უფლებათა შეზღუდვა, შეურაცხყოფა, ძალადობა. ჩვენ კარგად გვესმის, ადამიანის უფლებების დაცვის სურვილის გამო, რას ნიშნავს იყო დევნილი და შევიწროებული. ამიტომ, თანადგომას ვუცხადებთ ამ მასობრივი ძალადობის შედეგად ყველა დაზარალებულს, „სახალხო დამცველთან არსებული რელიგიათა საბჭოს განცხადება: ვგმობთ ძალადობას, არ მივსალმებით რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფის შესახებ კანონის ინიციატივას,“ [Ombudsman.ge](https://www.ombudsman.ge/ge/akhali-ambebi/sakhalkho-datsveltan-arsebuli-religiata-sabchos-gantskhadeba-vgmobt-dzaladobas-ar-mivesalmebit-religiuri-grdznobebis-sheuratskhqofis-shesakheb-kanonis-initsiativias), 10 ივლისი, 2021, <https://www.ombudsman.ge/ge/akhali-ambebi/sakhalkho-datsveltan-arsebuli-religiata-sabchos-gantskhadeba-vgmobt-dzaladobas-ar-mivesalmebit-religiuri-grdznobebis-sheuratskhqofis-shesakheb-kanonis-initsiativias>.

თანასწორუფლებიანობის აშკარა უგულებელყოფა იყო რელიგიური გაერთიანებების საჭიროებებთან, კონკრეტულად კი, სადღესასწაულო დღეებთან დაკავშირებული კოვიდ რეგულაციები, რომელთა მიხედვით, სახელმწიფომ მხოლოდ დომინანტური რელიგიური ჯგუფისთვის გაითვალისწინა განსხვავებული პირობები და შეღავათები, ანუ მხოლოდ მართლმადიდებელ ეკლესიას მიეცა შესაძლებლობა, მაგალითად 2021 წლის შობის დღესასწაული შეზღუდვის გარეშე აღენიშნა, ხოლო სხვა ქრისტიანულ კონფესიებს, - არა. ამ მხრივ შემაშფოთებელი იყო ხელისუფლების არგუმენტაცია: მხოლოდ მართლმადიდებელი ეკლესიისთვის იქნა გათვალისწინებული შეღავათი იმიტომ, რომ მართლმადიდებლები არიან უმრავლესობაში.⁷⁵ ზოგადად, ხელისუფლებამ ვერ მოახერხა პანდემიასთან დაკავშირებით ვერცერთი საგანგებო ზომის მნიშვნელობაში ეკლესიის დარწმუნება. მოთხოვნის მიუხედავად, პანდემიის გამო არ დახურულა ტაძრები, არ შეწყვეტილა ზიარების ტრადიციული წესით მიღების პროცესი, ეკლესიას მოსახლეობისთვის უმეტესწილად არ მოუწოდებია, შინ დარჩენილიყვნენ დიდ დღესასწაულებზე, რაც, საბოლოო ჯამში, დასრულდა პრემიერ-მინისტრ გ. გახარიას აღიარებით, რომ საქართველო არის მართლმადიდებლური სახელმწიფო.⁷⁶ ამ ფრაზის წარმოთქმისას იგი გულისხმობდა იმას, რომ საქართველოს საპატრიარქო კანონის ფარგლებს მიღმა გასული დაწესებულებაა და კანონის მოთხოვნები მხოლოდ რელიგიურ უმცირესობებზე ვრცელდება.

2021 წელს მედიით გავრცელდა მონაცემთა მეტისმეტად ვრცელი ბაზა, რომელიც, სავარაუდოდ, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ წარმოებულ ე. წ. კრებსებს შეიცავს. ფარული მიყურადების ამსახველი მასალების დიდი ნაწილი სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ, როგორც ჩანს, უკანონოდ არის მოპოვებული. ფაილები, დიდი რაოდენობით (ათიათასობით) საჯარო პლატფორმებზე აიტვირთა. მედიით გავრცელებული მასალების მიხედვით, მკაფიოდ ჩანს, რამდენად ტოტალურია უკლებლივ ყველა რელიგიური გაერთიანების საქმიანობის კონტროლი, თვალთვალი და მიყურადება, სასულიერო პირებისა და უფლებადამცველების შესახებ მადისკრედიტირებელი ინფორმაციის შეგროვება და შექმნა. უკანონოდ ისმინება სახალხო დამცველი, სახალხო დამცველის თანამშრომლები, ინტენსიურად ისმინება სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრის თანამშრომლები, ისმინება რელიგიათა საბჭოს შეხვედრები. ამ მასალების საფუძველზე ცხადი ხდება, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური არამარტო აყურადებს და აანალიზებს მის მიერ უკანონოდ მოპოვებულ ინფორმაციას, არამდე თავად ქმნის ქორებსა და ლეგენდებს სხვადასხვა ადამიანის გამიზნული დისკრედიტაციის მიზნით. ერთი-ერთი ასეთი შემთხვევა, მედიით გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, არის ქართველ მუსლიმთა კავშირის ყოფილი თავმჯდომარის, საქართველოს პარლამენტის წევრის, ტარიელ ნაკაიძის წინააღმდეგ შეთხზული ლეგენდა, რომლის მიზანს, ფაილების თანახმად, მისი აქტიურობის შეფერხება და საერთაშორისო

75. „ხელმომწერი რელიგიური გაერთიანებები შეშფოთებული ვართ საქართველოს მთავრობის ვიცე-პრემიერის, მაია ცქიტიშვილის მიერ გამოთქმული პოზიციის გამო. ქალბატონმა მაიამ, მიმდინარე წლის 27 ნოემბერს, განაცხადა, რომ 6-7 იანვარს შობის აღნიშვნის მიზნით დაშვებული იქნება გამონაკლისი, ხოლო არგუმენტად დაასახელა გარემოება, რომ მოსახლეობის უმრავლესობა მართლმადიდებელია და უქმე დღეების უმრავლესობაც მართლმადიდებლური შინაარსისაა.“ „რელიგიური გაერთიანებების განცხადება ვიცე-პრემიერ მაია ცქიტიშვილის პოზიციასთან დაკავშირებით,“ TDI, 1 დეკემბერი, 2020, <https://www.tdi.ge/ge/statement/religiuri-gaertianebebis-gancxadeba-vice-premier-maia-ckitishvilis-poziciastan>.

76. „გახარია: ეკლესია არ უნდა დაიხუროს, რაც გასაგებია, ჩვენ ხომ მართლმადიდებლური სახელმწიფო ვართ,“ ტაბულა, 14 აპრილი, 2020, <https://tabula.ge/ge/news/644208-gakharia-eklesia-ar-unda-daikhuros-rats-gasagebia>.

პარტნიორების წინაშე დისკრედიტაცია წარმოადგენდა⁷⁷. სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრმა და რელიგიათა საბჭოს წევრმა რელიგიური გაერთიანებებმა მოითხოვეს, დაისაჯოს უკანონო მოსმენებისა და თვალთვალის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ყველა პირი.⁷⁸ სახალხო დამცველმა საქართველოს გენერალურ პროკურორს მიმართა და დაწყებული გამოძიების მასალების საგამონაკლისო წესით გაცნობა მოითხოვა. პროკურატურამ მოთხოვნაზე უარი განაცხადა.⁷⁹

ქართული ოცნების მმართველობის პერიოდი, შეიძლება დახასიათდეს რელიგიური უმცირესობების მაკონტროლებელ ჩარჩოში მოქცევის მცდელობით, რომლის განსახიერება რელიგიის საკითხთა სააგენტოა, მეორე მხრივ, ძალისხმევით, რომელიც რელიგიური უმრავლესობის პერსპექტივიდან უმცირესობათა საკითხების აღქმასა და გადაჭრაზეა მიმართული და მესამე, - საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სრული პოლიტიკური ინსტრუმენტალიზების სურვილით, რომლის მისაღწევად მართლმადიდებელი იერარქების ყოვლისმომცველი კონტროლი და მათ შესახებ ყველა ტიპის ინფორმაციის შეგროვება მიმდინარეობს.

საბოლოო ჯამში, შეუწყნარებლობისა და რელიგიის თავისუფლების მხრივ წლობით გადაუჭრელი და ზოგიერთ შემთხვევაში, გაღრმავებული სისტემური დისკრიმინაციისა და დაუსჯელი ძალადობის პრობლემის მიზეზები ასე გვესახება:

- საქართველოში რელიგიური შეუწყნარებლობის, ან რელიგიის სახელით შეუწყნარებლობის პრობლემის ერთ-ერთი საფუძველი, დომინანტური რელიგიური გაერთიანებისთვის, საქართველოს საპატრიარქოსთვის მინიჭებული ლეგიტიმური ფუნქციაა, რომლის გამოყენებას ვერცერთი ხელისუფლება ვერ შეეღობა.
- პოლიტიკური ლეგიტიმაციის ფუნქციის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ხელისუფლებას გარკვეული ანგარიშვალდებულება წარმოექმნება საპატრიარქოს წინაშე, რაც, ხშირად ხელისუფლების მიერ საპატრიარქოს ნება-სურვილის განხორციელებაში ვლინდება.
- როგორც დავინახეთ, საპატრიარქოს წლებია, შეუწყნარებელი დამოკიდებულება აკავშირებს განსხვავებული მრწამსის რელიგიური გაერთიანებებისადმი. აქედან გამომდინარე, ხელისუფლებებს ან უჭირთ რელიგიის თავისუფლების სრულფასოვანი დაცვა, ან პირდაპირ ემსახურებიან უმრავლესობის ინტერესებს უმცირესობათა ჯგუფების წინააღმდეგ.

77. ხატია ლოღობერიძე, “ელჩები, აქტივისტები, NGO-ები, სასულიერო პირები, ახალი პატრიარქის მოლოდინი – ჩანაწერები, ნაწილი II,” [On.ge](https://on.ge), 14 სექტემბერი, 2021, <https://on.ge/story/89086>.

78. რელიგიათა საბჭო: “თავისი შინაარსით უპრეცედენტო და ყოვლისმომცველი ხასიათის ეს უმძიმესი მოვლენა, აგრეთვე გვეუბნება იმის შესახებ, რომ რელიგიური გაერთიანებების წარმომადგენლები და უფლებადამცველები, ყველა ადამიანი, რომელიც უკანონო თვალთვალისა და მოსმენის მსხვერპლი გახდა, თავს საქართველოში ვეღარ იგრძნობს დაცულად და უსაფრთხოდ.” „სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრისა და რელიგიათა საბჭოს წევრი რელიგიური გაერთიანებების პროტესტი გავრცელებული საიდუმლო მასალების წინააღმდეგ,” [Ombudsman.ge](https://www.ombudsman.ge), 19 სექტემბერი, 2021, <https://www.ombudsman.ge/geo/akhali-ambebi/sakhalkho-damtsveltan-arsebuli-tolerantobis-tsentrisa-da-religiata-sabchos-tseveri-reliugiuri-gaertianebebis-protesti-gavrtsebuli-saidumlo-masalebis-tsinaagmdeg>.

79. საქართველოს სახალხო დამცველი, „ ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2021 წელი,” 2022, გვ. 164 <https://www.ombudsman.ge/res/docs/2022040413242699860.pdf>.

- რელიგიური შეუწყნარებლობის ფაქტორია ასევე 1980-იანი წლების მიწურულსა და 1990-იანი წლების დამდეგს ჩამოყალიბებული იდენტობის ერთ-ერთი განმსაზღვრელი მარკერი, - ქართველის ექსკლუზიური მართლმადიდებლური იდენტობა, უფრო სწორედ, მათ შორის ტოლობის ნიშნის დასმა.
- ლეგიტიმაციისა და იდენტობის ფაქტორი განაპირობებს საპატრიარქოსადმი ხელისუფლებათა გამორჩეულ, მიკერძოებულ, არასეკულარულ დამოკიდებულებას, რაც ვლინდება საპატრიარქოსთვის მინიჭებულ პრივილეგიებში, განსაკუთრებულ სამართლებრივ რეჟიმში, დიდძალი ქონების გადაცემაში, ფინანსურ მხარდაჭერაში, კანონის მოთხოვნათა გვერდის ავლაში, რელიგიური ძალადობის დაუსჯელობაში, დისკრიმინაციულ პოლიტიკაში და სხვ.
- ყველაფერამასემატება ე.წ. უმრავლესობის ტირანიის ეფექტი, - საქართველოში დღემდე დიდია იმ ადამიანების რაოდენობა, ვინც უმრავლესობისადმი შიშის გამო მალავს თავის აღმსარებლობას, რომ არაფერი ვთქვათ იმათ შესახებ, ვისაც განსხვავებული აღმსარებლობის გამო მეორეხარისხოვან ადამიანებად მიიჩნევენ, ან ქართველებად არ თვლიან.

რელიგიის თავისუფლებასთან დაკავშირებული რეფორმები და კანონმდებლობის მიმოხილვა

რელიგიის თავისუფლების კონსტიტუციური მონესრიგება

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველომ მნიშვნელოვანი საერთაშორისო ვალდებულებები აიღო და სხვადასხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებს შეუერთდა. 1992 წლის 31 ივლისს საქართველო გახდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაერო) წევრი ქვეყანა. გაეროს წესდების პირველივე მუხლი მის მიზნებს შორის ასახელებს, ხელი შეუწყოს ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების პატივისცემას ყველასათვის, მათ შორის რელიგიის განურჩევლად. 1994 წლის 3 აგვისტოდან საქართველოსთვის ძალაში შევიდა საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, რომელიც რელიგიის თავისუფლებას აღიარებს და კრძალავს დისკრიმინაციას, მათ შორის რელიგიის გამო. რელიგიის თავისუფლებასა და თანასწორობასთან დაკავშირებული ნორმები გვხვდება ასევე ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციაში, რომელიც საქართველოსათვის ძალაშია 1994 წლის 2 ივლისიდან. ქვეყნის ისტორიაში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო საქართველოს კონსტიტუციის მიღება 1995 წლის 24 აგვისტოს. სახელმწიფოს მიერ აღებული საერთაშორისო ვალდებულებებმა გავლენა იქონია კონსტიტუციის ტექსტის ფორმირებაზე. მასში ცალკე თავად გამოიყო ადამიანის ძირითადი უფლებები და მნიშვნელოვანი გარანტიები შექმნა მათ უზრუნველსაყოფად. რელიგიის თავისუფლების ქრილში, საყურადღებოა კონსტიტუციის რამდენიმე მუხლი. კერძოდ:

1. კონსტიტუციის მე-16 მუხლი (ძველი რედაქციის მე-19 მუხლი). აღნიშნული ნორმა კონსტიტუციის მეორე თავშია მოცემული, რომელიც ადამიანის ძირითად უფლებებს შეეხება. ის განსაზღვრავს, რომ ყოველ ადამიანს აქვს რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლება, დაუშვებელია ადამიანის დევნა აღნიშნული საფუძვლებით ან იძულება გამოთქვას შეხედულება მათ შესახებ. ნორმის თავდაპირველი რედაქციით, მისი შეზღუდვა შესაძლებელი იყო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი გამოვლინება ლახავდა სხვათა უფლებებს. 2017 წელს შეტანილი ცვლილებებით,⁸⁰ უფლების შეზღუდვის საფუძვლებს დაემატა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის, დანაშაულის თავიდან აცილების, ჯანმრთელობის დაცვისა და მართლმსაჯულების განხორციელების მიზნები, რაც გახდა კრიტიკის საგანი ვენეციის კომისიის,⁸¹ სახალხო დამცველთან არსებული რელიგიათა საბჭოსა⁸² და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების⁸³ მხრიდან. საბოლოოდ, აღნიშნული კრიტიკის საპასუხოდ, რელიგიის თავისუფლების შეზღუდვის საერთაშორისო სტანდარტებთან შეუსაბამობის გამო, 2018 წლის 23 მარტის

80. 2017 წლის 13 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონი.

81. European Commission for Democracy Through Law (Venice Commission), "Draft Opinion on the Draft Revised Constitution as Adopted by the Parliament of Georgia at the Second Reading on 23 June 2017" (Strasbourg, September 22, 2017), 9-10. [https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-PI\(2017\)006-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-PI(2017)006-e).

82. „რელიგიათა საბჭოს წევრი გაერთიანებების მიმართვა საქართველოს პარლამენტს,“ საქართველოს სახალხო დამცველი, 2 აგვისტო, 2017, <https://ombudsman.ge/geo/akhali-ambebi/religiata-sabchos-wevri-gaertianebebis-mimartva-saqartvelos-parlaments>.

83. „განცხადება კონსტიტუციაში რელიგიის თავისუფლების შეზღუდვასთან დაკავშირებით,“ TDI, 24 სექტემბერი, 2017, <https://tdi.ge/ge/statement/gancxadeba-konstituciashi-reliigiis-tavisuplebis-shezgudvastan-dakavshirebit>.

კონსტიტუციური კანონით ამოღებულ იქნა უფლების შეზღუდვის ისეთი საფუძვლები, როგორებიცაა სახელმწიფო უსაფრთხოების, დანაშაულის თავიდან აცილებისა და მართლმსაჯულების განხორციელების მიზნები.

2. კონსტიტუციის მე-8 მუხლი (ძველი რედაქციის მე-9 მუხლი). თავდაპირველ რედაქციაში, ზოგადი დებულებების თავში მე-9 მუხლის სახით მითითებული იყო, რომ სახელმწიფო აღიარებდა ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის განსაკუთრებულ როლს საქართველოს ისტორიაში, ამასთან ერთად აცხადებდა რწმენისა და აღმსარებლობის სრულ თავისუფლებას, ეკლესიის დამოუკიდებლობას სახელმწიფოსაგან. მოგვიანებით, 2001 წლის 30 მარტს შესული ცვლილებებით,⁸⁴ შემოღებულ იქნა კონსტიტუციური შეთანხმების ცნება, რომლის მხარეებადაც განისაზღვრა საქართველოს სახელმწიფო და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესია. ამავდროულად მიეთითა, რომ „კონსტიტუციური შეთანხმება სრულად უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს, კერძოდ, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა სფეროში.“ 2017 წლის ოქტომბრის ცვლილებების შემდეგ აღნიშნული ნორმა შენარჩუნდა კონსტიტუციის მე-8 მუხლის სახით და მის სათაურად განისაზღვრა „სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის ურთიერთობა.“ ამის მიუხედავად, აღსანიშნავია, რომ ნორმა არ აწესებს რაიმე პრივილეგიას რომელიმე რელიგიური ჯგუფისთვის და მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიული როლის აღნიშვნით შემოიფარგლება, ასევე ადგენს სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთგამიჯვნის, მათი ერთმანეთისგან დამოუკიდებელ სუბიექტებად არსებობის გარანტიებს და ამ სახით სეკულარიზმის პრინციპს კონსტიტუციურ დონეზე განამტკიცებს.⁸⁵

მართალია, 1995 წლის კონსტიტუცია პრეამბულაში მიუთითებს, რომ ის ეყრდნობა 1921 წლის კონსტიტუციის ძირითად პრინციპებს, თუმცა 1921 წლის კონსტიტუციის ტექსტი არ გამოყოფდა რომელიმე ერთ კონკრეტულ რელიგიურ გაერთიანებას და პირიქით, მიუთითებდა, რომ „არც ერთ სარწმუნოებას არა აქვს უპირატესობა,“⁸⁶ სახელმწიფოსა და ეკლესიის ერთმანეთისაგან განცალკევება და დამოუკიდებლობა⁸⁷ კი ფართოდ იყო გაგებული და თანხის გაღებას სახელმწიფო ხაზინიდან თუ თვითმმართველობათა თანხიდან სარწმუნოებრივ საქმეთა საჭიროებისათვის პირდაპირ კრძალავდა.⁸⁸ 1995 წლის კონსტიტუციამ აღნიშნული კონსტიტუციური ტრადიცია შეცვალა და ცალკე მუხლი მიუძღვნა სახელმწიფოსა და მართლმადიდებლური ეკლესიის ურთიერთობის საკითხებს.

რელიგიის თავისუფლების ქრილში ასევე საყურადღებოა კონსტიტუციის მე-11 მუხლი (ძველი რედაქციის მე-14 მუხლი), რომელიც თანასწორობის უფლებას შეეხება და კრძალავს დისკრიმინაციას მათ შორის რელიგიის ნიშნით, ასევე კონსტიტუციის 34-ე მუხლი (ძველი რედაქციის 45-ე მუხლი), რომელიც კონსტიტუციაში მითითებულ ადამიანის ძირითად უფლებებს, მათი შინაარსის გათვალისწინებით, ავრცელებს იურიდიულ პირებზე. აქ რასაკვირველია მოიაზრებიან რელიგიური ორგანიზაციებიც.

84. კონსტიტუციის მე-9 მუხლს დაემატა მე-2 პუნქტი.
85. ღავთაძე მარიამ et al., “რელიგიისა და რწმენის თავისუფლება საქართველოში, ანგარიში 2010-2019,” გვ.24-48.
86. 1921 წლის კონსტიტუცია, 143-ე მუხლი.
87. 1921 წლის კონსტიტუცია, 142-ე მუხლი.
88. 1921 წლის კონსტიტუცია, 144-ე მუხლი.

კონსტიტუციური შეთანხმების გავლენა რელიგიის თავისუფლებაზე

საქართველოს კონსტიტუციაში 2001 წელს შეტანილი ცვლილებით⁸⁹ შემოვიდა კონსტიტუციური შეთანხმების ცნება, ხოლო 2002 წელს⁹⁰ საქართველოს სახელმწიფომ ასეთი შეთანხმება გააფორმა მართლმადიდებელ ეკლესიასთან. კონსტიტუციური შეთანხმება არც ერთ სხვა რელიგიურ ორგანიზაციასთან არ არის გაფორმებული და უფრო მეტიც, კონსტიტუცია არც კი უშვებს მისი სხვა რელიგიურ ორგანიზაციასთან გაფორმების შესაძლებლობას. მას შემოაქვს პრივილეგიები მართლმადიდებელი ეკლესიისათვის და ის ზოგადი საკანონმდებლო რეგულირების მიღმა გაჰყავს. შესაბამისად, ერთი შეხედვით ნეიტრალური საკანონმდებლო ნორმები ვერ გამორიცხავს მართლმადიდებელი ეკლესიისათვის კონსტიტუციური შეთანხმების საფუძველზე მინიჭებულ პრივილეგიებს და ვერ უზრუნველყოფს თანასწორობას. ამ გზით, კონსტიტუციურმა შეთანხმებამ თანასწორობის პრინციპს შეუქმნა საფრთხე. მაშინ, როდესაც კონსტიტუციაში მოცემული უფლებები იურიდიულ პირებზეც ვრცელდება, ხოლო რელიგიური ორგანიზაციები იურიდიული პირების სახით არსებობენ, ცხადია, რომ კონსტიტუციური შეთანხმება რელიგიური ორგანიზაციების თანასწორობის უფლებაზე ახდენს ზეგავლენას.

კონსტიტუციაში არ არის რაიმე მინიშნება იმის შესახებ, თუ რა შეიძლება იყოს კონსტიტუციური შეთანხმების საგანი. ამავდროულად, მკაცრი ფარგლები არის დანესებული იმ თვალსაზრისით, რომ „კონსტიტუციური შეთანხმება სრულად უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს, კერძოდ, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა სფეროში.“ ამ მიმართებით, კონსტიტუციური შეთანხმების არსებული ვერსია ბევრ სადავო საკითხს შეიცავს და არ არის გამორიცხული, მომავალში ეს საკითხები კიდევ უფრო მეტი ინტენსივობით წამოიჭრას.⁹¹

კონსტიტუციური შეთანხმების საფუძველზე მართლმადიდებლური ეკლესიისათვის მინიჭებული პრივილეგიები მოიცავს ქონების რესტიტუციას, საგადასახადო შეღავათებს, საბჭოთა პერიოდში მიყენებული მატერიალური ზიანის სახელმწიფოსაგან ნაწილობრივ კომპენსაციასა და სხვა. მან დიდი გავლენა მოახდინა კანონმდებლობის ფორმირებაზე ქვეყანაში და სათავე დაუდო მთელ რიგ დისკრიმინაციულ ნორმებს. ნაცვლად იმისა, რომ თანასწორი საკანონმდებლო ჩარჩო შექმნილიყო ყველა რელიგიური ორგანიზაციისათვის და თანასწორობის პრინციპი ასახულიყო საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე აქტებში, დომინანტურ რელიგიურ ორგანიზაციასთან კონსტიტუციური შეთანხმების გაფორმებამ გამოიწვია ასიმეტრიული ურთიერთობების მთელი წყება და მართლმადიდებლური ეკლესიის პრივილეგიების განმტკიცება თანმხლები კანონებით. დღეისათვის, მართლმადიდებელი ეკლესია მიუთითებს, რომ ჯერ კიდევ აღსასრულებელია კონსტიტუციური შეთანხმებით გათვალისწინებული მთელი რიგი ნორმები.

89. 2001 წლის 30 მარტის კონსტიტუციური კანონი.

90. 2002 წლის 22 ოქტომბრის კონსტიტუციური შეთანხმება.

91. თამთა მიქელა et al., „რელიგიის თავისუფლება - სახელმწიფოს დისკრიმინაციული და არასეკულარული პოლიტიკის კრიტიკა“ (თბილისი: ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი, 2016), გვ. 17-47, <https://cutt.ly/ncrBpKi>; Jeremy Gunn and Dag Nygaard, “Georgian Constitutional Values versus Political and Financial Interests: The Constitutional Agreement’s Departure from the Georgian Principle of Equality” (Oslo: Norwegian Centre for Human Rights, 2015), <https://cutt.ly/P5n7uEN>.

რელიგიური ორგანიზაციების რეგისტრაციის საკითხი

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ამოქმედებამდე მოქმედი საქართველოს რესპუბლიკის 1994 წლის 14 ივნისის კანონი⁹² რელიგიურ ორგანიზაციების მოქალაქეთა საზოგადოებრივ გაერთიანებებს მიაკუთვნებდა. სამოქალაქო კოდექსი, რომელიც 1997 წელს იქნა მიღებული, რელიგიურ გაერთიანებებს იმთავითვე საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად მოიაზრებდა.⁹³ თუმცა, აღნიშნული ფორმალური ჩანაწერის მიღმა, შესაბამისი კანონი⁹⁴ არ ითვალისწინებდა რელიგიური გაერთიანების საჯარო სამართლის იურიდიულ პირად ჩამოყალიბების პროცედურას. ზოგადი წესი კი, რომელიც სსიპ-ების კანონით ან სამთავრობო დაწესებულების ხელმძღვანელის ადმინისტრაციული აქტით დაფუძნებას გულისხმობდა, გამოუსადეგარი იყო რელიგიური ორგანიზაციების თავისებურებიდან გამომდინარე. 2005 წლის 6 აპრილის ცვლილებით თავდაპირველი მიდგომა შეცვლილი იქნა⁹⁵ და რელიგიური ორგანიზაციები კერძო სამართლის იურიდიულ პირად იქნა მიჩნეული, გარდა ერთისა - მართლმადიდებლური ეკლესია მოხსენიებულ იქნა როგორც „კონსტიტუციური შეთანხმებით აღიარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი.“ შესაბამისად, დანარჩენ რელიგიურ გაერთიანებებს მხოლოდ კერძო სამართლის იურიდიულ პირებად რეგისტრაციის შესაძლებლობა დარჩათ. რიგი რელიგიური გაერთიანებებისათვის აღნიშნული რეალობა და ფონდის ან კავშირის სახით არსებობა მიუღებელი აღმოჩნდა და მათ უარი განაცხადეს კერძო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის მოპოვებაზე, მით უფრო რომ ქართულ სამართლებრივ სივრცეში არსებობდა პრეცედენტი რელიგიური გაერთიანების საჯარო სამართლის იურიდიული პირის ფორმით არსებობასთან დაკავშირებით.⁹⁶ 2011 წელს⁹⁷ სამოქალაქო კოდექსში შეტანილი ცვლილებით რელიგიურ გაერთიანებებს საჯარო სამართლის იურიდიული პირის ფორმით რეგისტრაციის შესაძლებლობაც მიეცათ და შესაბამისად მათი არჩევანის საგანი გახდა, კონკრეტულად რა სამართლებრივი ფორმით განაგრძობდნენ საქმიანობას - საჯარო სამართლის იურიდიული პირის, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირისა თუ არარეგისტრირებული კავშირის სახით.⁹⁸ ახალი ცვლილებებით განისაზღვრა საკმაოდ ფართო საფუძვლები რელიგიური გაერთიანებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირად რეგისტრაციისათვის და ასეთი შესაძლებლობა აღიარებულ იქნა როგორც საქართველოსთან ისტორიული კავშირის მქონე რელიგიური მიმდინარეობის, ასევე იმ რელიგიური მიმდინარეობისათვის, რომელიც ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებში კანონმდებლობით მიჩნეულია რელიგიად. დამატებით მიეთითა, რომ საჯარო სამართლის იურიდიულ პირად რეგისტრირებულ რელიგიურ გაერთიანებაზე არ ვრცელდება “საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ” საქართველოს კანონი, რითაც გამოირიცხა მათი მოაზრება სახელმწიფო აპარატის ნაწილად. აღნიშნული ცვლილებებით, რელიგიური გაერთიანებების რეგისტრაციასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ხარვეზი საბოლოოდ იქნა აღმოფხვრილი.

92. „მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანებების შესახებ.“
 93. სამოქალაქო კოდექსის თავდაპირველი ვერსია, 1509-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტი.
 94. იგულისხმება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონი.
 95. მას შემდეგ, რაც საკონსტიტუციო სასამართლოში 2004 წლის 9 აგვისტოს აღნიშნულ საკითხზე კონსტიტუციური სარჩელი იქნა წარდგენილი. იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინება #2/5/300 საქმეზე „მოქალაქე ნიკოლაი კალუცკი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.“
 96. საქართველოს სახალხო დამცველი, “ადამიანის უფლებათა მდგომარეობა საქართველოში - 2005წ. / 1 ნახევარი” (თბილისი: საქართველოს სახალხო დამცველი, 2005), გვ. 74, <https://www.ombudsman.ge/res/docs/2019040411373649624.pdf>.
 97. 2011 წლის 5 ივლისის კანონი.
 98. სამოქალაქო კოდექსი, 15091 მუხლის პირველი და მეორე ნაწილები.

რელიგიური ორგანიზაციების ქონებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ჩარჩოს მიმოხილვა

რელიგიური ორგანიზაციების ქონების საკითხზე მსჯელობისას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემა საბჭოთა პერიოდში ჩამორთმეული საკულტო ნაგებობების რესტიტუციაა, რომელიც ამ ნაშრომში ცალკე თავად არის გამოყოფილი და აქ აღარ შევხებით. დანარჩენი საკითხები უკავშირდება საგადასახადო პოლიტიკას, სახელმწიფო დაფინანსებასა და რელიგიური გაერთიანებებისათვის სახელმწიფო ქონების გადაცემას - პრივატიზებას.

1. გადასახადები. საგადასახადო შეღავათები რელიგიური გაერთიანებებიდან თავიდანვე მხოლოდ საქართველოს საპატრიარქოსათვის დადგინდა. 1994 წელს მიღებულ იქნა საქართველოს რესპუბლიკის კანონი „საქართველოს საპატრიარქოს სახელმწიფო ბიუჯეტებში გადასახადებისაგან განთავისუფლების შესახებ“⁹⁹ რომლითაც განისაზღვრა, რომ „საქართველოს საპატრიარქო (ეკლესიის მსახურნი, სასულიერო სასწავლებლები და სხვა.), საპატრიარქოს მიერ საკუთარი სახსრებით შექმნილი საწარმოები და ორგანიზაციები, საეკლესიო დანიშნულების პროდუქციის მწარმოებელი საწარმოები გათავისუფლდნენ სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახადებისაგან, აგრეთვე სახელმწიფო ბაჟისაგან, სავალუტო და საშემოსავლო გადასახადებისაგან.“ იმავე წელს ცვლილებები შევიდა მოქმედ კანონებში, სადაც სათითაოდ აისახა საქართველოს საპატრიარქოსათვის დაწესებული საგადასახადო შეღავათები. ეს კანონები იყო: „საწარმოთა ქონების გადასახადის შესახებ“, „დამატებული ღირებულების გადასახადის შესახებ“, „საწარმოთა მოგების (შემოსავლის) გადასახადის შესახებ“, „აქციზების შესახებ“, „ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადის შესახებ“, „ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადის შესახებ.“ აღნიშნული კანონები გაუქმდა და საგადასახადო კოდექსით ჩანაცვლდა 1997 წელს.

1997 წლის საგადასახადო კოდექსით განისაზღვრა რელიგიური საქმიანობა და ის გამიჯნულ იქნა ეკონომიკური საქმიანობისაგან. ამასთან ერთად, კვლავ შენარჩუნდა პრივილეგიები კონკრეტულად მართლმადიდებელი ეკლესიისათვის. მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებული იყო „საქართველოს საპატრიარქოს მიერ რელიგიური დანიშნულებით გამოყენებული ჯვრების, სანთლების, ხატების, წიგნებისა და კალენდრების რეალიზაციით მიღებული მოგება“, ხოლო დღგ-სგან გათავისუფლებული იყო „საქართველოს საპატრიარქოს მიერ ჯვრის, სანთლის, ხატის, წიგნის, კალენდრისა და სხვა საღვთისმსახურო საგნების მიწოდება, რომლებიც გამოიყენება მხოლოდ რელიგიური მიზნით; საქართველოს საპატრიარქოს დაკვეთით ტაძრებისა და ეკლესიების მშენებლობა, რესტავრაცია და მოხატვა, აგრეთვე მსოფლიო მემკვიდრეობის საგანძურის ნუსხაში შეტანილი საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და აღორძინების სახელმწიფო პროგრამებით გათვალისწინებული სარეკონსტრუქციო, სარესტავრაციო, საკონსერვაციო სამუშაოები და არქეოლოგიური გათხრები.“ 2002 წლის კონსტიტუციურ შეთანხმებაში ასევე აისახა საქართველოს საპატრიარქოსათვის საგადასახადო შეღავათების დამდგენი დებულება.¹⁰⁰ 2010 წელს მიღებულ¹⁰¹ და დღეს მოქმედ საგადასახადო კოდექსში ისევ შენარჩუნებულია საგადასახადო შეღავათები მართლმადიდებელი ეკლესიისათვის. 2018 წელს საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობის საგანი გახდა საქართველოს საპატრიარქოს დაკვეთით ტაძრებისა და ეკლესიების მშენებლობის, რესტავრაციისა და მოხატვის ჩათვლის უფლების გარეშე დღგ-ისგან

99. 1994 წლის 17 თებერვლის კანონი.

100. კონსტიტუციური შეთანხმების მე-6 მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, „ეკლესიის მიერ წარმოებული საღვთისმსახურო პროდუქცია – მისი დამზადება, შემოტანა, მიწოდება და შემოწირულება, ასევე არაეკონომიკური მიზნით არსებული ქონება და მიწა გათავისუფლებულია გადასახადებისაგან.“

101. 2010 წლის 17 სექტემბრის კანონი.

გათავისუფლების ნორმის კონსტიტუციურობა და ძალადაკარგულად იქნა ცნობილი მისი ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც მხოლოდ საქართველოს საპატრიარქოს დაკვეთით განეულ ტაძრებისა და ეკლესიების მშენებლობის, რესტავრაციისა და მოხატვის მომსახურებას შეეხება.¹⁰² მოგების გადასახადისაგან გათავისუფლების კუთხით დადგენილი საგადასახადო შეღავათი კვლავ ძალაშია. ამასთან, საქართველოს საპატრიარქო გათავისუფლებულია იმპორტის გადასახადისგან კონსტიტუციური შეთანხმების საფუძველზე, ხოლო სხვა რელიგიურ ორგანიზაციებზე კი გადასახადების დარიცხვის ზოგადი პირობები ვრცელდება.¹⁰³

2. სახელმწიფო დაფინანსება. კონსტიტუციური შეთანხმებით,¹⁰⁴ სახელმწიფომ აიღო ვალდებულება მართლმადიდებელი ეკლესიისათვის საბჭოთა პერიოდში მიყენებული მატერიალური ზიანის ნაწილობრივ კომპენსაციაზე. ამავე ნორმის თანახმად, აღნიშნული საკითხის შესწავლის, კომპენსაციის ფორმების, რაოდენობის, ვადების, ქონების ან მიწის გადაცემის და სხვა დეტალების დასადგენად პარიტეტულ საწყისებზე, შეთანხმების ხელმოწერიდან 1 თვის ვადაში უნდა შექმნილიყო კომისია, რომელიც მოამზადებდა შესაბამისი ნორმატიული აქტების პროექტებს. აღნიშნული საკითხი აღარ დაძრულა და ამ დრომდე უცნობია თუ რა ოდენობის მატერიალური ზიანი მიადგა ეკლესიას, აღნიშნული ზიანის კონკრეტულად რა ნაწილი უნდა აანაზღაუროს სახელმწიფომ, ხომ არ არის უკვე შესრულებული კონსტიტუციური შეთანხმებით გათვალისწინებული აღნიშნული ვალდებულება ან კონკრეტულად როდის შესრულდება ის სრულად, რის შემდეგაც სახელმწიფო აღარ იქნება ვალდებული გააგრძელოს კომპენსაციის გადახდა.

2014 წელს სახელმწიფომ მიიღო გადაწყვეტილება დამატებით ოთხი რელიგიური ორგანიზაციისათვის ნაწილობრივ, სიმბოლურად აენაზღაურებინა საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს მიყენებული ზიანი.¹⁰⁵ ესენია ისლამური, იუდაური, რომაულ-კათოლიკური და სომხური სამოციქულო აღმსარებლობის მქონე რელიგიურ გაერთიანებები.¹⁰⁶ მოცემულ შემთხვევებშიც იგივე კითხვის ნიშნებია ზიანის ოდენობასა და მის ანაზღაურებელ ნაწილთან დაკავშირებით, რაც საპატრიარქოსთან მიმართებით. დამატებით, საგულისხმოა რომ რამდენიმე რელიგიური გაერთიანება, რომელსაც ზიანი მიადგა საბჭოთა პერიოდში, დადგენილებაში მითითებული საერთოდ არ არის.¹⁰⁷

102. სსიპ „საქართველოს ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესია“, ააიპ „საქართველოს სიცოცხლის სიტყვის ეკლესია“, სსიპ „ქრისტეს ეკლესია“, სსიპ „საქართველოს სახარების რწმენის ეკლესია“, ააიპ „მეშვიდე დღის ქრისტიან-ადვენტისტთა ეკლესიის ტრანსკავკასიური იუნიონი“, სსიპ „ლათინ კათოლიკეთა კავკასიის სამოციქულო ადმინისტრაცია“, ააიპ „ქართველ მუსლიმთა კავშირი“, სსიპ „წმინდა სამების ეკლესია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, №1/1/811 (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, 3 ივლისი, 2018).

103. ლავთაძე მარიამ et al., „რელიგიისა და რწმენის თავისუფლება საქართველოში, ანგარიში 2010-2019,“ გვ. 94-95.

104. კონსტიტუციური შეთანხმება, მე-11 მუხლი.

105. საქართველოს მთავრობის დადგენილება №117, საქართველოში არსებული რელიგიური გაერთიანებებისათვის საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს მიყენებული ზიანის ნაწილობრივ ანაზღაურებასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების განხორციელების წესის“ დამტკიცების თაობაზე (27 იანვარი, 2014), <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2222828?publication=0>.

106. იხ. დადგენილების პირველი მუხლის მე-3 პუნქტი.

107. მარიამ, ლავთაძე et al., „რელიგიისა და რწმენის თავისუფლება საქართველოში, ანგარიში 2010-2019,“ გვ. 68.

3. პრივატიზება. დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან რამდენიმე ასეულობით სამართლებრივი აქტი გამოიცა, რომლითაც საქართველოს საპატრიარქოს სხვადასხვა დროს გადაეცა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონება. თავდაპირველად აღნიშნულ აქტებში სამართლებრივი საფუძველი საერთოდ არ იყო მითითებული. მოგვიანებით კანონში გაჩნდა ჩანაწერები, რომელიც იძლეოდა ექსკლუზიურად საქართველოს საპატრიარქოსთვის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების საკუთრებაში ან სხვა სამართლებრივი ფორმით გადაცემის შესაძლებლობას. მაგალითად, 2005 წელს¹⁰⁸ მიღებულ იქნა კანონი „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზების შესახებ“, რომლითაც ცალკე მუხლად გამოიყო „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის საკუთრებად გამოცხადება“. აღნიშნული მუხლის მიხედვით, კონსტიტუციური შეთანხმების მე-11 მუხლზე მითითებით, 1) საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის სარგებლობაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები გამოცხადდა ეკლესიის საკუთრებად; 2) ეკლესიას მიეცა უფლება, ადგილობრივი მმართველობის ორგანოებთან შეთანხმებით, ყოველგვარი საფასურის გადახდის გარეშე საკუთრებაში მიეღო იჯარით გაუცემელი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. აღნიშნული კანონი გაუქმდა 2010 წელს, თუმცა მითითებული ნორმა მცირედი ცვლილებით¹⁰⁹ ისევ მოქმედებს 2010 წელს მიღებული კანონით „სახელმწიფო ქონების შესახებ“, რომლითაც კიდევ ახალი ნორმები და შეღავათები იქნა შემოღებული მართლმადიდებელი ეკლესიისათვის.

„სახელმწიფო ქონების შესახებ“ კანონი¹¹⁰ სახელმწიფო ქონების შემძენებად მოიაზრებს კერძო სამართლის იურიდიულ პირებს (მათ შორის შესაბამის რელიგიურ ორგანიზაციებს), თუმცა გამორიცხავს საჯარო სამართლის იურიდიული პირის ფორმით რეგისტრირებულ რელიგიურ გაერთიანებებს.¹¹¹ ერთადერთი გამონაკლისი მართლმადიდებელი ეკლესიაა.¹¹² საჯარო სამართლის იურიდიული პირის ფორმით არსებული რელიგიურ გაერთიანებებიდან მხოლოდ მართლმადიდებელი ეკლესიის საკუთრებაში არსებული ქონების გაცვლაა შესაძლებელი სახელმწიფო ქონებაში.¹¹³ რელიგიური გაერთიანებებიდან მხოლოდ მართლმადიდებელი ეკლესიას შეიძლება საკუთრებაში გადაეცეს ეკლესია-მონასტრების მიმდებარე ტყეთა ფართობები - თითოეულ შემთხვევაში არაუმეტეს 20 ჰექტრისა, აგრეთვე საქართველოს ტყის კოდექსით განსაზღვრული მიჩენილი ტერიტორიები.¹¹⁴ იგივე კანონი სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის

108. მიღებულია 2005 წლის 8 ივლისს.

109. ადგილობრივი მმართველობის ორგანოებთან შეთანხმების ნაცვლად ნორმის მოქმედი რედაქცია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს თანხმობას ითვალისწინებს და ეკლესიის უფლებას სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე ავრცელებს. იხ. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლი.

110. მიღებულია 2010 წლის 21 ივლისს.

111. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონი, მე-3 მუხლის პირველი პუნქტი.

112. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონი, მე-3 მუხლის პირველი პუნქტი.

113. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონი, მე-3 მუხლის მე-5 პუნქტი. აღსანიშნავია, რომ „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი, მე-2 და მე-5 პუნქტები გასაჩივრებულია 2019 წლის 12 აგვისტოს #1440 კონსტიტუციური სარჩელით და ამჟამად მიმდინარეობს სამართალწარმოება საკონსტიტუციო სასამართლოში.

114. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონი, მე-3 მუხლის მე-6 პუნქტი (ამოქმედდა 2021 წლის 1 იანვრიდან).

პრივატიზებას უსასყიდლოდ მხოლოდ მართლმადიდებელი ეკლესიისათვის ითვალისწინებს, და არა სხვა რელიგიური ორგანიზაციებისათვის.¹¹⁵

ამ დრომდე, საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობის საგანი გახდა „სახელმწიფო ქონების შესახებ“ კანონის ერთ-ერთი ნორმა,¹¹⁶ რომელიც ითვალისწინებდა საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილების საფუძველზე სახელმწიფო ქონება უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესაძლებლობას საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის. საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციით გათვალისწინებულ თანასწორობის უფლებასთან წინააღმდეგობის გამო არაკონსტიტუციურად მიჩნია და 2018 წლის 31 დეკემბრიდან ძალადაკარგულად ცნო აღნიშნული ნორმის სიტყვების („საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიურ მართლმადიდებელ“) ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც სახელმწიფო ქონების უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესაძლებლობას ითვალისწინებდა მხოლოდ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის.¹¹⁷ თუმცა, საქართველოს პარლამენტის მიერ 2020 წლის 29 მაისს მიღებული ცვლილებებით, ამჟამად აღნიშნული დებულება საერთოდ ამოღებულია.

ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობა და თანასწორობა

საერთაშორისო ვალდებულებების კვალდაკვალ, საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციამ მე-14 მუხლის სახით აღიარა კანონის წინაშე თანასწორობა, მათ შორის რელიგიის განურჩევლად. სწორედ აღნიშნული ნორმები გამოიყენებოდა რელიგიის თავისუფლების კონტექსტში დისკრიმინაციაზე სამსჯელოდ, ცალკეული დებულებებისა თუ პრაქტიკების დისკრიმინაციულად შესაფასებლად. 1999 წლის 27 აპრილს საქართველო ევროპის საბჭოს წევრი ქვეყანა გახდა, ამავე წლის 20 მაისიდან კი საქართველოსთვის ძალაში შევიდა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია. კონვენციის მუხლებმა, რომლებიც რელიგიის თავისუფლებასა (მე-9 მუხლი) და დისკრიმინაციის აკრძალვას (მე-14 მუხლი) შეეხება, მისმა მე-12 დამატებითმა ოქმმა,¹¹⁸ ასევე ადამიანის უფლებების ევროპული სასამართლოს პრეცედენტულმა სამართალმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა რელიგიის თავისუფლებისა და თანასწორობის გააზრებაში.

ადამიანის უფლებების სფეროში საგულისხმო მოვლენა და თანასწორობის უფლების რეალიზებისათვის მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო 2014 წელს¹¹⁹ ქვეყანაში „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის მიღება, რომლითაც განსაზღვრულ იქნა დისკრიმინაციის სახეები, საჯარო დაწესებულებებთან ერთად მისი მოქმედება გავრცელდა ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე, განისაზღვრა სასამართლოსათვის მიმართვის პროცედურები და დისკრიმინაციის გამო მატერიალურთან ერთად მორალური ზიანის ანაზღაურების უფლება, დისკრიმინაციის აღმოფხვრასა და თანასწორობის უზრუნველყოფაზე ზედამხედველობის ორგანოდ

115. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონი, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი.

116. 63 მუხლის პირველი პუნქტი.

117. სსიპ „საქართველოს ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესია“, ააიპ „საქართველოს სიცოცხლის სიტყვის ეკლესია“, სსიპ „ქრისტეს ეკლესია“, სსიპ „საქართველოს სახარების რწმენის ეკლესია“, ააიპ „მეშვიდე დღის ქრისტიან-ადვენტისტთა ეკლესიის ტრანსკავკასიური იუნიონი“, სსიპ „ლათინ კათოლიკეთა კავკასიის სამოციქულო ადმინისტრაცია“, ააიპ „ქართველ მუსლიმთა კავშირი“, სსიპ „წმინდა სამების ეკლესია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, №1/1/811 (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, 3 ივლისი, 2018).

118. უზრუნველყოფს დისკრიმინაციის ზოგად აკრძალვას. ძალაშია 2005 წლის 1 აპრილიდან.

119. 2004 წლის 2 მაისის კანონი.

მიჩნეულ იქნა საქართველოს სახალხო დამცველი; აიკრძალა დისკრიმინაციის ნაქეზება, ხელშეწყობა და ა.შ. კანონის მიღების შემდეგ, ყოველწლიურად, საქართველოს სახალხო დამცველი აქვეყნებს სპეციალურ ანგარიშს ქვეყანაში დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილების და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ,¹²⁰ სადაც ასევე წარმოდგენილია ინფორმაცია რელიგიის ნიშნით დისკრიმინაციის საქმეებზე, ამ მიმართულებით არსებული ზოგადი შეფასებები, დასკვნები და რეკომენდაციები. სახალხო დამცველი რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლებს ყველაზე დაუცველ ჯგუფებს მიაკუთვნებს.¹²¹

რელიგიური დღესასწაულები და უქმე დღეები

თანასწორობის კონტექსტში შევხებით საქართველოს შრომის კოდექსს, რომელიც უქმე დღეების ჩამონათვალს განსაზღვრავს. 2006 წლამდე საქართველოში მოქმედებდა 1987 წელს მიღებული შრომის კანონთა კოდექსი. 1990 წლის 28 დეკემბრის ცვლილებით, აღნიშნულ კანონში უქმე დღეებად მითითებული საბჭოთა დღესასწაულები ჩანაცვლდა მართლმადიდებლური დღესასწაულებით. დროთა განმავლობაში ეს ჩამონათვალი იზრდებოდა და ბოლოს 2019 წელს¹²² დაემატა „ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისადმი საქართველოს წილხვდომილობის დღე.“ 2006 წელს მიღებული შრომის კოდექსით განისაზღვრა დასაქმებულის უფლება კოდექსით დადგენილი უქმე დღეების ნაცვლად მოითხოვოს სხვა დასვენების დღეები, რაც უნდა განისაზღვროს შრომითი ხელშეკრულებით. ვინაიდან შრომითი ხელშეკრულება დამსაქმებლის თანხმობას საჭიროებს, დასაქმებულის უფლების განხორციელება დამსაქმებლის ნებაზე ხდება დამოკიდებული. სწორედ დამსაქმებლის თანხმობის შემთხვევაში შეძლებენ სხვა აღმსარებლობის მიმდევარი ადამიანები მართლმადიდებლური დღესასწაულების ნაცვლად საკუთარი რელიგიით დადგენილ დღესასწაულებზე დაისვენონ, რაც დისკრიმინაციულია. საკუთრივ შრომის კოდექსი უქმე დღედ არც ერთი სხვა რელიგიის დღესასწაულს არ უთითებს, გარდა მართლმადიდებლურისა.

120. „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონი, მე-7 მუხლის პირველი პუნქტი.

121. საქართველოს სახალხო დამცველი, „სპეციალური ანგარიში დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ“ (თბილისი: საქართველოს სახალხო დამცველი, 2019), გვ.5, <https://cutt.ly/K72yAqz>.

122. 2019 წლის 8 მაისის კანონი.

სამხედრო სამსახური და რელიგიის თავისუფლება

რწმენისა და აღმსარებლობის საფუძველზე სამხედრო სამსახურზე უარის თქმა და მის ნაცვლად არასამხედრო ალტერნატიული სამსახურის გავლა აღიარებული იყო ჯერ კიდევ 1991 წელს მიღებული კანონით.¹²³ მისი მე-3 მუხლის პირველი წინადადება განსაზღვრავდა, რომ „არასამხედრო სამსახური არის საზოგადოებრივად სასარგებლო სამოქალაქო სამსახური, რომელიც ცვლის საყოველთაო სამხედრო სამსახურს და ეყრდნობა საყოველთაო სავალდებულო სამსახურზე უარის თქმის დასაბუთებულ მოტივაციას სინდისის, რწმენის თავისუფლების საფუძველზე.“ მსგავსი შინაარსით განსაზღვრავს არასამხედრო, ალტერნატიულ შრომით სამსახურს დღეს მოქმედი 1997 წელს მიღებული კანონიც.

საქართველოს კანონმდებლობა დამატებით იძლევა სამხედრო სამსახურის გადავადების შესაძლებლობას იმ საფუძველით, თუ პირი არის მღვდელთმსახური ან სწავლობს სასულიერო სასწავლებელში. აღნიშნული რეგულაცია შემოღებულ იქნა 1997 წელს მიღებული კანონით „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ.“ პრაქტიკაში მისი აღსრულება გარკვეულ სირთულეებთან იყო დაკავშირებული. მაგალითად, იყო შემთხვევა, როდესაც პირს უარი უთხრეს გადავადებაზე იმ საფუძველით, რომ კონკრეტული რელიგიური მიმდინარეობა არ იყო სახელმწიფოს მიერ აღიარებული რელიგია.¹²⁴

2006 წელს მიღებულ იქნა კანონი „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“, რომელიც სამხედრო სარეზერვო სამსახურის გავლას საქართველოს თითოეულ მოქალაქეს ავალდებულებდა და არ ითვალისწინებდა რწმენის თავისუფლების მოტივით მასზე უარის თქმის შესაძლებლობას. აღნიშნული საკითხი საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობის საგანი გახდა 2011 წლის დეკემბერში და ძალადაკარგულად იქნა ცნობილი ნორმის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც სამხედრო სარეზერვო სამსახურის მოხდის მოვალეობას ადგენს იმ პირთა მიმართ, ვინც რწმენის თავისუფლების მოტივით უარს აცხადებენ სამხედრო სარეზერვო სამსახურზე.¹²⁵ 2018 წელს მიღებული კანონი¹²⁶ უკვე პირდაპირ ითვალისწინებს სინდისის, აღმსარებლობის ან/და რწმენის თავისუფლების მოტივით სამობილიზაციო რეზერვში ჩარიცხვაზე უარის შესაძლებლობას.

123. „არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 14 ივნისის კანონი. მისი პირველი მუხლი მიუთითებდა: „ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო დეკლარაციის საფუძველზე რესპუბლიკის მოქალაქეს ეძლევა აზრის თავისუფალი გამოხატვის უფლება. ყველა მოქალაქე თანასწორი უფლებამოსილებით სარგებლობს და ერთნაირად პასუხისმგებელია კანონის წინაშე. ეს საფუძველები განსაზღვრავს არასამხედრო, ალტერნატიულ შრომით სამსახურსა, როგორც აზრის თავისუფლად გამოხატვის, სინდისის, რწმენის უფლებასა და სამხედრო მოვალეობას შორის გონივრულ და ჰუმანურ კომპრომისს.“

124. საქართველოს სახალხო დამცველი, „ადამიანის უფლებათა მდგომარეობა საქართველოში - 2008წ. / 2 ნახევარი“ (თბილისი: საქართველოს სახალხო დამცველი, 2008), გვ. 210-211, <https://www.ombudsman.ge/res/docs/2019040411373628768.pdf>.

125. საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, №1/1/477 (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, 22 დეკემბერი, 2011).

126. „პირი, რომელიც სინდისის, აღმსარებლობის ან/და რწმენის თავისუფლების მოტივით უარს აცხადებს სამობილიზაციო რეზერვში ჩარიცხვაზე, ჩარიცხება „არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ რეზერვში. „თავდაცვის ძალების რეზერვისა და სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ კანონი, მე-10 მუხლის მე-3 პუნქტი (7 მარტი, 2018).

რელიგიის თავისუფლება პენიტენციურ დაწესებულებებში

1999 წელს მიღებული „პატიმრობის შესახებ“ კანონით განისაზღვრა მსჯავრდებულის უფლება მონაწილეობა მიიღოს რელიგიურ ღონისძიებაში, ისარგებლოს „შესაბამისი ინვენტარითა და ლიტერატურით.“¹²⁷ ამავე კანონის 94-ე მუხლი არეგულირებდა რელიგიური ორგანიზაციის წარმომადგენლებთან ურთიერთობას და მიუთითებდა, რომ „ადმინისტრაცია მოვალეა შექმნას პირობები მსჯავრდებულთა რელიგიური მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, ხოლო დაწესებულების ტექნიკური საშუალებების გათვალისწინებით, დაწესებულებაში შეიძლება იმყოფებოდეს ეკლესიის მიერ უფლებამოსილი მღვდელმსახური.“ აღნიშნული ნორმა პრაქტიკაში დისკრიმინაციული სახით აღსრულდა. 2002 წელს იუსტიციის სამინისტრომ მხოლოდ ერთ რელიგიურ ორგანიზაციასთან, საქართველოს საპატრიარქოსთან დადო ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც, საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას სასჯელაღსრულების დაწესებულებებსა და სააღსრულებო პოლიციაში შეედლო მიეწოდებოდა მოძღვრების საღვთო ლიტურგიისა და სხვა საეკლესიო წესების აღსრულების მიზნით. ეკლესია ასევე გასწავდა კოორდინირებას და უზრუნველყოფდა სხვა კონფესიის მსახურთა მოწვევას მსჯავრდებულთა რელიგიური მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით, რაც დისკრიმინაციულად იყო შეფასებული.¹²⁸ სახალხო დამცველის ანგარიშის მიხედვით, 2006 წელს საქართველოს სახალხო დამცველთან არსებულმა რელიგიათა საბჭომ და სასჯელაღსრულების დეპარტამენტმა ხელი მოაწერეს ურთიერთთანამშრომლობისა და ურთიერთგაგების მემორანდუმს, რომლის შედეგად გაადვილდა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში სხვა კონფესიის ღვთისმსახურთა შესვლა, თუმცა, 2008 წლიდან სასჯელაღსრულების დაწესებულებებში სხვა კონფესიების წარმომადგენელთა შესვლა ისევ გართულდა და საპატრიარქოს ნებართვის გარეშე ფაქტობრივად შეუძლებელიც კი გახდა.¹²⁹ 2010 წლის მარტში მიღებულ პატიმრობის კოდექსში¹³⁰ მიეთითა, რომ უნდა განსაზღვრულიყო ბრალდებულის/მსჯავრდებულის რელიგიურ რიტუალებში მონაწილეობის და სასულიერო პირებთან შეხვედრის წესი. ამავე წლის ბოლოს სასჯელაღსრულების მინისტრმა მიიღო ბრძანება,¹³¹ რომლითაც ყველა რელიგიური გაერთიანებისათვის თანაბარი წესები განისაზღვრა და უზრუნველყოფილ იქნა მათი წარმომადგენლების პენიტენციურ დაწესებულებებში დაშვება „შესაბამისი რელიგიური ორგანიზაციის მიერ დაწესებულებასთან წინასწარი შეთანხმებით.“¹³²

127. „პატიმრობის შესახებ“ კანონი, 26-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი.

128. საქართველოს სახალხო დამცველი, „ადამიანის უფლებათა მდგომარეობა საქართველოში - 2004წ.“ (თბილისი: საქართველოს სახალხო დამცველი, 2004), გვ. 46-47, <https://www.ombudsman.ge/res/docs/2019040411373539049.pdf>.

129. საქართველოს სახალხო დამცველი, „ადამიანის უფლებათა მდგომარეობა საქართველოში - 2009წ. / 2 ნახევარი“ (თბილისი: საქართველოს სახალხო დამცველი, 2009), გვ. 189, <https://ombudsman.ge/res/docs/2019040411373662896.pdf>.

130. მიღებულ იქნა 2010 წლის 9 მარტს

131. საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის ბრძანება № 187, ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა რელიგიურ რიტუალებში მონაწილეობისა და სასულიერო პირებთან შეხვედრის უფლების განხორციელების შესახებ (2010).

132. იხ. ზემოაღნიშნული ბრძანების მე-2 და მე-3 მუხლები.

სისხლის სამართალი, ადმინისტრაციული სამართალდარღვევები და რელიგიის თავისუფლება

მნიშვნელოვანია მიმოვიხილოთ როგორ ვითარდებოდა სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კანონმდებლობა რელიგიის თავისუფლების ქრილში.

1. სისხლის სამართლის კოდექსი. 1999 წელს მიღებულმა სისხლის სამართლის კოდექსმა¹³³ ჩაანაცვლა მანამდე მოქმედი, 1960 წელს მიღებული სისხლის სამართლის კოდექსი.¹³⁴ დანაშაულებად განისაზღვრა ადამიანის თანასწორუფლებიანობის დარღვევა (მათ შორის რელიგიის ნიშნით),¹³⁵ რელიგიური წესის აღსრულებისათვის ხელის შეშლა,¹³⁶ დევნა (მათ შორის რელიგიის ნიშნით),¹³⁷ რელიგიური გაერთიანების შექმნისთვის ან მისი საქმიანობისათვის ხელის შეშლა.¹³⁸ ცალკეული დანაშაულებისათვის დამამძიმებელ გარემოებებად განისაზღვრა რელიგიური შეუწყნარებლობის მოტივი.¹³⁹ დროთა განმავლობაში შეტანილი ცვლილებებით მცირედით გაიზარდა იმ დანაშაულების რაოდენობა, სადაც რელიგიური შეუწყნარებლობა დამამძიმებელ გარემოებად არის მითითებული, ხოლო 2012 წლის ცვლილებით¹⁴⁰ ზოგადი ნორმის სახით შემოღებულ იქნა სიძულვილის მოტივი მათ შორის რელიგიური შეუწყნარებლობის ნიშნით,¹⁴¹ რომელიც სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ყველა შესაბამისი დანაშაულისათვის პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად იქნა მიჩნეული. 2017 წელს შეტანილი ცვლილებით¹⁴² აღნიშნული ნორმა ცალკე მუხლის სახით¹⁴³ ჩამოყალიბდა, ხოლო 2018 წელს შესული ცვლილებით¹⁴⁴ დაზუსტდა, რომ აღნიშნული დამამძიმებელი გარემოების არსებობისას „დანაშაულის ჩადენის დროს ვადიანი თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისას მოსახდელი სასჯელის ვადა სულ მცირე 1 წლით უნდა აღემატებოდეს ჩადენილი დანაშაულისათვის ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული სასჯელის მინიმალურ ვადას.“ 2015 წლის ცვლილებით,¹⁴⁵ რელიგიურ ჯგუფებს შორის განხეთქილების ჩამოსაგდებად ძალადობისაკენ საჭაროდ მოწოდება, როდესაც ეს ქმნის ძალადობრივი ქმედების

133. მიღებულია 1999 წლის 22 ივლისს.

134. 1960 წელს მიღებული სისხლის სამართლის კოდექსი დანაშაულებად მიიჩნევდა სახელმწიფოსაგან ეკლესიისა და ეკლესიისაგან სკოლის გამოყოფის კანონთა დარღვევას (148-ე მუხლი), რელიგიური წესების შესრულებისათვის ხელის შეშლას (149-ე მუხლი), მოქალაქეთა პიროვნებისა და უფლებების ხელყოფას რელიგიური წესების შესრულების სახით (233-ე მუხლი).

135. სისხლის სამართლის კოდექსი, 142-ე მუხლი.

136. სისხლის სამართლის კოდექსი, 155-ე მუხლი.

137. სისხლის სამართლის კოდექსი, 156-ე მუხლი.

138. სისხლის სამართლის კოდექსი, 166-ე მუხლი.

139. მაგალითად, 109-ე მუხლით გათვალისწინებული „განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში“, 117-ე მუხლით გათვალისწინებული „ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება“, 126-ე მუხლით გათვალისწინებული „წამება“, 258-ე მუხლით გათვალისწინებული „მიცვალებულისადმი უპატივცემულობა“.

140. 2012 წლის 27 მარტის კანონი.

141. 53-ე მუხლს („სასჯელის დანიშვნის ზოგადი საწყისები“) დაემატა 31 ნაწილის სახით.

142. 2017 წლის 4 მაისის კანონი.

143. 531 მუხლი, „სასჯელის დამამძიმებელი გარემოებები.“

144. 2018 წლის 30 ნოემბრის კანონი.

145. 2015 წლის 12 ივნისის კანონი.

განხორციელების აშკარა, პირდაპირ და არსებით საფრთხეს, დანაშაულად იქნა მიჩნეული.¹⁴⁶

2. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი. მოქმედი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი 1984 წელს არის მიღებული. ის 2005 წლამდე 199-ე მუხლის სახით შეიცავდა ნორმას - „რელიგიურ გაერთიანებათა შესახებ კანონმდებლობის დარღვევა.“ ნორმის მიზანი თვითონ რელიგიური გაერთიანებების, მათი ხელმძღვანელებისა და წევრების დასჯა იყო ისეთი ქმედებებისათვის, როგორებიცაა: ამ გაერთიანებების რეგისტრაციისაგან თავის არიდება; რელიგიური შეკრების, მსვლელობისა და კულტის სხვა ცერემონიის ორგანიზებისა და ჩატარების კანონმდებლობით დადგენილი წესების დარღვევა; კულტის მსახურთა და რელიგიურ გაერთიანებათა წევრების მიერ ბავშვთა და ახალგაზრდობის სპეციალური შეკრების ორგანიზება და ჩატარება. აგრეთვე, შრომითი, ლიტერატურული და სხვა წრეებისა და ჯგუფების ორგანიზება და ჩატარება, რომელიც დაკავშირებული არ არის კულტის შესრულებასთან. აღნიშნულმა ნორმა 2005 წლის 6 აპრილის კანონით გაუქმდა მას შემდეგ, რაც აღნიშნულ საკითხზე საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური სარჩელი დარეგისტრირდა.¹⁴⁷

დღეის მდგომარეობით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი სპეციფიკურად რელიგიასა და რწმენასთან დაკავშირებულ ნორმებს არ შეიცავს. სისხლის სამართლის კოდექსისაგან განსხვავებით, ის არ უთითებს რელიგიური ნიშნით შეუწყნარებლობაზე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისას, ასევე არ შეიცავს ზოგად მითითებას სიძულვილის მოტივზე ან მისი არსებობის შემთხვევაში ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დამძიმებაზე. აღნიშნული გარემოება სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს, მნიშვნელოვნად ართულებს სავარაუდო სიძულვილით მოტივირებულ ქმედებებზე გამართული სტატისტიკის წარმოებას და ზრდის შესაძლებლობას, ყურადღების მიღმა დარჩეს მათ შორის, რელიგიური შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევები.¹⁴⁸

რელიგიის თავისუფლებასთან დაკავშირებული ბოლო პერიოდის საკანონმდებლო ინიციატივები

წინამდებარე თავში შევხებით რელიგიის თავისუფლებასთან დაკავშირებულ ბოლო პერიოდის საკანონმდებლო ინიციატივებს. მართალია, მათ კანონის სახე არ მიუღიათ, თუმცა მაინც საჭიროდ მიგვაჩნია მიმოვიხილოთ, ვინაიდან ეს საკითხები პერიოდულად საჯარო დისკუსიის საგანი ხდება და ცალკეული პოლიტიკოსების თუ უწყებების მხრიდან მუდმივად არის მათი დღის წესრიგში დასმის მცდელობა.

პირველ რიგში, უნდა გამოვყოთ რელიგიის შესახებ კანონის ინიციატივა. საქართველოს დამოუკიდებლობის პირველ წლებში მართლაც იდგა საჭიროება, შექმნილიყო ყველა რელიგიური გაერთიანებისათვის თანასწორი საკანონმდებლო ჩარჩო და მოწესრიგებულიყო მათი საქმიანობისა და ურთიერთობების სხვადასხვა მხარე. თუმცა, დროთა განმავლობაში, კონსტიტუციური შეთანხმების დადებისა და კანონმდებლობაში რელიგიურ ორგანიზაციებთან დაკავშირებით სხვადასხვა

146. სისხლის სამართლის კოდექსის 2391 მუხლი.

147. იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინება #2/5/300 საქმეზე „მოქალაქე ნიკოლაი კალუცკი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.“ კონსტიტუციური სარჩელი საკონსტიტუციო სასამართლოში 2004 წლის 9 აგვისტოს შევიდა.

148. საქართველოს სახალხო დამცველი, “სპეციალური ანგარიში დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ,” გვ. 37.

ჩანაწერების გაჩენასთან ერთად, რომლითაც მათი საქმიანობის გარკვეული ასპექტები განისაზღვრა, ასეთი კანონის საჭიროებამ აზრი დაკარგა. ასევე, შემცირდა რწმენა რელიგიური გაერთიანებებისათვის თანასწორი სამართლებრივი გარემოს შექმნის მზაობის მიმართ. ამის მიუხედავად, ხელისუფლების მხრიდან პერიოდულად წამოიჭრებოდა საკითხი რელიგიის შესახებ კანონის შემუშავების შესახებ.¹⁴⁹ ასეთის საჭიროების არარსებობის პირობებში, დროთა განმავლობაში კანონის იდეის მიმართ ნიჰილისტური დამოკიდებულება ჩამოყალიბდა და საშიშროებადაც იქნა აღქმული რელიგიური ორგანიზაციების მიერ, რომ ახალი კანონის ტექსტით ახალი შემზღუდავი ნორმები შესაძლოა შემოღებულიყო. 2015 წელს რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტომ შეიმუშავა „საქართველოს სახელმწიფოს რელიგიური პოლიტიკის განვითარების სტრატეგია“,¹⁵⁰ რომელშიც პრობლემურად მიიჩნია საქართველოში „რელიგიის შესახებ“ სპეციალური კანონის არარსებობა. სააგენტო მის მიღებას აუცილებლად მიიჩნევს, ამასთან, მასვე უკავშირებს „რელიგიური გაერთიანების“ ცნების განმარტებას, რელიგიურ გაერთიანებათა რეგისტრაციის წესის განსაზღვრას, მათი სამართლებრივი სტატუსების დადგენას და სხვა. ბოლოს რელიგიის შესახებ კანონის შემუშავების იდეა წამოიჭრა საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის ფარგლებში 2019 წელს, რომელმაც მრავალი სამუშაო შეხვედრა მიუძღვნა საკითხს. დისკუსიის განმავლობაში დაფიქსირებული უარყოფითი პოზიციებიდან გამომდინარე, კომიტეტმა ველარ შეძლო გაეგრძელებინა რელიგიის შესახებ კანონის მომზადების იდეის ლობირება. მიუხედავად მტკიცებისა, რომ მათ რელიგიის შესახებ კანონის მომზადება არ ჰქონდათ გეგმაში და მხოლოდ არსებული პრობლემების შესახებ ინფორმაციის მიღება და მათი მოგვარების მოტივაცია ამოძრავებდათ, არც ერთი ინიციატივა თუნდაც მოქმედ კანონებში არსებული დისკრიმინაციული დებულებების აღმოსაფხვრელად კომიტეტს საბოლოოდ არ შეუმუშავებია. შეხვედრების განმავლობაში გამოიკვეთა, რომ ასეთი კანონის მომზადებას მხარს უჭერდა რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოც და ამავე მოსაზრების გავრცელებას ცდილობდა იმ რელიგიურ ჯგუფებში, რომლებიც სახელმწიფოსაგან დაფინანსებას იღებენ. რელიგიის შესახებ კანონის მომზადებას ეწინააღმდეგებოდა სახალხო დამცველთან არსებული რელიგიათა საბჭოც, ვინაიდან პრობლემატურად მიიჩნევდა რელიგიისა და რელიგიური ორგანიზაციის დეფინიციის კანონმდებლობაში გაჩენის საკითხს. მათი მოსაზრებით, რელიგიისა და რელიგიური გაერთიანებების რაობის განსაზღვრა არ უნდა შედიოდეს სახელმწიფოს პრეროგატივაში. გარდა ამისა, კანონი შეიძლება შეიცავდეს მალალ რისკს, იერარქიზაცია მოახდინოს და დაახარისხოს რელიგიური გაერთიანებები, დაანესოს გარკვეული შეზღუდვები და ბარიერები როგორც რეგისტრაციასთან, ისე რელიგიური გაერთიანებების საქმიანობის თავისუფლებასთან დაკავშირებით.¹⁵¹

ქართული სინამდვილისათვის ძალიან ნაცნობია პერიოდული ინიციატივები ე.წ. რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფის რეგულირების თაობაზე. ბოლო 8 წლის განმავლობაში აღნიშნულ საკითხზე 3 სხვადასხვა საკანონმდებლო ინიციატივა იყო რეგისტრირებული საქართველოს პარლამენტში. პირველი მათგანის ინიციატორი საქართველოს მთავრობა იყო, ავტორი კი შინაგან საქმეთა სამინისტრო და

149. სოფო ზვიადაძე et al., “რელიგია, პოლიტიკა და სოციალური კონტექსტები - კვლევების, ანგარიშებისა და სტატიების კრებული” (თბილისი: ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი, 2020), გვ. 34-41, <https://cutt.ly/DcrZh9L>.

150. ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://cutt.ly/1crO5tj>.

151. „რელიგიათა საბჭო: რელიგიურ ორგანიზაციებზე კანონის შემუშავება დღის წესრიგში არ უნდა დადგეს,” ტაბულა, 1 თებერვალი, 2019, <http://www.tabula.ge/ge/story/143716-religiata-sabcho-religiur-organizaciebze-kanonis-shemushaveba-dghis-tsesrigshi-ar-unda>.

პარლამენტს 2013 წელს წარედგინა პროცედურის უხეში დარღვევით.¹⁵² მეორე ინიციატივა საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა დააყენა 2016 წელს,¹⁵³ მესამე კი - საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენელმა 2018 წელს.¹⁵⁴ პირველი და მეორე ინიციატივა ე.წ. რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად განსაზღვრას გულისხმობდა, მესამე კი - სისხლის სამართლის დანაშაულად. ვინაიდან აღნიშნული კანონპროექტები განჭვრეტადობის მოთხოვნას არ აკმაყოფილებდა და გამოხატვის თავისუფლებას სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა, მწვავე პროტესტის ფონზე საბოლოოდ არც ერთი მათგანი არ მიღებულა, თუმცა პარლამენტში ასევე არ გასცემია მკაფიო პასუხი აღნიშნული ინიციატივებს. მაგალითად, ბოლო ინიციატივასთან დაკავშირებით ადამიანის უფლებების კომიტეტის წევრებმა კენჭისყრის დროს თავი შეიკავეს დადებითი თუ უარყოფითი პოზიციის გამოხატვისაგან,¹⁵⁵ ხოლო წამყვან, იურიდიულ საკითხთა კომიტეტს ის საერთოდ არ განუხილავს.¹⁵⁶ აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო დონეზე, გაეროსა¹⁵⁷ და ევროპის საბჭოს¹⁵⁸ ფარგლებში ჩამოყალიბებულია მკვეთრად უარყოფითი პოზიცია მსგავსი საკანონმდებლო ინიციატივების თაობაზე, ვინაიდან ისინი შეუსაბამონი არიან საერთაშორისო სტანდარტებთან და მორალის სფეროს სამართლის სფეროსთან აღრევას ახდენენ, ნაცვლად მათი გამიჯვნისა.

კიდევ ერთი საკანონმდებლო ინიციატივა ბურკისა და ნიქაბის ტარების აკრძალვას და მის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად განსაზღვრას ითვალისწინებდა. აქაც უფლებების კომიტეტმა ვრცელი საკომიტეტო განხილვა მოაწყო, საბოლოოდ კი დეპუტატებმა ისევ თავი შეიკავეს კენჭისყრის დროს, რის გამოც ინიციატივა მხარდაჭერილად არ ჩაითვალა, ხოლო წამყვან, იურიდიულ საკითხთა კომიტეტს ის საერთოდ არ განუხილავს.¹⁵⁹

152. აღნიშნული ნორმა კანონპროექტის ინიცირებულ ვერსიაში საერთოდ არ იყო და მოგვიანებით, მეორე მოსმენისათვის გაჩნდა ისე, რომ კომიტეტში საჯარო განხილვებზე ეს საკითხი საერთოდ არ დასმულა.

153. დეპუტატ იოსებ (სოსო) ჭაჭვლიანის ინიციატივა.

154. დეპუტატ ემზარ კვიციანის ინიციატივა.

155. ამ სახით, კანონპროექტმა კომიტეტისგან მხარდაჭერა ვერ მიიღო.

156. საბოლოოდ, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ახალი მოწვევის პარლამენტმა მისი განხილვის გაგრძელება მიზანშეწონილად არ მიიჩნია (საქართველოს პარლამენტის 2021 წლის 18 თებერვლის დადგენილება).

157. UN Human Rights Committee, “General Comment No. 34,” par.48, <https://www2.ohchr.org/english/bodies/hrc/docs/GC34.pdf>.

158. Parliamentary Assembly of the Council of Europe, “Recommendation 1805 (2007) Blasphemy, Religious Insults and Hate Speech against Persons on Grounds of Their Religion,” par.4 2007, <https://cutt.ly/K5vsvHf>; European Commission for Democracy Through Law (Venice Commission), “Report on the Relationship between Freedom of Expression and Freedom of Religion: The Issue of Regulations and Prosecution of Blasphemy, Religious Insult and Incitement to Religious Hatred,” par.64, (Strasbourg, 2008), [https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD\(2008\)026-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2008)026-e).

159. საბოლოოდ, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ახალი მოწვევის პარლამენტმა მისი განხილვის გაგრძელება მიზანშეწონილად არ მიიჩნია (საქართველოს პარლამენტის 2021 წლის 18 თებერვლის დადგენილება).

სახელმწიფოს რეაგირება რელიგიური შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე

რელიგიის თავისუფლების მიმოხილვა შეუძლებელია რელიგიური შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე სახელმწიფოს რეაგირების ანალიზის გარეშე. ცხადია, რომ რეაგირების დაყოვნება, სისუსტე კიდევ უფრო ახალისებს ძალადობრივ შემთხვევებს და აფერხებს მშვიდობიანი, უსაფრთხო გარემოს შექმნას სხვადასხვა აღმსარებლობის მორწმუნეებისა თუ არამორწმუნეებისათვის. წინამდებარე თავში შევეცდებით შევაფასოთ ის მდგომარეობა, რაც რელიგიური სიძულვილით ჩადენილ დანაშაულებზე რეაგირების კუთხით არსებობდა დამოუკიდებლობის მოპოვებიდან „ვარდების რევოლუციამდე“, „ვარდების რევოლუციიდან“ 2012 წლამდე და 2012 წლიდან დღემდე, ასევე, გამოვყოფთ რელიგიური სიძულვილით ჩადენილი დანაშაულის გამოძიების აქტუალურ საკითხებსა და ამ თვალსაზრისით არსებულ პროგრესსა თუ პრობლემებს.

რელიგიური სიძულვილით ჩადენილ დანაშაულებზე რეაგირება დამოუკიდებლობის პირველ წლებში („ვარდების რევოლუციამდე“)

დამოუკიდებლობის პირველ წლებში, განსაკუთრებით კი 90-იანი წლების ბოლოს¹⁶⁰ და 2000-იანი წლების დასაწყისში, გამორჩეულად პრობლემური აღმოჩნდა რელიგიური სიძულვილის მოტივით ჩადენილი დანაშაულების სიხშირე და მათზე რეაგირების არარსებობა, სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან ზომების მიუღებლობა. აღნიშნული დანაშაულები მოიცავდა რელიგიური უმცირესობების დარბევას, მათი ცემის, ძალადობის, შევიწროების, რელიგიური მსახურებისა და შეკრებების ჩაშლის, ასევე რელიგიური ლიტერატურის დაწვისა და განადგურების შემთხვევებს.¹⁶¹ დანაშაულებრივი ფაქტების დიდი ნაწილი იეჰოვას მოწმეების წინააღმდეგ იყო მიმართული და მათ მართლმადიდებელი ექსტრემისტები სჩადიოდნენ.¹⁶² მოსახლეობა შეუწყნარებლობას ავლენდა ძირითადად ე.წ. „არატრადიციული“ რელიგიური ჯგუფების მიმართ და გამოკითხვებიც მიუთითებდა, რომ უმცირესობათა რელიგიური ჯგუფების (ე.წ. „არატრადიციული“ ჯგუფები) წინააღმდეგ ძალადობას მოქალაქეების უმრავლესობა მისაღებად თვლიდა.¹⁶³ სახალხო დამცველის 2001 წლის I ნახევრის ანგარიში მიუთითებს რელიგიური თავისუფლების ხელყოფასთან დაკავშირებით აპარატში შემოსულ 80-ზე მეტ განცხადებაზე,¹⁶⁴ 2001 წლის II

160. 2001 წლის II ნახევრის ანგარიშში (გვ.38) სახალხო დამცველი საუბრობს, რომ „[...] აუტანელია ის მდგომარეობა, რომელიც უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში შეიქმნა ჩვენს ქვეყანაში რელიგიურ უმცირესობებთან მიმართებაში.“

161. Ibid., გვ.41; U.S. Department of State, “International Religious Freedom Report 2003” (Washington DC: U.S. Department of State, 2003), <https://2009-2017.state.gov/j/drl/rls/irf/2003/24358.htm>.

162. Ibid., ანგარიშში მოხსენიებულია განკვეთილი მართლმადიდებელი მღვდელი ბასილ მკალავიშვილი და მისი მიმდევრები.

163. Ibid.

164. საქართველოს სახალხო დამცველი, „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ - 2001 წლის პირველი ნახევარი“ (თბილისი: საქართველოს სახალხო დამცველი, 2001), გვ. 37, <https://www.ombudsman.ge/res/docs/2019072916223333497.PDF>.

ნახეღრის ანღარიში - 70-ზე მეტ განცხადებაზე,¹⁶⁵ 2002 წლის I ნახეღრის ანღარიში - 31 განცხადებაზე,¹⁶⁶ ხოლო 2002 წლის II ნახეღრის ანღარიში - 47 განცხადებაზე.¹⁶⁷

რელიგიური შეუწყნარებლობის გახშირებულ ფაქტებს ადგილობრივი არასამთავრობო ორღანიზაციები განცხადებით გამოეხმაურენ.¹⁶⁸ საქართველოს პარლამენტი იძულებული გახდა 2001 წელს მიეღო დადგენილება „რელიგიური ექსტრემიზმის გამოვლინებათა შესახებ“,¹⁶⁹ რომელშიც გამოხატა უკიდურესი შეშფოთება „უკანასკნელ პერიოდში ახალწარმოქმნილი, ექსტრემისტული რელიგიური გაერთიანებების მხრიდან საქართველოს ისტორიაში უპრეცედენტო, აგრესიული გამოხდომების გახშირებისა და სხვადასხვა რელიგიური მიმდინარეობის უფლებათა დარღვევის მიმართ სამართალდამცავი ორღანოების უმოქმედობის გამო.“ საქართველოში რელიგიის თავისუფლების ძალადობრივად, უხეში ფორმებით, სისტემატურად დარღვევამ და სახელმწიფოს სრულმა ჩავარდნამ მათი პრევენცია ან მათზე რაიმე ტიპის რეაღირება მოეხდინა, მკაცრი საერთაშორისო გამოხმაურება პოვა. აღნიშნულ საკითხს გამოეხმაურა გაეროს წამების საწინააღმდეგო კომიტეტი 2001 წლის 7 მაისის დასკვნებით და რეკომენდაციებით, რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისია 2001 წლის 22 ივნისის ანღარიშით, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა 1257-ე (2001) რეზოლუციით, გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი 2002 წლის 19 აპრილის დასკვნითი მოსაზრებებით, „ჰუმან რაიტს ვოჩი“ (Human Rights Watch) 2002 წლის ყოველწლიური ანღარიშით, „ამნესტი ინტერნეშენალი“ (Amnesty International) 2001 წელს გამოქვეყნებული ანღარიშით.

2002 წელს გამოცემული საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება¹⁷⁰ მიუთითებდა, რომ „ადამიანის უფლებათა ქმედით დაცვაში კვლავ არსებობს სერიოზული სირთულეები. განსაკუთრებით შემამშფოთებელია რელიგიური შეუწყნარებლობის ფაქტების ზრდა [...]“

საქართველოს პარლამენტი და საქართველოს პრეზიდენტი აქცენტს აკეთებდნენ სამართალდამცავი ორღანოების მხრიდან მოქმედი კანონმდებლობის აღსრულების ზოგად საჭიროებაზე. კერძოდ, პარლამენტმა სამართალდამცავ ორღანოებს დაავალა

-
165. საქართველოს სახალხო დამცველი, „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ - 2001 წლის მეორე ნახეღარი“ (თბილისი: საქართველოს სახალხო დამცველი, 2001), გვ. 41, <https://www.ombudsman.ge/res/docs/2019072916230381070.PDF>.
 166. საქართველოს სახალხო დამცველი, „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ - 2002 წლის პირველი ნახეღარი“ (თბილისი: საქართველოს სახალხო დამცველი, 2002), გვ. 118, <https://www.ombudsman.ge/res/docs/2019072916234077675.PDF>.
 167. საქართველოს სახალხო დამცველი, „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ - 2002 წლის მეორე ნახეღარი“ (თბილისი: საქართველოს სახალხო დამცველი, 2002), გვ. 157, <https://www.ombudsman.ge/res/docs/2019072916241698560.PDF>.
 168. 2001 წლის 13 მარტს ერთობლივი განცხადება გაავრცელეს არასამთავრობო ორღანიზაციებმა - ასოციაცია „სამართალი და თავისუფლება“, „საქართველოს ატლანტიკური საბჭო“, „კავკასიური სახლი“, „ყოფილი პოლიტიკური პატიმრები ადამიანის უფლებებისათვის“, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, „ადამიანის უფლებათა ცენტრი“, „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“, „მინის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაცია“, „თავისუფლების ინსტიტუტი“, „თბილისის პრესკლუბი“, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ და სხვებმა.
 169. საქართველოს პარლამენტის დადგენილება №827, რელიგიური ექსტრემიზმის გამოვლინებათა შესახებ (30 მარტი, 2001), <https://matsne.gov.ge/ka/document/view/40348?publication=0>.
 170. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება №240, საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ (17 მაისი, 2002), <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/115876?publication=0>.

„განუხრელად დაიცვან საქართველოს კონსტიტუციის მოთხოვნები და აღკვეთონ რელიგიური ექსტრემიზმის ყოველგვარი გამოვლინება,“ ხოლო საქართველოს სახალხო დამცველს - „განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს რელიგიურ ნიადაგზე ჩადენილი ძალადობის ფაქტების გამოვლენას და საქართველოს მოქალაქეთა აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლების კონსტიტუციურ უფლებათა დაცვას.“¹⁷¹ პრეზიდენტის ბრძანებულებით, საქართველოს პროკურატურას ეთხოვა საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში დაევალებინა მიეღოთ „შესაბამისი ზომები, რათა უზრუნველყოფილ იქნეს აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება, გამოიძიონ და სასამართლოს გადასცენ რელიგიურ უმცირესობათა წინააღმდეგ მიმართული ძალადობის ყოველი ფაქტი ამ მოქმედებებში დამნაშავე პირების დასჯის მიზნით; ჩაატარონ პირადი შემაღვენლობის ტრენინგები ადამიანის უფლებათა სფეროში, განსაკუთრებით რელიგიური შეუწყნარებლობის დაუშვებლობის შესახებ.“ პრეზიდენტის იგივე ბრძანებულება საქართველოს იუსტიციის საბჭოს მიმართავს „განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს იმას, რომ რელიგიურ უმცირესობათა მიმართ ძალადობრივი აქტების, წამებისა და ღირსების შემლახველ მოპყრობაში ბრალდებულ პირთა საქმეები მიზანშეუწონელი გაჭიანურების გარეშე იქნეს განხილული სასამართლოებში და შეფასდეს შესაბამისი სტატისტიკა.“

საერთაშორისო ზეწოლისა თუ საქართველოს პარლამენტისა და პრეზიდენტის დეკლარაციული ხასიათის მოწოდებების მიუხედავად, რელიგიური შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე რეაგირების კუთხით არსებული მდგომარეობა არ იცვლებოდა. სულ 1999 წლის ოქტომბრიდან 2002 წლის ნოემბრამდე იეჰოვას მონმეებზე განხორციელდა 138 სასტიკი თავდასხმა, კომპეტენტურ ორგანოებში შევიდა 784 საჩივარი. არც ერთი ამ საჩივართაგან არ გამხდარა სერიოზული განხილვის საგანი.¹⁷²

რელიგიის თავისუფლების ხელყოფის ზემოაღნიშნულ ფაქტებს მოგვიანებით მკაცრი სამართლებრივი შეფასება მისცა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, რომელმაც პირდაპირ მიუთითა, რომ „შესაბამისმა ორგანოებმა ვერ უზრუნველყვეს რელიგიურად მოტივირებული ძალადობის თავიდან აცილება და შეჩერება. საქართველოს ხელისუფლების ორგანოებმა, თავიანთი წარმომადგენლების მეშვეობით, რომლებიც თვითონ მონაწილეობდნენ იეჰოვას მონმეებზე თავდასხმებში, ან კერძო პირების უკანონო ქმედებებზე უსიტყვო თანხმობით ან მათი მხარდაჭერით, შექმნეს დაუსჯელობის ატმოსფერო, რომელმაც, საბოლოო ჯამში, წაახალისა იეჰოვას მონმეებზე სხვა თავდასხმების განხორციელება მთელი ქვეყნის მასშტაბით. გარდა ამისა, მოპასუხე მთავრობამ, იმის გამო, რომ აშკარად არ ჰქონდა სურვილი განეხორციელებინა აღნიშნულ ქმედებებზე პასუხისმგებელი პირების დაუყოვნებელი და სამართლიანი სისხლის სამართლებრივი დევნა და დასჯა, ვერ მოახერხა აღნიშნული ძალადობრივი აქტების შედეგების გამოსწორება,

171. დამატებით, პარლამენტის იურიდიულ საკითხთა, კანონიერებისა და ადმინისტრაციული რეფორმების, ადამიანის უფლებათა დაცვის, მოქალაქეთა პეტიციებისა და სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტებს დაევალათ მოამზადონ შესაბამისი საკანონმდებლო წინადადებები სხვადასხვა რელიგიური კონფესიების საქმიანობის სამართლებრივი რეგულირების მიზნით, ხოლო პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის, მოქალაქეთა პეტიციებისა და სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის კომიტეტს ასევე დაევალა სისტემატურად წარედგინა პარლამენტისთვის ინფორმაცია ამავე დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

172. გლდანის კონგრეგაციის 97 წევრი და ოთხი სხვა პირი საქართველოს წინააღმდეგ, საჩივარი #71156/01, პარა. 7, (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2007), <https://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/gldani97.pdf>.

რითაც უგულბებლყო პრევენციული და შემაკავებელი ეფექტი იეჰოვას მონმეთა წინააღმდეგ მომავალში მოსალოდნელ ძალადობრივ აქტებთან მიმართებით.¹⁷³ ევროპულმა სასამართლომ ასევე მიიჩნია, რომ რელიგიურმა სიძულვილმა მთავარი როლი შეასრულა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მხრიდან იეჰოვას მონმეების მიმართ მოპყრობაში.¹⁷⁴ პოლიციისა და სხვა სახელმწიფო ორგანოების გულგრილმა დამოკიდებულებამ მომჩივნების რელიგიური რწმენის გამო ჩადენილი ძალიან სასტიკი უკანონო ქმედებების მიმართ შესაძლებლობა მისცა ექსტრემისტი მართლმადიდებელი მორწმუნეების ჯგუფებს, გაელვივებინათ სიძულვილი და გაეგრძელებინათ რელიგიური ხასიათის ძალადობის აქტები. ამ ფაქტმა ეჭვი გააჩინა სამოქალაქო საზოგადოებაში, რომ დამნაშავეები სახელმწიფოს წამომადგენლებთან შეთანხმებით მოქმედებდნენ.¹⁷⁵ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო დადასტურებულად თვლის, რომ „პირველ რიგში, სახელმწიფოს წარმომადგენლებსა თუ კერძო პირების მხრიდან მომჩივნების წინააღმდეგ მიმართული სხვადასხვა ფორმის ძალადობის პროვოცირება გამონვეული იყო იეჰოვას მონმეთა მიმართ შეუწყნარებელი დამოკიდებულებით და, მეორე რიგში, სწორედ იგივე დისკრიმინაციული აზროვნება იყო იმის ძირითადი მიზეზი, რომ შესაბამისმა სახელმწიფო ორგანოებმა შედეგიანად არ გამოიძიეს რელიგიურ ნიადაგზე ჩადენილი ძალადობის აქტები, რამაც დაადასტურა, რომ ხელისუფლებების ორგანოები, სულ მცირე, შემწყნარებლურად იყვნენ განწყობილნი ამ ძალადობის მიმართ.“¹⁷⁶

სახალხო დამცველის აღნიშნული პერიოდის ანგარიშები ასევე ადასტურებს, რომ რელიგიური შეუწყნარებლობა ღრმად გამჭდარი პრობლემა იყო სახელმწიფო სტრუქტურებში და მალალი თანამდებობის პირების მხრიდანაც ხშირად გაისმოდა რელიგიური სიძულვილით აღსავსე განცხადებები. ერთ-ერთი მაგალითია იმავე ანგარიშში მოტანილი ცნობა იმის შესახებ, რომ „უშიშროების სამინისტროს ერთ-ერთი ხელმძღვანელი ოფიციალურად აცხადებს სექტების გავრცელებას საფრთხედ ეროვნული უშიშროების თვალსაზრისით.“¹⁷⁷ ასევე, საგულისხმოა სახალხო დამცველის 2002 წლის ანგარიშში მოცემული ანალიზი, რომელსაც შესაძლოა დღესაც ბოლომდე არ დაუკარგავს აქტუალობა: „საკმარისია, რაიმე სასიკეთო სიახლე წამოვიდეს დასავლეთიდან, რომ მაშინვე იწყება რელიგიური ექსტრემიზმის მძლავრი ნაკადის აგორება საქართველოში, რაც ერთხელ კიდევ ნათლად მიგვანიშნებს იმაზე, რომ ჩვენს ქვეყანაში რელიგიურ-ექსტრემისტული ტენდენციები ძირითადად ქვეყნის გარედანაა მართვადი, რომელსაც ჩვენი ქვეყნის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური და ფსიქოლოგიური ყოფა ნოყიერ ნიადაგს უქმნის გასაღვივებლად.“¹⁷⁸

იმ პერიოდის მასალები მიუთითებს, რომ სერიოზული პრობლემა იყო თვითონ მართლმსაჯულების სისტემაშიც. სახალხო დამცველის ცნობით, „ყოველგვარი არსებითი მიზეზების გარეშე ჭიანურდება სასამართლო პროცესები ექსტრემისტთა მიმართ, რაც, თავის მხრივ, სამწუხაროდ, მათ მორალურ მხარდაჭერაზე

173. ბელელური და სხვები საქართველოს წინააღმდეგ, საჩივარი #28490/02, პარა. 145. (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2014), <https://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/saqartvelos-winaagmdeg-begeluri-da-sxva.pdf>.

174. Ibid., პარა. 176.

175. Ibid., პარა. 178.

176. Ibid., პარა. 179.

177. საქართველოს სახალხო დამცველი, „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ - 2000 წ.“ (თბილისი: საქართველოს სახალხო დამცველი, 2000), გვ. 37, <https://www.ombudsman.ge/res/docs/2019072916215560300.PDF>.

178. საქართველოს სახალხო დამცველი, „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ - 2002 წლის მეორე ნახევარი,” გვ. 155.

მეტყველებს.¹⁷⁹ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შეფასებით, „[ეროვნულმა სასამართლოებმა] პირდაპირ გაიზიარეს პოლიციის ოფიცრების მიერ წარმოდგენილი ვერსიები. საქმისწარმოების არც ერთ ეტაპზე ეროვნულ სასამართლოებს არც კი უცდიათ გამოერკვიათ პოლიციის ოფიცრების ქცევის სავარაუდო დისკრიმინაციული მოტივები. უფრო კონკრეტულად კი, მათ არც კი უკითხავთ პოლიციელებისთვის, ნაცვლად შეკრების დაშლისა, რატომ არ მიიღეს რაიმე ზომები მომჩივნების რელიგიური უფლებების ადეკვატურად დასაცავად, მათ შორის, იმის უზრუნველყოფით, რომ შეკრება ჩატარებულიყო უსაფრთხო გარემოში.“¹⁸⁰ ევროპულმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა ასევე ეროვნული მოსამართლეების დამოკიდებულებაზე რელიგიური უმცირესობებისა და რელიგიის თავისუფლების მიმართ და აღნიშნა: „პირველი ინსტანციის სასამართლომ, განიხილავდა რა პოლიციის მხრიდან სავარაუდო ძალადობის შესახებ იეჰოვას ორი მოწმის საჩივარს, გადაწყვეტილების შესავალ ნაწილში აღნიშნა, რომ „საყოველთაოდ ცნობილია, რომ იეჰოვას მოწმეები უხეშად არღვევენ კონსტიტუციის 19.3 მუხლის მოთხოვნებს და ხშირად თავიანთ აზრებსა და მრწამსს სხვა ადამიანებს ახვევენ თავს, რითაც არღვევენ მათ უფლებებს“. უფრო მეტიც, ამავე სასამართლომ მომჩივნების პოზიციის გასამყარებლად მოწვეული რამდენიმე მოწმე დაითხოვა, ასევე განაცხადა, რომ ისინი იეჰოვას მოწმეები იყვნენ. ეს უკანასკნელი არგუმენტი გაიზიარა სააპელაციო სასამართლომ, მაშინ როცა, გადაწყვეტილების შესავალი ნაწილის შემადგენელი ფრაზა - იეჰოვას მოწმეების მხრიდან კონსტიტუციის მრავალგზის დარღვევის თაობაზე, არც სააპელაციო სასამართლომ და არც საკასაციო ინსტანციამ არ აღნიშნა.“¹⁸¹ ევროპულმა სასამართლომ ყურადღება მიაქცია ასევე იმ ფაქტს, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა უგულებელყვეს ძალადობრივი ინციდენტის კულმინაცია, იეჰოვას მოწმეებისთვის ჩამორთმეული რელიგიური ლიტერატურის დანვა საჯაროდ, დღის შუქზე, საჯარო ბაზრობაზე. „საქმის ამგვარი ზედაპირული და ცალმხრივი განხილვა, რასაც თან ერთოდა სამართალდამცავ ორგანოთა წარმომადგენლებზე უპირობო დაყრდნობა და მოვლენათა შესახებ მომჩივანთა ვერსიის დაუსაბუთებელი უარყოფა სასამართლოს აზრით, მხოლოდ უტოლდება სასამართლო ხელისუფლების პასუხისმგებლობას მომჩივანთა წინააღმდეგ ჩადენილ ძალადობრივ ქმედებებზე.“¹⁸²

ნათელია, რომ დამოუკიდებლობის პირველ წლებში, „ვარდების რევოლუციამდე“, რელიგიური შეუწყნარებლობით ჩადენილი დანაშაულების რიცხვი განსაკუთრებით მაღალი იყო. აღნიშნული ქმედებები ძალადობრივი ხასიათითაც გამოირჩეოდა. სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები ხშირ შემთხვევაში თავად იყვნენ ჩართულნი ძალადობრივ აქტებში ან გულგრილად ადევნებდნენ თვალს ასეთ ქმედებებს და არავითარ ზომებს მის წინააღმდეგ არ იღებდნენ. პოლიციელები თუ მაღალი თანამდებობის პირები თავადაც რელიგიურ შეუწყნარებლობას ამჟღავნებდნენ რელიგიური უმცირესობების მიმართ, მათ შორის, საჯაროდ. ასეთი ვითარება დაუსჯელობის გარემოს ქმნიდა და კიდევ უფრო მეტად ახალისებდა რელიგიური სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულს.

179. საქართველოს სახალხო დამცველი, „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ - 2002 წლის პირველი ნახევარი,“ გვ. 116.

180. ცარციძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ, საჩივარი #18766/04, პარა. 82. (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2017). https://www.supremecourt.ge/uploads/files/1/pdf/s_winaagmdeg/tsartsidze-saqartvelos-winaagmdeg.pdf.

181. Ibid., პარა. 84.

182. Ibid., პარა. 86.

რელიგიური სიძულვილით ჩადენილ დანაშაულებზე რეაგირება „ვარდების რევოლუციიდან“ 2012 წლამდე

„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, დროის მოკლე მონაკვეთში, რელიგიური უმცირესობების წინააღმდეგ თავდასხმები შემცირდა.¹⁸³ მალევე დააკავეს რელიგიური ექსტრემისტი ბასილ მკალავიშვილი,¹⁸⁴ რამაც მოკლევადიან პერიოდში მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა რელიგიური ნიშნით შეუწყნარებლობის ფაქტების შემცირებაზე. სახალხო დამცველის ცნობით, ვარდების რევოლუციიდან წელიწადნახევარზე მეტი დროის განმავლობაში არც ერთი განცხადება სხვადასხვა რელიგიათა მიმდევრების უფლებების დარღვევის შესახებ მათ არ მიუღიათ.¹⁸⁵ თუმცა, აღნიშნული შედეგის გრძელვადიანად შენარჩუნება ვერ მოხერხდა, სახელმწიფოს მხრიდან სათანადო ნაბიჯების გადაუდგმელობისა და ყველა დანაშაულზე ჯეროვანი რეაგირების არქონის გამო. შესაბამისად, მომდევნო წლებში რელიგიურ დანაშაულებზე სახელმწიფოს მიერ რეაგირების დინამიკა მერყევი იყო. სახალხო დამცველის რიგ ანგარიშებში სახელმწიფოს რეაგირება დიდწილად ეფექტიანად იყო შეფასებული, რიგ ანგარიშებში კი - მკვეთრად ნეგატიურად.

საინტერესოა აღნიშნული წლების განმავლობაში სახალხო დამცველის აპარატში რელიგიური შეუწყნარებლობისა და რელიგიის თავისუფლების დარღვევის ფაქტებზე შემოსული განცხადებების სტატისტიკა. როგორც ირკვევა, 2004 წლის განმავლობაში ამ საკითხზე სახალხო დამცველის აპარატში განცხადება საერთოდ არ შემოსულა, 2005 წელს დაფიქსირდა 20 განცხადება, 2006 წლის - ასევე 20, 2007 წელს - 35, 2008 წლის - 12, 2009 წელს - 28, 2010 წელს - 7, 2011 წელს - 4, 2012 წელს - 3.

2005 წლიდან 2008 წლის პირველი ნახევრის ჩათვლით რელიგიის თავისუფლების დაცვის თვალსაზრისით, ხერხდებოდა სტაბილური მდგომარეობის შენარჩუნება,¹⁸⁶ რასაც თან ახლდა ხარვეზები სამართალდამცავთა საქმიანობაში. გამოძიების კუთხით არსებული პრობლემები ძირითადად მიეწერებოდა დაბალი რანგის თანამდებობის პირების სუბიექტივიზმს, გულგრილობასა და არაეფექტურ პირველად რეაგირებას.¹⁸⁷ დანაშაულებრივ ფაქტებზე რეაგირება ხშირად სახალხო დამცველის აპარატის ჩარევის შემდეგ ხდებოდა. მეტ-ნაკლებად მოგვარებული იყო დანაშაულის სწორი კვალიფიკაციის პრობლემა და გამოძიებები მიმდინარეობდა ძირითადად სისხლის სამართლის კოდექსის 142-ე (ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევა), 155-ე (რელიგიური წესის აღსრულებისათვის უკანონოდ ხელის შეშლა) და 156-ე (დევნა) მუხლებით.¹⁸⁸ 2005 წლის II ნახევარში დაფიქსირდა შემთხვევა, როდესაც ბოლო ათწლეულების განმავლობაში პირველად რელიგიურმა მოძალადემ

183. U.S. Department of State, "International Religious Freedom Report 2004" (Washington DC: U.S. Department of State, 2004), <https://2009-2017.state.gov/j/drl/rls/irf/2004/35455.htm>.

184. „სამართალდამცავებმა ბასილ მკალავიშვილი დააკატიმრეს,“ სამოქალაქო საქართველო, 12 მარტი, 2004, <https://civil.ge/ka/archives/131756>.

185. საქართველოს სახალხო დამცველი, „ადამიანის უფლებათა მდგომარეობა საქართველოში - 2005წ. / 1 ნახევარი,“ გვ. 6.

186. საქართველოს სახალხო დამცველი, „ადამიანის უფლებათა მდგომარეობა საქართველოში - 2009წ. / 1 ნახევარი“ (თბილისი: საქართველოს სახალხო დამცველი, 2009), გვ. 200, <https://www.ombudsman.ge/res/docs/2019040411373657799.pdf>.

187. საქართველოს სახალხო დამცველი, „ადამიანის უფლებათა მდგომარეობა საქართველოში - 2007წ. / 1 ნახევარი“ (თბილისი: საქართველოს სახალხო დამცველი, 2007), გვ. 158, <https://www.ombudsman.ge/res/docs/2019040411373659470.pdf>.

188. საქართველოს სახალხო დამცველი, „ადამიანის უფლებათა მდგომარეობა საქართველოში - 2007წ. / 2 ნახევარი“ (თბილისი: საქართველოს სახალხო დამცველი, 2007), გვ. 276, <https://www.ombudsman.ge/res/docs/2019040411373628524.pdf>.

საჯარო პატიება ითხოვა მსხვერპლისაგან - იეჰოვას მოწმისაგან.¹⁸⁹ რელიგიური დევნის, დისკრიმინაციისა და რელიგიური წესის აღსრულებისთვის ხელის შეშლის გამო 2006-2008 წლებში პასუხისგებაში 17 პირი იყო მიცემული, ამათგან 9 იხდიდა სასჯელს სასჯელაღსრულების დანესებულებებში.¹⁹⁰ 2007 წლის I ნახევარში სახალხო დამცველი შენიშნავს, რომ „საქართველოში რელიგიური შეუწყნარებლობის რუკაზე ახალ შტრიხად გაჩნდა ისლამის ქართველი მიმდევრების მიმართ გამოხატული ქსენოფობიის შემთხვევები.“

2008 წლის მეორე ნახევრიდან სახალხო დამცველი უთითებს სიტუაციის გაუარესების ტენდენციაზე,¹⁹¹ როდესაც სამართალდამცავებისა და სახელმწიფო უწყებების მხრიდან რელიგიური შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულზე რეაგირება სუსტდება, ხოლო დანაშაულის სწორ სამართლებრივ კვალიფიკაციასთან დაკავშირებული პრობლემები იზრდება. 2009 წლიდან საგრძნობლად იმატებს რელიგიური ნიშნით ჩადენილი დანაშაულის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები (აქტიური ხასიათის სამართალდარღვევებისა და შეუწყნარებლობის ფაქტების გამრავლება), რაც ნაწილობრივ ახსნილია სამართალდამცველების (შსს და პროკურატურა) მხრიდან რეაგირების ხარისხის მკვეთრი რეგრესით.¹⁹² მკვეთრად კლებულობს შესაბამისი პირების პასუხისგებაში მიცემის შემთხვევები, ხოლო იქ, სადაც პასუხისმგებლობა დგება, სანქცია ძალიან მსუბუქია (გაფრთხილება, ჯარიმა, ადმინისტრაციული პატიმრობა, ე.წ. „ხელწერილი“).¹⁹³ საქმეების უმრავლესობაზე გამოძიება ან უკვე შეწყვეტილია, ან მეტისმეტად გაჭიანურებულია. აღნიშნული უარყოფითი ტენდენცია 2010 წლამდე გაგრძელდა და დაგვირგვინდა რელიგიური ნიშნით შეუწყნარებლობის საჯარო აქტებით, რასაც ადგილი ჰქონდა ილიას უნივერსიტეტთან გამართული აქციის დარბევისა და ტელეკომპანია „კავკასიაში“ შეჭრის სახით.¹⁹⁴

საინტერესოა, რომ რელიგიური შეუწყნარებლობით ჩადენილ დანაშაულზე სახელმწიფოს რეაგირება მკვეთრად ნეგატიური გახდა 2008 წლის II ნახევრიდან. როგორც ცნობილია, 2008 წლის აგვისტოში რუსეთის ფედერაცია საქართველოს დაესხა თავს. აღნიშნული მოვლენის შემდეგ, სახელმწიფოს ყურადღება დიდწილად ეროვნული უსაფრთხოების საკითხებზე იყო მიმართული, რამაც გავლენა მოახდინა სხვა მიმართულებებზე და მათ შორის, შეანელა რელიგიის თავისუფლებასთან

189. საქართველოს სახალხო დამცველი, „ადამიანის უფლებათა მდგომარეობა საქართველოში - 2005წ. / 2 ნახევარი“ (თბილისი: საქართველოს სახალხო დამცველი, 2005), გვ. 101-102, <https://www.ombudsman.ge/res/docs/2019040411373732914.pdf>.

190. საქართველოს სახალხო დამცველი, „ადამიანის უფლებათა მდგომარეობა საქართველოში - 2009წ. / 1 ნახევარი,“ გვ. 200, 128-ე სქოლიო.

191. საქართველოს სახალხო დამცველი, „ადამიანის უფლებათა მდგომარეობა საქართველოში - 2008წ. / 2 ნახევარი,“ გვ. 205, <https://www.ombudsman.ge/res/docs/2019040411373628768.pdf>.

192. საქართველოს სახალხო დამცველი, „ადამიანის უფლებათა მდგომარეობა საქართველოში - 2009წ. / 1 ნახევარი,“ გვ. 200-201.

193. Ibid.

194. საქართველოს სახალხო დამცველი, „ადამიანის უფლებათა მდგომარეობა საქართველოში - 2010წ“ (თბილისი: საქართველოს სახალხო დამცველი, 2010), გვ. 308, <https://www.ombudsman.ge/res/docs/2019040411373770553.pdf>.

დაკავშირებული პოლიტიკის აღსრულება.¹⁹⁵ აღნიშნული მიდგომა გაგრძელდა მომდევნო წლებშიც.¹⁹⁶

2008 – 2010 წლებში რელიგიური ნიშნით ჩადენილი 40-ამდე ძალადობრივი ქმედება და უფლებადარღვევა დაფიქსირდა: შენობებზე თავდასხმა და უკანონო შეჭრა, ფიზიკური ძალადობა, დარბევა, რელიგიური დევნა და დისკრიმინაცია. დამკვიდრებულ პრაქტიკად იქცა სამართალდამცველების მხრიდან კანონდამრღვევების სიტყვიერი ან წერილობითი გაფრთხილება, გულგრილი დამოკიდებულების გამოვლენა რელიგიური ძალადობისადმი ან ძალადობის მსხვერპლის აბუჩად აგდება. რელიგიურ ნიადაგზე ჩადენილი ძალადობის პრობლემამ სისტემური ხასიათი შეიძინა და გაჩნდა კერები,¹⁹⁷ სადაც ძალადობა პერმანენტულ ხასიათს ატარებდა.¹⁹⁸ 2008 – 2010 წლებში რელიგიური დევნისა და დისკრიმინაციის 40-ამდე შემთხვევა გამოუძიებელი დარჩა.¹⁹⁹

2010 წლიდან რელიგიური ნიშნით ჩადენილი დანაშაულის გამოძიების მდგომარეობამ გაუმჯობესება დაიწყო. „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირისა“ და „სახალხო მართლმადიდებლური მოძრაობის“ რვა წევრი ტელეკომპანია „კავკასიაში“ შეჭრისა და ხელიგნობის გამო დამნაშავედ ცნეს. 2010 წლის ბოლოს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წინ აქციის დარბევასა და ორი აქტივისტის ცემის ფაქტთან დაკავშირებით, დაიწყო ბრალდებულების საქმის სასამართლო განხილვა.²⁰⁰ უკვე 2011 წელს მკვეთრად შემცირდა რელიგიური შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი კანონდარღვევები: დევნა რელიგიური შეუწყნარებლობის საფუძველზე, ფიზიკური ძალადობისა და შეურაცხყოფის ფაქტები. ამავდროულად, 2010-2011 წლებში შედარებით ადეკვატური გახდა სამართალდამცველების მიერ რელიგიური შეუწყნარებლობის ნიშნით ჩადენილ კანონდარღვევებზე რეაგირება. წინა წლებისგან განსხვავებით საანგარიშო პერიოდში რელიგიური შეუწყნარებლობის ნიადაგზე ჩადენილ სამართალდარღვევებს შესაბამისი კვალიფიკაცია ეძლეოდა.²⁰¹ 2012 წლის არჩევნებამდე²⁰² რელიგიური ნიშნით ძალადობის შემთხვევები არ იყო გაზრდილი, თუმცა მომატებული იყო ქსენოფობიური რიტორიკის გამოყენების შემთხვევები.²⁰³

195. U.S. Department of State, “International Religious Freedom Report 2009” (Washington DC: U.S. Department of State, 2009), <https://2009-2017.state.gov/j/drl/rls/irf/2009/127311.htm>.

196. U.S. Department of State, “International Religious Freedom Report 2010” (Washington DC: U.S. Department of State, 2010), <https://2009-2017.state.gov/j/drl/rls/irf/2010/148936.htm>.

197. მაგალითად, იეჰოვას მოწმეებზე რელიგიური შეუწყნარებლობით მოტივირებული ძალადობა ლანჩხუთში, სამტრედიაში, მარტვილში, კასპში.

198. საქართველოს სახალხო დამცველი, „ადამიანის უფლებათა მდგომარეობა საქართველოში - 2010წ“, გვ.311.

199. საქართველოს სახალხო დამცველი, „ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2011 წელი“ (თბილისი: საქართველოს სახალხო დამცველი, 2011), გვ. 105, <https://drive.google.com/file/d/1BIXIPKQaeHyML-yfUQbxxRg3l0h07NJA/view>.

200. საქართველოს სახალხო დამცველი, „ადამიანის უფლებათა მდგომარეობა საქართველოში - 2010წ“, გვ.308.

201. საქართველოს სახალხო დამცველი, „ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2011 წელი“, გვ. 104.

202. გაიმართა 2012 წლის 1 ოქტომბერს.

203. საქართველოს სახალხო დამცველი, „ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2012 წელი“ (თბილისი: საქართველოს სახალხო დამცველის, 2012), გვ. 519-520, https://drive.google.com/file/d/1HZ3-Aqw16A1_vGouD7apUmMR6MImiHIP/view.

რელიგიური სიძულვილით ჩადენილ დანაშაულებზე რეაგირება 2012 წლიდან დღემდე

2012 წლის არჩევნების შემდგომი პერიოდი გამოირჩევა მუსლიმთა უფლებების დარღვევის ფაქტების მკვეთრი ზრდით. ეს იყო საკმაოდ მწვავე, რელიგიურ ნიადაგზე წარმოშობილი კონფლიქტები, რომელშიც ადამიანების ფართო ჯგუფები იყვნენ ჩაბმულნი. მათზე ეფექტური რეაგირება სამართალდამცავ ორგანოებს არ ჰქონიათ. 2013 წლიდან ასევე მნიშვნელოვნად მოიმატა იეჰოვას მოწმეთა წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებების რიცხვმა.²⁰⁴ განსახილველ პერიოდში სახელმწიფომ გარკვეული ინსტიტუციური რეფორმები გაატარა, შედარებით გამოსწორდა დანაშაულის კვალიფიკაციის პრობლემა, თუმცა კვლავ სირთულეს წარმოადგენს თითოეულ შემთხვევაში კანონის აღსრულება და დამნაშავეების დასჯა. სახალხო დამცველის წლიურ ანგარიშებში მითითებულია რელიგიური სიძულვილის მოტივით ჩადენილი დანაშაულებრივი ფაქტების ის რაოდენობა, რაც აპარათისათვის საანგარიშო პერიოდში გახდა ცნობილი, კერძოდ, 2013 წელს - 21 ფაქტი, 2014 წელს - 47, 2015 წელს - 37, 2016 წელს - 30, 2017 წელს - 13, 2018 წელს - 19, 2019 წელს - 19.

2012 წელს წინასაარჩევნო ქსენოფობიური განწყობების ერთგვარ გაგრძელებად იქცა ნიგვზიანსა (ლანჩხუთი) და წინწყაროში (თეთრინწყარო) ადგილობრივი მუსლიმი მოსახლეობის წინააღმდეგ, იმავე წლის ნოემბერსა და დეკემბერში, არჩევნების შემდგომ განხორციელებული ქმედებები, როდესაც ადგილობრივი მოსახლეობა აპროტესტებდა მუსლიმების სალოცავად შეკრებას.²⁰⁵ პირველივე ინციდენტის შემდეგ, რომელსაც ნიგვზიანში ჰქონდა ადგილი, სახელმწიფო უწყებების რიგი წარმომადგენლები ალაპარაკდნენ ორივე მხარის ინტერესების დაცვაზე და მუსლიმი და ქრისტიანი რელიგიური ლიდერების ურთიერთმოლაპარაკებისა და ურთიერთმორიგების საჭიროებაზე. სამართალდამცავების მხრიდან მკაფიო სამართლებრივი რეაგირების არქონამ, სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულისადმი შემწყნარებლურმა პოზიციამ, დაუსჯელობამ და უმრავლესობისადმი მიკერძოებამ გამოიწვია²⁰⁶. მსგავსი პრობლემის ამჯერად სხვა გეოგრაფიულ არეალში - წინწყაროში (თეთრინწყარო) გაჩენა. შეუწყნარებლობის გამოვლინებები მუსლიმების მიმართ მომდევნო წლებშიც გაგრძელდა და 2013 წელს ციხისძირში (ქობულეთი), სამთაწყაროში (დედოფლისწყარო) და ჭელაში (ადიგენი) იჩინა თავი, 2014 წელს კი - მოხესა (ადიგენი) და ქობულეთში. მოვლენები გარკვეული ჯაჭური რეაქციით წარიმართა, დროის მცირე მონაკვეთში მათ განმეორებას კი სახელმწიფო ინსტიტუტების სუსტმა რეაგირებამ ან საერთოდაც რეაგირების უქონლობამ შეუწყო ხელი. მოძალადეები მხოლოდ ერთ შემთხვევაში დაისაჯნენ - დამნაშავედ იქნა ცნობილი თავდაცვის სამინისტროს 3 თანამშრომელი ციხისძირის (ქობულეთი) ინციდენტზე, თუმცა რელიგიური მოტივაციის გამოკვეთისა

204. მარიამ ღავთაძე et al., “რელიგიისა და რწმენის თავისუფლება საქართველოში, ანგარიში 2010-2019,” გვ.119. განსაკუთრებით აღსანიშნავია 2014 წელს თერჯოლაში იეჰოვას მოწმეების სამეფო დარბაზის მშენებლობის წინააღმდეგ მიმდინარე პროტესტი და თანმდევი მოვლენები. იხ. ასევე თერჯოლაში გამოვლენილი რელიგიური დაპირისპირების სამართლებრივი ანალიზი, სოციალური სამართლიანობის ცენტრი: <https://socialjustice.org.ge/ka/products/terjolashigamovlenili-relijiuri-dapirispirebis-samartlebrivi-analizi>

205. საქართველოს სახალხო დამცველი, “ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2012 წელი,” გვ.520-523.

206. საქართველოს სახალხო დამცველი, “ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2013 წელი,” გვ.296.

ღა ამ მოტივაციის ამსახველი მუხღების მითითების გარეშე.²⁰⁷ 2014 წღის შემღეღ, 2021 წღის იანვარში, საპარღამენტო არჩევნების შემღგომ, კვღავ იჩინა თავი მუსღიმთა უფღებების დარღვევამ, ამჯერად ჩოხატაურის მუნციპალიტეტის სოფელ ბუკნარში.²⁰⁸

მუსღიმების წინაღმღეღ განხორციეღებულ უფღებადარღვევებს იღენტური მოტივაცია, ისღამისა და მისი სიმბოლოების საჯარო სივრცეში დამკვიღრების მიუღებლობა დაედო საფუღვღად. ნიღვზიანის, წინწყაროს, სამთაწყაროს, ქობულეთის და ბუკნარის მაცხოვრებელი მართღმადიღებელი მოსახლეობა აპროტესტებღა მათ დასახღებაში მეჩეთისა თუ პანსიონის ამოქმეღებას და იღუღებით, მუქარით, სიტყვიერი შეურაცხყოფით, ზოგიერთ შემთხვევღაში კი, ფიზიკური ძღლის გამოყენებით, მუსღიმებს შეკრებისა და საქმიანობის შესაძღებლობას არ აძღევღა.²⁰⁹ რელიგიური უმრავღესობისა და უმცირესობის ლიღერებს შორის მოღაპარაკებისა და შეთანხმების შეღეღად, მუსღიმებმა გააგრძელეს თავიანთი რელიგიური პრაქტიკღ,²¹⁰ თუმცღ ოფიციაღური სტრუქტურების მხრიღან სათანადო რეაგირების არქონისა და დაუსჯელობის გამო, შეიქმნღ უთანასწორობის ატმოსფერო და სახელმწიფოს მიერ მეორეხარისხოვნად აღქმის განცღა. ამ კონტექსტში საგუღისხმოღ კიღევ ერთი საქმე, რომელიღ უკავშირღებღ 2014 წღელს, სრულიად საქართველოს მუსღიმთა სამმართველოს შეიხზე შინაგან საქმეთღ სამინისტროს თანამშრომღების მხრიღან განხორციეღებულ იღუღებას, დაეტოვებინღ თანამღებობღ.²¹¹ 2012-2014 წღლებში მუსღიმების წინაღმღეღ განხორციეღებული ძღღადობის, მუქარისა და რელიგიური წესის აღსრუღებისათვის ხელშემღლის, მათ შორის, შინაგან საქმეთღ სამინისტროს თანამშრომღების მხრიღან სამსახურებრივი უფღებამოსიღების გადამეტების სავარაუდო ფაქტებზე დღზარღღებულად ან ბრღღღებულად არცერთი პირი არ არის ცნობიღი,²¹² საქმეების ნღნიღზე გამოიღება ამ დრომღე გრძელღებღ, ნღნიღზე კი - შეწყვეტიღიღ.²¹³ როგორც რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინაღმღეღ ევროპული კომისიღ მიუთითებს, რელიგიური შეუწყნარებლობის საფუღვეღზე განხორციეღებული თავღასხმების არაერთ შემთხვევღაში, ხელისუფღების ორგანოებმა არ გამოიყენეს კანონი რელიგიურ უმცირესობათღ უფღებების დასაცავად. ამის ნაცვღად, ზოგიერთ შემთხვევღაში, ისინი შეეცადნენ ამოქმეღებინათ ადგილობრივი მეღიაციის მექანიზმები, მოუნოღებდნენ დომინანტურ ქართულ მართღმადიღებელ ეკღესიას, მოღაპარაკებოღნენ ადგილობრივ მუსღიმ თემს ისღამოფობიური თავღასხმების

207. Ibid., გვ. 296-297.

208. საქართველოს სახაღხო დამცველი, „განცხადებღ ჩოხატაურის მუნციპალიტეტის სოფელ ბუკნარში განვითარებულ მოვღენებთან დაკავშირებით,“ 13 იანვარი, 2021, <https://www.ombudsman.ge/geo/akhali-ambebi/sakhalkho-damtsvelis-gantskhadeba-chokhatauris-munitsipalitētis-sofel-buknarshi-ganvitarebul-movlenebtan-dakavshirebit>.

209. საქართველოს სახაღხო დამცველი, „ანგარიში საქართველოში ადამიანის უფღებათღ და თავისუფღებათღ დაცვის მღგომარეობის შესახებ 2013 წელი,“ გვ. 296.

210. Ibid.

211. მარიამ ღავთაღე et al., „რელიგიისღ და რწმენის თავისუფღებღ საქართველოში, ანგარიში 2010-2019,“ გვ. 116-118.

212. საქართველოს სახაღხო დამცველი, „ანგარიში საქართველოში ადამიანის უფღებათღ და თავისუფღებათღ დაცვის მღგომარეობის შესახებ 2020 წელი“ (თბიღისი: საქართველოს სახაღხო დამცველი, 2020), გვ. 218, <https://www.ombudsman.ge/res/docs/2021040110573948397.pdf>. გამონაკღისიღ ციხისძირის შემთხვევღ, რომელზეც ზემოთ არის საუბარი.

213. Ibid. კერძოღ, დღწყებული სისხღის სამართღის გამოიღება, სისხღის სამართღის კანონით გათვღლისწინებული ქმეღების არარსებობის გამო, წინწყაროსღ და ნიღვზიანის შემთხვევებზე შეწყღა.

შემდეგ.²¹⁴ ხელისუფლების ორგანოებს არ მიუღიათ ადეკვატური ზომები ქვეყანაში რელიგიურ შეუწყნარებლობასთან გასამკლავებლად.²¹⁵

2017 წლიდან სახალხო დამცველი უთითებს რელიგიური შეუწყნარებლობის ნიშნით ჩადენილი დანაშაულების შემცირებაზე წინა წლებთან შედარებით.²¹⁶ საქართველოს პროკურატურის ინფორმაციით,²¹⁷ სისხლისსამართლებრივი დევნა რელიგიური შეუწყნარებლობის მოტივით 2016-2020 წლებში ჯამში 41 პირის მიმართ განხორციელდა.²¹⁸ მათგან, 2016-2020 წლებში 14 პირის წინააღმდეგ გამოვიდა გამამტყუნებელი განაჩენი.²¹⁹ რელიგიური შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაულის ჩადენის ადგილი უმეტეს შემთხვევაში არის ქუჩა, ხოლო ძალადობის ფორმა უმეტეს შემთხვევაში ფიზიკურია. რელიგიური შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის მსხვერპლთა აბსოლუტური უმრავლესობა არ იცნობს მოძალადეს. რელიგიური შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის დაზარალებულთა უმეტესობა იეჰოვას მოწმეა.²²⁰ იეჰოვას მოწმეები უთითებენ, რომ არ მიეწოდებათ ჯეროვანი ინფორმაცია მათ წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების გამოძიების გარშემო და საგამოძიებო ორგანოები გულისხმიერად არ ეკიდებიან მათთან კომუნიკაციის საკითხს.²²¹

2018 წლიდან, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის²²² ძალისხმევით შედეგად, გაუმჯობესდა რელიგიური სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის გამოძიების ხარისხი და დაზარალებულისადმი პოლიციელების დამოკიდებულება.²²³ ზემოაღნიშნულის მიუხედავად, კვლავაც პრობლემურია ჩადენილი დანაშაულის

214. ევროპული კომისია რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ, „მოხსენება საქართველოს შესახებ (მონიტორინგის მეხუთე ციკლი)“ (სტრასბურგი: ევროპის საბჭო, 1 მარტი, 2016), გვ. 10, <https://rm.coe.int/fourth-report-on-georgia-georgian-translation-/16808b5775>.
215. Ibid., გვ.10.
216. საქართველოს სახალხო დამცველი, „ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2017 წელი“ (თბილისი: საქართველოს სახალხო დამცველი, 2017), გვ. 157, <https://drive.google.com/file/d/1gcWDvqloj-PTKW5FWBczRKSldOrKkoO9/view>.
217. საქართველოს გენერალური პროკურატურა, „რელიგიური შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დისკრიმინაციული დანაშაულები 2018-2020“ (თბილისი: საქართველოს გენერალური პროკურატურა, 2020), <https://pog.gov.ge/uploads/886a091c-religiis-nishni-diskriminacii-motivi.pdf>; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს პროკურატურა და საქართველოს უზენაესი სასამართლო, „დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკის ერთიანი ანგარიში“ (თბილისი: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2020), https://www.geostat.ge/media/36779/diskriminacii-nishnit_2020_IV.pdf.
218. კერძოდ: 2016 წელს - 17 პირის მიმართ, 2017 წელს - 4 პირის მიმართ, 2018 წელს - 2 პირის მიმართ, 2019 წელს - 14 პირის მიმართ, ხოლო 2020 წელს - 4 პირის მიმართ.
219. 3 პირის წინააღმდეგ საქმის არსებითი განხილვა მიმდინარეობდა სასამართლოში, ხოლო 3 პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდა შეურაცხადობის მოტივით.
220. Ibid.
221. საქართველოს სახალხო დამცველი, „ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2018 წელი“, 147.
222. დეპარტამენტი შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში მინისტრის 2018 წლის 12 იანვრის #1 ბრძანებით შეიქმნა.
223. საქართველოს სახალხო დამცველი, „ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2019 წელი“ (თბილისი: საქართველოს სახალხო დამცველი, 2019), გვ. 218, <https://www.ombudsman.ge/res/docs/2020040215365449134.pdf>.

დროული და ეფექტიანი გამოძიება, პირის ბრალდებულად ცნობა, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მსხვერპლი კონკრეტულ პირზე მიუთითებს, ანდა ინციდენტის ამსახველი ვიდეოჩანაწერი ან სხვა მტკიცებულებები არსებობს.²²⁴ 2020 წლის 1 სექტემბრიდან, საქართველოს გენერალური პროკურორის ბრძანებით, შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე საპროცესო ხელმძღვანელობას სპეციალიზებული პროკურორები ახორციელებენ, რომლებმაც გადამზადების სასწავლო კურსები გაიარეს.²²⁵ 2020 წლის 23 სექტემბერს, ურთიერთთანამშრომლობის ოთხმხრივი მემორანდუმი გაფორმდა, რომელიც ითვალისწინებს საქართველოს პროკურატურის, საქართველოს უზენაესი სასამართლოს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების სტატისტიკის წარმოებას და მის პროაქტიულ გამოქვეყნებას.²²⁶

სიძულვილის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე რეაგირების მიმართულებით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია დანაშაულის სწორი კვალიფიკაცია. ამ კუთხით არსებული პრობლემები იწვევს სიძულვილის მოტივის მიჩქმალვას, ხოლო რელიგიური შეუწყნარებლობით ჩადენილ დანაშაულს ყოფით დანაშაულად წარმოაჩენს. დანაშაულის არასწორი კვალიფიკაცია ასევე, პირდაპირ კავშირშია გამოძიების შეწყვეტასთან, პირისათვის არაადეკვატური სასჯელის შეფარდებასთან და სხვა. 2016 წლიდან სახალხო დამცველი ყოველწლიურ ანგარიშებში უთითებს კვალიფიკაციის პრობლემის გაუმჯობესების ტენდენციაზე, როდესაც უმეტეს შემთხვევებში გამოძიება იწყება და გრძელდება იმ მუხლებით, რომლებიც თავის თავში მოიცავენ რელიგიური სიძულვილის მოტივს. ესენია სისხლის სამართლის კოდექსის 156-ე და 155-ე მუხლები. თუმცა, ამ დრომდე, საქმეების შედარებით მცირე ნაწილში, კვლავ პრობლემად რჩება დანაშაულის სწორი სამართლებრივი კვალიფიკაცია.²²⁷ კვალიფიკაციის პრობლემები მოიცავს გამოძიების დაწყებასა და

224. Ibid.

225. საქართველოს პროკურატურა, „გენერალური პროკურორის ანგარიში 2020“ (თბილისი: საქართველოს პროკურატურა, 2021), გვ. 42, <https://pog.gov.ge/uploads/c7c23efb-generaluri-prokuraturis-saqmianobis-angarishi-2020-compressed.pdf>. ანგარიშის მიხედვით, „ამჟამად, სპეციალიზებულია 136 თანამშრომელი, მათ შორის - 36 მენეჯერი, 81 პროკურორი და პროკურატურის გამოძიებელი, 19 მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი.“

226. „ურთიერთთანამშრომლობის ოთხმხრივი მემორანდუმი,“ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 23 სექტემბერი, 2020, <https://www.geostat.ge/index.php/ka/single-news/1941/urtierttanamashromlobis-otkhmkhriivi-memorandumi>. ამ დროისათვის გამოქვეყნებულია სტატისტიკური მონაცემები, რომელიც 2020 წლის ოქტომბრიდან დეკემბრამდე პერიოდს ფარავს: https://www.geostat.ge/media/36779/diskriminaciis-nishnit_2020_IV.pdf

227. მაგალითად, რელიგიური სიძულვილის მოტივით ჩადენილი ქონებრივი დანაშაულისას სამართალდამცავი ორგანოები ხშირად იყენებენ სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლს (ნივთის დაზიანება ან განადგურება). აღნიშნული ნორმა სისხლის სამართლის წესით დასჯად ქმედებად მიიჩნევა დაზარალებულისათვის 150 ლარს ზემოთ ზიანის მიყენებას. შესაბამისად, ყველა იმ საქმეში, სადაც რელიგიური შეუწყნარებლობით დაზიანდა საკულტო ნაგებობები, რელიგიური ლიტერატურა და სხვა, ხოლო მატერიალური ზიანის ოდენობა არ აღემატება 150 ლარს, გამოძიება წყდება. მაშინ, როდესაც სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას რელიგიური ნიშნით დევნისთვის (მუხლი 156) და ამ მუხლის მიზნებისთვის ქონებრივი ზიანის ზღვარი საერთოდ არ არის დადგენილი, მსგავსი შემთხვევების მხოლოდ 187-ე მუხლით დაკვალიფიცირება არასწორ პრაქტიკას ამკვიდრებს. 2016 წლის ანგარიშში სახალხო დამცველი უთითებს იეპოვას მოწმეების სამეფო დარბაზზე თავდასხმის ორი შემთხვევის შესახებ, როდესაც გამოძიება დაიწყო ნივთის დაზიანების ფაქტზე, მაგრამ ზარალის 150 ლარზე ნაკლებად შეფასების გამო, შეწყდა. გვ.417-418.

წარმართვას სისხლის სამართლის კოდექსის იმ მუხლებით, რომლებიც თავის თავში არ მოიცავენ დისკრიმინაციულ მოტივს. მაგალითად, ესენია 126-ე მუხლი (ძალადობა), 187-ე მუხლი (წივთის დაზიანება ან განადგურება) და სხვა. ამ შემთხვევებში რთულდება დისკრიმინაციული მოტივის გამოკვეთა და სისხლის სამართლებრივი დევნისას სავარაუდო სიძულვილის მოტივი ყურადღების მიღმა რჩება.²²⁸

რომ შევაჯამოთ, 2012 წელს ხელისუფლების ცვლილების შემდგომ მუსლიმთა უფლებების სისტემური დარღვევის ფაქტები, ერთი გამონაკლისის გარდა, დღემდე არ არის გამოძიებული და სამართალდამცავთა მხრიდან მათზე განხორციელებული რეაგირება არასაკმარისია. ამასთან, ბოლო წლებში არის გარკვეული წინსვლა რელიგიური შუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაულების შემცირების მიმართულებით, შედარებით გამოსწორებულია ამ ტიპის დანაშაულების სწორი სამართლებრივი კვალიფიკაციის პრობლემა, თუმცა კვლავ გამონვევად რჩება გამოძიების ეფექტიანობა და ყველა დამნაშავე პირისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხი.

228. საქართველოს სახალხო დამცველი, „ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2018 წელი,“ გვ.146; საქართველოს სახალხო დამცველი, „ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2019 წელი,“ გვ.218.

რელიგიური გაერთიანებების საკუთრება და ქონება

საქართველოში რელიგიის თავისუფლების დაცვის ხარისხი და სახელმწიფოს რელიგიური პოლიტიკა ყველაზე თვალსაჩინოდ რელიგიური ორგანიზაციების ქონებრივ საკითხებში ვლინდება. საბჭოთა პერიოდიდან მოყოლებული დღემდე, რელიგიური ორგანიზაციების დიდი ნაწილი ვერ ახერხებს ისტორიული ქონების დაბრუნებას, მფლობელობაში არსებული ქონების საკუთრების უფლებით მიღებას ან ახალი რელიგიური დანიშნულების ნაგებობების დაუბრკოლებლად აშენებას.

საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის მიერ რელიგიური ორგანიზაციები იდევენბოდნენ. მათ ჩამოერთვათ რელიგიური დანიშნულების ნაგებობები და სხვა ტიპის ქონება. მათი ნაწილი დაანგრეს, ნაწილს კი დანიშნულება შეუცვალეს. 90-იანი წლებიდან, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, რელიგიური გაერთიანებები ცდილობენ, მოიპოვონ საკუთარი ქონების ფლობისა და განკარგვის შესაძლებლობა, რელიგიის თავისუფლებით სრულფასოვნად სარგებლობის და თანასწორ პირობებში არსებობის უფლება.

1990-იანი წლებიდან საქართველოში იმატა ეთნონაციონალიზმმა. გააქტიურდა საქართველოს საპატრიარქოც. პოლიტიკური ლიდერები ცდილობდნენ ეკლესიასთან მჭიდრო კავშირების დამყარებას და საკუთარი პოლიტიკური დღის წესრიგის ეროვნულ და რელიგიურ ქრილში წარმოჩენას. ეკლესიის ავტორიტეტი და უფლებები დღითი დღე იზრდებოდა. ამ ფონზე კი მწვავედებოდა შეუწყნარებელი და დისკრიმინაციული დამოკიდებულება არადომინანტური რელიგიური ჯგუფების მიმართ. 1999-2002 წლები რელიგიური უმცირესობების მიმართ განსაკუთრებული სისასტიკითა და ძალადობით გამოირჩეოდა. მართლმადიდებლობის სახელით მოძალადეები კი დაუსჯელები და ხშირად, სახელმწიფოს მხრიდან წახალისებულნი იყვნენ.

ამგვარ ვითარებაში, ბუნებრივია, არადომინანტურ რელიგიურ ჯგუფებს მთელი რიგი უფლებები ეზღუდებოდათ. ისინი ვერ ახერხებდნენ ისტორიული ქონების დაბრუნებას, ფაქტობრივად შეუძლებელი იყო ახალი რელიგიური ნაგებობების მშენებლობაც. რელიგიური უმცირესობების ნაწილი, მსგავსად საბჭოთა პერიოდისა, კვლავ კერძო სივრცეებში იკრიბებოდნენ, ხშირად მალულად. 2005 წლამდე არადომინანტურ რელიგიურ გაერთიანებებს არ ჰქონდათ რაიმე ფორმით რეგისტრაციის უფლება. შესაბამისად, მათ, როგორც რელიგიური ორგანიზაციებს, არ შეეძლოთ რელიგიური ქონების შექენა, აშენება და ფლობა. ამ ვითარებით საქართველოს საპატრიარქომაც ისარგებლა და გარდა იმისა, რომ საბჭოთა დროს ჩამორთმეული საკუთარი ისტორიული ქონების დაბრუნება დაიწყო, მან 90-იან წლებში სხვა რელიგიური გაერთიანებების ისტორიული ქონებაც მიისაკუთრა.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის 1999-2004 წლების ანგარიშებში საქართველოში რელიგიის თავისუფლების მდგომარეობის შესახებ ხაზგასმულია, რომ რელიგიური უმცირესობები ვერ ახერხებენ საკუთარი ქონებრივი უფლებების რეალიზებას. მათ დაბრკოლებები ექმნებათ როგორც ძველი ქონების დაბრუნების მცდელობისას, ისე ახალი ნაგებობების მშენებლობისას.

ბოლო წლებში ბევრი საკანონმდებლო თუ პოლიტიკური რეფორმა გატარდა, ადამიანის უფლებების დაცვისა და დემოკრატიული პრინციპების განმტკიცების კუთხით სახელმწიფომ არაერთი საერთაშორისო ვალდებულება იკისრა. მიუხედავად ამისა, არადომინანტური რელიგიური გაერთიანებების საკუთრების საკითხი დღემდე პრობლემურია. 30 წლის განმავლობაში, სახელმწიფომ ვერ გამოავლინა

ნება, დაუბრუნოს რელიგიურ ორგანიზაციებს საკუთარი ისტორიული ქონება. ახალი რელიგიური დანიშნულების ნაგებობების მშენებლობისას კი რელიგიური უმცირესობები კვლავ აწყდებიან ბიუროკრატიულ და ხელოვნურად შექმნილ დისკრიმინაციულ ბარიერებს. დისკრიმინაციულია კანონმდებლობაც, რომელიც მხოლოდ მართლმადიდებელი ეკლესიისთვის უშვებს სახელმწიფოსგან ქონების გადაცემის შესაძლებლობას. მსგავსი საკანონმდებლო მიდგომა საკონსტიტუციო სასამართლომ 2018 წელს დისკრიმინაციულად მიიჩნია. მიუხედავად ამისა, საქართველოს პარლამენტმა არც ამჯერად გამოავლინა პოლიტიკური ნება, შეეცვა-ლა უთანასწორო კანონმდებლობა.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით „[რელიგიური] გაერთიანებების უმთავრესი მიზანი რელიგიური საქმიანობის განხორციელებაა. ხოლო ამ საქმიანობის ფარგლებში მნიშვნელოვან როლს ასრულებს მათ საკუთრებაში არსებული უძრავი თუ მოძრავი ქონება. მაგალითად, საკუთრების უფლების სარგებლობით რელიგიური ორგანიზაციები უზრუნველყოფენ აღმსარებლობისთვის აუცილებელ პირობებს შესაბამისი რელიგიის მიმდევრებისთვის.“²²⁹

ევროპის საბჭოს ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ჩარჩო კონვენციის მრჩველთა კომიტეტი 2019 წელს გამოქვეყნებულ ანგარიშში აღნიშნავს, რომ რელიგიური უმცირესობები ისევ განიცდიან სტრუქტურულ დისკრიმინაციას დაფინანსებისა და სალოცავი ადგილების ხელმისაწვდომობის კუთხით. სალოცავი ადგილების რესტიტუციის და მშენებლობის ნებართვის პროცედურები არ არის საკმარისად გამჭვირვალე და არ ეფუძნება მკაფიო და ობიექტურ სამართლებრივ კრიტერიუმებს. მრჩველთა კომიტეტი მოუწოდებს ხელისუფლებას, უზრუნველყოს რელიგიური გაერთიანებებისთვის ქონების რესტიტუციის არადისკრიმინაციულ რეჟიმში განხორციელება.²³⁰

რასტიტუციის გადაუჭრელი საკითხი

მე-20 საუკუნეში საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმი რელიგიურ ჯგუფებს მიზანმიმართულად დევნიდა. გარდა იმისა, რომ რელიგიის გამო ადამიანებს კლავდნენ, აპატიმრებდნენ და ასახლებდნენ, რელიგიურ ჯგუფებს ჩამოერთვათ სათემო ქონება (რელიგიური დანიშნულების ნაგებობები, საგანმანათლებლო და კულტურული ცენტრები, სასაფლაოები, მიწები და სხვა). ამგვარი დევნის მსხვერპლი იყვნენ როგორც უმრავლესობის, ისე უმცირესობის რელიგიური ჯგუფები. განსაკუთრებით დიდი ქონებრივი ზარალი იმ რელიგიურ გაერთიანებებს მიადგათ, რომლებიც ისტორიულად ხანგრძლივად მოქმედებდნენ საქართველოში.

საქართველომ დამოუკიდებლობა 1991 წელს აღიდგინა. სწორედ ამ პერიოდიდან მოყოლებული, ცდილობენ რელიგიური ჯგუფები საკუთარი ისტორიული ქონების დაბრუნებასა და აღდგენას. ამ დროისთვის რელიგიური ქონების დიდი ნაწილი უკვე აღარ არსებობდა - განადგურებული იყო, ნაწილს დანიშნულება ჰქონდა შეცვლილი, ნაწილი კი გადაურჩა საბჭოთა მიზანმიმართულ დევნას და სრულად ან ნაწილობრივ შენარჩუნდა.

რელიგიური ქონების დაბრუნების მიზნით საქართველოს ხელისუფლებამ როგორც საკანონმდებლო, ისე პოლიტიკის დონეზე ღონისძიებები გაატარა მხოლოდ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სასარგებლოდ. სხვა რელიგიური

229. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 3 ივლისის გადაწყვეტილება, N1/1/811
 230. ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ჩარჩო კონვენციის მრჩველთა კომიტეტი , „მესამე დასკვნა საქართველოს შესახებ“ (სტრასბურგი: ევროპის საბჭო, 7 მარტი, 2019), https://smr.gov.ge/uploads/prev/3rd_Op_Geo_05dc9050.pdf.

გაერთიანებების მიმართ, რომლებსაც სურთ საკუთარი ისტორიული ქონების დაბრუნება, არავითარი ნაბიჯები არ გადადგმულა.

მართლმადიდებელმა ეკლესიამ ქონების დაბრუნება 90-იანი წლების დასაწყისიდანვე დაიწყო. 1990 წლის 12 აპრილს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება, რომლის თანახმადაც, „საქართველოს საპატრიარქოს ყველა საკულტო ნაგებობა, უძრავ-მოძრავ ქონებასთან ერთად, ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის საკუთრებად გამოცხადდა“.

მოგვიანებით, 2002 წელს სახელმწიფომ მართლმადიდებელ ეკლესიასთან კონსტიტუციური შეთანხმება გააფორმა და უკვე ამ მაღალი სამართლებრივი იერარქიის მქონე დოკუმენტით იკისრა ეკლესიისთვის ქონების დაბრუნების ვალდებულება. სახელმწიფომ აღიარა XIX-XX საუკუნეებში საბჭოთა რეჟიმის მიერ მართლმადიდებელი ეკლესიისათვის მატერიალური და მორალური ზიანის მიყენების ფაქტი და, როგორც ჩამორთმეული ქონების ნაწილის ფაქტობრივმა მფლობელმა, იკისრა ვალდებულება, ეკლესიას ნაწილობრივ აუნაზღაუროს მატერიალური ზარალი.²³¹ გარდა ამისა, „სახელმწიფო ეკლესიის საკუთრებად ცნობს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე არსებულ მართლმადიდებლურ ტაძრებს, მონასტრებს (მოქმედსა და არამოქმედს), მათ ნანგრევებს, აგრეთვე, მიწის ნაკვეთებს, რომლებზეც ისინია განლაგებული.“²³² ქონებრივი პრივილეგიების გარდა, მართლმადიდებელ ეკლესიას სახელმწიფო 2002 წლიდან უხდის თანხას ბიუჯეტიდან და აღნიშნულსაც საბჭოთა პერიოდში მიყენებული ზიანის კომპენსაციით ასაბუთებს.

როგორც ვხედავთ, მართლმადიდებელ ეკლესიას საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისთანავე მიეცა შესაძლებლობა, დაებრუნებინა ისტორიული ქონება, თუმცა საპატრიარქო მხოლოდ საკუთარი ქონებით არ შემოიფარგლა და საკუთრების უფლებით სახელმწიფოსგან სხვა რელიგიური ჯგუფების ისტორიული ქონებაც მიიღო.

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფომ მართლმადიდებელი ეკლესიისთვის ქონების დაბრუნების საკანონმდებლო ჩარჩო შექმნა, მას არ დაუდგენია კრიტერიუმები, რის საფუძველზეც უნდა მოხდეს საკუთრების გადაცემა: არ შესწავლილა მიყენებული ზიანის ხარისხი და მასშტაბი, არ აღრიცხულა დასაბრუნებელი ქონება და არ დადგენილა ზარალის ანაზღაურების ოდენობა და ვადები. სწორედ ამგვარმა არათანმიმდევრულმა მიდგომამ განაპირობა, რომ სხვა რელიგიური ჯგუფების ისტორიული ქონებაც მართლმადიდებელი ეკლესიის საკუთრებაში აღმოჩნდა.

რელიგიური დანიშნულების ნაგებობების ფლობა და განკარგვა რელიგიის თავისუფლების გარეგანი განზომილების (გამოხატვის) განუყოფელი ნაწილია.²³³ ეუთოსა და ვენეციის კომისიის ერთობლივი სახელმძღვანელო პრინციპების თანახმად, რელიგიური ქონების დაბრუნების და ქონებაზე რელიგიური დავების გადაწყვეტისას ამ საკითხების მარეგულირებელი კანონმდებლობა მიღებული

231. საქართველოს პარლამენტის დადგენილება №1697, საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმების დამტკიცების შესახებ, მუხლი 11, (22 ოქტომბერი, 2002), <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/115876?publication=0>.

232. Ibid., მუხლი 7.

233. UN General Assembly, “Resolution 36/55, Declaration on the Elimination of All Forms of Intolerance and of Discrimination Based on Religion or Belief” (1981), art. 6(a), <https://www.ohchr.org/en/instruments-mechanisms/instruments/declaration-elimination-all-forms-intolerance-and-discrimination>.

და აღსრულებული უნდა იყოს ნეიტრალურობის პრინციპის დაცვით, ცალკეული ჯგუფებისთვის პრეფერენციების მინიჭების გარეშე.²³⁴

დღეისათვის ქონების დაბრუნების საკითხი ყველაზე მწვავედ სომეხთა სამოციქულო, კათოლიკე და ლუთერული ეკლესიებისთვის, ასევე იუდაური და მუსლიმი თემებისთვის დგას. მათი ისტორიული ქონების დიდი ნაწილი დღემდე სახელმწიფოს საკუთრებად რჩება, ნაწილი კი მართლმადიდებელმა ეკლესიამ დაისაკუთრა.²³⁵

- **სომეხთა სამოციქულო მართლმადიდებელი წმინდა ეკლესიის** საქართველოს ეპარქიამ არაერთი საკულტო ნაგებობა დაკარგა საბჭოთა პერიოდში. მათი ნაწილი განადგურდა, ნაწილი კი სხვადასხვა მესაკუთრის, მათ შორის სახელმწიფოს ხელში აღმოჩნდა. ამათგან, უკვე მრავალი წელია, ყველაზე მწვავედ დგას 10-ამდე საკულტო ნაგებობის დაბრუნების საკითხი თბილისსა და სამცხე-ჯავახეთში. მათ ე.წ. სადავო ნაგებობებად მოიხსენიებენ, რადგან მათ გადაცემაზე პრეტენზიას მართლმადიდებელი ეკლესიაც აცხადებს. მან 2017 წელს მოახერხა სახელმწიფოსგან საკუთრებით მიეღო თბილისში, აღმაშენებლის გამზირზე მდებარე ერთ-ერთი ისტორიული სომხური ეკლესია.
- **კათოლიკე ეკლესია** საქართველოში შვიდი ტაძრის დაბრუნებას ითხოვს, რომლებიც გორში, ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ივლიტაში, ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ უდესა და ბუზმარეთში, ქუთაისსა და ბათუმში მდებარეობს. 90-იან წლებში ეს საკულტო ნაგებობები საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკუთრება გახდა და ის დღემდე უარს აცხადებს მათ დაბრუნებაზე. ამის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია ბათუმის ისტორიულად კათოლიკური ტაძარი - ნეოგოტიკური სტილის სამგუმბათიანი ბაზილიკა, რომელსაც არაფერი აქვს საერთო მართლმადიდებლურ არქიტექტურასთან. დღეს საპატრიარქო ამ ტაძარში წირვა-ლოცვას აღავლენს და გამოცხადებულია ბათუმისა და ლაზეთის ეპარქიის მთავარ საკათედრო ცენტრად.
- **ევანგელურ-ლუთერული ეკლესიების** არსებობა 1817-1818 წლიდან საქართველოში ჩამოსახლებულ გერმანულ კოლონისტებს უკავშირდება. ამ პერიოდში გაჩნდა რამდენიმე გერმანული დასახლება თბილისსა და რეგიონებში. ლუთერული ეკლესია საბჭოთა რეჟიმის მიერ ერთ-ერთი ყველაზე სასტიკი დევნის მსხვერპლი გახდა. მათი ქონების დიდი ნაწილი განადგურდა. იმ ქონების დაბრუნებას კი, რომელიც დევნას გადაურჩა, ლუთერული ეკლესია საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენიდან მოყოლებული ითხოვს. ამ ქონებას შორისაა ეკლესიები გარდაბანში (მარიენფელდის ეკლესია), სოფელ თრიალეთში (ალექსანდერსჰილფის ეკლესია), ბოლნისში (კატარინენფელდის ეკლესია), სოფელ თამარისში (ტრაუბენბერგის ეკლესია) და სოფელ ასურეთში (ელიზაბეტთალის ეკლესია). ეს უკანასკნელი საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ დაიკავა და სახელმწიფოსგან მასზე 99-წლიანი ვადით სარგებლობის უფლებაც მოიპოვა 2019 წელს.
- **მუსლიმებს** საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს მრავალი მეჩეთი ჩამოერთვათ. მათგან ნაწილი ამ დროისთვის დანგრეულია. მათ შორის, 1951

234. Council of Europe (Venice Commission), “Guidelines for Legislative Reviews of Laws Affecting Religion or Belief” (Strasbourg: Council of Europe, June 11, 2004), [https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL\(2004\)061-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL(2004)061-e).

235. დეტალურად რელიგიური გაერთიანებების დაუბრუნებელი ქონების შესახებ იხ. „რესტიტუციის პოლიტიკა საქართველოში“, ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI), 2020. ხელმისაწვდომია http://tdi.ge/sites/default/files/restituciis_politika_sakartveloshi.pdf

წელს მთლიანად განადგურდა თბილისში მდებარე შაჰ-ისმაილის, ე.წ. ცისფერი მეჩეთი, ბევრ ნაგებობას კი დანიშნულება შეუცვალეს. მუსლიმებისთვის პრობლემურია სამცხე-ჯავახეთსა და აჭარაში მდებარე 20-ამდე უფუნქციო საკულტო ნაგებობის მდგომარეობა. ისინი დღეს სახელმწიფოს საკუთრებაა, მეთვალყურეობის გარეშე ადარჩენილი და ინგრევა. 2014 წელს კისახელმწიფომ თავად დააპირა ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ მოხეში მდებარე ისტორიული მეჩეთის დანგრევა, რასაც მუსლიმების პროტესტი მოჰყვა. დღეს მოხის მეჩეთი სახელმწიფოს მიერ „სადავო ნაგებობად“ არის გამოცხადებული და მუსლიმებს მისი აღდგენისა და სარგებლობის შესაძლებლობა კვლავ არ ეძლევათ.

- **იუდაურმა თემმა**, სხვა რელიგიური ჯგუფების მსგავსად, საბჭოთა პერიოდში დაკარგა სათემო და რელიგიური ქონება. ის ქონება, რომელიც ტოტალიტარულ რეჟიმს გადაურჩა, დღეს სახელმწიფოს საკუთრებაშია. მათ შორისაა თბილისში მდებარე დიდი სინაგოგაც. თბილისში, გორში, ახალციხეში, ონში, საჩხერეში, ბათუმში, მარტვილში, სენაკში მდებარე სინაგოგები დღეს საქართველოს ებრაელთა კავშირს მხოლოდ სარგებლობის უფლებით აქვს გადაცემული. მათ მესაკუთრედ კი კვლავ სახელმწიფო რჩება. თბილისში მდებარე ერთ-ერთ ისტორიულ სინაგოგაში დღეს თეატრია განთავსებული.

გარდა იმისა, რომ ზემოხსენებული რელიგიური გაერთიანებები ვერ იბრუნებენ ნაგებობებს და მათი ნაწილი სადავო ქონებად მოიხსენიება, ისინი არც იმ ისტორიულ ქონებას ფლობენ საკუთრების უფლებით, რომელიც არ ითვლება სადავოდ და რომლითაც ისინი სარგებლობენ. ეს რელიგიური ნაგებობებიც სახელმწიფოს ბალანსზე ირიცხება და მას არადომინანტური რელიგიური ჯგუფები სარგებლობის უფლებით ფლობენ, ზოგ შემთხვევაში კი ეს ფორმალური უფლებაც არ აქვთ. ამგვარი პოლიტიკით სახელმწიფო მთლიანად აცლის არადომინანტ რელიგიურ ჯგუფებს საკუთრების უფლებას და, ამგვარად, რელიგიის თავისუფლებაში ჩარევისა და მათზე კონტროლის განხორციელების ბერკეტს იტოვებს.

ფორმალურად, როგორც მართლმადიდებელი ეკლესიის ქონების, ისე სადავო რელიგიური ქონების საკითხების შესწავლის მიზნით წლების განმავლობაში რამდენიმე სამთავრობო კომისია შეიქმნა. ეს კომისიები ისე გაუქმდა, რომ მათ არსებობას არავითარი შედეგისთვის არ მიუღწევია: არ განუსაზღვრავს ქონების დაბრუნების საკანონმდებლო და პოლიტიკური მექანიზმები, ქონების აღრიცხვის, გამოკვლევისა და გადაცემის გზები; ვერც სადავო საკითხების გადასაჭრელად გადაიდგა ნაბიჯები. დღეს რელიგიური ორგანიზაციების ქონებრივი საკითხების განხილვა პრემიერ-მინისტრთან მოქმედ სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს აქვს ნაკისრი, თუმცა სააგენტოს დღემდე არცერთი პრობლემური საკითხი არ განუხილავს. ყოველივე ეს ადასტურებს, რომ 30 წლის განმავლობაში, სახელმწიფომ ვერ გაბედა და არც ნება გამოავლინა, აღადგინოს ისტორიული სამართლიანობა, თანასწორუფლებიანად მოეპყროს რელიგიურ გაერთიანებებს და დაუბრუნოს მათ სათემო ქონება.

ცალკე უნდა ითქვას კულტურული მემკვიდრეობის მიმართ გულგრილი დამოკიდებულების შესახებ. არადომინანტური რელიგიური გაერთიანებების დაუბრუნებელი ქონების უმეტესობა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებია. ვინაიდან ისინი მესაკუთრეებს არ უბრუნდებათ, დაუცველია და ნადგურდება. სახელმწიფო კი, რომელსაც ეკისრება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების შენარჩუნებისა და მოვლა-პატრონობის ვალდებულება, რელიგიური უმცირესობების ისტორიული ქონების მიმართ სათანადო ყურადღებას არ იჩენს. ამ გულგრილობის შედეგად, ბოლო წლებში უკვე არაერთი ძეგლი დაზიანდა ან დაინგრა. ხოლო იმ ძეგლებს, რომლებსაც საქართველოს საპატრიარქო დაესაკუთრა, მუდმივად

ეცვლებათ იერსახე და იშლება მათი კონფესიური მესაკუთრების ისტორიული კვალი.

სამართლებრივი დავა ისტორიული ქონებისთვის

არადომინანტური რელიგიური ჯგუფების მიერ ისტორიული ქონების დასაბრუნებლად საქართველოს ხელისუფლებას არ შეუძლებია საკანონმდებლო მექანიზმები. შესაბამისად, რელიგიური გაერთიანებები მოკლებულნი არიან შესაძლებლობას, სამართლებრივად იდავონ ან მოითხოვონ ქონების დაბრუნება. იმ ქონების დიდი ნაწილი კი რომელიც საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ მიისაკუთრა, მას 90-იან წლებში გადაეცა სახელმწიფოსგან. ამ დროს სხვა რელიგიურ გაერთიანებებს რაიმე ფორმით რეგისტრაციის შესაძლებლობაც კი არ ჰქონდათ. ამიტომ მათთვის რთული იქნებოდა სამართლებრივი დავის წამოწყება.

ყოველივე ამის გამო, მწირია რელიგიური ქონების რესტიტუციის საკითხებზე სასამართლო საქმეები, თუმცა, რამდენიმე მნიშვნელოვანი სასამართლო დავა მაინც შედგა, რომლებსაც მოკლედ მიმოვიხილავთ.

- **დავა სინაგოგისთვის**

თბილისში, აბესაძის ქუჩაზე მდებარე ყოფილი სინაგოგა დღეს სამეფო უბნის თეატრის ფორმით ფუნქციონირებს. 1930-იან წლებში საბჭოთა ხელისუფლებამ სინაგოგა ებრაულ თემს ჩამოართვა და დანიშნულება შეუცვალა. საქართველოს ხელისუფლებამ 1995 წელს შენობა ებრაელთა რელიგიურ საზოგადოებას გადასცა საკუთრების უფლებით.²³⁶ მაგრამ 1988 წლიდან შენობა სახელმწიფო დრამატულ თეატრს ჰქონდა გადაცემული ფლობისა და სარგებლობის უფლებით. თეატრმა შენობის ებრაელთა რელიგიური საზოგადოებისთვის გადაცემის შესახებ დადგენილების ბათილად ცნობის მოთხოვნით სასამართლოს მიმართა. საპასუხოდ ებრაელთა რელიგიურმა საზოგადოებამაც მოითხოვა შენობიდან თეატრის გამოსახლება.

დავაში თეატრის ერთ-ერთი არგუმენტი იყო, რომ ებრაელთა რელიგიური საზოგადოება არ წარმოადგენდა სამართალსუბიექტს და ამიტომ მისთვის შენობის გადაცემას არ ჰქონდა სამართლებრივი საფუძველი. მნიშვნელოვანია, როგორ შეაფასა 2001 წელს უზენაესმა სასამართლომ, იყო თუ არა ებრაელთა საზოგადოება პროცესში მონაწილეობის უფლების მქონე პირი: „მართალია, კანონით დღემდე არ არის განსაზღვრული რელიგიურ ორგანიზაციათა სამართლებრივი სტატუსი, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ის გამოცხადებულია კანონგარეშედ და რომ ასეთ ორგანიზაციებს (მორწმუნე პირების გაერთიანებებს) არა აქვთ თავიანთი კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების გარანტიები“. უზენაესმა სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა ებრაელთა რელიგიური საზოგადოების მოთხოვნა და დაუდგინა საკუთრების უფლება სადავო შენობის ნაწილზე.²³⁷

მიუხედავად სასამართლოს გადაწყვეტილებისა, თეატრი წლების მანძილზე უარს აცხადებს შენობის დათმობაზე. 2001 წლის სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, ებრაულმა საზოგადოებამ შენობის ნაწილის საჯარო რეესტრში საკუთრებად რეგისტრაცია მხოლოდ 2022 წელს შეძლო.

236. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1995 წლის 22 ივნისის დადგენილება.

237. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის გადაწყვეტილება N 3ბ/ად132, 10 აპრილი, 2001.

• **დავა ქუთაისის კათოლიკუი ეკლესიისთვის**

როგორც უკვე ითქვა, კათოლიკე ეკლესია ერთ-ერთია მათ შორის, ვინც დღემდე ვერ შეძლო საკუთარი ისტორიული ქონების დაბრუნება. კათოლიკეების შემთხვევაში საკითხს კიდევ უფრო ართულებს ის ფაქტი, რომ მათი სადავო ტაძრები მართლმადიდებელ ეკლესიას აქვს გადაცემული სახელმწიფოსგან საკუთრების უფლებით. ამ ტაძრებს შორისაა ქუთაისის ეკლესია.

ქუთაისში უბინო ჩასახვის კათოლიკური ეკლესიის მშენებლობა 1826 წელს დაიწყო და 1862 წელს დასრულდა. საბჭოთა ხელისუფლებამ ეკლესია 1939 წელს დახურა. 1989 წელს სარგებლობის, ხოლო 1990 წელს საკუთრების უფლებით საქართველოს საპატრიარქოს გადაეცა და დღეს ხარების ეკლესიის სახელით ფუნქციონირებს. ტაძარი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია.

ვინაიდან იმ დროს რელიგიურ გაერთიანებებს, მათ შორის კათოლიკე ეკლესიას, რელიგიურ ორგანიზაციად რეგისტრაციის სამართლებრივი უფლება არ ჰქონდათ, 2000 წელს დასავლეთ საქართველოს კათოლიკურმა მრევლმა დააფუძნა კავშირი „სავარდი“. 2001 წელს „სავარდმა“ ქუთაისის ეკლესიის დაბრუნების მოთხოვნით სასამართლოს მიმართა. საოლქო სასამართლომ კავშირი „სავარდი“ არ მიიჩნია კათოლიკე ეკლესიის სამართალმემკვიდრედ და დავა უზენაეს სასამართლომდე გაგრძელდა. უზენაესი სასამართლოს 2004 წლის გადაწყვეტილებით, კავშირ „სავარდის“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.²³⁸

უზენაესი სასამართლოს არგუმენტაცია არაერთ კითხვას აჩენს. სასამართლომ ჩათვალა, რომ კავშირი „სავარდი“ არ იყო XIX-XX საუკუნეებში საქართველოში რომის კათოლიკეთა ეკლესიის რელიგიური საზოგადოების სამართალმემკვიდრე, რადგან ეს არ დასტურდებოდა მისი სადამფუძნებლო დოკუმენტაციით. მიუხედავად იმისა, რომ კავშირ „სავარდის“ პირდაპირი და ექსკლუზიური კავშირი საქართველოში წარსულში მოქმედ კათოლიკე გაერთიანებასთან აღიარებული იყო რომის წმინდა საყდრის მიერ და დასტურდებოდა ამიერკავკასიაში კათოლიკე ეკლესიის სამოციქულო ადმინისტრატორის წერილით, სასამართლომ ეს მტკიცებულება უგულებელყო.

ამას გარდა, სასამართლომ განაცხადა, რომ სადავო ეკლესია, რომელიც 1939 წლამდე კათოლიკეთა ღვთისმსახურების ადგილი იყო, სასამართლო დავის მომენტში ის მართლმადიდებლური ეკლესია იყო. სასამართლოს სადავოდ არ გაუხდია, რომ საბჭოთა ოკუპაციამდე ტაძარი კათოლიკე თემს ეკუთვნოდა. მისი მტკიცებით, რადგან სსრკ მინისტრთა საბჭომ 1989 წელს აღნიშნული ტაძარი სარგებლობის უფლებით მართლმადიდებლებს გადასცა, ხოლო 1990 წლის 12 აპრილს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ მიღებული დადგენილებით საქართველოს საპატრიარქოს სარგებლობაში არსებული ყველა რელიგიური ნაგებობა მის საკუთრებად გამოაცხადა, ამიტომ დავის მომენტში ნაგებობა საპატრიარქოს საკუთრებად უნდა მიჩნეულიყო. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ აქტებზე დაყრდნობით განაცხადა, რომ „ზემოაღნიშნული ადმინისტრაციული აქტები არავის გაუქმებია, დღესაც კანონიერ ძალაშია და ამდენად, 1989-1990 წლებიდან ქუთაისის ღვთისმშობლის ხარების ეკლესია ქართული მართლმადიდებლური ეკლესიაა“.

საინტერესოა სინაგოგის და ქუთაისის კათოლიკური ეკლესიის საქმეების შედარება. პირველ შემთხვევაში სასამართლომ სადავო არ გახადა ებრაელთა რელიგიური საზოგადოების საბჭოთა ოკუპაციამდე თემთან კავშირისა და სამართალმემკვიდრეობის საკითხი, არც მისი იურიდიული სტატუსითიხელმძღვანელა

238. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2004 წლის 27 აპრილის განჩინება დასავლეთ საქართველოს კათოლიკეთა კავშირ „სავარდის“ საკასაციო სარჩელზე.

გადაწყვეტილების მიღებისას და უპირატესობა მიანიჭა თემის კონსტიტუციურ უფლებებს. კავშირ „სავარდის“ შემთხვევაში კი სასამართლოს საერთოდ არ უმსჯელია კათოლიკეთა კონსტიტუციურ უფლებებზე და გადაწყვეტილება არაერთი გარემოების უგულებელყოფით გამოიტანა.

● **დავა სომეხთა სამოციქულო ეკლესიის ოხი გაძიების**

კათოლიკური ეკლესიისა და სინაგოგის სასამართლო საქმეების შემდეგ რელიგიურ გაერთიანებებს დიდ ხანს არ მისცემიათ შესაძლებლობა, ედავათ საკუთარი ისტორიული ქონების დასაცავად. ამგვარი შესაძლებლობა სომეხთა სამოციქულო ეკლესიის საქართველოს ეპარქიას 2018 წელს მიეცა.

თბილისში, აღმაშენებლის გამზირის N 38-ში მდებარე „**თანდოიანც სურბ ასტვანანინის**“ ისტორიულად სომხური წარმომავლობის ეკლესია სახელმწიფომ 2017 წელს საქართველოს საპატრიარქოს საკუთრების უფლებით გადასცა. საბჭოთა ოკუპაციამდე ტაძარი სომეხთა სამოციქულო ეკლესიას ეკუთვნოდა. საბჭოთა რეჟიმმა 1924 წელს ეკლესია ჩამოართვა სომხურ თემს და დახურა. ნაგებობის ისტორიული და კონფესიური წარმომავლობა დასტურდება როგორც სახელმწიფო უწყებების მიერ გაცემული ოფიციალური დოკუმენტაციით, ასევე არაერთი ისტორიული და საარქივო წყაროთი. საკუთრებაში მიღებისთანავე, საპატრიარქომ ეკლესიის ტერიტორიაზე სარეკონსტრუქციო სამუშაოები დაიწყო.²³⁹

2018 წელს, სომეხთა სამოციქულო ეკლესიის საქართველოს ეპარქიამ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წინააღმდეგ, რადგან სწორედ სააგენტომ დაურეგისტრირა ნაგებობა საკუთრების უფლებით საპატრიარქოს. ეპარქიამ სარჩელი სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს წინააღმდეგაც შეიტანა, იმ გადაწყვეტილების ბათილობის მოთხოვნით, რომლითაც ქონების სააგენტომ გააუქმა ეკლესიაზე სახელმწიფოს საკუთრება და ამგვარად გზა გაუხსნა საჯარო რეესტრს, ქონება საპატრიარქოსთვის გადაეფორმებინა. თბილისის საქალაქო სასამართლომ არცერთი სარჩელი არ მიიღო წარმოებაში საქმის არსებითად განსახილველად. სასამართლომ სომეხთა სამოციქულო ეკლესია არ ცნო მოცემულ დავაში იურიდიული ინტერესის მქონე სუბიექტად, სუბიექტად, რომელსაც გააჩნია უფლება, იდავოს საკუთარი ისტორიული ქონების სხვა რელიგიური გაერთიანებისათვის გადაცემის კანონიერებაზე.²⁴⁰

მსგავსი გადაწყვეტილება მიიღო სასამართლომ სომეხთა სამოციქულო ეკლესიის მეორე სასამართლო დავაში. თბილისში მდებარე მეთვრამეტე საუკუნის ისტორიული ძეგლი, „**სურბ ნშანის**“ სომხური ეკლესია დღეს სახელმწიფოს საკუთრებაა. ნაგებობა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2016 წლის სექტემბრის ბრძანებით, „სურბ ნშანის“ ეკლესიის მომიჯნავედ მდებარე მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს მიეცა უფლება, აწარმოოს მშენებლობა. ამით კი დაზიანების რეალური საშიშროების წინაშე დადგა კულტურული მემკვიდრეობის

239. თანდოიანცის ეკლესიის საპატრიარქოსთვის გადაცემის კანონიერება სახალხო დამცველმა შეისწავლა და შეაფასა. სახალხო დამცველმა დაადგინა, რომ საჯარო რეესტრისა და ქონების მართვის ეროვნული სააგენტოს მიერ გამოცემული აქტები, რომლის საფუძველზეც ქონება საქართველოს საპატრიარქოს საკუთრებად დარეგისტრირდა, გამოცემულია კანონმდებლობის მოთხოვნათა არსებითი დარღვევით, საქმის გარემოებათა გამოკვლევის გარეშე და არსებობს მათი ბათილად ცნობის საფუძველები. სახალხო დამცველის 2018 წლის 13 მარტის N 04-9/3883 რეკომენდაცია.

240. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინება 2019 წლის 24 იანვარი, საქმე N 3/1555 -18; თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა, 2019 წლის 29 მარტი, საქმე N 3ბ/705-19.

ობიექტი – „სურბ ნშანის“ ეკლესია. თბილისის საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ სარჩელზე უნდა შეწყვეტილიყო წარმოება, რადგან მან ამ შემთხვევაშიც სომეხთა სამოციქულო ეკლესია არ ცნო იურიდიული ინტერესის მქონე პირად, რომლის უფლებები და ინტერესებიც შეიძლება ირღვეოდეს თბილისის მერიის მიერ გაცემული ზემოხსენებული ბრძანებით.²⁴¹

ორივე საქმეში სასამართლომ საქმის განხილვაზე უარი იმით ახსნა, რომ მოსარჩელეს - სომეხთა სამოციქულო ეკლესიის საქართველოს ეპარქიას - არ აქვს სადავო ქონებაზე უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი. უფრო მეტიც, სასამართლომ თქვა, რომ, ვინაიდან ეპარქია არ არის ამ ტაძრების მესაკუთრე, მას ვერ ექნება სადავო ქონების მიმართ იურიდიული ინტერესი და მის უფლებას ვერ მიადგებოდა პირდაპირი და უშუალო ზიანი. ბუნებრივია, სომეხთა სამოციქულო ეკლესიას დღეს არ აქვს ამ ტაძრებზე საკუთრების უფლება, რადგან სახელმწიფო მას ამ ქონებას არ უბრუნებს. სასამართლოს კი უაღრესად მნიშვნელოვანი როლი აკისრია, გამოიკვლიოს და შეაფასოს ფაქტები, დაიცვას რელიგიური ჯგუფის ქონებრივი ინტერესები და რელიგიის თავისუფლება. ამ შემთხვევაში, სასამართლომ საქმე არსებითად განხილვის ეტაპამდეც არ მიიყვანა, სადაც შესაძლებელი იქნებოდა ისტორიული ფაქტებისა და მტკიცებულებების გამოკვლევა და სომეხთა სამოციქულო ეკლესიის კანონიერი ინტერესის დადგენა.

თუ სომხური ეკლესიის 2019 წლის საქმით პარალელს გავავლებთ 2004 წელს ქუთაისის კათოლიკური ეკლესიის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებასთან, დავინახავთ, წლების განმავლობაში რა ტიპის სისტემურ პრობლემასთან გვაქვს საქმე. რესტიტუციის საკითხის მიმართ სახელმწიფოს დისკრიმინაციული პოლიტიკის კვალდაკვალ, რელიგიური ჯგუფები ხშირად საკუთარი ფუნდამენტური უფლებების დაცვას ვერც სასამართლოს გზით ახერხებენ.

● **დავა სოფელ მოხის მეჩეთისთვის**

ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ მოხის მეჩეთი მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში მესხი მუსლიმების მიერ აშენდა. დღეს ნაგებობა დანგრეული და დაზიანებულია. მასზე შემორჩენილია ისლამური სალოცავებისათვის მახასიათებელი არქიტექტურული დეტალები. 2007 წლიდან მეჩეთი ადიგენის მუნიციპალიტეტის ქონებად ირიცხებოდა. 90-იანი წლებიდან მოყოლებული, ადგილობრივი მუსლიმები მეჩეთის დაბრუნებას სახელმწიფოსგან ითხოვენ. 2014 წელს ადგილობრივმა ხელისუფლებამ ნაგებობის სხვა დანიშნულებით გარდაქმნა გადაწყვიტა და სამუშაოებისთვის კერძო კომპანია დაიქირავა. კომპანიამ მეჩეთის დემონტაჟის სამუშაოები დაიწყო, რასაც ადგილობრივი მუსლიმი მოსახლეობის პროტესტი მოჰყვა. მათ დაიცვეს ისტორიული მეჩეთი და არ მისცეს სახელმწიფოს მისი დანგრევის შესაძლებლობა. სახელმწიფო შეკრებილ მუსლიმებს დაუპირისპირდა, სამართალდამცავებმა მათ სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. მეჩეთის დემონტაჟი შეჩერდა, შენობისთვის დავა კი ახალ ფაზაში გადავიდა. ასპარეზზე მართლმადიდებელი ეკლესია გამოვიდა და მოითხოვა, ნაგებობა მას გადასცემოდა. ეკლესიამ არგუმენტის ორი ვერსია დაასახელა: მე-18 საუკუნეში აღნიშნულ ადგილას ქრისტიანული ტაძარი იდგა; საპატრიარქოს მეორე ვერსიით, მეჩეთი ქრისტიანული ქვებით იყო აგებული. საკუთარი ვარაუდების გასამყარებლად, ეკლესიას არავითარი საექსპერტო ან ისტორიული მასალა არ წარუდგენია.

241. ვრცლად თანდოიანცის და სურბ-ნშანის სომხური ეკლესიების საქმეების შესახებ იხ. ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტის ანგარიში „რელიგიისა და რწმენის თავისუფლება საქართველოში,“ ხელმისაწვდომია http://tdi.ge/sites/default/files/tdi-angarishi-religiis_tavisupleba_sakartveloshi_2010-2019.pdf

საქმეში პრემიერ-მინისტრთან მოქმედი რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო ჩაერთო და სადავო ნაგებობის საკითხის შესწავლის მიზნით სპეციალური კომისია შექმნა. მუსლიმი თემის მოთხოვნის მიუხედავად, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტომ უარი განაცხადა პროცესში დამკვირვებლის სტატუსით დამოუკიდებელი ექსპერტებისა და სახალხო დამცველის ჩართვაზე. კომისიამ ფორმალურად ორ წელს იარსება, 2017 წელს კი მიიღო გადაწყვეტილება, რომ შენობა ისტორიულ მესაკუთრეს არ გადაეცემა, მუნიციპალიტეტის საკუთრებიდან გადავა სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს საკუთრებაში და შევა კულტურული მემკვიდრეობის ობიექტთა ნუსხაში, სტატუსით „სადავო ნაგებობა“. ამგვარად, რელიგიის სააგენტოს ჩართვამ, მეჩეთის საკითხის განხილვა ჯერ ორი წლით გააჭიანურა, შემდგომ კი „სადავო ნაგებობის“ სტატუსით მინიჭებით განუსაზღვრელი ვადით დააკონსერვა. ამან სახელმწიფოს შესაძლებლობა მისცა, თავიდან აერიდებინა საქმის სამართლებრივ ქრილში განხილვა. მუსლიმთა უფლებები კი კვლავ დაუცველი დარჩა.

2018 წელს ადგილობრივმა მუსლიმებმა, მოხის ისტორიული მეჩეთის საქმეზე გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტს მიმართეს. 2021 წლის იანვრის მდგომარეობით, საქმეზე წარმოება გრძელდება.

წინააღმდეგობები ახალი რელიგიური ნაგებობების მშენებლობისას

იმისათვის, რომ ადამიანებმა შეძლონ საკუთარი რელიგიის თავისუფლების სრულფასოვნად რეალიზება, სამლოცველოების თავისუფლად ფლობისა და განკარგვის უფლებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. საქართველოს კანონმდებლობა არ აწესებს რაიმე სპეციალურ რეგულაციებს რელიგიური დანიშნულების ნაგებობების მშენებლობისთვის. რელიგიური ჯგუფი, რომელსაც სურს ახალი ნაგებობის მშენებლობა, სამშენებლო სფეროში მოქმედ ზოგად წესებს ეყრდნობა. ამგვარი მიდგომა მისასაღმებელია, რადგან სპეციალური საკანონმდებლო რეგულირებით, სახელმწიფოს ექნება ბერკეტი, არაერთი დაბრკოლება შეუქმნას რელიგიურ ჯგუფებს.

თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ სამშენებლო სფეროში არსებული კანონმდებლობა ნეიტრალური და ლიბერალურია რელიგიური ორგანიზაციების მიმართ, არადომინანტურ რელიგიურ ჯგუფებს მაინც ბევრი წინააღმდეგობა ექმნებათ ახალი რელიგიური დანიშნულების ნაგებობების მშენებლობის პროცესში.

მშენებლობის ნებართვებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები გაცემენ. საკულტო ნაგებობების მშენებლობისას ადგილობრივი თვითმმართველობები ხშირად დისკრიმინაციულად ეპყრობიან რელიგიურ უმცირესობებს და უქმნიან სხვადასხვა ტიპის ბიუროკრატიულ ბარიერებს. ხშირად, ამ დისკრიმინაციული გადაწყვეტილებების საფუძველი მართლმადიდებელი მრევლის და სასულიერო პირების პროტესტი ხდება, რომლებსაც არ სურთ, რომ ამა თუ იმ რელიგიური გაერთიანების ნაგებობა აშენდეს. სურათი წლების განმავლობაში ამ კუთხითაც არ გაუმჯობესებულა.

მაგალითად, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის 1999 წლის რელიგიის თავისუფლების ანგარიშში²⁴² წერია, რომ „სომეხთა სამოციქულო და კათოლიკე ეკლესიებს, ისევე როგორც პროტესტანტულ დენომინაციებს, სირთულეები

242. U.S. Department of State, “Annual Report on International Religious Freedom for 1999: Georgia” (Washington DC: U.S. Department of State, September 9, 1999), https://1997-2001.state.gov/global/human_rights/irf/irf_rpt/1999/irf_georgia99.html?fbclid=IwAR1FPkvwQZb0pWgVvEEwM65qkI5LjdwTPedQu6whNJo31to2-72m0WwMuakWc.

ექმნებათ, მოიპოვონ ახალი ეკლესიების ასაშენებლად მშენებლობის ნებართვები, სავარაუდოდ, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგობის გამო”. შედარებისთვის, 20 წლის შემდგომ შედგენილ ანგარიშში²⁴³ საქართველოს შესახებ ვკითხულობთ, რომ არადომინანტური რელიგიური ჯგუფები კვლავ აწყდებიან სახელმწიფოს მხრიდან წინააღმდეგობებს სალოცავებისთვის მშენებლობის ნებართვის მიღების პროცესში, რაც, რელიგიის თავისუფლების საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების შეფასებით, განპირობებულია სახელმწიფოს მიკერძოებული დამოკიდებულებით მართლმადიდებელი ეკლესიის მიმართ.

რელიგიური უმცირესობებისთვის საკულტო ნაგებობების მშენებლობის ნებართვის მოპოვების პროცესში პრობლემურია 2014 წელს შექმნილი რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს როლიც. სააგენტომ რელიგიური ნაგებობების მშენებლობის საკითხებზე სარეკომენდაციო ფუნქცია იკისრა. ქვემოთ განხილულ საქმეებში ჩანს, რომ ხშირ შემთხვევაში სააგენტო სწორედ დაბრკოლების შემქმნელ უწყებად გვევლინება.

ეუთოს და ვენეციის კომისიის სახელმძღვანელო პრინციპების თანახმად, სახელმწიფომ, შესაძლოა, ბოროტად გამოიყენოს კანონმდებლობა და დაბრკოლებები შეუქმნას რელიგიურ გაერთიანებებს სალოცავების მშენებლობის პროცესში, ხოლო ეს ნეიტრალური შინაარსის არგუმენტებით დაასაბუთოს. მაგალითად, განაცხადოს, რომ ხელი შეეშლება საავტომობილო მიმოსვლას, ან დაირღვევა ჰარმონიულობა სხვა ნაგებობებთან, ან არგუმენტად ხმაურის პრევენცია დაასახელოს. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ კანონმდებლობა იყოს მიუკერძოებლად შედგენილი და აღსრულებული.²⁴⁴

წინამდებარე საქმეებში კარგად ჩანს ის ხელოვნური დაბრკოლებები, რომლებიც, უკვე წლებია, რელიგიურ უმცირესობათა ორგანიზაციებს ექმნებათ სახელმწიფოს დისკრიმინაციული მიდგომის გამო.

● **ბათუმის ახალი მეჩეთი**

ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობის საქმე სახელმწიფოს დისკრიმინაციული პოლიტიკის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია. ბათუმში მუსლიმები, თითქმის 25 წელია, იბრძვიან ახალი მეჩეთის ასაშენებლად. ქალაქში მოქმედი ერთადერთი მეჩეთი არ არის საკმარისი მლოცველებისთვის და ადამიანები ხშირად ქუჩაში, ღია ცის ქვეშ იკრიბებიან სალოცავად. წლების განმავლობაში მუსლიმებმა არაერთი დაპირება მიიღეს ხელისუფლებისგან, რომ გამოინახებოდა ტერიტორია, რომელზეც ახალი მეჩეთი აშენდებოდა. არცერთ დაპირებას ქმედება არ მოჰყოლია. საბოლოოდ, 2017 წელს, ადგილობრივმა მუსლიმებმა დააფუძნეს „ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობის ფონდი“, მინის ნაკვეთი შეისყიდეს და ბათუმის მერიას მეჩეთის მშენებლობის ნებართვის მისაღებად განცხადებით მიმართეს.

2017 წლის 5 მაისს ადგილობრივმა თვითმმართველობამ მათ უარი უთხრა მშენებლობის ნებართვის გაცემაზე. მერიამ უარის მიზეზად დაასახელა, რომ: 1.სამშენებლო მიწის ნაკვეთი მდებარეობს საცხოვრებელ ზონაში და მომავალშიც სწორედ საცხოვრებელი კომპლექსები უნდა გაშენდეს; 2. საკულტო ნაგებობას ესაჭიროება

243. U.S. Department of State, “2018 Report on International Religious Freedom: Georgia” (Washington DC: U.S. Department of State, 2018), <https://www.state.gov/reports/2018-report-on-international-religious-freedom/georgia/>; U.S. Department of State, “2019 Report on International Religious Freedom: Georgia” (Washington DC: U.S. Department of State, 2019), <https://www.state.gov/reports/2018-report-on-international-religious-freedom/georgia/>.

244. Council of Europe (Venice Commission), “Guidelines for Legislative Reviews of Laws Affecting Religion or Belief.”

განსაკუთრებული ინფრასტრუქტურა გადაადგილების, ავტოტრანსპორტის მოძრაობის, გაჩერების და სხვა თვალსაზრისით, რომლის მოწყობის შესაძლებლობა მითითებულ მიწის ნაკვეთზე რთულია.

საყურადღებოა, რომ იმავე ზონაში, საცხოვრებელ ზონა 6-ში, რამდენიმე ეკლესია დგას, მათ შორის ბევრი ბოლო წლებშია აგებული - უმეტესობა მშენებლობის ნებართვის გარეშე. ამ ფაქტზე ყურადღება სახალხო დამცველმაც გაამახვილა და აღნიშნა, რომ ბათუმის მერიას სხვადასხვა კონფესიის მიმართ არაერთგვაროვანი მიდგომა ჰქონდა, რადგან იმავე ზონაში არაერთი მართლმადიდებლური ტაძარია აშენებული, რომლებზეც მშენებლობის ნებართვაც კი არ არის გაცემული. სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ მერიამ გადაწყვეტილება საქმისთვის მნიშვნელოვანი გარემოებების გამოკვლევისა და სათანადო დასაბუთების გარეშე მიიღო.²⁴⁵

2017 წლის 10 ივნისს მეჩეთის მშენებლობის ფონდმა მერიის უარი ბათუმის საქალაქო სასამართლოში გაასაჩივრა და მოითხოვა დაუსაბუთებელი უარის ბათილად ცნობა. საქმის განხილვა ორ წელზე მეტ ხანს გაჭიანურდა. სასამართლომ მხარეებს მორიგება რამდენჯერმე შესთავაზა. მშენებლობის ფონდსა და მერიას შორის რამდენიმე შეხვედრა გაიმართა, თუმცა მერიის პოზიცია ყოველ ჯერზე დისკრიმინაციული იყო.²⁴⁶ შესაბამისად, შეთანხმება ვერ შედგა.

საბოლოოდ, 2019 წლის 30 სექტემბერს, ბათუმის საქალაქო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება და მშენებლობის ფონდის მოთხოვნა ნაწილობრივ დააკმაყოფილა:

- სასამართლომ დაადგინა დისკრიმინაცია. მოსამართლემ აღნიშნა, რომ მერიის მიდგომა ორი სხვადასხვა რელიგიური ჯგუფის მიმართ უთანასწოროა, რადგან იმავე საცხოვრებელ ზონაში შვიდი მართლმადიდებელი ეკლესიაა აშენებული, მათ შორის რამდენიმე - მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწაზე;
- სასამართლომ ბათილად ცნო ბათუმის მერიის გადაწყვეტილება მშენებლობის ნებართვის პირველი სტადიის გაცემაზე უარის შესახებ და საქმე ხელახლა განსახილველად ბათუმის მერიას დაუბრუნა;
- სასამართლომ არ დააკმაყოფილა მოსარჩელე მხარის მოთხოვნა, პირდაპირ დავალდებოდა ბათუმის მერიას მშენებლობის ნებართვის პირველი სტადიის დაკმაყოფილების შესახებ აქტის გამოცემა.

ბათუმის მერიამ სასამართლო გადაწყვეტილება გაასაჩივრა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში. ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობის ფონდმაც წარადგინა სააპელაციო საჩივარი, რომლითაც მერიისთვის მშენებლობის ნებართვის პირველ სტადიაზე გაცემის პირდაპირ დავალდებულება მოითხოვა. 2021 წლის აპრილში ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც ბათუმის მერიის გადაწყვეტილებები მეჩეთის მშენებლობაზე მიჩნეულია უკანონოდ და დისკრიმინაციულად. მიუხედავად ორი ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილებისა, ბათუმის მერია განაგრძობს მუსლიმების უფლებების უგულებელყოფას და პროცესის გაჭიანურებას. 2021

245. საქართველოს სახალხო დამცველი, „ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2017 წელი;“ საქართველოს სახალხო დამცველი, „ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2018 წელი.“

246. ბათუმის მერმა განაცხადა, რომ, თუკი ახალი მეჩეთის მშენებლობის ფონდი უარს იტყობდა სასამართლო დავაზე და მის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთს გადასცემდა სსიპ სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს, მერია ამ შემთხვევაში განიხილავდა ახალი მეჩეთის მშენებლობისათვის ნებართვის გაცემის საკითხს.

წლის ივლისში მერიამ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრა. 2023 წლის მარტის მდგომარეობით, საქმის განხილვა გრძელდება უზენაეს სასამართლოში.

პარალელურად, 2017 წლის ივნისიდან მოყოლებული, ასეულობით ადგილობრივი მუსლიმი რეგულარულად იკრიბება მათ მიერ შექმნილ მიწის ნაკვეთზე და ლოცულობს. მათი განცხადებით, ბათუმის ახალი მეჩეთი უკვე არსებობს, მიუხედავად იმისა, რომ მათ ამ დრომდე შესაბამისი სამლოცველოს აშენების შესაძლებლობა არ ეძლევათ.

მეჩეთის საქმეში საყურადღებოა რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს როლი. სააგენტოს არასდროს დაუჭერია მხარი მუსლიმების სამართლიანი მოთხოვნისთვის, რომ მიეცეთ საკუთარი კონსტიტუციური უფლების რეალიზების შესაძლებლობა. პირიქით, ახალი მეჩეთის მშენებლობის სანაცვლოდ, სააგენტომ სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს 2014 წელს სამმართველოს რეზიდენციისთვის და სასულიერო სასწავლებლისთვის შენობები გადასცა ბათუმში. მუსლიმები მიიჩნევენ, რომ სახელმწიფო ზეწოლას ახდენს მუსლიმთა სამმართველოზე და საბოლოო ჯამში, ეს ორგანიზაცია არ გამოხატავს აჭარის მუსლიმების ინტერესებს.

• **კათოლიკე ეკლესია ხუსთავში**

ხუთწლიანი ბრძოლა დასჭირდა კათოლიკე ეკლესიასაც ქალაქ რუსთავში ტაძრის ასაშენებლად. 2013 წელს, კათოლიკეებმა, საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე რუსთავის მერიისგან მშენებლობის ნებართვა მოითხოვეს. რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულომ ნებართვის გაცემის პირველ სტადიაზე გამოსცა ბრძანება, რომლითაც დამტკიცდა მიწის სამშენებლოდ გამოყენების პირობები. შესაბამისად, კათოლიკე ეკლესიამ უკვე მშენებლობის ნებართვის მეორე სტადიაზე, უშუალოდ სანებართვო მოწმობის გაცემის მოთხოვნით მიმართა მერიას. ადგილობრივმა თვითმმართველობამ არ გამოსცა არც მოთხოვნის დამაკმაყოფილებელი აქტი და არც უარის შესახებ შეუტყობინებია განმცხადებლისთვის.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ადგილობრივი სასულიერო პირები და მრევლი წინააღმდეგნი იყვნენ, კათოლიკე ეკლესიას რელიგიური ნაგებობა აეშენებინა რუსთავში. მათ მერიაშიც გამართეს შეხვედრები. როგორც ჩანს, მერიის დისკრიმინაციულ ქმედებებზე მართლმადიდებელი ეკლესიის პროტესტმა გავლენა მოახდინა.

კათოლიკე ეკლესიამ სასამართლოს მიმართა. 2014 წელს სასამართლომ დაადგინა, რომ, ვინაიდან ადმინისტრაციულმა ორგანომ მოსარჩელეს დადგენილ ვადაში არ აცნობა უარის შესახებ, ნებართვა გაცემულად ითვლება. ამ გადაწყვეტილების საფუძველზე, კათოლიკე ეკლესიამ კიდევ რამდენჯერმე მიმართა რუსთავის მერიას და სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად, მოითხოვა მშენებლობის სანებართვო მოწმობის გაცემა. რუსთავის მერიამ ეს განცხადებები კვლავ უპასუხოდ დატოვა.

2015 წელს კათოლიკე ეკლესიამ ხელახლა მიმართა სასამართლოს და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოითხოვა. 2016 წლის გადაწყვეტილებით, რუსთავის საქალაქო სასამართლომ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა და რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიას დაავალა, ლათინ კათოლიკეთა კავკასიის სამოციქულო ადმინისტრაციის საკუთრებაში მდებარე მიწის ნაკვეთზე საკულტო ნაგებობის მშენებლობაზე ნებართვა გაეცა. მერიამ სასამართლოს გადაწყვეტილება თბილისის სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა.

პარალელურად, ხელისუფლება მოლაპარაკებებს აწარმოებდა კათოლიკე ეკლესიასთან და ურჩევდა, ეკლესიის ასაშენებლად მათ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი, რომელიც ქალაქის ცენტრში მდებარეობდა, სახელმწიფოსთვის გაეცვალა სხვა ტერიტორიაში, რომ მართლმადიდებლების უკმაყოფილება არ გამოეწვია.

რამდენიმეწლიანი სასამართლო დავისა და წინააღმდეგობის შემდეგ, კათოლიკე ეკლესიამ მიიღო გადაწყვეტილება, მიწის გაცვლის დისკრიმინაციულ შეთავაზებას დასთანხმებოდა. საბოლოოდ რუსთავში ახალი ტაძარი 2018 წლის ოქტომბერში, სხვა ტერიტორიაზე გაიხსნა.

● **იეჰოვას მოწმეების სამეფო დახმავები და შექმნილი დაბრკოლებები**

იეჰოვას მოწმეები დაბრკოლებებს ახალი რელიგიური დანიშნულების ნაგებობების მშენებლობისას 90-იანი წლებიდან აწყდებოდნენ. არსებული დისკრიმინაციული და შეუწყნარებელი გარემოს გამო, მათ, მსგავსად სხვა არადომინანტური რელიგიური ჯგუფებისა, არ ეძლეოდათ შესაძლებლობა, დარეგისტრირებულიყვნენ რელიგიურ ორგანიზაციად და თავისუფლად შეეძინათ, ექირავათ, აეშენებინათ ან განეკარგათ ქონება. ამიტომ გასულ წლებში იეჰოვას მოწმეების რელიგიური დანიშნულების ნაგებობებად კერძო პირების სახლები გამოიყენებოდა.

2004 წლიდან შეიცვალა რელიგიური ორგანიზაციების მდგომარეობა. სახელმწიფომ დაიწყო რეაგირება ექსტრემისტული ჯგუფების ქმედებების აღსაკვეთად, რომლებიც თავს ესხმოდნენ და ძალადობდნენ რელიგიურ უმცირესობებზე. ამგვარი ძალადობის მსხვერპლი ყველაზე ხშირად სწორედ იეჰოვას მოწმეები იყვნენ. შესაძლებელი გახდა რელიგიური ორგანიზაციების რეგისტრაცია. მიუხედავად ამისა, მათ მაინც ექმნებოდათ ბიუროკრატიული და ხელოვნური დაბრკოლებები სამეფო დარბაზების მშენებლობის პროცესში.

ხაზგასმით უნდა ითქვას იეჰოვას მოწმეთა ქრისტიანული ორგანიზაციის სამართლებრივი ბრძოლის შესახებ. წლების მანძილზე იეჰოვას მოწმეები ადგილობრივი და საერთაშორისო მექანიზმების გამოყენებით, იბრძვიან საკუთარი უფლებების დასაცავად. მათ მნიშვნელოვანი სასამართლო პრეცედენტები შექმნეს საქართველოში რელიგიის თავისუფლების დაცვის კუთხით, რომელიც დადებითად აისახა არა მხოლოდ მათი, არამედ სხვა რელიგიური ორგანიზაციების უფლებრივ მდგომარეობაზეც.

მაგალითად, 2004 წელს, სახელმწიფომ წინააღმდეგობა გაუწია იეჰოვას მოწმეების სამეფო დარბაზების მშენებლობას თელავსა და სამტრედიისში. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის რელიგიის თავისუფლების 2004 წლის ანგარიშში აღნიშნულია, რომ თელავში მშენებლობის ნებართვის არგაცემას ადგილობრივი ხელისუფლება იმით ხსნის, რომ მეზობლებს არ მოსწონთ იეჰოვას მოწმეები. იეჰოვას მოწმეებმა სასამართლოში იდავეს და, საბოლოოდ, მათ სახელმწიფომ მისცა ნებართვა, აეშენებინათ რელიგიური დანიშნულების ნაგებობა.

იმისათვის, რომ დავინახოთ, რამდენად შეიცვალა სახელმწიფო პოლიტიკა და საზოგადოებრივი განწყობები, შეგვიძლია ზემოხსენებული 2004 წლის თელავის საქმე შევადაროთ 2014 წლის თერჯოლის საქმეს. 2014 წელს თერჯოლის მუნიციპალიტეტის ხელისუფლებამ იეჰოვას მოწმეების მშენებლობის ნებართვა შეაჩერა და მიზეზად მეზობლის განცხადება დაასახელა, რომელიც აცხადებდა, რომ მის სახლს საფრთხე ექმნებოდა აღნიშნული მშენებლობით. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ მეზობლის განცხადებას წინ უძღოდა ადგილობრივი მართლმადიდებელი სასულიერო პირისა და მრევლის საპროტესტო აქციები იეჰოვას მოწმეების წინააღმდეგ.

აქციებში მონაწილეობდნენ ადგილობრივი საჯარო სკოლის დირექტორი, მასწავლებლები და მოსწავლეებიც.

იეჰოვას მოწმეებმა სასამართლოს მიმართეს. საქმეში ასპარეზზე რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოც გამოვიდა. სააგენტომ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მისცა რეკომენდაცია, „მშვიდობიანი თანაცხოვრების მიზნით“, იეჰოვას მოწმეთა მშენებლობისთვის გამოეყოთ ალტერნატიული ადგილი. იეჰოვას მოწმეები არ დათანხმდნენ სახელმწიფოს დისკრიმინაციულ შეთავაზებებს და ბოლომდე იბრძოლეს სასამართლო გზით, რაც საბოლოოდ, მათ სასარგებლოდ დასრულდა. იეჰოვას მოწმეთა ორგანიზაციამ შეძლო თერჯოლაში სამეფო დარბაზის აშენება.

● **მაცხოვრის ბიბლიური ეკლესიის საქმე**

მაცხოვრის ბიბლიური ეკლესიის საქმეში კარგად გამოჩნდა სახელმწიფოს დღევანდელი რელიგიური პოლიტიკა და პრემიერ-მინისტრის დაქვემდებარებაში მოქმედი რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს ნეგატიური როლი.

ქრისტიანულმა ევანგელურმა გაერთიანებამ, მაცხოვრის ბიბლიურმა ეკლესიამ, თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურს 2015 წელს მიმართა განცხადებით მშენებლობის ნებართვის მიღების მიზნით. მშენებლობის ნებართვის მიღება მოიცავს სამ სტადიას. არქიტექტურის სამსახურმა დააკმაყოფილა განცხადება ნებართვის პირველ სტადიაზე. შესაბამისად, მეორე ეტაპის გავლის მიზნით, რელიგიურმა გაერთიანებამ 2016 წელს კვლავ მიმართა თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს განცხადებით. ადმინისტრაციულმა ორგანომ ამჯერად უარი განაცხადა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. კერძოდ, განცხადების განხილვის გასაგრძელებლად, არქიტექტურის სამსახურმა სხვა ადმინისტრაციული ორგანოს, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს მიერ გაცემული რეკომენდაციის წარდგენა მოსთხოვა განმცხადებელს, რომელიც რელიგიური ორგანიზაციის მშენებლობის მიზანშეწონილობას შეაფასებდა. მაცხოვრის ბიბლიურმა ეკლესიამ აღნიშნული მოთხოვნა უკანონოდ ჩათვალა და სასამართლოს მიმართა.

2017 წლის 31 იანვარს სასამართლომ რელიგიური ორგანიზაციის სასარჩელო მოთხოვნა დააკმაყოფილა და განმარტა, რომ 1. კანონმდებლობის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო არ იყო უფლებამოსილი, მოეთხოვა განმცხადებლისგან, წარედგინა სხვა რაიმე დამატებითი საბუთი ან ინფორმაცია (მათ შორის, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს რეკომენდაცია), გარდა კანონით გათვალისწინებული საბუთისა ან ინფორმაციისა; 2. თბილისის არქიტექტურის სამსახურს არ ჰქონდა განმცხადებლისთვის ამგვარი დოკუმენტის წარდგენის დავალდებულების უფლება. მსგავსი დასკვნის (რეკომენდაციის) სურვილის შემთხვევაში, ადმინისტრაციულ ორგანოს შეეძლო თავად მიემართა შესაბამისი უწყებისთვის; 3. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება გამოტანილი იყო კანონის არასწორი გამოყენებით და, ამგვარად, შეიზღუდა მოსარჩელის უფლება კუთვნილი მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ და საექსპლუატაციოდ სარგებლობისთვის.

მერიამ სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრა. თუმცა საქალაქო სასამართლოს პოზიცია გაიზიარა როგორც სააპელაციო სასამართლომ, ისე უზენაესმა სასამართლომ და ძალაში დატოვა აღნიშნული გადაწყვეტილება.

მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ცალკეული სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც ადმინისტრაციული ორგანოების მხრიდან არადომინანტური რელიგიური ჯგუფების მიმართ დისკრიმინაციულ პოლიტიკაზე მიუთითებს, საერთო სურათი კვლავ პრობლემური რჩება. სახელმწიფოს არ აქვს ერთიანი მიდგომა და პოლიტიკა, რომელიც რელიგიური ორგანიზაციების თანასწორუფლებიანობასა და მათი ფუნდამენტური, კონსტიტუციური უფლებების განუხრელ დაცვას დაეფუძნება.

რელიგიის გავლენა საჯარო განათლებაზე

ახალგაზრდებში კრიტიკული აზროვნების ხელშეწყობა, დემოკრატიული ფასეულობების გაღვივება, ადამიანის ძირითადი უფლებების პატივისცემა, შემწყნარებლობისა და მრავალფეროვნების მიმღებლობის ნახალისება სახელმწიფოს პრიორიტეტული მიმართულება უნდა იყოს. საჯარო განათლების სისტემა ამ მხრივ ფუნდამენტურ როლს ასრულებს. მიუხედავად ბოლო 30 წლის განმავლობაში განხორციელებული არაერთი რეფორმისა, საჯარო სკოლებში სეკულარული და არადისკრიმინაციული გარემოს დანერგვა ერთ-ერთ უმწვავეს პრობლემად რჩება. საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას დღემდე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს საგანმანათლებლო სისტემაზე. არადომინანტური რელიგიური ჯგუფების წარმომადგენელი მოსწავლეები კი სისტემატურად დისკრიმინაციას განიცდიან.

1990-2005 წლები - რელიგიური ფუნდამენტალიზმის ზრდა სკოლებში

საბჭოთა მმართველობის ბოლო პერიოდში და, განსაკუთრებით კი 1991 წელს, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, ქვეყანაში სულ უფრო ძლიერდებოდა რელიგიური ნაციონალიზმი. იზრდებოდა მართლმადიდებელი ეკლესიის როლი და გავლენა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაზე. როგორც ჩანს, ერთ-ერთი პრიორიტეტი იყო ამ ცნობიერების გავრცელება ახალგაზრდებს შორის. ამიტომ მალევე დაიწყო რელიგიური ნაციონალიზმის პროპაგანდის გავრცელება საგანმანათლებლო სისტემაში.

ჩამოშლილი სახელმწიფო ინსტიტუტების, ტრავმული საბჭოთა მემკვიდრეობისა და უმძიმესი სოციალური მდგომარეობის ფონზე მართლმადიდებელი ეკლესია ადვილად იმკვიდრებდა თავს, როგორც მორალური უპირატესობის მქონე აქტორი, რომელსაც ქართული იდენტობა უნდა გადაერჩინა. ამ გავლენების ქვეშ ადვილად მოექცნენ პედაგოგებიც. მათ მოსწავლეების ზნეობრივი და რელიგიური აღზრდის ფუნქცია იტვირთეს. პედაგოგი, რომელიც ცოტა ხნით ადრე აქტიურად ქადაგებდა მარქსიზმს, ამჯერად უკვე დიდი ენთუზიაზმით იცავდა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას.²⁴⁷ სასკოლო სივრცეში საბჭოთა სიმბოლიკა რელიგიურმა ჩაანაცვლა, ხოლო საბჭოთა ლოზუნგები - ლოცვამ.

ჯერ კიდევ 1988 წლიდან სკოლებში ფაკულტატიურ საგნად დაუშვეს „ქრისტიანული რელიგიის ისტორია“. „1989-1990 წლებში პირობები თითქმის უმახტავი გახდა. ხელიგის განათლების სკოლებში შეგანას სტიქიური ხასიათი მიეცა. ვისაც ხოგოხ გაეგებოდა, ისე აგაჩებდა გავეთიდს და იმ კდასში შედიოდა, სადაც მოუხეხებოდა. საგანს ზოგან საღვთო ხჯურს უწოდებდნენ, ზოგან - ბიბდიას, ზოგან - ხელიგის ისგოხიას, ზოგან იმას, ხაც სანქციიებური იყო - ქისციანური ხელიგის ისგოხიას.“²⁴⁸

ამავე დროს 90-იანი წლების დასაწყისიდან დაიწყო რელიგიის სწავლების სისტემატიზების მცდელობა და დღის წესრიგში დადგა სპეციალიზებული მასწავლებლების გადამზადების საკითხი, რაც საქართველოს პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების რესპუბლიკურმა ინსტიტუტმა

247. ირინა სულხანიშვილი, „განათლების მართლმადიდებლური სინდრომი საქართველოში,“ კრებულში *Идентичность, власть и город в работах молодых учёных Южного Кавказа* (თბილისი: ჰაინრიხ ბიოლის ფონდი, 2005).

248. ნუგზარ პაპუაშვილი, „რელიგიური სწავლების Via Dolorosa საქართველოში,“ თავისუფლება #9 (33) (2004).

ითავა. მასწავლებლები უნდა ყოფილიყვნენ უმაღლესი ჰუმანიტარული განათლების მქონე პირები, რომლებიც შეძლებდნენ რელიგიის შესახებ არა კონფესიურ, არამედ ზოგად ჭრილში, ნეიტრალურად სწავლებას. დაიწყო ერთნლიანი გადამზადების კურსები. 1991 წელს პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ინსტიტუტში შეიქმნა რელიგიის ისტორიის კათედრა, ხოლო განათლების სამინისტროში ჩამოყალიბდა რელიგიების ისტორიის სასწავლო-მეთოდური საბჭო. ამ დროს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქო აქტიურად ჩაერთო რელიგიის სწავლების ფორმისა და შინაარსის განსაზღვრაში. ეკლესია საკუთარი მოსაზრებების გატანას ცდილობდა. როგორც პროფესორი ნუგზარ პაპუაშვილი აღწერს, საბჭოს მუშაობაში მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირები საპატრიარქოს სახელით მონაწილეობდნენ.

კათედრაზე შემუშავდა „საქართველოს სკოლებში რელიგიური განათლების დანერგვის“ კონცეფცია, რომელიც სამინისტრომ 1993 წლის 8 ივლისს დაამტკიცა. ამ აქტის საფუძველზე, 1994 წლის 16 მაისს განათლების მინისტრის მიერ გამოცემული ბრძანებით, საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში 1994-1995 სასწავლო წლიდან III-V კლასებისთვის სავალდებულო საგნის „რელიგიისა და კულტურის“ სწავლება ოფიციალურად დამკვიდრდა.²⁴⁹ საგნის სახელმძღვანელოდ კი დამტკიცდა რ. თვარაძის წიგნი „რელიგია და კულტურა.“²⁵⁰

ქაოსური და უკონტროლო იყო რელიგიის სწავლება სკოლებში. მოსწავლეებს ხშირად აიძულებდნენ, ელოცათ გაკვეთილებზე, მოეწყო სალოცავი კუთხეები, ზოგიერთი სკოლის ტერიტორიაზე კი ეკლესიები აშენდა, გაკვეთილებს მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირები ესტუმრებოდნენ ხოლმე, ხოლო სასწავლო მასალად მასწავლებლები სხვადასხვა ლიტერატურას იყენებდნენ საკუთარი სურვილისა და შეხედულებისამებრ. მართლმადიდებლური აღმსარებლობის პრობლიტიზმი ხდებოდა არა მხოლოდ რელიგიის, არამედ ნებისმიერ სხვა გაკვეთილზეც.

1997 წელს პარლამენტმა მიიღო კანონი განათლების შესახებ.²⁵¹ მიუხედავად იმისა, რომ საგანმანათლებლო პოლიტიკის ძირითად პრინციპად განისაზღვრა საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებების დამოუკიდებლობა რელიგიურ გაერთიანებათაგან (მუხლი 1), საპატრიარქოს სახელმწიფო საგანმანათლებლო საკითხებში მონაწილეობის უფლება მაინც მიენიჭა. კერძოდ, კანონში ჩაიწერა, რომ განათლების სამინისტრო საქართველოს საპატრიარქოსთან ერთად შეიმუშავებს სახელმწიფო საგანმანათლებლო პროგრამებისა და სხვადასხვა სახის სააღმზრდელო და საგანმანათლებლო დაწესებულებების სტანდარტების პროექტებს (მუხლი 18).

1997 წელს საპატრიარქოს სასწავლო კომიტეტმა განათლების სამინისტროს მოსთხოვა საგნის, „რელიგიისა და კულტურის“ სწავლებისთვის დამტკიცებული სახელმძღვანელოებისთვის (როგორც ძირითადი, ისე დამხმარე წიგნებისთვის) გრიფირების გაუქმება. წიგნებს ბიძაძე ეგებოდათ „ახამახთღმადიდებლობა.“²⁵² ასპარეზზე გამოვიდა ეკლესიასთან დაკავშირებული ექსტრემისტული ორგანიზაცია „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი,“ რომელიც აქტიურად მოითხოვდა სახელმძღვანელოების გაუქმებას.

249. საქართველოს განათლების მინისტრის ბრძანება №132, 1994-1995 სასწავლო წლიდან ქ. თბილისის ქართულ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ახალი საგნის „რელიგია და კულტურა“ სწავლების შემოღების შესახებ (16 მაისი, 1994 წელი).

250. პაპუაშვილი, „რელიგიური სწავლების Via Dolorosa საქართველოში.“

251. კანონი განათლების შესახებ, (27 ივნისი, 1997). კანონი ძალადაკარგულად გამოცხადდა 2010 წლის პირველ სექტემბერს.

252. Ibid.

იმავე დროს მართლმადიდებელ მშობელთა კავშირმა 1998 წლის 27 მარტს სარჩელით მიმართა დიდუბის რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამიდან საგან „რელიგიისა და კულტურის“ ამოღება და იმავე სახელწოდების წიგნისა და, ასევე, დამხმარე სახელმძღვანელოს, „რელიგიის კარიბჭისთვის“ გრიფის გაუქმება. მოსარჩელის მტკიცებით, სახელმძღვანელოებში „მცდარადაა წარმოდგენილი მართლმადიდებელი სარწმუნოების არსი.“ სასამართლომ მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის სარჩელი დააკმაყოფილა: დაადგინა, რომ საქართველოს განათლების მინისტრის 1994 წლის 16 მაისის #132 ბრძანებას, რომლის საფუძველზეც სკოლებში ისწავლებოდა საგანი „რელიგია და კულტურა,“ არ ჰქონდა იურიდიული ძალა, რადგან ბრძანება არ იყო რეგისტრირებული იუსტიციის სამინისტროში, ამის საფუძველზე კი მოითხოვა, სასკოლო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამიდან ამოეღოთ საგანი „რელიგია და კულტურა,“ იმავე სახელწოდების სახელმძღვანელო და, ასევე, საგნის დამხმარე სახელმძღვანელო „რელიგიის კარიბჭე,“²⁵³ განათლების სამინისტრომ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე გააუქმა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში საგნის, „რელიგიისა და კულტურის“ სწავლება.²⁵⁴

მაღევე, განათლების სამინისტრომ საგანი დაარეგისტრირა III-VII კლასებისთვის ახალი სახელწოდებით, „რელიგიის ისტორია და კულტურა,“ და იმავე სახელწოდების სახელმძღვანელოც დაამტკიცა. მართლმადიდებელ მშობელთა კავშირმა სამინისტროს მოსთხოვა, მის მიერ შეთავაზებული სახელმძღვანელოც დაემტკიცებინა, წინააღმდეგ შემთხვევაში კვლავ იჩივლებდნენ. სამინისტრო დათანხმდა და 2002 წელს გრიფი მიანიჭა სახელმძღვანელოს „ქრისტეს გზა,“ რომელიც საბერძნეთის საკვირაო მართლმადიდებლური სკოლების სახელმძღვანელოს თარგმანი იყო.²⁵⁵

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის 1999 და 2000 წლების რელიგიის თავისუფლების ანგარიშებში აღნიშნულია, რომ მართლმადიდებელი ეკლესიის ზენოლით განათლების სამინისტრომ რელიგიის ისტორიის ორი სასკოლო სახელმძღვანელოს გამოყენება აკრძალა, რადგან ეკლესია მიიჩნევდა, რომ ამ წიგნებში მართლმადიდებლობას არა აქვს მინიჭებული აბსოლუტური უპირატესობა.

ამრიგად, საპატრიარქომ მოიპოვა საჯარო საგანმანათლებლო სივრცეში ჩარევის უფლება, მოახდინა გავლენა სახელმწიფოს გადაწყვეტილებებზე და სკოლებში სასწავლებლად კონფესიური შინაარსის სახელმძღვანელოც შეიტანა. მიუხედავად იმისა, რომ ფორმალურად საგანს „რელიგიის ისტორია და კულტურა“ ფაკულტატიური ფორმა ჰქონდა, სკოლების უმეტესობაში ამ საგანს მაინც ასწავლიდნენ. გრძელდებოდა სკოლებში მასწავლებლებისა და სასულიერო პირების მხრიდან პროზელიტიზმის პრაქტიკაც.

თუკი 1997 წლის განათლების კანონით მართლმადიდებელ ეკლესიას სახელმწიფო საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებაში მონაწილეობის უფლება მიეცა, ეკლესიის როლი კიდევ უფრო გაზარდა 2002 წელს სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის დადებულმა კონსტიტუციურმა შეთანხმებამ. დოკუმენტის თანახმად:

253. სამოქ. საქმე N2/264, (თბილისის დიდუბის რაიონის სასამართლოს გადაწყვეტილება, 1 აპრილი, 1999).

254. საქართველოს განათლების სამინისტროს 1999 წლის 17 აგვისტოს ბრძანება N469, რომლითაც გაუქმდა საქართველოს განათლების მინისტრის 1994 წლის 16 მაისის N132 ბრძანება „1994-1995“ სასწავლო წლიდან ქ. თბილისის ქართულ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ახალი საგნის „რელიგია და კულტურა“ სწავლების შემოღების შესახებ“.

255. ბექა მინდიაშვილი, „რელიგიური განათლების პერსპექტივა სახელმწიფო სკოლებში,“ 24 საათი, 2004.

საგანმანათლებლო დაწესებულებებში მართლმადიდებელი სარწმუნოების შესახებ საგნის სწავლება ნებაყოფლობითია. სასწავლო პროგრამების დადგენა, შეცვლა, პედაგოგთა დანიშვნა და გათავისუფლება ხდება ეკლესიის წარდგინებით; სახელმწიფო და ეკლესია უფლებამოსილი არიან, განათლების სისტემაში განახორციელონ ერთობლივი პროგრამები (მუხლი 5).

ბუნებრივია, საჯარო სკოლებში არსებული არასეკულარული გარემო მოსწავლეების უფლებების დარღვევას იწვევდა და რელიგიური უმცირესობების მიმართ დისკრიმინაციას სისტემური ხასიათი ჰქონდა. საქართველოს სახალხო დამცველი ადამიანის უფლებების მდგომარეობის შესახებ 2001 წლის ანგარიშში აღნიშნავს,²⁵⁶ რომ სკოლებში ხშირია რელიგიური უმცირესობების წარმომადგენელთა დისკრიმინაციის ფაქტები. მაგალითად, ქ. ცაგერში იეჰოვას მოწმე მოსწავლეს მასწავლებელი პირჯვრის გადანერას აიძულებდა და სკოლიდან გაგდებით ემუქრებოდა, ხოლო ბოლნისში რელიგიის მასწავლებელი სისტემატურად ამცირებდა და შეურაცხყოფდა მოსწავლეს მისი რწმენის გამო.

სახალხო დამცველის 2004 წლის ანგარიშის მიხედვით კი „შემაშფოთებელი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ხელიგის სწავლების ხასიათი. სკოლებში ისწავლება საგანი სახელწოდებით „ხელიგის ისტორია და კულტურა“,“ ხაც პედაგოგების მხიდან აღქმულია, ხოგოხც „საღვთო სჯულის“ სწავლება. უკიდუხესად დაბარია ხელიგის პედაგოგთა განათლების ღონე. სკოლებში გავხცვლებური პიქტიკაა ნებისმიეხი სასწავლო საათის დაწყების წინ დოცვა, სასკოლო ადმინისტრაციის ინიციატივით სხვადასხვა ხელიგუი-პატიოგური ღონისძიებების გამახთვა, მახთრმადიდებელი სასუდიეხო პიეების სკოლაში მოწვევა ქადაგების წახმოსათქმედად. საკდასო ოთახებში მოქმელებს „წმინდა კუთხეები,“ გამოფენიდა ხელიგუი სიმბოლოები. ბევი მასწავლებელი აღიაეებს, ხომ მისი მთავახი მიზანია ბავშვის გაეკდესიუეება, ანუ ინდოქტინაცია.“²⁵⁷

რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისია (ECRI) პირველ ანგარიშში საქართველოს შესახებ,²⁵⁸ რომელიც 2001 წელს გამოქვეყნდა, აღნიშნავს, რომ მზარდ მასშტაბს იძენს რელიგიურ უმცირესობათა წევრების, მათ შორის სკოლის მოსწავლეების ყოველდღიური დამცირება და შეურაცხყოფა.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის რელიგიის თავისუფლების 2005 წლის ანგარიშის მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ რელიგიის ისტორიის საგანი არჩევითია, მოსწავლეებს აიძულებენ მის გავლას. გაკვეთილზე ექსკლუზიურად მართლმადიდებლური ქრისტიანობა ისწავლება, საპატრიარქოს კი დიდი გავლენა აქვს სწავლების შინაარსზე. ზოგ შემთხვევაში, მღვდლებიც ასწავლიან საგანს. მოსწავლეებს აიძულებენ, ლოცვით დაიწყონ არა მხოლოდ რელიგიის, არამედ სხვა საგნების გაკვეთილებიც. მათ კი, ვინც უარს ამბობს მონაწილეობაზე (მუსლიმები მათ შორის), სჯიან. კლასებში განთავსებულია მართლმადიდებლური ხატები, ზოგ სკოლაში გახსნილია სამლოცველო. მართლმადიდებელი ეკლესია მუდმივად ამოწმებს როგორც რელიგიის, ისე სხვა საგნების სახელმძღვანელოების შინაარსს. კანონით, ეკლესიას საკონსულტაციო უფლება აქვს, თუმცა ეკლესიის კომენტარები თითქმის ყოველთვის გათვალისწინებულია სახელმძღვანელოების გამოცემამდე.²⁵⁹

256. საქართველოს სახალხო დამცველი, „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ - 2001 წლის მეორე ნახევარი.“

257. საქართველოს სახალხო დამცველი, „ადამიანის უფლებათა მდგომარეობა საქართველოში - 2004წ.“

258. ევროპის კომისია რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ, „მოხსენება საქართველოს შესახებ“ (სტრასბურგი: ევროპის საბჭო, 22 ივნისი, 2001), <https://rm.coe.int/ecri-first-report-on-georgia-adopted-on-22-june-2001-published-on-2/16808b78b7>.

259. U.S. Department of State, “International Religious Freedom Report 2005” (Washington DC: U.S. Department of State, 2005), <https://2009-2017.state.gov/j/drl/rls/irf/2005/51553.htm>.

2005 წლის განათლების რეფორმა - სკოლებში რელიგიური ნეიტრალობის დაცვის მცდელობა

2005 წლის 8 აპრილს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ახალი **კანონი ზოგადი განათლების შესახებ**. კანონით დადგინდა საჯარო სკოლებში რელიგიური ნეიტრალობის დაცვისა და დისკრიმინაციის დაუშვებლობის მკაცრი პრინციპები. ზოგადი განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითად მიზნებს შორის დასახელდა მოსწავლეებში ლიბერალურ-დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბება და საჯარო სკოლის დამოუკიდებლობა რელიგიური გაერთიანებებისგან (მუხლი 3). კანონი კრძალავს საჯარო სკოლაში სასწავლო პროცესის რელიგიური ინდოქტრინაციის,²⁶⁰ პროზელიტიზმის²⁶¹ ან იძულებითი ასიმილაციის მიზნებისათვის გამოყენებას (მუხლი 13). კანონით ასევე დაუშვებელია საჯარო სკოლის ტერიტორიაზე რელიგიური სიმბოლოების განთავსება არაკადემიური მიზნით (მუხლი 18). კანონი მოსწავლეებს არ უზღუდავს რწმენისა და რელიგიის თავისუფლებას, მის გამოხატვას, რაც ნიშნავს, რომ მოსწავლეს შეუძლია საკუთარი რწმენის შესაბამისად ჩაცმა, რელიგიური ატრიბუტიკის ტარება. მიუხედავად იმისა, რომ დაუშვებელია აკადემიურ დროს რელიგიის სწავლება, მოსწავლეს აქვს უფლება, სასკოლო სივრცეში, სასკოლო დროისგან თავისუფალ დროს ნებაყოფლობით, საკუთარი სურვილის საფუძველზე შეისწავლოს რელიგია ან ჩაატაროს რელიგიური რიტუალი, თუკი იგი რელიგიური განათლების მიღებას ემსახურება.

ამავე დროს, კონსტიტუციური შეთანხმების საფუძველზე 2005 წელს მართლმადიდებელ ეკლესიასა და განათლების სამინისტროს შორის გაფორმდა ურთიერთგაგების მემორანდუმი. მემორანდუმი ითვალისწინებს ეკლესიისა და სამინისტროს თანამშრომლობას მართლმადიდებლური სარწმუნოების სწავლების საკითხებში, რაც მოიცავს სახელმძღვანელოებისა და სასწავლო პროგრამების შედგენის, სპეციალური კადრების მომზადების, სასწავლო გეგმების მომზადების და სხვა საკითხებს. მიუხედავად იმისა, რომ თანამშრომლობა კონკრეტულად მართლმადიდებლობასთან დაკავშირებულ თემატიკას გულისხმობს, პრაქტიკაში, როგორც ეკლესიამ, ისე სამინისტრომ არაერთხელ გაამართლეს საპატრიარქოს არალეგიტიმური ჩარევა ზოგადსაგანმანათლებლო საკითხებში სწორედ კონსტიტუციური შეთანხმებითა და აღნიშნული მემორანდუმით.

2004 წელს, განათლების სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის უზრუნველსაყოფად მთავრობამ დაამტკიცა **ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები**. ამ დოკუმენტის თანახმად, სახელმწიფოს მიზანია დღევანდელ ეთნიკურად და კულტურულად მრავალფეროვან სამყაროში ტოლერანტულად განწყობილი მოქალაქის აღზრდა. სკოლამ კი უნდა გამოუმუშაოს მოზარდს ადამიანის უფლებების დაცვისა და პიროვნების პატივისცემის უნარი.

განათლების ეროვნული მიზნების საფუძველზე შემუშავდა **ეროვნული სასწავლო გეგმა**, რომელიც განსაზღვრავს სასწავლო პროცესს და შინაარსს. 2011 წლამდე მოქმედი სასწავლო გეგმები ითვალისწინებდა რელიგიის ისტორიის, როგორც არჩევითი საგნის, სწავლების შესაძლებლობას. 2011 წლიდან მოქმედ გეგმებში კი რელიგიის საგანი აღარ გვხვდება არჩევით საგნებს შორისაც. თუმცა, რელიგიის ისტორიის საკითხები ინტეგრირებულია საზოგადოებრივი მეცნიერებების ჯგუფში

260. ინდოქტრინაცია - რელიგიის გავრცელება და პროპაგანდის გზით მისი ცნობიერებაში დანერგვა.

261. პროზელიტიზმი - რელიგიური რწმენის გავრცელება და გადაბირების, მოქცევის მცდელობა.

შემაჯავალ სავალდებულო საგნებში,²⁶² ყველა საფეხურის საგნობრივ პროგრამაში (დანყებიტი, საბაზო, საშუალო).

მიუხედავად ამისა, სკოლებს მაინც რჩებათ გარკვეული ფორმით რელიგიის სწავლების შესაძლებლობა. 2019 წლის 8 აგვისტომდე ეს უკავშირდებოდა სკოლებში დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების შესაძლებლობას, ხოლო 2019 წლის 8 აგვისტოს მინისტრის ბრძანების შემდეგ, ეს შესაძლებლობა არჩევითი საგნების ნაწილშიც გაჩნდა.

განსხვავება არჩევით საგნებსა და დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას შორის: სწავლების საშუალო საფეხურზე (მე-9 კლასიდან-მე-12 კლასის პირველი სემესტრის ჩათვლით) სკოლა ვალდებულია (მოსწავლეებთან შეთანხმებით), აირჩიოს რომელიმე არჩევითი საგანი და ის ასწავლოს კვირაში 2-საათიანი დატვირთვით, დამატებითი საგნები კი სკოლას შეუძლია, შემოიღოს ან არ შემოიღოს სწავლების ნებისმიერ საფეხურზე. უფრო ვრცლად ქვემოთ:

სკოლას აქვს უფლება, მოსწავლეებს შესთავაზოს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დამატებითი საგანმანათლებლო და/ან სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება და ის შეიძლება იყოს სავალდებულო ან ფაკულტატიური სახით.²⁶³ თუ სკოლა გადაწყვეტს, რომ დამატებითი სწავლება იყოს სავალდებულო, მასზე დასწრება აუცილებელია კონკრეტული სკოლის/კლასის ყველა მოსწავლისათვის, ხოლო ფაკულტატიურის შემთხვევაში, მოსწავლეები მას სურვილის მიხედვით ირჩევენ. დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების ფარგლებში შეთავაზებული საგნის პროგრამას სკოლა არ უთანხმებს სამინისტროს. არც დამატებითი საგნის სწავლების საათებს ადგენს ეროვნული სასწავლო გეგმა და სკოლას მისი სწავლება ნებისმიერ კლასში/საფეხურზე შეუძლია. სამინისტრო ვერც საგნის სწავლებისას გამოყენებული სახელმძღვანელოს და სხვა სასწავლო მასალის შინაარსს გააკონტროლებს. ერთადერთი ზოგადი შინაარსის მოთხოვნა, რასაც კანონმდებლობა უყენებს სკოლას, არის ის, რომ დამატებითი საგნის მიზნები სკოლამ უნდა განსაზღვროს ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად.

რაც შეეხება არჩევით საგნებს, 2019 წლამდე სკოლები ვალდებულები იყვნენ, არჩევითი საგნები შეერჩიათ სამინისტროს მიერ ეროვნული სასწავლო გეგმის 54-ე მუხლში ჩამოთვლილი საგნების სიიდან. 2019 წლის 8 აგვისტოს მინისტრის მიერ გამოცემული ბრძანებით, ცვლილება შევიდა მოქმედ ეროვნულ სასწავლო გეგმაში და სკოლებს მიეცათ უფლება, მოსწავლეებს შესთავაზონ გეგმაში განერილი არჩევითი საგნებისგან განსხვავებული არჩევითი საგანიც,²⁶⁴ რამაც სკოლებში რელიგიის არჩევითი საგნის ფორმით სწავლების დამატებითი შესაძლებლობა გააჩინა. ამ შემთხვევაში სამინისტრომ საჯარო სკოლას ზოგადი შინაარსის მოთხოვნა წაუყენა: საგანი უნდა უპასუხებდეს ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებს და საჯარო სკოლა ვალდებულია, ამ საგნის წლიური პროგრამა შეუთანხმოს სამინისტროს. სახალხო დამცველთან არსებული რელიგიათა საბჭო მიიჩნევს, რომ ამგვარმა მიდგომამ, შესაძლოა, სკოლებში მასობრივად გამოიწვიოს კონფესიური რელიგიური სწავლების

262. საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივ ჯგუფში შედის საგნები: მე და საზოგადოება (III-IV კლასი), ჩვენი საქართველო (V-VI კლასი), საქართველოს და მსოფლიო ისტორია (VII-XII კლასი), სამოქალაქო განათლება (VII-X კლასი) და სხვ.

263. ეროვნული სასწავლო გეგმა, მუხლი 22.

264. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის მინისტრის ბრძანება №164/6 (8 აგვისტო, 2019).

დანერგვა და, იმავდროულად, განათლების სამინისტროს ზედამხედველობის მიღმა დატოვოს საკითხი.²⁶⁵

გასათვალისწინებელია ისიც, რომ, როდესაც საუბარია საგნის არჩევითობაზე, ეს არ გულისხმობს ცალკეული მოსწავლის არჩევანს. ასეთ საგანს ირჩევს და ამატებს სკოლა, ის ხდება სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილი და მასზე დასწრება სავალდებულოა კონკრეტული კლასის/სკოლის ყველა მოსწავლისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ 2005 წლიდან კანონმდებლობით მკაცრად დადგინდა საჯარო სკოლებში რელიგიური ნეიტრალიტეტის დაცვის სტანდარტები, პრობლეტიზმის, ინდოქტრინაციის, სასკოლო სივრცეში რელიგიური სიმბოლოების განთავსების და მოსწავლეების მიმართ დისკრიმინაციის პრაქტიკა დღემდე არ შეწყვეტილა. სახალხო დამცველის, ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშებში გვხვდება არაერთი დისკრიმინაციული ფაქტის მიმოხილვა და მათი კრიტიკული შეფასება. პრობლემის საილუსტრაციოდ ქვემოთ მოცემულია დისკრიმინაციის შემთხვევების მხოლოდ ნაწილი:

- სახალხო დამცველის 2006 წლის ანგარიშის მიხედვით, ახალციხის მუნიციპალიტეტის ქალაქ ვალეში მესამეკლასელ კათოლიკე მოსწავლეს მასწავლებელმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა იმის გამო, „რომ ბავშვი არამართლმადიდებლური წესით ისახავდა პირჭვარს. კერძოდ, ისე ძლიერად აუნია ყური, რომ კანის მთლიანობა დაერღვა“;
- სახალხო დამცველის 2007 წლის ანგარიშში ვკითხულობთ, რომ აჭარაში სკოლებში მუსლიმ ბავშვებს ასწავლიან მართლმადიდებლურ სარწმუნოებას; თელავის სკოლაში მასწავლებელი საკლასო ოთახში ყიდდა სანთლებს, საეკლესიო ლიტერატურას და საკმეველს, თან უხსნიდა მოსწავლეებს, როგორ გამოეყენებინათ იგი; რუსთაველი კი მე-7 კლასელ იეჰოვას მოწმეების წევრ მოსწავლეს ბიოლოგიის მასწავლებელმა რელიგიის შეცვლა მოსთხოვა: „რა გინდა მაგ იალოვაში, გამოდი მაგ რწმენიდან.. ოღონდ ჩვენს რწმენაზე გადმოდი და გაგაღმერთებ.. მე მოგნათლავ და მერე შეგვიძლია, ოჯახებითაც დავახლოვდეთ და კარგი მეგობრები ვიყოთ“.
- სახალხო დამცველის 2012 წლის ანგარიშის მიხედვით, ქალაქ ონში ადგილობრივი საჯარო სკოლის ბიოლოგიის პედაგოგმა ფსიქოლოგიური ზემოქმედების შედეგად 12 წლის მოსწავლე, რომლის მშობელიც არის იეჰოვას მოწმე, მშობლის ნებართვის გარეშე, სასწავლო პერიოდში წაიყვანა ადგილობრივ მართლმადიდებლურ ტაძარში და მართლმადიდებლური წესით მონათლა. ამ ფაქტის შემდეგ მოსწავლემ ორჯერ სცადა თვითმკვლელობა.
- 2013 წლის ანგარიშის თანახმად, სოფელ ჩუმლაყის საჯარო სკოლის მოსწავლეზე, რომელიც ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესიის წევრია, მასწავლებელი სისტემატურად ძალადობდა ფსიქოლოგიურად - მოუწოდებდა, მართლმადიდებლური წესით მონათლულიყო. არასრულწლოვანს მასწავლებელმა ფიზიკური შეურაცხყოფაც მიაყენა.
- 2014 წელს თბილისის ერთ-ერთ საჯარო სკოლაში არასრულწლოვანმა მოსწავლეებმა თანატოლს რელიგიური შეუწყნარებლობის მოტივით სცემეს, რადგან მოსწავლემ ქრისტიანული სასწავლები მითად მოიხსენია. ფიზიკური ძალადობა და ბულინგი განათლების სამინისტროს მიერ „ერთეულ შემთხვევად“ შეფასდა.

265. მარიამ ღავთაძე et al., „საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული რელიგიათა საბჭოს რეკომენდაციები 2020.“

- 2016 წელს სოფელ მოხეს საჯარო სკოლის დირექტორმა მუსლიმ მოსწავლეს განუცხადა, რომ არ მიიღებდა სკოლაში, თუკი თავსაფრით (ჭიჭაბით) სიარულს გააგრძელებდა. იმავე პერიოდში, აღნიშნული სკოლის დირექტორი, როგორც მართლმადიდებელი ეკლესიის წევრი და მხარდამჭერი, აქტიურად მონაწილეობდა მოხეს მეჩეთის საკითხთან დაკავშირებულ აქციებში და მუსლიმების წინააღმდეგ საჯარო განცხადებებს აკეთებდა.

არადომინანტური რელიგიური გაერთიანებების ლიდერები და მშობლები აღნიშნავენ, რომ საჯარო სკოლებში რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციას სისტემური ხასიათი აქვს. მიუხედავად ამისა, საკმაოდ მწირია საჩივრების და განცხადებების რაოდენობა. მშობლები და მოსწავლეები აცხადებენ, რომ ძლიერია მართლმადიდებელი ეკლესიის გავლენა საგანმანათლებლო სივრცეში, სახელმწიფო კი ვერ უზრუნველყოფს ნეიტრალობის დაცვას. ამ ფონზე მათ არ აქვთ იმედი, რომ პრობლემაზე ხმამაღლა საუბრის შემთხვევაში, მათი უფლებები დაცული იქნება. პირიქით, შიშობენ, რომ ჩივილისა და ფაქტების გასაჯაროების შემთხვევაში მოსწავლეების მიმართ წნეხი და დისკრიმინაცია კიდევ უფრო გამწვავდება.

ფორმალური განცხადებების სიმწირით სარგებლობს განათლების სამინისტროც და არ უპირისპირდება სისტემურ პრობლემას. საჯარო სკოლების საქმიანობისა და კანონმდებლობის დაცვის კონტროლის ვალდებულება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტს ეკისრება. დეპარტამენტს, მიღებული განცხადებების განხილვის გარდა, შეუძლია, პროაქტიულად, საკუთარი ინიციატივით შეამოწმოს, რამდენად დაცულია „ზოგადი განათლების შესახებ კანონი“ საჯარო სკოლებში და გამოავლინოს მოსწავლეების უფლებების დარღვევის ფაქტები, მით უფრო, როდესაც წლებია, რაც მუდმივად არის საუბარი რელიგიური ნიშნით მოსწავლეების დისკრიმინაციასა და საჯარო სკოლებში ნეიტრალობის დარღვევის სისტემურ შემთხვევებზე. დეპარტამენტს არც ერთხელ ჩაუტარებია მასშტაბური კვლევა სკოლაში რელიგიური ნეიტრალიტეტის დარღვევის, ინდოქტრინაციის, პროზელტიზმის შემთხვევების გამოსავლენად.²⁶⁶

რელიგიური ნეიტრალობის დარღვევის პრობლემას მოსწავლეების გარდა მასწავლებლებიც აწყდებიან. პირად საუბრებში მასწავლებლების ნაწილი (განსაკუთრებით სამოქალაქო განათლების საგნის პედაგოგები) აღნიშნავს, რომ ისინიც ხშირად აწყდებიან შეუწყნარებელ დამოკიდებულებას კოლეგებისა და სკოლის ადმინისტრაციის მხრიდან, თუკი უპირისპირდებიან დისკრიმინაციას ან საკუთარი საგაკვეთილო პროგრამების ფარგლებში მრავალფეროვნების მნიშვნელობაზე, ტოლერანტობასა და თანასწორუფლებიანობაზე საუბრობენ.

2019 წელს მედიასა და სოციალური ქსელებში გავრცელდა ინფორმაცია, რომ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში საჯარო სკოლების ასეულობით მასწავლებელს თეოლოგიური ლექციები ჩაუტარეს ღვთისმშობლის წილხვდომილობის დღესასწაულის შესახებ. პედაგოგების ნაწილს ლექციაზე დასწრება დაავალეს და განსახილველი თემის შესახებ წინასწარ არ შეატყობინეს. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ლექციები დაეთმო ქრისტიანობისა და სახარების არსზე საუბარს და არ ყოფილა ინტერაქტიური.²⁶⁷

სკოლების გარდა, რელიგიური ნეიტრალობის დაცვის პრობლემა აქტუალურია საბავშვო ბაღებშიც. ბაგა-ბაღებში ხშირია ნეიტრალობის დაუცველობის, რელიგიური რიტუალების ჩატარებისა და სხვადასხვა აღმსარებლობის მიმართ არატოლერანტული დამოკიდებულების შემთხვევები. ბაღებში მოწყობილია

266. მარიამ ღავთაძე et al., „რელიგიისა და რწმენის თავისუფლება საქართველოში, ანგარიში 2010-2019.“

267. Ibid.

სალოცავი კუთხეები. არის შემთხვევები, განსაკუთრებით რელიგიური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ ადგილებში, როდესაც ბავშვებს სხვადასხვა რელიგიური დღესასწაულისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში საჯარო ლოცვის რიტუალებში რთავენ.²⁶⁸

უნდა ისწავლებოდეს თუ არა სკოლებში რელიგია?

როგორც ვნახეთ, 1990-იანი წლებიდან მოყოლებული, საჯარო სკოლებში ამა თუ იმ ფორმით მუდმივად ისწავლებოდა რელიგია, ზოგჯერ, როგორც არჩევითი საგანი, ხშირად კი თვითნებურად. სწავლება, როგორც წესი, კონფესიური შინაარსის, მართლმადიდებლური სარწმუნოების შესახებ იყო.

მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქო დღემდე აქტიურად ლობირებს საჯარო სკოლებში რელიგიის საგნის სწავლების დანერგვას. 2017 წლის დეკემბერში პატრიარქმა ილია მეორემ განაცხადა, რომ საჯარო სკოლებში უნდა ისწავლებოდეს რელიგიის ისტორია და ამაზე ხელისუფლებამ უნდა იზრუნოს. საპატრიარქოს ინიციატივას 2018 წლის იანვარში გამოეხმაურა განათლებისა და მეცნიერების მინისტრი მიხეილ ჩხენკელი: „მიმაჩნია, რომ რელიგიის ისტორია, როგორც არჩევითი საგანი, ყველა სკოლაში უნდა იყოს და მივდივართ აქეთკენ“. საკითხს არაერთი განხილვა და დისკუსია მოჰყვა.

საზოგადოების დიდი ნაწილი თანხმდება, რომ რელიგიის ისტორიის სწავლება, რომელიც მოსწავლეებს მისცემს ცოდნას სხვადასხვა რელიგიისა და კულტურის შესახებ, მისაღებია, რადგან ეს ხელს შეუწყობს ახალგაზრდებში მრავალფეროვნების უკეთ აღქმას და დაფასებას. თუმცა საქართველოს საჯარო სკოლებში წლების განმავლობაში არსებული არასეკულარული და დისკრიმინაციული გარემოს, მართლმადიდებელი ეკლესიის გავლენის და სახელმწიფოს მხრიდან შესაბამისი ნების არარსებობის პირობებში, რეალურია საფრთხე, რომ რელიგიის შესახებ სწავლების ნებისმიერი ფორმით დანერგვა მიიღებს პროზელიტიზმის ფორმას. ამას გარდა, საგნის სწავლებას სჭირდება შესაბამისი პედაგოგების არსებობა, რომლებიც ყოველგვარი მიკერძოების გარეშე შეძლებენ კვალიფიციურად სწავლებას.

ამ საფრთხეებზე მიუთითებს სახალხო დამცველთან არსებული რელიგიათა საბჭოს და რეკომენდაციით მიმართავს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, რომ რელიგიის თემის სენსიტიურობიდან გამომდინარე, უარი თქვას საჯარო სკოლებში რელიგიის საგნის ამა თუ იმ ფორმით შემოღებაზე და რელიგიების შესახებ სწავლების კომპონენტი გააძლიეროს ისეთ საგნებში, როგორცაა ისტორია და მოქალაქეობა.²⁶⁹

განათლების დარგის ექსპერტები თვლიან, რომ რელიგიის შესახებ ინფორმაცია საკმარისად არის ინტეგრირებული საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივ პროგრამებში და მისი ცალკე სწავლების საჭიროება არ დგას.²⁷⁰

268. მარიამ ღავთაძე et al., „საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული რელიგიათა საბჭოს რეკომენდაციები 2020.“

269. Ibid.

270. შალვა ტაბატაძე, „რელიგიის სწავლება საჯარო სკოლებში“ (თბილისი: ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი), წვდომის თარიღი: 10 სექტემბერი, 2022, <http://tdi.ge/ge/page/religiis-scvleba-sajaro-skolebshi>.

სასკოლო სახელმძღვანელოების შინაარსი

პრობლემურია სასკოლო სახელმძღვანელოების შინაარსიც. როგორც ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტის (TDI) მიერ ჩატარებული სახელმძღვანელოების ანალიზით²⁷¹ ირკვევა, უმეტესწილად ისინი დაწერილია ეთნიკური/რელიგიური უმრავლესობის პოზიციიდან, საქართველოს ისტორიის ნაწილი კი გააზრებულია უმთავრესად მონორელიგიურ და ეთნოცენტრისტულ კონტექსტში. შესაბამისად, სახელმძღვანელოების ძირითადი დისკურსი აუდიტორიად მხოლოდ ეთნიკურ და რელიგიურ უმრავლესობას მოიაზრებს.

90-იანი წლებიდან მოყოლებული, მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქო ერეოდა სახელმძღვანელოების შინაარსში და სახელმწიფოს მიუთითებდა, რა ცვლილებები უნდა შესულიყო არა მხოლოდ რელიგიის, არამედ სხვა საგნების სახელმძღვანელოებშიც. 1999 წლიდან ვხვდებით ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის რელიგიის თავისუფლების ანგარიშებში შეფასებას, რომ ეკლესია მუდმივად ერევა და განიხილავს სასკოლო წიგნების შინაარსს და მათ შესაბამისობას მართლმადიდებლურ რწმენასთან. მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობით ეკლესიას აქვს კონსულტანტის როლი და არა ვეტოს უფლება, სახელმწიფო თითქმის ყოველთვის ითვალისწინებს ეკლესიის შენიშვნებს.²⁷²

სასკოლო სახელმძღვანელოების შინაარსზე საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოს გავლენა ასევე გამოჩნდა 2014-2016 წლებში, ახალი საგნის, „მე და საზოგადოების“ სტანდარტზე მუშაობის პროცესში. სტანდარტის თავდაპირველ სამუშაო ვერსიაში შედიოდა თავი სათაურით „რისი მწამს და რისი მჯერა“, ასევე სადისკუსიო თემები „რატომ არ შეიძლება რელიგიის სახელით ძალადობა“, „რატომ უნდა ვცეთ პატივი განსხვავებული რწმენის ადამიანს“ და ა.შ. აგრეთვე, ტერმინები „ტოლერანტობა“, „უმცირესობა“, „გენდერი“. ინიციატივა მართლმადიდებელი სასულიერო პირების მხრიდან ეროვნულ ტრადიციებზე თავდასხმად შეფასდა. განათლების სამინისტრომ სტანდარტის შემუშავების პროცესში, საპატრიარქო ჩართო, გაითვალისწინა მისი მოსაზრებები და, შედეგად, 2016 წელს დამტკიცებულ დოკუმენტში ზემოხსენებული სადისკუსიო თემები აღარ გვხვდება. განათლების მინისტრმა საპატრიარქოს ჩარევა ეკლესიასა და სამინისტროს შორის გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმით გაამართლა.

ქვემოთ მოცემულია ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტის მიერ ჩატარებული სახელმძღვანელოების ანალიზის მოკლე მიმოხილვა.

როდესაც სახელმძღვანელოებში ლაპარაკია ქრისტიანობაზე, მართლმადიდებლობაზე ან ეთნიკურ ქართველებზე, თხრობა, ზოგიერთ შემთხვევაში, პირველ პირში მიმდინარეობს.

„კაპადოკიიდან იყო წმინდა გიოხვიც _ ჩვენი ერთ-ერთი უდიდესი, შეიძლება ითქვას, ყველაზე დიდი საპატივცემულო წმინდანი...“ (საქართველოს ისტორია, მე-9 კვადრი)

სახელმძღვანელოებში ასევე გვხვდება ტექსტები, სადაც ეთნიკური ქართველები და სხვა ეთნოსის წარმომადგენლები, მართლმადიდებლები და სხვა აღმსარებლობის

271. მარიამ ღავთაძე et al., „რელიგიისა და რწმენის თავისუფლება საქართველოში, ანგარიში 2010-2019.“
 272. იხ. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის 1999-2007 წლების რელიგიის თავისუფლების ანგარიშები.

მოქალაქეები წარმოჩენილი არიან „სტუმრისა და მასპინძლის“, „ჩვენ“ და „ისინი-ს“ კონტექსტში.

„ქართული ხადხი მშვიდობიანად თანაცხოვრობდა სხვა ეთნოსების წახმომადგენლებთან – ებრაელებთან, ბეჩენებთან, სომხებთან და სხვა, რომლებიც ისტორიული ქაჩგებილების დროს, საქართვლოს შემოუკედნენ და მისი ჭიხისა და დხინის თანაზიარის გახდნენ.“ (საქართვლოს ისტორია, მე-9 კლასი)

ქართული ლიტერატურის, ასევე ისტორიის სახელმძღვანელოების ზოგიერთ თავში გვხვდება ქსენოფობიური მიმართებები, სახელმძღვანელოების შემდგენლების ან ავტორების შესაბამისი კრიტიკული კომენტარების გარეშე, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში შემდგენელთა შეკითხვები და კომენტარები თავად არის მიკერძოებული და ქსენოფობიური თხრობის ნიმუშები. ასევე ხშირია სტერეოტიპულ წარმოდგენებზე აგებული ტექსტები, როდესაც განზოგადებული სტერეოტიპული ნიშან-თვისებები მიენერება ამა თუ იმ ეთნიკურ ან რელიგიურ ჯგუფს და წარმოჩენილია როგორც მათი საერთო ნეგატიური მახასიათებელი.

„ქუხთები. ოფდის სუნი ისეთი: თითქოს ჰებრაედა „მიკვას“ გვეხდით მიდიოდე. ნუ თუ ყვედაფეხს ჯიში ეკახება ცფიდისში?!“

„აისოხი მეუბოვე“ – ქადები განსაცმედში ჩავოდეხიდან: თითქოს ეხთაშად ჩაუცვამთ ყვედა საცმედი - შეგეფეთებიან - ოფდის ცხაჟე სუნი გეცემათ პიხვედად. ...ასუხეთი ახჩობს იხანის დომს. მისი ნაშიეხი მეუბოვეა ცფიდისში. მისი მოდგმა ფეხსაცმდის მწმენდეია.“

დავადება: *გაანადიზე მოცემური ნაწყვეტი და შექმენი ამ მონაკვეთში აღწეხიდი ადამიანების „პოხგეგი“. აღწეჟე მათი გახეგნობა, ჩაცმედობა, საქმიანობა, ხასიათი, ეხოვნება, პხოფესია და ა. შ.“ (სამოქადაქო განათლება, მე-10 კლასი)*

სახელმძღვანელოებში ასევე ხშირად გვხვდება განსხვავებული იდენტობის მატარებელი ჯგუფების, ისტორიული პერსონაჟების, ავტორების როლის დაფარვა ისტორიულ თუ ლიტერატურულ პროცესში. ტექსტებში არასაკმარისად არის წარმოჩენილი განსხვავებული ეთნიკური და რელიგიური იდენტობის პერსონაჟები და ავტორები.

არის შემთხვევები, როდესაც საეკლესიო გადმოცემები და ლეგენდები წარმოდგენილია აკადემიური დისტანცირების გარეშე - როგორც ისტორიული, მეცნიერულად დადასტურებული ფაქტი, და არა საეკლესიო გადმოცემა. ასევე, სახელმძღვანელოების ტექსტებში სხვადასხვა რელიგიური თუ ეთნიკური ჯგუფის აღწერისას ზოგჯერ ვხვდებით მცდარ, დამაკნინებელ, არაკადემიურ ტერმინოლოგიას.

2019 წლიდან განათლების სამინისტრომ დაიწყო და გრძელდება სასკოლო საბაზო საფეხურის ახალი სახელმძღვანელოების გრიფირების პროცესი. დადებითად უნდა შეფასდეს, რომ 2019-2021 წლებში სამინისტრომ საბაზო საფეხურის VII-IX კლასის ყველა სახელმძღვანელოს გრიფირების პროცესში, კონკურსში წარმოდგენილი სახელმძღვანელოების შეფასებისას, დარგობრივ სპეციალისტებთან ერთად, საქართვლოს სახალხო დამცველის კოორდინაციით, ჩართო ადამიანის უფლებების ექსპერტები. ადამიანის უფლებებისა და დისკრიმინაციის აკრძალვის კრიტერიუმი ითვალისწინებს სახელმძღვანელოების შინაარსის შეფასებას ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების კულტურის ასახვის კუთხითაც.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები რელიგიის თავისუფლების საქმეებზე

ამ დროისათვის ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს გამოტანილი აქვს სამი გადაწყვეტილება საქართველოს მიმართ, რომლებიც შეეხება 1999-2001 წლებში იეჰოვას მოწმეების მიმართ ჩადენილ მრავალრიცხოვან დანაშაულებრივ ფაქტებს. ზოგიერთ მათგანზე გამოძიება და შიდა სასამართლო განხილვები „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ პერიოდშიც გრძელდებოდა. ევროსასამართლოს კრიტიკის საგანი გამოძიების ორგანოებთან ერთად სასამართლო ხელისუფლებაც გახდა. მან შეაფასა მთლიანი კონტექსტი, რომელიც საქართველოში იეჰოვას მოწმეებზე მიმართულ რელიგიურ ძალადობაზე სახელმწიფო ორგანოების წარმომადგენელთა სისტემურ უმოქმედობას გულისხმობდა. საქართველოს სახელმწიფოს მხრიდან რელიგიის თავისუფლების დარღვევის ევროპულ სასამართლოში გასაჩივრება შესაძლებელი გახდა მას შემდეგ, რაც 1999 წლის 20 მაისიდან საქართველოსთვის ძალაში შევიდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია. ზემოაღნიშნულ საქმეებზე პირველი გადაწყვეტილება 2007 წელს დადგა, ამ დროისათვის ბოლო გადაწყვეტილება კი 2017 წელს არის მიღებული. შემთხვევითი არ იყო, რომ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა, რომელიც საქართველოს მიმართ ევროპული სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების აღსრულებას ზედამხედველობს, სამივე საქმე ერთ ჯგუფად გააერთიანა კიდევ ერთ საქმესთან - „იდენტობა საქართველოს წინააღმდეგ“, რომელიც ლგბტ აქტივისტების მიმართ 2012 წელს ჩადენილ დანაშაულებრივ ფაქტებს შეეხება. მიუხედავად იმისა, რომ მათ მთელი დეკადა აშორებთ, ოთხივე საქმეში არსებული გარემოებები მსგავსია - უმცირესობების დისკრიმინაცია, მსხვერპლების შეკრების თავისუფლების ძალადობრივი დარღვევა, მათზე თავდასხმა, ეფექტიანი გამოძიების არარსებობა. აღნიშნულ საქმეებში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ გაკეთებული რიგი შეფასებები უკვე მიმოვიხილეთ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების თავში, აქ კი დანარჩენ გარემოებებს მოკლედ შევხებით.

გლდანის კონგრეგაციის 97 წევრი და ოთხი სხვა პირი საქართველოს წინააღმდეგ. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნულ საქმეზე გადაწყვეტილება 2007 წლის 3 მაისს გამოიტანა და დაადგინა არა მხოლოდ რელიგიის თავისუფლებისა და დისკრიმინაციის აკრძალვის დარღვევა, არამედ წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვის დარღვევაც (ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3, მე-9 და მე-14 მუხლები). საქმე შეეხებოდა 1999 წლის 17 ოქტომბერს, რელიგიური შეკრებისას, კონგრეგაციის 120 წევრზე თავდასხმას მართლმადიდებელ მორწმუნეთა ჯგუფის მხრიდან ბასილ მკალავიშვილის („მამა ბასილი“) ხელმძღვანელობით და მის თანმდევ მოვლენებს.

ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ იეჰოვას მოწმეების ნაწილის მიმართ განხორციელებულმა ძალადობრივმა და დანაშაულებრივმა ქმედებებმა მიაღწია საკმარის ზღვარს იმისათვის, რომ დაკვალიფიცირდეს, როგორც არაადამიანური მოპყრობა კონვენციის მე-3 მუხლის მნიშვნელობით.²⁷³ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ კომპეტენტურმა ორგანოებმა, ფლობდნენ რა მნიშვნელოვან და საკმარის სამხილებს იმისათვის, რომ აღესრულებინათ კანონით მათზე დაკისრებული მოვალეობა, გამოიჩინეს აშკარა დაუდევრობა

273. გლდანის კონგრეგაციის 97 წევრი და ოთხი სხვა პირი საქართველოს წინააღმდეგ, საჩივარი #71156/01, პარა. 102, (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2007), <https://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/gldani97.pdf>.

სავარაუდო დამნაშავეთა დადგენის საქმეში.²⁷⁴ ათეულობით თავდამსხმელის პასუხისმგებლობის საკითხი არ გამხდარა სერიოზული ძიების საგანი.²⁷⁵ მხოლოდ გამოძიების დაწყება, როგორც ეს მოცემულ საქმეში მოხდა, რომელიც არაერთგზის შეწყდა ყოველგვარი საფუძვლიანი მიზეზების გარეშე და რომელსაც საბოლოოდ არანაირი გადაწყვეტილება არ მოჰყოლია, ვერ აკმაყოფილებდა კონვენციის მე-3 მუხლის მოთხოვნებს.²⁷⁶

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ „ხელისუფლების როლი მდგომარეობს არა დაძაბულობის მიზეზის აღმოფხვრაში პლურალიზმის გამორიცხვის გზით, არამედ იმის უზრუნველყოფაში, რომ დაპირისპირებულ ჯგუფებს შორის დამკვიდრდეს შემწყნარებლური განწყობა.“²⁷⁷ წინამდებარე საქმეზე ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ ხელისუფლების დაუდევრობამ შესაძლებელი გახადა აგრესორთა იმავე ჯგუფის მხრიდან რელიგიური ძალადობის გავრცელება მთელ საქართველოში.²⁷⁸ მომჩივნებს გაუჩნდათ შიში, რომ მათი რწმენის მორიგი გამოხატვის შემთხვევაში, ისინი კვლავ გახდებოდნენ ძალადობის მსხვერპლნი.²⁷⁹ ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ პოლიციის უარი, დაუყოვნებლივ, ადგილზევე ჩარეულიყო სიტუაციაში და დაეცვა მომჩივნები და ზოგიერთი მათგანის ბავშვები რელიგიური ძალადობისაგან, ასევე შემდგომი გულგრილობა, რომელიც კომპეტენტურმა ორგანოებმა გამოიჩინეს ამ პირთა მიმართ, დიდწილად განპირობებული იყო მომჩივნების რელიგიური შეხედულებებით.²⁸⁰ უყურადღებობამ, რომელიც პოლიციამ და საქმის გამოძიებით დაკავებულმა პირებმა გამოიჩინეს უკიდურესად მძიმე უკანონო ქმედებებისადმი მომჩივნების რწმენის გამო, შესაძლებლობა მისცა მამა ბასილს, გაეღვივებინა სიძულვილი მასმედიის საშუალებებით და თავის მომხრეებთან ერთად კვლავაც ჩაედინა რელიგიური ძალადობის არაერთი აქტი. ამასთანავე, იგი მიუთითებდა, რომ ეს ქმედებები ხელისუფლების არაოფიციალური მხარდაჭერით სარგებლობდა, რამაც სამოქალაქო საზოგადოებაში დაბადა საფუძვლიანი ეჭვი ამ დანაშაულის ჩამდენთა თანამზრახველობის შესახებ სახელმწიფოს წარმომადგენლებთან.²⁸¹

ბელელური და სხვები საქართველოს წინააღმდეგ. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნულ საქმეზე გადაწყვეტილება 2014 წლის 7 ოქტომბერს გამოიტანა. ამ საქმეშიც მან დაადგინა არა მხოლოდ რელიგიის თავისუფლებისა და დისკრიმინაციის აკრძალვის დარღვევა, არამედ წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვის დარღვევაც (ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3, მე-9 და მე-14 მუხლები). ის შეეხებოდა 2000-2001 წლებში, სხვადასხვა დროს მომჩივნების მიმართ განხორციელებულ ძალადობასა და თავდასხმებთან დაკავშირებულ ოცდაათ საქმეს. მომჩივნებმა დაახლოებით 160 საჩივარი შეიტანეს საგამოძიებო ორგანოებში, მათ შორის საქართველოს გენერალურ პროკურატურაში, რათა დამნაშავე პირების მიმართ აღძრულიყო სისხლის სამართლის საქმეები. საჩივრებს რაიმე კონკრეტული შედეგი არ მოჰყოლია.

როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მიუთითებს, სამართლებრივი დაცვის ყველა საშუალებას მოკლებულმა მომჩივნებმა ვერ

274. Ibid., პარა. 119.
275. Ibid.
276. Ibid.
277. Ibid., პარ. 132.
278. Ibid., პარ. 133.
279. Ibid.
280. Ibid.
281. Ibid., პარა. 141.

შეძლეს რელიგიის თავისუფლებიდან გამომდინარე უფლებების დაცვა ეროვნულ სასამართლოებში. ხელისუფლების ორგანოების გულგრილობამ გზა გაუხსნა იეჰოვას მოწმეთა წინააღმდეგ რელიგიური ძალადობის ფართოდ გავრცელებას მთელი საქართველოს მასშტაბით.²⁸² ევროსასამართლო მიიჩნევს, რომ თავისი მონაწილეობით, მხარდაჭერით ან სულ მცირე, მდუმარე თანხმობით, შესაბამისმა ორგანოებმა ვერ შეასრულეს თავისი მოვალეობა მიეღოთ აუცილებელი ზომები იმის უზრუნველსაყოფად, რომ იეჰოვას მოწმეებს შეეძლებოდათ რელიგიის თავისუფლების საკუთარი უფლების განხორციელება. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების დამოკიდებულებამ ხელი შეუწყო რელიგიური ძალადობის გაღრმავებას.²⁸³ ევროსასამართლომ დაასკვნა, რომ იეჰოვას მოწმეთა წინააღმდეგ განხორციელებული ძალადობის მიმართ საქართველოს ხელისუფლების ორგანოების მხრიდან შემწყნარებლურ დამოკიდებულებას სისტემატური ხასიათი ჰქონდა.²⁸⁴ ბევრ შემთხვევაში, საქმეზე ზედამხედველი პროკურორებისა და შიდა სასამართლოებისთვის კარგად იყო ცნობილი ჩატარებული გამოძიებების ნაკლოვანებების შესახებ, მაგრამ არაფერი არ გაუკეთებიათ.²⁸⁵ ფართოდ იყო ცნობილი, რომ რელიგიურად მოტივირებული ძალადობა საქართველოში სერიოზულ პრობლემას წარმოადგენდა, თუმცა ძალიან ცოტა რამ თუ გაკეთდა ამის თავიდან ასაცილებლად ან/და შესაჩერებლად.²⁸⁶

ცარციძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნულ საქმეზე გადაწყვეტილება 2017 წლის 17 იანვარს გამოიტანა და დაადგინა რელიგიის თავისუფლებისა და დისკრიმინაციის აკრძალვის დარღვევა (ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-9 და მე-14 მუხლები). ის შეეხება იეჰოვას მოწმეების მიმართ რელიგიური მოტივით 2000-2001 წლებში განხორციელებული აგრესიის სამ შემთხვევას.

აღნიშნულ საქმეშიც ევროპულმა სასამართლომ გააკეთა მსგავსი შეფასებები, რაც წინა ორ საქმეშია მოცემული და პოლიციის თანამშრომლებისა თუ სასამართლოს საქმიანობის კრიტიკას წარმოადგენს. ერთ-ერთი დანაშაულებრივი ფაქტის კონტექსტში, ევროპულმა სასამართლომ მხედველობაში მიიღო პოლიციის თანამშრომლის მიერ ეროვნული სასამართლოებისთვის მიცემული ჩვენება, რომ მისმა კოლეგამ იეჰოვას მოწმეებს მოსთხოვა „შეწყვიტათ შეკრება,“ რათა თავიდან აეცილებინათ მათი მოწინააღმდეგეებთან დაპირისპირება.²⁸⁷ სასამართლოს შეფასებით, თუნდაც იმის დაშვებით, რომ პოლიციის ოფიცრის მხრიდან ეს მოთხოვნა არ მოიცავდა დამცირებას ან თავდასხმას რაიმე ფორმით, ის მაინც უტოლდებოდა კონვენციის მე-9 მუხლით გათვალისწინებული მომჩივნების უფლებებში ჩარევას. იმის გათვალისწინებით, რომ ამ მოთხოვნას ადგილი ჰქონდა სულ მცირე ერთი პოლიციის ოფიცრის მხრიდან, მისი ქმედებები აშკარად წარმოშობდა მთავრობის პასუხისმგებლობას.²⁸⁸ სასამართლომ ასევე დაასკვნა, რომ მომჩივნების ნაწილი

282. ბელელური და სხვები საქართველოს წინააღმდეგ, საჩივარი #28490/02, პარა. 163. (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2014), <https://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/saqartvelos-winaagmdeg-begeluri-da-sxva.pdf>.

283. Ibid., პარა. 165.

284. Ibid., პარა. 174.

285. Ibid., პარა. 136.

286. Ibid., პარა. 175.

287. ცარციძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ, საჩივარი #18766/04, პარა. 80. (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2017). <https://www.supremecourt.ge/uploads/files/1/pdf/s-winaagmdeg/tsartsidze-saqartvelos-winaagmdeg.pdf>.

288. Ibid.

პოლიციის მხრიდან ძალადობის მსხვერპლი გახდა მათი რელიგიური მრწამსის საფუძვლით.²⁸⁹

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი ზემოაღნიშნული საქმეებიდან აგრძელებს ზედამხედველობას საქმის - „გლდანის კონგრეგაციის 97 წევრი საქართველოს წინააღმდეგ“ - აღსრულებაზე და მას აღსრულებულად ჟერჯერობით არ თვლის.²⁹⁰ ის მოითხოვს სახელმწიფოსაგან ისეთი ზოგადი ღონისძიებების გატარებას, რომელიც გააუმჯობესებს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოძიებას.

289. Ibid., პარ. 85.

290. Council of Europe (Committee of Ministers), “Identoba and Others Group v. Georgia (Application No. 73235/12)” (Strasbourg : Council of Europe, October 1, 2020), [https://hudoc.exec.coe.int/ENG#%22EXEClidentifier%22:%22CM/Del/Dec\(2020\)1383/H46-5E%22](https://hudoc.exec.coe.int/ENG#%22EXEClidentifier%22:%22CM/Del/Dec(2020)1383/H46-5E%22)].

გამოყენებული ლიტერატურა

ადამიანის უფლებების მონიტორინგისა და სწავლების ცენტრი. „რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს საქმიანობის კრიტიკული ანალიზი.“ თბილისი: ადამიანის უფლებების მონიტორინგისა და სწავლების ცენტრი, 14 ოქტომბერი, 2020. <https://socialjustice.org.ge/ka/products/religiis-sakitkhata-sakhelmtsifo-saagentos-sakmianobis-kritikuli-analizi-1>.

———. „რელიგიური უმცირესობების დაცვა - ადამიანის უფლებათა დაცვის სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის ანგარიში.“ თბილისი: ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი, 3 ოქტომბერი, 2018. <https://socialjustice.org.ge/ka/products/religiuri-umtsiresobebis-datsva-adamianis-uflebata-datsvis-strategiebisa-da-samokmedo-gegmebis-shesrulebis-monitoringis-angarishi>.

გამსახურდია, ზვიად. „საინაუგურაციო სიტყვა.“ თბილისი, 7 ივნისი, 1991. <https://www.youtube.com/watch?v=Rn1ja0DAPDw>.

გიორგაძე, ლელა. „საქართველოსა და რუსეთის საეკლესიო ურთიერთობები პოსტსაბჭოურ პერიოდში (1990-2004 წლებში).“ სადოქტორო ნაშრომი, 2014. http://press.tsu.ge/data/image_db_innova/Disertaciebi/lela_giorgadze.pdf.

გვახარია, გიორგი. „დაპირისპირება ქართულ საზოგადოებაში.“ რადიო თავისუფლება, 14 ივნისი, 2013. <https://www.radiotavisupleba.ge/a/red-zone-confrontation/25017433.html>.

გვრიტიშვილი, ეთერ, ეკა ჭითანავა, თამთა მიქელაძე და მარიამ კვარაცხელია. „რელიგიური ორგანიზაციების სახელმწიფო დაფინანსების პოლიტიკა (2014-2015).“ თბილისი: EMC და TDI, 16 ივლისი, 2016. <https://socialjustice.org.ge/ka/products/kvleva-religiuri-organizatsiebis-sakhelmtsifo-dafinansebis-politika-2014-2015>.

დეისაძე-შარვაშიძე, ლაშა. „საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია და თანამედროვე გამოწვევები (XX საუკუნის 80-იანი წლებიდან დღემდე).“ სადოქტორო ნაშრომი, 2019.

ევროპის კომისია რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ. „მოხსენება საქართველოს შესახებ.“ სტრასბურგი: ევროპის საბჭო, 22 ივნისი, 2001. <https://rm.coe.int/ecri-first-report-on-on-georgia-adopted-on-22-june-2001-published-on-2/16808b78b7>.

———. „მოხსენება საქართველოს შესახებ (მონიტორინგის მეხუთე ციკლი).“ სტრასბურგი: ევროპის საბჭო, 1 მარტი, 2016. <https://rm.coe.int/fourth-report-on-georgia-georgian-translation-/16808b5775>.

ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ჩარჩო კონვენციის მრჩველთა კომიტეტი. „შესამე დასკვნა საქართველოს შესახებ.“ სტრასბურგი: ევროპის საბჭო, 7 მარტი, 2019. https://smr.gov.ge/uploads/prev/3rd_Op_Geo_05dc9050.pdf.

ზვიადაძე სოფო, ნარგიზა არჯევანიძე, რუსლან ბარამიძე, თეონა ფირანიშვილი, მარიამ ბეგაძე და კონსტანტინე ჩაჩიბაია. „რელიგია, პოლიტიკა და სოციალური კონტექსტები - კვლევების, ანგარიშებისა და სტატიების კრებული.“ თბილისი: ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი, 2020.

თავისუფლების ინსტიტუტი. „ადამიანის უფლებების მიმოხილვა. 2002 წლის ანგარიში.“ თბილისი: თავისუფლების ინსტიტუტი, 2003. <https://liberty.ge/books/29>.

———. „ადამიანის უფლებების მიმოხილვა. იანვარი-მარტი 2002.“ თბილისი: თავისუფლების ინსტიტუტი, 2002. <https://liberty.ge/books/24>.

———. „აღმსარებლობის თავისუფლება საქართველოში.“ თბილისი: თავისუფლების ინსტიტუტი, 2002. <https://liberty.ge/books/9>.

ილია II. ეპისტოლენი, სიტყვანი, ქადაგებანი. ტომი I. თბილისი, 1997. <https://www.orthodoxy.ge/patriarqi/epistoleebi/sashobao1994.htm>.

———. „საშობაო ეპისტოლე.“ თბილისი, 1993-1994. <https://www.orthodoxy.ge/patriarqi/epistoleebi/sashobao1994.htm>.

———. „შევარდნაძე არ გადადგება.“ თბილისი, 1994. https://www.youtube.com/watch?v=ddFfWhMRNtk&ab_channel=alexandre.

ინტერპრესნიუსი. „ბიძინა ივანიშვილი - აჭარაში მეჩეთის მშენებლობის თემა პოლიტიზირებული ხელოვნურად გახდა,“ 14 მარტი, 2013. <https://www.interpressnews.ge/ka/article/232769-bizina-ivanishvili-acharashi-mechetis-msheneblobis-tema-politizirebuli-xelovnurad-gaxda/>.

———. „საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის განცხადება.“ 10 მაისი, 2011. <https://www.interpressnews.ge/ka/article/180862-sakartvelos-katolikos-patriarkis-ganxadeba>.

მეტრეველი, არჩილ. რელიგიისა და რწმენის თავისუფლება, წიგნი II: კოლექტიური და ინსტიტუციური ასპექტები. თბილისი: საქართველოს უნივერსიტეტი, 2022.

მინდიაშვილი, ბექა. „რელიგიური განათლების პერსპექტივა სახელმწიფო სკოლებში.“ 24 საათი, 2004.

მიქელაძე, თამთა, მარიამ ბეგაძე, ეთო გვრიტიშვი, ქეთი ჩუთლაშვი, ნინო სუხიშვილი და ქეთი სართანია. „რელიგიის თავისუფლება - სახელმწიფოს დისკრიმინაციული და არასაკულარული პოლიტიკის კრიტიკა.“ თბილისი: ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი, 2016. <https://cutt.ly/ncrBpKi>.

ნანუაშვილი უჩა. „სახალხო დამცველის განცხადება რელიგიური გაერთიანებების დაფინანსებასთან დაკავშირებით.“ 28 იანვარი, 2014. http://tolerantoba.ge/index.php?news_id=534.

პაპუაშვილი, ნუგზარ. „რელიგიური სწავლების Via Dolorosa საქართველოში.“ თავისუფლება #9 (33) (2004).

რადიო თავისუფლება. “ვინ დაარბია თავისუფლების ინსტიტუტი,” 18 ივლისი, 2002. <https://www.radiotavisupleba.ge/a/1522150.html>.

რეხვიაშვილი, ჯიმშერ. “დაპირისპირება თბილისის სასულიერო აკადემიაში.” რადიო თავისუფლება, 12 ნოემბერი, 2004. <https://www.radiotavisupleba.ge/a/1538189.html>.

რობაქიძე, ნინო. “მთავრობა ეკლესიის სამსახურში.” ლიბერალი, 2-14 ივნისი 2009. https://dSPACE.nplg.gov.ge/bitstream/1234/8556/1/Liberali_2009_N2.pdf.

სამოქალაქო საქართველო. „ახალი მემარჯვენეების საპრეზიდენტო კანდიდატი პრიორიტეტებზე საუბრობს,” 26 ნოემბერი, 2007. <https://civil.ge/ka/archives/142088>.

———. „ილია მეორე: რელიგიური გაერთიანებების სტატუსზე კანონი ‘საშიშია,’ 7 ივლისი, 2011. <https://civil.ge/ka/archives/149292>.

———. „პატრიარქი: თვითმმართველობის ახალი კოდექსის პროექტი ქვეყნის ‘დაშლას’ გამოიწვევს,” 5 დეკემბერი, 2013. <https://old.civil.ge/geo/article.php?id=27635>.

———. „პრეზიდენტი ეკუმენისტურ ლოცვას დაესწრო ბაპტისტურ ეკლესიაში,” 15 მარტი, 2003. <https://civil.ge/ka/archives/129236>.

———. „სამართალდამცავებმა ბასილ მკალავიშვილი დააპატიმრეს,” 12 მარტი, 2004. <https://civil.ge/ka/archives/131756>.

———. „საქართველოს პატრიარქი ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის მიღებაზე,” 6 მაისი, 2014. <https://civil.ge/ka/archives/152945>.

———. „საქართველო უარს ამბობს ვატიკანთან ხელშეკრულების გაფორმებაზე,” 19 სექტემბერი, 2003. <https://civil.ge/ka/archives/130387>.

სარაჯიშვილი, ნიკოლოზ. „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო’ და 1990 წლის 28 ოქტომბრის უზენაესი საბჭოს არჩევნები.“ კრებულში ზვიად გამსახურდია: პოლიტიკა, მეცნიერება, ლიტერატურა. თბილისი: არტანუჯი, 2020.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. „საია სახელმწიფო ბიუჯეტიდან მუსლიმების დისკრიმინაციული დაფინანსების წესს საკონსტიტუციო სასამართლოში ასაჩივრებს,” 5 აპრილი, 2016. <https://gyla.ge/ge/post/saia-sakhelmtsifo-biujetidan-muslimების-diskriminაციული-dafinansebis-tsess-sakonstitucio-sasamartloshi-asachivrebs#sthash.uc1xdWgl.mBPqGh0R.dpbs>.

საქართველოს გენერალური პროკურატურა. „რელიგიური შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დისკრიმინაციული დანაშაულები 2018-2020.“ თბილისი: საქართველოს გენერალური პროკურატურა, 2020. <https://pog.gov.ge/uploads/886a091c-religiis-nishniT-diskriminaciis-motivi.pdf>.

საქართველოს პროკურატურა. „გენერალური პროკურორის ანგარიში 2020.“ თბილისი: საქართველოს პროკურატურა, 2021. <https://pog.gov.ge/uploads/c7c23efb-generaluri-prokuraturis-saqmianobis-angarishi-2020-compressed.pdf>.

საქართველოს სახალხო დამცველი. „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ - 2000 წ.“ თბილისი: საქართველოს სახალხო დამცველი, 2000. <https://www.ombudsman.ge/res/docs/2019072916215560300.PDF>.

———. „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ - 2001 წლის პირველი ნახევარი.“ თბილისი: საქართველოს სახალხო დამცველი, 2001. <https://www.ombudsman.ge/res/docs/2019072916223333497.PDF>.

———. „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ - 2001 წლის მეორე ნახევარი.“ თბილისი: საქართველოს სახალხო დამცველი, 2001. <https://www.ombudsman.ge/res/docs/2019072916230381070.PDF>.

———. „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ - 2002 წლის პირველი ნახევარი.“ თბილისი: საქართველოს სახალხო დამცველი, 2002. <https://www.ombudsman.ge/res/docs/2019072916234077675.PDF>.

———. „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ - 2002 წლის მეორე ნახევარი.“ თბილისი: საქართველოს სახალხო დამცველი, 2002. <https://www.ombudsman.ge/res/docs/2019072916241698560.PDF>.

———. „ადამიანის უფლებათა მდგომარეობა საქართველოში - 2004წ.“ თბილისი: საქართველოს სახალხო დამცველი, 2004. <https://www.ombudsman.ge/res/docs/2019040411373539049.pdf>.

———. „ადამიანის უფლებათა მდგომარეობა საქართველოში - 2005წ. / 1 ნახევარი.“ თბილისი: საქართველოს სახალხო დამცველი, 2005. <https://www.ombudsman.ge/res/docs/2019040411373649624.pdf>.

———. „ადამიანის უფლებათა მდგომარეობა საქართველოში - 2005წ. / 2 ნახევარი.“ თბილისი: საქართველოს სახალხო დამცველი, 2005. <https://www.ombudsman.ge/res/docs/2019040411373732914.pdf>.

———. „ადამიანის უფლებათა მდგომარეობა საქართველოში - 2007წ. / 1 ნახევარი.“ თბილისი: საქართველოს სახალხო დამცველი, 2007. <https://www.ombudsman.ge/res/docs/2019040411373659470.pdf>.

———. „ადამიანის უფლებათა მდგომარეობა საქართველოში - 2007წ. / 2 ნახევარი.“ თბილისი: საქართველოს სახალხო დამცველი, 2007. <https://www.ombudsman.ge/res/docs/2019040411373628524.pdf>.

———. „ადამიანის უფლებათა მდგომარეობა საქართველოში - 2008წ. / 2 ნახევარი.“ თბილისი: საქართველოს სახალხო დამცველი, 2008. <https://www.ombudsman.ge/res/docs/2019040411373628768.pdf>.

——. „ადამიანის უფლებათა მდგომარეობა საქართველოში - 2009წ. / 1 ნახევარი.“ თბილისი: საქართველოს სახალხო დამცველი, 2009. <https://www.ombudsman.ge/res/docs/2019040411373657799.pdf>.

——. „ადამიანის უფლებათა მდგომარეობა საქართველოში - 2009წ. / 2 ნახევარი.“ თბილისი: საქართველოს სახალხო დამცველი, 2009. <https://ombudsman.ge/res/docs/2019040411373662896.pdf>.

——. „ადამიანის უფლებათა მდგომარეობა საქართველოში - 2010წ.“ თბილისი: საქართველოს სახალხო დამცველი, 2010. <https://www.ombudsman.ge/res/docs/2019040411373770553.pdf>.

——. „ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2011 წელი.“ თბილისი: საქართველოს სახალხო დამცველი, 2011. <https://drive.google.com/file/d/1BIXIPKQaeHyML-yfUQbxxRg3lOh07NJA/view>.

——. „ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2012 წელი.“ თბილისი: საქართველოს სახალხო დამცველის, 2012. https://drive.google.com/file/d/1HZ3-Aqw16A1_vGouD7apUmMR6MImiHIP/view.

——. „ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2013 წელი.“ თბილისი: საქართველოს სახალხო დამცველი, 2013. <https://drive.google.com/file/d/19AjSGIOHEQkzJ0HV-rxQ56sXgFx0E6d7/view>.

——. „ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2017 წელი.“ თბილისი: საქართველოს სახალხო დამცველი, 2017. <https://drive.google.com/file/d/1gcWDvqloj-PTKW5FWBczRKSldQrKkoO9/view>.

——. „ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2018 წელი.“ თბილისი: საქართველოს სახალხო დამცველი, 2018. <https://www.ombudsman.ge/res/docs/2019042620571319466.pdf>.

——. „ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2019 წელი.“ თბილისი: საქართველოს სახალხო დამცველი, 2019. <https://www.ombudsman.ge/res/docs/2020040215365449134.pdf>.

——. „ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2020 წელი.“ თბილისი: საქართველოს სახალხო დამცველი, 2020. <https://www.ombudsman.ge/res/docs/2021040110573948397.pdf>.

——. „ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2021 წელი,“ 2022. <https://www.ombudsman.ge/res/docs/2022040413242699860.pdf>.

——. „განცხადება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ბუკნარში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით,“ 13 იანვარი, 2021. <https://www.ombudsman.ge/geo/akhali-ambebi/sakhalkho-damtsvelis-gantskhadeba-chokhatauris-munitsipalitetis-sofel-buknarshi-ganvitarebul-movlenebtan-dakavshirebit>.

——. „სპეციალური ანგარიში დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ.“ თბილისი: საქართველოს სახალხო დამცველი, 2019. <https://cutt.ly/K72yAqz>.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. „ურთიერთთანამაშრომლობის ოთხმხრივი მემორანდუმი,“ 23 სექტემბერი, 2020. <https://www.geostat.ge/index.php/ka/single-news/1941/urtierttanamashromlobis-otkhmkhriivi-memorandum>.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს პროკურატურა და საქართველოს უზენაესი სასამართლო. „დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკის ერთიანი ანგარიში.“ თბილისი: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2020. https://www.geostat.ge/media/36779/diskriminaciis-nishnit_2020_IV.pdf.

სულხანიშვილი, ირინა. „განათლების მართლმადიდებლური სინდრომი საქართველოში.“ კრებულში Идентичность, власть и город в работах молодых учёных Южного Кавказа. თბილისი: ჰაინრიხ ბიოლის ფონდი, 2005.

ტაბატაძე, შალვა. „რელიგიის სწავლება საჯარო სკოლებში.“ თბილისი: ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი. წვდომის თარიღი: 10 სექტემბერი, 2022. <http://tdi.ge/ge/page/religiis-scvaleba-sajaro-skolebshi>.

ტაბულა. „გახარია: ეკლესია არ უნდა დაიხუროს, რაც გასაგებია, ჩვენ ხომ მართლმადიდებლური სახელმწიფო ვართ,“ 14 აპრილი, 2020. <https://tabula.ge/ge/news/644208-gakharria-eklesia-ar-unda-daikhuros-rats-gasagebia>.

——. „რელიგიათა საბჭო: რელიგიურ ორგანიზაციებზე კანონის შემუშავება დღის წესრიგში არ უნდა დადგეს,“ 1 თებერვალი, 2019. <https://tabula.ge/ge/news/619285-religiata-sabcho-religiur-organizatsiebbe-kanonis>.

——. „ღარიბაშვილი 5 ივლისზე: 30 კაცი როგორ უნდა დაიცვას სახელმწიფომ, უმრავლესობას გადაუაროს?,“ 17 სექტემბერი, 2021. <https://tabula.ge/ge/news/673168-gharibashvili-5-ivlisze-30-katsi-rogor-unda>.

ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი. „არასამთავრობოები რელიგიის საკითხთა სააგენტოს გაუქმების შესახებ,“ 18 ივლისი, 2018. <https://tdi.ge/ge/statement/arasamtavroboebi-religiis-sakitxta-saagentos-gaukmebis-shehexeb>.

——. „განცხადება კონსტიტუციაში რელიგიის თავისუფლების შეზღუდვასთან დაკავშირებით,“ 24 სექტემბერი, 2017. <https://tdi.ge/ge/statement/gancxadeba-konstituciashi-religiis-tavisuplebis-shezgudvastan-dakavshirebit>.

——. „რელიგიური გაერთიანებების განცხადება ვიცე-პრემიერ მაია ცქიტიშვილის პოზიციასთან დაკავშირებით,“ 1 დეკემბერი, 2020. <https://www.tdi.ge/ge/statement/religiuri-gaertianebebis-ganxadeba-vice-premier-maia-ckitishvilis-poziciastan>.

——. „საეკლესიო ანტისემიტობაში - განახლებადი ინფორმაცია,“ 9 თებერვალი, 2021. <http://tdi.ge/ge/statement/saeklesio-antisemitizmi-ganaxlebad-inpormacia>.

——. „TDI-ის შეფასება კონსტიტუციაში რელიგიის თავისუფლების შეზღუდვაზე,“ 6 ივლისი, 2017. <https://tdi.ge/ge/statement/tdi-shepaseba-konstituciashi-religiis-tavisuplebis-shezgudvaze>.

ტულუში, გიორგი. „ტოლერანტობა საქართველოში - მიღწევები და გამოწვევები.“ თბილისი, 16 ნოემბერი, 2009. http://tolerantoba.ge/index.php?id=1281619822&sub_id=1321954386.

ფუტკარაძე, ტარიელ. “1991 წლის აპრილ-მაისში აჭარაში განვითარებული მოვლენები.” კრებულში ზვიად გამსახურდია: პოლიტიკა, მეცნიერება, ლიტერატურა. თბილისი: არტანუჯი, 2020.

ქართველიშვილი, მიხეილ. „ეროვნული ხელისუფლების რელიგიური პოლიტიკა.“ კრებულში ზვიად გამსახურდია: პოლიტიკა, მეცნიერება, ლიტერატურა. თბილისი: არტანუჯი, 2020.

ქევანიშვილი, ეკა. „თბილისში „სახალხო-მართლმადიდებლური მოძრაობა“ ფუძნდება.“ რადიო თავისუფლება, 25 მარტი, 2010. <https://www.radiotavisupleba.ge/a/1993772.html>.

——. „იცი რატომ მომკლეს? - ვიტალი საფაროვი.“ რადიო თავისუფლება, 15 ოქტომბერი, 2019. <https://www.radiotavisupleba.ge/a/30217488.html>.

რელიგიათა საბჭო და ტოლერანტობის ცენტრი. “საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული რელიგიათა საბჭოს რეკომენდაციები 2017.” თბილისი, 17 მაისი, 2017. http://tolerantoba.ge/failebi/qartuli_broshura_saxalxo_damcveli_87902.pdf.

——. „საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული რელიგიათა საბჭოს რეკომენდაციები 2020.“ რედ. ბეჟა მინდიაშვილი. თბილისი: ტოლერანტობის ცენტრი, 24 სექტემბერი, 2020. <https://www.ombudsman.ge/res/docs/2020092417162834667.pdf>.

ღავთაძე, მარიამ, ეკა ჭითანავა, ანზორ ხატიაშვილი, მარიამ ჭიქია, შოთა თუთბერიძე და გვანცა ლომაია. „რელიგიისა და რწმენის თავისუფლება საქართველოში, ანგარიში 2010-2019.“ თბილისი: ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი, 2020. http://tdi.ge/sites/default/files/tdi-angarishi-religiis_tavisupleba_sakartveloshi_2010-2019.pdf.

ღოღობერიძე, ხატია. „ელჩები, აქტივისტები, NGO-ები, სასულიერო პირები, ახალი პატრიარქის მოლოდინი — ჩანაწერები, ნაწილი II.“ [On.ge](https://on.ge/story/89086), 14 სექტემბერი, 2021. <https://on.ge/story/89086>.

ნერეთელი, კოკა. “საქართველოს ეკლესიის არუაცხელი ქონება და უკიდუგანო გავლენა.” NATION, 9 თებერვალი, 2020. https://nation.ge/index.php?m=5&news_id=11.

ნულაძე, ზაზა. „მცირე მთავრობა“: ქართული ოცნების ‘ქამრების შემოჭერის’ „მეორე ტალღა,“ ამერიკის ხმა, 26 ივნისი, 2018. <https://www.amerikishma.com/a/georgia-new-pm-mamuka-bakhtadzes-small-government/4455610.html>.

ჭაფარიძე, ანანია. „საეკლესიო კრებები 1918-1995 წლებში.“ meufeanania.info, 6 აპრილი, 2017. <http://meufeanania.info/saeklesioni/>.

Council of Europe (Committee of Ministers). “Identoba and Others Group v. Georgia (Application No. 73235/12).” Strasbourg : Council of Europe, October 1, 2020. [https://hudoc.exec.coe.int/ENG#%22EXECIdentifier%22:%22CM/Del/Dec\(2020\)1383/H46-5E%22](https://hudoc.exec.coe.int/ENG#%22EXECIdentifier%22:%22CM/Del/Dec(2020)1383/H46-5E%22)].

Council of Europe (Venice Commission). “Guidelines for Legislative Reviews of Laws Affecting Religion or Belief.” Strasbourg: Council of Europe, June 11, 2004. [https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL\(2004\)061-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL(2004)061-e).

European Commission for Democracy Through Law (Venice Commission). “Draft Opinion on the Draft Revised Constitution as Adopted by the Parliament of Georgia at the Second Reading on 23 June 2017.” Strasbourg, September 22, 2017. [https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-PI\(2017\)006-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-PI(2017)006-e).

———. “Report on the Relationship between Freedom of Expression and Freedom of Religion: The Issue of Regulations and Prosecution of Blasphemy, Religious Insult and Incitement to Religious Hatred.” Strasbourg, 2008. [https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD\(2008\)026-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2008)026-e).

Gunn, Jeremy, and Dag Nygaard. “Georgian Constitutional Values versus Political and Financial Interests: The Constitutional Agreement’s Departure from the Georgian Principle of Equality.” Oslo: Norwegian Centre for Human Rights , 2015. <https://cutt.ly/P5n7uEN>.

Parliamentary Assembly of the Council of Europe. “Recommendation 1805 (2007) Blasphemy, Religious Insults and Hate Speech against Persons on Grounds of Their Religion,” 2007. <https://cutt.ly/K5vsvHf>.

U.S. Department of State. “2018 Report on International Religious Freedom: Georgia.” Washington DC: U.S. Department of State, 2018. <https://www.state.gov/reports/2018-report-on-international-religious-freedom/georgia/>.

———. “2019 Report on International Religious Freedom: Georgia.” Washington DC: U.S. Department of State, 2019. <https://www.state.gov/reports/2018-report-on-international-religious-freedom/georgia/>.

———. “Annual Report on International Religious Freedom for 1999: Georgia.” Washington DC: U.S. Department of State, September 9, 1999. https://1997-2001.state.gov/global/human_rights/irf/irf_rpt/1999/irf_georgia99.html?fbclid=IwAR1FPkvwQZb0pWGVvEEwM65qkI5LjdwtPedQu6whNJo31to2-72m0WMuakWc.

———. “International Religious Freedom Report 2003.” Washington DC: U.S. Department of State, 2003. <https://2009-2017.state.gov/j/drl/rls/irf/2003/24358.htm>.

———. “International Religious Freedom Report 2004.” Washington DC: U.S. Department of State, 2004. <https://2009-2017.state.gov/j/drl/rls/irf/2004/35455.htm>.

———. “International Religious Freedom Report 2005.” Washington DC: U.S. Department of State, 2005. <https://2009-2017.state.gov/j/drl/rls/irf/2005/51553.htm>.

———. “International Religious Freedom Report 2009.” Washington DC: U.S. Department of State, 2009. <https://2009-2017.state.gov/j/drl/rls/irf/2009/127311.htm>.

———. “International Religious Freedom Report 2010.” Washington DC: U.S. Department of State, 2010. <https://2009-2017.state.gov/j/drl/rls/irf/2010/148936.htm>.

[Ombudsman.ge](https://ombudsman.ge) „რელიგიათა საბჭოს წევრი გაერთიანებების მიმართვა საქართველოს პარლამენტს,” 2 აგვისტო, 2017. <https://ombudsman.ge/geo/akhali-ambebi/religiata-sabchos-wevri-gaertianebebis-mimartva-saqartvelos-parlaments>.

———. „სახალხო დამცველთან არსებული რელიგიათა საბჭოს განცხადება: ვგმობთ ძალადობას, არ მივესალმებით რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფის შესახებ კანონის ინიციატივას,” 10 ივლისი, 2021. <https://www.ombudsman.ge/geo/akhali-ambebi/sakhalkho-datsveltan-arsebuli-religiata-sabchos-gantskhadeba-vgmobt-dzaladobas-ar-mivesalmebit-religiuri-grdznobebis-sheuratskhqofis-shesakheb-kanonis-initsiativias>.

———. „სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრისა და რელიგიათა საბჭოს წევრი რელიგიური გაერთიანებების პროტესტი გავრცელებული საიდუმლო მასალების წინააღმდეგ,” 19 სექტემბერი, 2021. <https://www.ombudsman.ge/geo/akhali-ambebi/sakhalkho-damtsveltan-arsebuli-tolerantobis-tsentrisa-da-religiata-sabchos-tsevri-religiuri-gaertianebebis-protesti-gavrtsebuli-saidumlo-masalebis-tsinaaghmdeg>.

U.S. Embassy Moscow. “1991 USSR Country Report on Human Rights.” IDFI, March 27, 2017. https://idfi.ge/ge/human_rights_in_georgia_in_1991.

UN General Assembly. Resolution 36/55, Declaration on the Elimination of All Forms of Intolerance and of Discrimination Based on Religion or Belief (1981). <https://www.ohchr.org/en/instruments-mechanisms/instruments/declaration-elimination-all-forms-intolerance-and-discrimination>.

UN Human Rights Committee. “General Comment No. 34,” 2011. <https://www2.ohchr.org/english/bodies/hrc/docs/GC34.pdf>.

